

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„აგსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

(საიდენტიფიკაციო კოდი: 404997232)

ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

ძირითად პირობებზე საბოლოო შეთანხმება ადგენს შეთავაზების პირობებს, მისი რეგისტრირების თარიღისთვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე და წარმოადგენს ობლიგაციების შეთავაზების პირობებს.

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს 15,000,000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონური ობლიგაციების შეთავაზების პირობებს. განადგობის (დაფარვის) ვადა: გამოშვებიდან 24 თვის შემდეგ, თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 აშშ დოლარი. ობლიგაციების გამოშვების თარიღია 2023 წლის 16 ოქტომბერი. საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება პროსპექტის დამტკიცებიდან ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადაში.

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „აგსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ („ემიტენტი“, „კომპანია“) უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „აგსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404997232) იურიდიული მისამართი: ს.ეულის ქუჩა N5 / ჯიქიას ქუჩა N10, ბინა 37, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი ელ.ფოსტა: info@agd.com.ge ვებ-გვერდი: https://www.agd.ge ტელ.: (+995 32) 220 00 36
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge ვებ-გვერდი: https://www.tbccapital.ge/ge ტელ.: (+995 32) 227 27 33
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ელ.ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge ტელ.: (+995 32) 240 64 06 ფაქსი: (+995 32) 240 65 77
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	26.09.2023
პროსპექტის მოქმედების ვადა	კანონმდებლობის შესაბამისად, საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე
ISIN	GE 2700604541
ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	GE 2700604541-1-01

შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

13 ოქტომბერი 2023 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.



ხელმოწერილია შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: მიხეილ ნიბლაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

ხელმოწერი:

სახელი: გიორგი აბრამიშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

ხელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: მერი ჩაჩანიძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ხელმოწერა:

ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი (კუპონი)	ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, და შეადგენს წლიურად 9.00%-ს.
ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე (თუ არ განხორციელდა ობლიგაციების ვადამდელი დაფარვა ან შესყიდვა და გაუქმება „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-7 პუნქტის შესაბამისად). პროცენტის დარიცხვა მოხდება არსებული რეალური დღეების რაოდენობისა და 360 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება 6 თვეში ერთხელ 16 აპრილსა და 16 ოქტომბერს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2024 წლის 16 აპრილს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები პროსპექტით არ არის გათვალისწინებული.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.
გამოსყიდვის ოფცია	„ობლიგაციების გამოშვების პირობების“ შესაბამისად დადგენილ შემთხვევებში, ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია, როგორც განსაზღვრულია „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-7 პუნქტის - „დაფარვა და გამოსყიდვა“ შესაბამისად.
ემიტენტის / ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	არც ობლიგაციებს და არც „ემიტენტს“ არ აქვთ მინიჭებული რეიტინგი.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება - 2025 წლის 16 ოქტომბერს.
რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/ნ 205156374). თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. N11; ტელ: (995 32) 2 25 15 60; ელ. ფოსტა: info@usr.ge („ემიტენტი“ უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას ობლიგაციების გამოშვებამდე).
სავაჭროდ დაშვება	„ემიტენტს“ გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ბირჟის ლისტინგში დაშვებისთვის „კომპანია“ აკმაყოფილებს ყველა პირობას (საკუთარი კაპიტალის მოცულობა გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და ა.შ). საფონდო ბირჟის წესებთან შესაბამისობის ნაწილს შეაფასებს საფონდო ბირჟა. ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://www.gse.ge/upload/Listin_Rules_GEO_3ade087b.pdf
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაციები წარმოადგენს „კომპანიის“ უზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.

<p>უზრუნველყოფა</p>	<p>„ობლიგაციები“ უზრუნველყოფილი იქნება მეორე რიგის იპოთეკითა და გირავნობით „ემიტენტის“(i) „იპოთეკის ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ უძრავ ქონებასა და აღნაგობის უფლებაზე და (ii) „გირავნობის ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ არსებულ და სამომავლო მოძრავ ქონებასა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, როგორც განსაზღვრულია „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ შესაბამისად და დეტალურად დარეგულირებულია „იპოთეკის ხელშეკრულებაში“ და „გირავნობის ხელშეკრულებაში“. გთხოვთ, იხილეთ დეტალურად „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 1(გ) ქვეპუნქტი „უზრუნველყოფა“.</p>
<p>დივიდენდების პოლიტიკა</p>	<p>გთხოვთ, გაეცნოთ „კომპანიის“ დივიდენდის გაცემის პოლიტიკას, რომელიც აღწერილია პროსპექტის ქვეთავში „დივიდენდების პოლიტიკა“.</p>

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	15,000,000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 16 ოქტომბერი 2025 წელი.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი).
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) აშშ დოლარი.
ობლიგაციების რაოდენობა	15,000 (თხუთმეტი ათასი) ცალი.
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	15,000,000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარი.
გამოშვების ფასი	ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 100%.
ემისიის დამტკიცების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი, აქციონერისა და დირექტორატის გადაწყვეტილებები	2023 წლის 31 აგვისტოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება.
ობლიგაციის გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2023 წლის 16 ოქტომბერს.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი.
შეთავაზების პერიოდის თარიღი	დროის მონაკვეთი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან შეთავაზების დასრულებამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შექმნა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2025 წლის 16 ოქტომბერს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში	„კომპანიის“ გაკოტრების შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მფლობელები წარმოადგენენ „კომპანიის“ მეორე რიგის უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ კრედიტორებს, რომლებიც დაკმაყოფილებიან „პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის“ შემდგომ. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლის თანახმად, გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის მასა შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდება:

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის თანახმად, პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს აღნიშნული ქონების რეალიზაციას პირველი რიგის იპოთეკარის/მოგირავნის მოთხოვნის შესაბამისად, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. თუ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილისა (მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი) და 301-ე მუხლის 1¹ ნაწილის (მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი) შესაბამისად.

„კომპანიის“ გაკოტრების შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მფლობელები წარმოადგენენ „კომპანიის“ მეორე რიგის უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ კრედიტორებს, რომლებიც დაკმაყოფილდებიან პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის შემდგომ.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის თანახმად, პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს აღნიშნული ქონების რეალიზაციას პირველი რიგის იპოთეკარის/მოგირავნის მოთხოვნის შესაბამისად, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. თუ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილისა (მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ

მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი) და 301-ე მუხლის 1¹ ნაწილის (მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი) შესაბამისად.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ემიტენტის“ გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის მასა განაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომლებიც თავის მხრივ მოიცავს: (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯებს, ქონების მართვის ხარჯებს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯებს);
- 2) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ „ემიტენტის“ მმართველ წარმომადგენელს დავალისწინება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
- 3) კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანმიმდევრობით:
 - (i) პრეფერენციული მოთხოვნები (სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა „ემიტენტის“ დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯების) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ქართული ლარის ოდენობით));
 - (ii) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები (სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები);
 - (iii) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
 - (iv) მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები;
 - (v) არაპრივილეგირებული მოთხოვნები (კრედიტორის მოთხოვნები, რომელთა არაპრივილეგირებული წესით დაკმაყოფილებაც „ემიტენტი“ და კრედიტორი წინასწარ შეთანხმდნენ); და

	<p>კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).</p> <p>დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვრცლად „პროსპექტის“ ქვეთავებში „შესავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები“ და „ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუნარიანობის/ გაკოტრების შემთხვევის შესახებ“ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე და 105-ე მუხლები.</p>
კალკულაციის და გადახდის აგენტი	შპს „თიბისი კაპიტალი“, ს/ნ: 204929961
დეფოლტი	<p>თუ დადგა და გრძელდება „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ საკუთარი შეხედულებისამებრ უფლებამოსილია, ხოლო „სპეციალური გადაწყვეტილების“ არსებობის შემთხვევაში (იხილეთ პირობით, რომ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით მიეცა ანაზღაურების გარანტია, შესაძლო ხარჯების წინასწარი ანაზღაურება და გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან) - ვალდებულია, მიაწოდოს „ემიტენტს“ წერილობითი შეტყობინება, რომ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები ვადამოსულია და „ობლიგაციები“ დაუყოვნებლივ გახდება ვადამოსული, და ექვემდებარება გადახდას ძირითადი თანხის 100%-ით, დარიცხულ და გადაუხდელ სარგებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად (იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეპუნქტი 10 „დეფოლტის შემთხვევები“).</p>
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა სახსრები სრულად მოხმარდება არსებული ვალდებულებების რეფინანსირებას. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მიღებული წმინდა სახსრები (მართვის, განთავსების საკომისიოების და ლისტინგის ხარჯების გამოკლების შემდეგ, თუმცა სხვა ხარჯების გამოკლებამდე) არ იქნება გამოშვებული ობლიგაციების მთლიანი ნომინალური ღირებულების 98%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.
ობლიგაციების განთავსების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს „ემიტენტს“ ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების ემისიის პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და „კომპანის“ გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების საკომისიო	განთავსებასა და შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოები არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 2%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს „ემიტენტი“ და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება „ემიტენტის“ მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი..

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

ობლიგაციების განთავსების აგენტი (შპს „თიბისი კაპიტალი“), რომელიც აგრეთვე არის კალკულაციისა და გადახდის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსების სანაცვლოდ კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება. ამავდროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტს და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) მიუხედავად იმისა, რომ შპს „თიბისი კაპიტალს“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას საერთო მენეჯმენტი მართავს, სს „თიბისი ბანკს“ არ აქვს განთავსების აგენტის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ბერკეტები და ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის მხოლოდ თეორიულია;

(ბ) განთავსების აგენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ სს „თიბისი ბანკს“ მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(გ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა განთავსების აგენტთან და „ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით;

(დ) „ემიტენტსა“ და შპს „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული/გასაფორმებელი ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ, ითვალისწინებს კალკულაციისა და გადახდის აგენტის შეცვლის შესაძლებლობას.

„ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404997232

უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციების ემისიის პროსპექტი

15,000,000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულებისა და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციები (შემდგომში „ობლიგაციები“), რომელთა დაფარვის ვადაა გამოშვების თარიღიდან 24 თვე. უკანასკნელი ობლიგაციის საბოლოო განთავსების თარიღი იქნება არაუგვიანეს 2024 წლის 30 სექტემბერი. „ობლიგაციების“ გამოშვების დეტალური პირობები განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით.

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. „კომპანიის“ ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც „კომპანიამ“ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას), წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია „კომპანიისთვის“ ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რომელიც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის და/ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები:

მიხეილ ნიბლაძე - შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი აბრამიშვილი - შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ გენერალური დირექტორი

პასუხისმგებელი პირების განცხადება

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ: „სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე“.

ხელმოწერილია შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ სახელით:

ხელმძღვანელი:

სახელი: მიხეილ ნიბლაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

ხელმძღვანელი:

სახელი: გიორგი აბრამიშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

ხელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ხელმძღვანელი:

სახელი: მერი ჩაჩანიძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ხელმოწერა:

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის მომდევნო ნაწილის წაკითხვამდე პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და, შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით), ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს პროსპექტი მიეწოდა ელექტრონული გზავნილის ფორმით, იგი ეთანხმება, რომ ელექტრონული გზავნილი (მასზე დართული პროსპექტიურთ) კონფიდენციალურია და მოწოდებულია მხოლოდ ადრესატისათვის. შესაბამისად, ინვესტორი ეთანხმება, რომ არცერთ სხვა პირს არ გაუგზავნის ან მიაწვდის ელექტრონულ გზავნილს ან/და წინამდებარე პროსპექტის ელექტრონულ ვერსიას და არ გასაჯაროებს მას.

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი 0114, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge. ვებ-გვერდი: <https://nbg.gov.ge/>

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის და/ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არცერთი პირი, გარდა „ემიტენტისა“, მათ შორის, არც „ემიტენტის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი, რეგისტრატორი, „კომპანიის“ სხვა მრჩეველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით „კომპანიასთან“ დაკავშირებით გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და შეთავაზებაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და „კომპანიის“ მრჩეველები ან მათ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არ იღებენ რაიმე კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან მათ რაიმე სხვა განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების აგენტი და კალკულაციისა და გადახდის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ის არ წარმოადგენს არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევა არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავის კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კალკულაციისა და გადახდის აგენტი არ არის ვალდებული, რომ „კომპანიის“ გარდა ნებისმიერ პირს გაუწიოს მომსახურება ან მისცეს რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით (ა) რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, და (ბ) რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება რაიმე ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად ან პროსპექტის (ან „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული შეთავაზების სხვა მასალების) გასაჯაროებლად.

ინვესტორის დადასტურება: პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს (ა) განთავსების აგენტს, შპს „თიბისი კაპიტალს“ (ს/ნ: 204929961, მის: საქართველო, თბილისი 0102, მარჯანიშვილის N7, ტელ: (+995 32) 277-27-33; ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge.) და (ბ) ემიტენტს, შპს „ავსტრიან ჯორჯიან

დეველოპმენტს“, რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ii) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ან/და (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, „კომპანია“, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი (ა) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სახის სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან (ბ) სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება „კომპანიის“ მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს (რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის იდენტურია).

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე „კომპანიის“ ოპერაციებში არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა. მსგავსი ცვლილების მოხდენის შემთხვევაში პროსპექტი განახლდება შესაბამისად.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად ან/და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ



დამტკიცების თარიღი

26 სექტემბერი 2023 წ.

სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა	7
შესავალი	7
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	10
ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები	11
კომპანიის ამჟამინდელი ორგანიზაციული სტრუქტურა	13
ემიტენტის მენეჯმენტი და ჯგუფის ძირითადი მმართველი გუნდი.....	13
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	14
შერჩეული ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები.....	16
ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მეთოდოლოგიების მიხედვით	19
მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ	21
რისკის ფაქტორები	26
1. ინდუსტრიისა და ეკონომიკის დამახასიათებელი რისკები	26
2. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები	38
3. შესათავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები	47
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება.....	55
სარეგისტრაციო დოკუმენტი	56
ძირითადი საქმიანობა.....	57
კომპანიის მიმოხილვა	57
საოპერაციო საქმიანობა	57
ძლიერი მხარეები.....	61
სტრატეგია და ამოცანები.....	62
ინვესტიციები.....	64
დაზღვევა	65
კონკურენტული პოზიცია	65
ინფორმაცია მატერიალური კონტრაქტების შესახებ	66
სასამართლო დავები.....	67
საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა.....	68
კაპიტალიზაცია და დავალიანება	83
ინდუსტრიის აღწერა.....	87
ელექტროენერჯის ბაზრის მონაწილეები და ამჟამინდელი სტრუქტურა.....	87
ელექტროენერჯის მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციები	91

ელექტროენერჯის საბითუმო და საცალო ფასები.....	98
განახლებადები ენერჯიების განვითარების მხარდაჭერა	101
მარეგულირებელი გარემო	105
რეფორმები ელექტროენერჯეტიკულ სექტორში.....	107
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი	115
კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა	115
საერთო კრება (პარტნიორთა საერთო კრება)	115
სამეთვალყურეო საბჭო	116
გენერალური დირექტორი.....	119
აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდი.....	119
აუდიტის კომიტეტი	120
თანამშრომლები	121
ანაზღაურება და ბენეფიტები	121
ინტერესთა კონფლიქტი	121
სამართალწარმოება.....	121
კორპორატიული მმართველობა.....	122
დივიდენდების პოლიტიკა	122
ძირითადი პარტნიორები	123
დაკავშირებული მხარის გარიგებები	125
სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი	127
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა.....	128
მნიშვნელოვანი ინფორმაცია	128
ობლიგაციების გამოშვების პირობები	131
ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში.....	158

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ საიდენტიფიკაციო ნომერი: 404997232 იურიდიული მისამართი: ს. ეულის ქუჩა N5 / ჯიქიას ქუჩა N10, ბინა 37, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი ელ. ფოსტა: info@agd.com.ge ვებ-გვერდი: https://www.agd.ge ტელეფონი: +995 32 2200 036
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge ვებ-გვერდი: https://www.tbccapital.ge/ge ტელ.: (+995 32) 227 27 33
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1 ტელ: (995 32) 240 6406 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებგვერდი: www.nbg.gov.ge
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	26 სექტემბერი 2023 წ.
პროსპექტის მოქმედების ვადა	კანონმდებლობის შესაბამისად, საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

ინვესტორის მიერ ინვესტირების შესახებ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

„ემიტენტს“ შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ან პროსპექტის რომელიმე ნაწილი გამიზნულად შეიცავს არასწორ, მცდარ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რამაც თავის მხრივ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე.

„ობლიგაციებში“ ინვესტირება შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ რისკს. შესაბამისად, ნებისმიერი ინვესტორი „ობლიგაციის“ შემენის შედეგად იღებს შესაბამის ეკონომიკურ და ფინანსურ რისკს, რადგან შემენილი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის დაბრუნება და დარიცხული პროცენტის გადახდა დამოკიდებული იქნება „ემიტენტის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და გადახდისუნარიანობაზე. წინამდებარე პროსპექტი, ისევე როგორც „კომპანიის“ ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე ინფორმაცია არ არის გამიზნული ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკების შესაფასებლად. ყველა ინვესტორმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს პოტენციური რისკები. ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია, ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე, შესაძლოა შესწორდეს, განახლდეს და შეივსოს დამატებითი ინფორმაციით. მსგავსი ცვლილებები (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.) აისახება საბოლოო პროსპექტში. „ემიტენტი“ მსგავსი ცვლილების შესახებ ინვესტორთა ინფორმირებას მოახდენს კანონით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ „ობლიგაციების“ გაყიდვა ან „ობლიგაციების“ ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცებამდე.

ამ პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას „ობლიგაციების“ ნასყიდობაზე ნებისმიერ იურისდიქციაში, სადაც მსგავსი შეთავაზება შეიძლება ჩაითვალოს უკანონოდ.

არც „კომპანია „და არც განთავსების აგენტი არ აკეთებს რაიმე განცხადებას და არ იძლევა გარანტიას „ობლიგაციების“ ფაქტიური ან პოტენციური მყიდველების მიმართ ამ უკანასკნელთა მიერ „ობლიგაციებში“ ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა სამომავლოდ დაექვემდებაროს „ობლიგაციის“ მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი, რომ „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში. შესაბამისად, ნებისმიერი მსგავსი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. აღსანიშნავია, რომ პროსპექტის შეთავაზების და/ან შეთავაზებული „ობლიგაციების“ რეალიზაციის შემდეგ შესაძლებელია, რომ „კომპანიის“ საქმიანობაში განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის ცვლილებები.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების მიხედვით.

გაფრთხილება

„ობლიგაციების“ ემისიის პროსპექტი რთული დოკუმენტია და შესაძლებელია ინვესტორისთვის გართულდეს შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს „კომპანიასთან“, „ობლიგაციებთან“, შეთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ იხილოთ თავი „რისკის ფაქტორები“.

ყველა პოტენციურმა ინვესტორმა „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა უნდა განსაზღვროს საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა და აუცილებელია, რომ ყველა პოტენციურ ინვესტორს:

- i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება „ობლიგაციებში“ ინვესტირების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
- ii. გააჩნდეს შესაბამისი ანალიტიკურ ინფორმაციასა და ინსტრუმენტებზე წვდომა/ცოდნა, რათა შეაფასოს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისივე კონკრეტული ფინანსური გარემოების გათვალისწინებით;
- iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების ყველა რისკის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, სავალუტო რისკისა, როდესაც „ობლიგაციის“ ძირითადი თანხის და პროცენტის ვალუტა (ქართული ლარი ან აშშ დოლარი) განსხვავდება პოტენციური ინვესტორის ძირითადი ფინანსური/საინვესტიციო ვალუტისაგან;
- iv. შეემძლოს „ობლიგაციების“ პირობების სრულყოფილად გააზრება და გავება
- v. იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
- vi. შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩეველის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ინვესტიციებზე და საინვესტიციო რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს „ემიტენტის“ პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

გამოყენებული წყაროები

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- „ემიტენტის“ არააუდიტირებული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის, ბასს 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება, მიხედვით 2023 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვს თვიანი პერიოდისთვის („შუალედური ფინანსური ანგარიშგება“)
- „ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბერსა და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის („აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება“) www.reportal.ge
- „ემიტენტის“ ვებ-გვერდი www.agd.ge
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
- საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ „როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მათთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს გახდიდა. ზემოთ აღწერილის მიუხედავად, „ემიტენტი“ არ იღებს ვალდებულებას მესამის მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და მისი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების სიზუსტეზე.“

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

ემიტენტი არის შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“).

მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. ეულის ქ. №5 / ჯიქიას ქ. №10, ბინა 37.

რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო.

მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

დაარსების თარიღი: 2013 წლის 18 ივნისი.

„კომპანიის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის ოპერირება (ელექტროენერჯის წარმოებისა და ვაჭრობის ჩათვლით) და მასთან დაკავშირებული საინვესტიციო, საოპერაციო, ფინანსური (და ა.შ.) საქმიანობა.

„კომპანია“ ფლობს და მართავს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, კონკრეტულად კი - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახამში, მდინარე ლახამზე არსებულ კასკადური ტიპის, მდინარის მოდინებაზე (run-of-the-river) მყოფ ლახამი 1 და 2 ჰიდროელექტროსადგურს. კომპანიის მფლობელობაში არსებული აქტივების ჯამური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 15.9 მგვტ-ს, წლიური გამომუშავება - 62.2 გვტს-ს¹. ჰიდროელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობა დაახლოებით 45%-ია. თითოეული ჰიდროელექტროსადგური მოიცავს სათავე ნაგებობას, თევზსავალს, მიწისქვეშა მილსადენსა და ჰესის შენობას.

სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2018 წელს და წარმატებით დასრულდა 2020 წელს.

„კომპანია“ ახორციელებს ელექტროენერჯის რეალიზაციას როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტის გზით.

„ემიტენტის“ ორივე ჰიდროელექტროსადგური სარგებლობს სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ (შემდგომში „ესკო“) გაფორმებული გრძელვადიანი ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (შემდგომში „PPA“) (დამატებითი ინფორმაცია PPA-სთან დაკავშირებით იხილეთ თავში „ინდუსტრიის აღწერა“ - ქვეთავი „განახლებადი ენერჯის განვითარების მხარდაჭერა“). PPA-ს ფარგლებში, ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, „კომპანიას“ აქვს შესაძლებლობა, რომ ელექტროენერჯია მიყიდოს ესკოს 8 თვის მანძილზე (სექტემბერი-აპრილი) ფიქსირებულ ფასად - 6.00 აშშ ცენტი კვტ/სთ, ან მიყიდოს ელექტროენერჯია ნებისმიერ სხვა მხარეს საქართველოში. რაც შეეხება დარჩენილ 4 თვეს (მაისი-აგვისტოს), „კომპანიას“ შეუძლია ელექტროენერჯია საკუთარი შეხედულებისამებრ გაყიდოს ადგილობრივ ბაზარზე ან მოახდინოს ექსპორტი თურქეთში.

როგორც აღინიშნა, PPA-ის ფარგლებში ელექტროენერჯის ფასი დენომინირებულია აშშ დოლარში, რაც ამცირებს სავალუტო რისკს და ზრდის „ობლიგაციის“ ვალუტაში მისაღებ შემოსავალს.

ქვემოთ მოცემულია ლახამი 1 და ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და კომერციული პარამეტრები:

ცხრილი 1: ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და კომერციული პარამეტრები

ელექტროსადგური	ლახამი 1 ჰესი	ლახამი 2 ჰესი	კასკადი
დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	6.40	9.50	15.90
ეფექტურობის მაჩვენებელი ¹	c. 45%	c. 45%	c. 45%
ოპერირების დაწყების თარიღი	17-ოქტ-2020	19-აგვ-2020	
PPA ფასი (აშშ ცენტი/კვტ)	6.00	6.00	6.00
PPA დაფარული პერიოდი (თვე)	8 თვე (სექ-აპრ)	8 თვე (სექ-აპრ)	8 თვე (სექ-აპრ)
PPA მოქმედების პერიოდი	10 წელი	10 წელი	10 წელი
PPA დასრულების თარიღი (წელი)	2030	2030	2030

¹ წარმოადგენს 2022 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს და ექვემდებარება ცვლილებას მომდევნო წლებში, რაც დამოკიდებულია ელექტროენერჯის გამომუშავებაზე.

ჰიდროელექტროსადგური აღჭურვილია უმაღლესი ხარისხის, ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი, ტექნოლოგიებითა და დანადგარებით: ტურბინები, ჰიდრავლიკის სისტემა, გენერატორი, ელექტრული მოწყობილობები, ტრანსფორმატორები, მილსადენი და ა.შ. კონკრეტულად, „ემიტენტის“ ჰესები აღჭურვილია ავსტრიული, დასავლეთ ევროპაში წარმოებული ტურბინა-გენერატორებით.

ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

ფიგურა 1: ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები



კომპანიის სტრატეგია

„ემიტენტის“ ბიზნეს სტრატეგია გულისხმობს საქართველოში ელექტროენერჯის/განახლებადი ენერჯის ბაზარზე ოპერირებას, ბაზრის შესაძლებლობით სარგებლობას და ხელსაყრელი საბაზრო პირობების კაპიტალიზაციას.

საქართველოში არსებობს განახლებადი ენერჯიების განვითარების ხელშემწყობი და წამახალისებელი მექანიზმები, რომელთა მიზანია მზის, ქარის და ჰიდრორესურსების ათვისება და ელექტროენერჯის წარმოება. საქართველოს მთავრობამ ასევე მხარი დაუჭირა ელექტროენერჯის ბაზრის ახალ მოდელს, რომელიც მიზნად ისახავს უფრო კონკურენტუნარიან და გამჭვირვალე ბაზრის ჩამოყალიბებას.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის („ESG“) საკითხები და მდგრადი განვითარების მიზნები („SDG“) „კომპანიის“ სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. „ემიტენტი“ აკმაყოფილებს მაღალი დონის საერთაშორისო ESG სტანდარტებს, რაც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების მიტიგაციას და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას. „კომპანია“ აქტიურად მუშაობს რამდენიმე SDG-ის მისაღწევად, მათ შორის: ხელმისაწვდომი და სუფთა ენერჯია, კლიმატის მდგრადობის მიღწევა, ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; ხარისხიანი განათლება, გენდერული თანასწორობა და ა.შ.

„ემიტენტის“ სპეციფიკური მიზნები მოიცავს მდინარე ლახამის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და მისი განადგურების პრევენციას. „კომპანიისთვის“ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, დასაქმების ხელშეწყობა, სოციალური პროექტების განხორციელება და უწყვეტი, გამჭვირვალე კომუნიკაციის არსებობა, რაც დაეხმარება ადგილობრივ თემთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, განახლებადი ენერჯის მეშვეობით „ემიტენტი“ მიზნად ისახავს გაზარდოს თავისი წვლილი მწვანე ენერჯის წარმოებაში და შეამციროს უარყოფითი გავლენა გარემოზე.

მოკლე ინფორმაცია სექტორის შესახებ

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ზრდა აჭარბებს მიწოდებას, რაც თავის მხრივ ზრდის ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულებას. ელექტროენერჯის მოხმარება დადებით კორელაციაშია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (შემდგომში „მშპ“) ზრდასთან.

ელექტროენერჯის მოხმარება 2010-2022 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 4.4%-ით (Compounded Annual Growth Rate - CAGR) გაიზარდა და მიაღწია 14.2 ტვტ.სთ-ს, ხოლო განახლებადი ენერჯის გამოუმუშავება იმავე პერიოდში ყოველწლიურად საშუალოდ 1.2%-ით (CAGR) გაიზარდა და გაუტოლდა 10.8 ტვტ.სთ-ს.

განახლებადი ენერჯის ადგილობრივი წყაროების განვითარების დაბალმა ტემპმა გამოიწვია როგორც ელექტროენერჯის პირდაპირი იმპორტი, ასევე თბოენერჯის წილის ზრდა, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. საქართველოში ელექტროენერჯის მოთხოვნის დაახლოებით 70%-ს აკმაყოფილებს ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია, 0.6%-ს ქარის - ელექტროსადგურების გენერაცია, 19%-ს - თბო-სადგურების მიერ წარმოებული გენერაცია, დანარჩენი 10% კი ბალანსდება ელექტროენერჯის იმპორტით, ძირითადად რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან.

საქართველოში ელექტროსადგურების ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ 2022 წლის ბოლოსთვის 4.6 გიგავატს მიაღწია, საიდანაც ჰიდროელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე მოიცავდა 3.4 გიგავატს, თბოსადგურების და ქარის სადგურის სიმძლავრემ კი 1.2 გიგავატი და 20.7 მეგავატი შეადგინა.

2022 წელი გამორჩეული იყო საქართველოს ენერჯეტიკის სექტორისთვის, კერძოდ ქვეყანამ ელექტროენერჯის ექსპორტიდან რეკორდულად მაღალი შემოსავალი - 84.3 მილიონი აშშ დოლარი მიიღო, ხოლო სექტორის სავაჭრო ბალანსი დადებითი გახდა და შეადგინა 43.2 მილიონი აშშ დოლარი. მიუხედავად დადებითი სავაჭრო ბალანსისა, რაოდენობრივად საქართველო კვლავ რჩება ელექტროენერჯის წმინდა იმპორტიორად - 0,6 ტვტ.სთ-იანი წმინდა იმპორტით. ელექტროენერჯის ექსპორტის შემოსავლების ასეთი მკვეთრი ზრდა განპირობებული იყო თურქეთის რესპუბლიკაში ფასების მნიშვნელოვანი ზრდით, რომელიც ქვეყნისთვის მთავარ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს.


მომდევნო ცხრილში მოცემულია გარკვეული ინფორმაცია საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის შესახებ, 2020, 2021 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის²:

ცხრილი 2: ინფორმაცია საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის შესახებ

	31 დეკემბერი		
	2022	2021	2020
	<i>(გვტ.სთ)</i>		
შიდა მოხმარება	14,181	13,753	12,157
აფხაზეთის რეგიონი	3,029	2,956	2,552
პირდაპირი მოხმარებლები	3,726	3,554	2,438
სადისტრიბუციო კომპანიები	7,411	7,219	7,146
ადგილობრივი გენერაცია	14,244	12,645	11,160
ჰიდროელექტროსადგურები (ჰესები)	10,769	10,182	8,248
თბოელექტროსადგურები (თბოსადგურები)	3,388	2,380	2,821
ქარის ელექტროსადგური	87	83	91
იმპორტი	1,533	2,006	1,610
ექსპორტი	971	391	154
სავაჭრო ბალანსი	(562)	(1,615)	(1,456)

კომპანიის ამჟამინდელი ორგანიზაციული სტრუქტურა

ფიგურა 2: „კომპანიის“ ამჟამინდელი ორგანიზაციული სტრუქტურა



პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის „ემიტენტის“ 82%-იანი წილის მფლობელი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“, 13%-იანი წილის მფლობელი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი“ და 5%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენერჯი სოლუმენს“.

დეტალური ინფორმაცია „ემიტენტის“ საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ, გთხოვთ, იხილოთ თავში „ძირითადი პარტნიორები“.

ემიტენტის მენეჯმენტი და ჯგუფის ძირითადი მმართველი გუნდი

გიორგი აბრამიშვილი არის „ემიტენტის“ გენერალური დირექტორი. გიორგი აბრამიშვილს აქვს სხვადასხვა ინდუსტრიებში მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება, მათ შორის წამყვან მენეჯერულ თანამდებობებზე. ბატონი გიორგი

² <https://data.gnerc.org/>

კარიერის სხვადასხვა ეტაპზე ხელმძღვანელობდა მასშტაბურ ენერგეტიკულ პროექტებს (450 მგვტ სიმძლავრის ნამხევანი ჰესი, 230 მგვტ სიმძლავრის გარდაბნის თბოელექტროსადგური, 16 მგვტ სიმძლავრის ლახამი ჰესი, 250 კვტ ჰიდროელექტროსადგური).

აღსანიშნავია, რომ ყველა პროექტი მხარდაჭერილი და დაფინანსებული იყო საერთაშორისო ინვესტორების და ფინანსური ინსტიტუტების მიერ და, შესაბამისად, განხორციელდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით. გარდა ამისა, გიორგი აბრამიშვილს ეკავა წამყვანი პოზიციები სხვადასხვა ენერგეტიკულ ორგანიზაციაში, მათ შორისაა საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი და იგი დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციას (GREDA). ენერგეტიკის სექტორში მოღვაწეობამდე ბატონი გიორგი აქტიურად იყო ჩართული უძრავი ქონების განვითარების, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და გამოცემლობის ინდუსტრიებში (ჰოლანდიური სახლი, გერმანული საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაცია - G.I.Z, გამოცემლობა Siesta). გიორგი აბრამიშვილმა დაამთავრა University of Saarland და ასევე სწავლობდა გლობალური ენერჯის მენეჯმენტზე კოლორადოს უნივერსიტეტში.

არჩილ ძნელაძე არის „ემიტენტის“ ტექნიკური დირექტორი. არჩილ ძნელაძეს დიდი გამოცდილება აქვს ენერგეტიკის სექტორში, კონკრეტულად: ტექნიკური პროექტების დიზაინი, შესწავლა ექსპერტიზისა და ობიექტების ექსპლუატაციის მიმართულებით. კარიერის სხვადასხვა ეტაპზე, ბატონი არჩილი იკავებდა წამყვან პოზიციებს ჰიდრო, თბო და მზის ენერჯის სფეროებში, სადაც თანამშრომლობდა საერთაშორისო და ადგილობრივ კომპანიებთან, როგორებიცაა EDF, Stucky, Colenko, Electrowat, UkrHydro, Tesla (საქართველო), ენგურჰესი.

არჩილ ძნელაძე ხელმძღვანელობდა ჰიდროელექტროსადგურების, ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს საქართველოში, აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ს ქვეყნებში (ენგურჰესი, ხუდონჰესი, ლახამის ჰესების კასკადი, არაგვი ჰესების კასკადი, უკრაინა ჰესები, გარდაბნის თბოსადგური, 500/330/220 კვ გადამცემი ხაზები საქართველოში). არჩილ ძნელაძე, როგორც მენეჯმენტის გუნდის წევრი, სხვადასხვა პროექტებში თანამშრომლობდა Posch & Partners Consulting Engineers, KfW, EBRD, World Bank, PA Government Services Inc./Winrock International და სხვებთან. ამჟამად არჩილი მართავს მოქმედ სადგურებს: (i) ლახამი 1 ჰესი და ლახამი 2 ჰესი, და (ii) არაგვი 1 ჰესი და არაგვი 2 ჰესი.

„ემიტენტის“ კორპორატიული მართვის წყობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ თავი „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მომდევნო ცხრილში შეჯამებულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ინდიკატორები, რომლებიც ეფუძნება აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს (2021 და 2022 წლების შემთხვევაში) და შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს (2022 და 2023 წლების ნახევარ-წლიური რეპორტინგისთვის). აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს, IFRS) შესაბამისად. 2021 და 2022 წლებისთვის მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისთვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის არამოდიფიცირებული. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და დამატებითი დეტალები შესაბამისად მითითებულია თანდართულ ანგარიშგებაში.

პროსპექტში აღწერილი ინფორმაციის გარდა, 2023 წლის 30 ივნისის შემდეგ და პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს „ემიტენტის“ გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

ცხრილი 3: „კომპანიის“ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2023 HY ³	2022 HY	2022	2021
<i>ათასი ქართული ლარი</i>	<i>არააუდიტირებული</i>	<i>არააუდიტირებული</i>	<i>აუდიტირებული</i>	<i>აუდიტირებული</i>
ამონაგები	7,239	6,653	10,790	7,167
სხვა შემოსავალი	55	38	44	316

³ HY (Half Year) - პროსპექტის მიზნებისთვის გამოიყენება, როგორც მითითება წლის პირველი ნახევარი

დასაქმებულთა სარგებლის ხარჯი	(323)	(424)	(770)	(1,644)
ელ. ენერჯის გადაცემის ხარჯები	(30)	(457)	(566)	(25)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, ნეტო	2	104	35	46
სხვა საოპერაციო ხარჯები	(424)	(669)	(1,799)	(1,976)
EBITDA	6,519	5,245	7,734	3,884
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,063)	(1,068)	(2,149)	(2,155)
საოპერაციო მოგება	5,456	4,177	5,585	1,729
ფინანსური შემოსავალი	72	18	31	38
ფინანსური ხარჯი	(2,635)	(2,625)	(5,504)	(4,305)
საკურსო სხვაობით განპირობებული ფინანსური შემოსულობა, ნეტო	1,512	3,216	7,476	3,495
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	4,405	4,786	7,588	957
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-
პერიოდის/წლის მოგება	4,405	4,786	7,588	957
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ პერიოდის/წლის სრული მოგება	4,405	4,786	7,588	957

ცხრილი 4: „კომპანის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

<i>ათასი ქართული ლარი</i>	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	58,756	59,754	61,842
აქტივის გამოყენების უფლება	646	653	667
არამატერიალური აქტივები	3	3	6
გაცემული სესხები	131	-	-
გადახდილი ავანსები და სხვა მოთხოვნები	58	-	15
სულ გრძელვადიანი აქტივები	59,594	60,410	62,530
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	120	44	109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	755	450	943
	6,914	4,032	964
სულ მოკლევადიანი აქტივები	7,789	4,526	2,016
სულ აქტივები	67,383	64,936	64,546
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	27,607	27,607	27,607
ანაზღაურებული კაპიტალი	2,515	2,515	2,515
დაგროვილი დეფიციტი	(14,845)	(19,250)	(26,838)
სულ კაპიტალი	15,277	10,872	3,284
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	46,207	48,627	55,525
საიჯარო ვალდებულებები	605	605	606
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	46,812	49,232	56,131
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	4,035	3,710	3,574
საიჯარო ვალდებულებები	74	74	74

სავაჭრო და სხვა ვალდებულება და მიღებული ავანსები	437	307	578
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	748	741	905
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,294	4,832	5,131
სულ ვალდებულებები	52,106	54,064	61,262
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	67,383	64,936	64,546

მიღებული სახსრების გამოყენება და შეთავაზების მიზეზების აღწერა:

„ობლიგაციების“ გამოშვებიდან მოზიდული სახსრების გამოყენება მოხდება სს „თიბისი ბანკთან“ არსებული სასესხო ვალდებულებების ნაწილობრივი რეფინანსირებისთვის. დეტალური ინფორმაცია „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თავში - „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

შერჩეული ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

„ემიტენტი“ თვლის, რომ შემდეგი ინდიკატორები ინვესტორებს აწვდის სასარგებლო ინფორმაციას და ინვესტორები შეძლებენ „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების, ასევე მისი აქტივების ხარისხისა და ბიზნესის ძირითადი ასპექტების შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ „ემიტენტის“ მიერ კოეფიციენტების დათვლის მეთოდოლოგია შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომპანიების მიერ მსგავსი ინდიკატორების გამოყენებისა და კალკულაციისგან.

ცხრილი 5: „კომპანიისთვის“ დამახასიათებელი კოეფიციენტები

ა) ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები	2023 HY	2022	2021
სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	3.33	4.88	18.20
სესხების EBITDA-სთან შეფარდება	5.65	6.85	15.39
წმინდა სესხების EBITDA-ს თან შეფარდება ⁴	4.89	6.33	15.14
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	1.29	1.07	0.40
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.76	0.82	0.93
სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR)	1.36	1.79	1.00

ბ) მომგებიანობის კოეფიციენტები	2023 HY	2022	2021
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)	10.7%	11.7%	1.5%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	61.7%	107.2%	55.9%
ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROCE)	11.0%	9.3%	2.9%
EBITDA მარჟა	78.8%	71.4%	51.9%
საოპერაციო მოგების მარჟა (EBIT მარჟა)	60.0%	51.6%	23.1%
სრული მოგების მარჟა	63.0%	70.0%	12.8%

გ) ლიკვიდურობის კოეფიციენტები	2023 HY	2022	2021
-------------------------------	---------	------	------

⁴ აღნიშნული კოეფიციენტი წარმოადგენს ობლიგაციების „პროსპექტის“ კოვენანტს.

ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	11.4%	6.9%	3.0%
ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები*	144.9%	92.8%	37.2%
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	147.1%	93.7%	39.3%
საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი	182.0%	162.1%	68.7%

დ) კორექტირებული კოეფიციენტები ⁵	2023 HY	2022	2021
კორექტირებული სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	1.67	1.74	1.96
კორექტირებული სესხების EBITDA-სთან შეფარდება	5.63	6.84	15.53
კორექტირებული წმინდა სესხების EBITDA-ს თან შეფარდება	4.85	6.31	15.28
კორექტირებული მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.75	0.81	0.93
კორექტირებული უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	23.9%	25.2%	3.2%

* 2022 და 2021 წლების ბოლოს, მოკლევადიანი ვალდებულებების, შესაბამისად, 15.3% და 17.6% გადასახდელია მომდევნო წლის 30 სექტემბერს. 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლიკვიდური აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან 100%-ზე ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები კოეფიციენტის 100%-ზე ნაკლები მაჩვენებელი აღნიშნული სექტორისთვის დამახასიათებელია და ძირითადად გამოწვეულია სესხების მიმდინარე ნაწილის მიმდინარე ვალდებულებებში არსებობით, რასაც „კომპანია“ აფინანსებს პერიოდის გენერირებული მოგებით და არა ლიკვიდური აქტივებით.

ზოგადი შენიშვნები:

- EBITDA** - შემოსავალი პროცენტამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე და საფინანსო საქმიანობაზე სავალუტო (ზარალამდე)/მოგებამდე. EBITDA წარმოდგენილია როგორც შუალედური ჯამი მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ფინანსურ ანგარიშგებაში.
- EBIT (საოპერაციო მოგება)**- მოგება პროცენტისა და გადასახადების ხარჯებამდე. ასევე გამოითვლება, როგორც EBITDA-ს გამოკლებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები.

ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

- სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** - პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი შეფარდებული პერიოდის ბოლოს არსებულ კაპიტალთან;
- სესხების EBITDA-სთან შეფარდება** - პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი შეფარდებული EBITDA-სთან (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA);

⁵ ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის უკეთესად შეფასების მიზნით დამატებულია კორექტირებული კოეფიციენტები

3. **წმინდა სესხების EBITDA-სთან შეფარდება** - პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამს გამოკლებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეფარდებული პერიოდის EBITDA-სთან (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA);
4. **პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)** - პერიოდის EBIT (საოპერაციო მოგება) გაყოფილი ნასესხებ სახსრებსა და საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხულ პერიოდის საპროცენტო ხარჯზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBIT და საპროცენტო ხარჯი);
5. **მთლიანი ვალის კოეფიციენტი** - პერიოდის ბოლოს არსებული მიმდინარე და გრძელვადიანი ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი შეფარდებული პერიოდის ბოლოს არსებულ აქტივებთან;
6. **სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR)** - პერიოდის წმინდა ფულად სახსრებს საოპერაციო საქმიანობიდან გამოკლებული კაპიტალური დანახარჯები დამატებული მოზიდული სახსრები (კაპიტალი ან/და სასესხო დაფინანსება) შეფარდებული ნასესხები სახსრების მოსამსახურებლად გადახდილ ძირსა და პროცენტზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან, კაპიტალური დანახარჯები და ნასესხები სახსრების მოსამსახურებლად გადახდილი პროცენტი და ძირი);
7. **უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)** - პერიოდის სრული მოგება გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო აქტივებზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა მოგება);
8. **უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)** - პერიოდის სრული მოგება გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო კაპიტალზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა მოგება);
9. **ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROCE)** - პერიოდის EBIT (საოპერაციო მოგება) გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებული საშუალო კაპიტალისა და საშუალო გრძელვადიანი სესხების ჯამზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBIT);
10. **EBITDA მარჟა** - EBITDA გაყოფილი ამონაგებზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA და ამონაგები);
11. **EBIT მარჟა** - EBIT (საოპერაციო მოგება) გაყოფილი ამონაგებზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBIT და ამონაგები);
12. **სრული მოგების მარჟა** - პერიოდის სრული მოგება გაყოფილი ამონაგებზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის სრული მოგება და ამონაგები);
13. **ლიკვიდური აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები** - პერიოდის ბოლოს არსებულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს დამატებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;
14. **ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები** - პერიოდის ბოლოს არსებულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს დამატებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეფარდებული აქტივებთან;
15. **მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი** - პერიოდის ბოლოს არსებული მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;
16. **საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი** - პერიოდის წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან შეფარდებული უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო მოკლევადიან ვალდებულებებთან (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან);

17. **კორექტირებული სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** - პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრები შეფარდებული პერიოდის ბოლოს არსებულ საწესდებო კაპიტალისა და ანაზღაურებული კაპიტალის ჯამთან;
18. **კორექტირებული სესხების EBITDA-სთან შეფარდება** - პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრები შეფარდებული კორექტირებულ EBITDA⁷-სთან (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის კორექტირებული EBITDA);
19. **კორექტირებული წმინდა სესხების EBITDA-ს თან შეფარდება** - პერიოდის ბოლოს არსებულ ნასესხებ სახსრებს გამოკლებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეფარდებული პერიოდის კორექტირებულ EBITDA⁷-სთან (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA);
20. **კორექტირებული მთლიანი ვალის კოეფიციენტი** - პერიოდის ბოლოს არსებული მიმდინარე და გრძელვადიანი ნასესხები სახსრები შეფარდებული პერიოდის ბოლოს არსებულ აქტივებთან (გარდა აქტივების გამოყენების უფლებებისა);
21. **კორექტირებული უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)** - პერიოდის სრული მოგება გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური წლის ბოლოს არსებული საშუალო საწესდებო კაპიტალისა და ანაზღაურებული კაპიტალის ჯამზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა მოგება)

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მეთოდოლოგიების მიხედვით

„ობლიგაციის“ გამოშვების დროს არც „კომპანიას“ და არც „ობლიგაციას“ არ აქვს საკრედიტო სააგენტოს მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი.

საილუსტრაციოდ ქვემოთ წარმოდგენილია Fitch Ratings-ის (ერთ-ერთი გლობალური სარეიტინგო კომპანია) მეთოდოლოგიის მიხედვით დათვლილი შერჩეული კოეფიციენტები.

საკრედიტო რეიტინგის მინიჭების პროცესში Fitch Ratings იყენებს მის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მეთოდოლოგიას. „ემიტენტი“ ოპერირებს ჰიდროენერგეტიკის ინდუსტრიაში. შესაბამისად, ანალიზის პროცესში გამოყენებულია გლობალური ელექტროენერჯის გენერაცია (Global Electricity Generation), ასევე ცნობილია როგორც GenCos. აღნიშნული სექტორისთვის ყველაზე მაღალ შეფასებას წარმოადგენს A, თუმცა თავად სარეიტინგო სააგენტო აღნიშნავს, რომ ყველაზე ხშირად კომპანიები ხვდებიან ‘BB’ და ‘BBB’ კატეგორიებს შორის.

ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი არ მოისაზრებს იმას, რომ „კომპანია“ მიიღებდა იმ რეიტინგს, რომელიც ქვემოთ მოყვანილი კოეფიციენტების შედეგად მიიღება. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საკრედიტო სააგენტოები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ კომპანიების საპროგნოზო მონაცემებზე, ხოლო შემოთავაზებული ანალიზი დაყრდნობილია მხოლოდ ისტორიულ შედეგებზე. Fitch Ratings-ის მიერ GenCos-ის შეფასება მოიცავს (i) როგორც ხარისხობრივ ფაქტორებს (შემოსავლების პროგნოზირებადობა და საბაზრო პოზიცია), (ii) ასევე რაოდენობრივ ფაქტორებს (ფულადი სახსრების ნაკადები და სესხის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი). PPA-ით შემცირებული

⁶ „ემიტენტი 2021 წლის 1 იანვრამდე აღრიცხვას „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ მიხედვით აწარმოებდა. აღნიშნული სტანდარტით, მშენებლობის პროცესში ისეთი კაპიტალიზირებადი ხარჯები, როგორებიცაა მშენებლობის მიზნებისთვის აღებულ სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი და სესხის გადაფასების შედეგად მიღებული საკურსო ეფექტი აღიარდებოდა ხარჯად. კომპანია სრული ფასს-ით აღრიცხვავს 2021 წლის 1 იანვრიდან გადავიდა, რა დროსაც მან ბასს 23-ში მოცემული მითითებები გამოიყენა, რომლითაც ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან მოითხოვება. შესაბამისად, ზემოთხსენებული საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობა კვლავ დაგროვილი დეფიციტშია თავმოყრილი. ასევე აღსანიშნავია, რომ მშენებლობის ფაზაზე, ESG აქტივობების ფარგლებში განხორციელებული სოციალური პროექტებისთვის მატერიალური დანახარჯები იქნა გაწეული, რომლებიც ასევე დაგროვილი დეფიციტშია ასახული.

მენეჯმენტის აზრით, ზემოთ აღნიშნული აღრიცხვის მიდგომისა და არა-განმეორებადი ხარჯების შედეგად გაზრდილი დაგროვილი დეფიციტი არასამართლიანად წარმოაჩენს ემიტენტის კაპიტალს. მოცემული კორექტირებული კოეფიციენტი კი, მეტად თვალსაჩინო სურათს გვაძლევს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.“

⁷ კორექტირებული EBITDA: EBITDA-ს გამოკლებული იჯარის ხარჯი

საბაზრო რისკი და ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარების დინამიკა მნიშვნელოვნად მოქმედებს GenCos-ის მიერ შემოსავლების სტაბილურობისა და ბიზნეს რისკების შეფასებაზე. ანალიზის დროს გამოყენებული ფაქტორების სისტემატური კომბინაცია იძლევა „კომპანიის“ და მისი ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის დეტალურ შეფასებას. მნიშვნელოვანი ფაქტორების სია ასევე მოიცავს (შეზღუდვის გარეშე) შემდეგს: ქვეყნის რეიტინგი, კომპანიის კორპორატიული სტრუქტურა (მენეჯმენტი), რეპუტაცია და სხვა.

„კომპანიის“ მენეჯმენტის აზრით, გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საკრედიტო რეიტინგზე დაყრდნობით იქნება არასწორი და ინვესტორებმა თვითონ უნდა შეაფასონ რისკები და ანალიზის პროცესის შედეგად მიიღონ გადაწყვეტილება.

ქვემოთ მოცემულია ბმულები, რომლებიც აქტიურად იყო გამოყენებული ანალიზის პროცესში:

1. მეთოდოლოგია (<https://www.fitchratings.com/research/corporate-finance/corporate-rating-criteria-28-10-2022>)
2. სექტორი (<https://www.fitchratings.com/research/corporate-finance/fitch-ratings-updates-sector-navigators-addendum-to-corporate-rating-criteria-12-05-2023>)

ცხრილი 6: „კომპანიის“ პოტენციური საკრედიტო რეიტინგი

	პოტენციური საკრედიტო რეიტინგი	2023 H1	2022	2021
მომგებიანობის კოეფიციენტები				
Free Cash Flow (FCF)	BBB	8,462	7,939	512
ფინანსური სტრუქტურის კოეფიციენტები				
EBITDA Leverage	B	5.6	6.8	15.5
FFO Leverage	B	5.6	6.8	16.5
FFO Net Leverage	B	4.8	6.3	16.2
ფინანსური მოქნილობის კოეფიციენტები				
FFO Interest Coverage	B	2.6	3.0	0.8
Expected DSCR	BBB	1,75		

კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

- **Free Cash Flow (FCF)** - წმინდა ფულად სახსრებს საოპერაციო საქმიანობიდან გამოკლებული კაპიტალური დანახარჯები და გამოკლებული დივიდენდები;
- **EBITDA Leverage** - ჯამური პროცენტის შემცველი ვალდებულებები (საბანკო სესხები) გაყოფილი EBITDA-ზე;
- **FFO Leverage** - ჯამური პროცენტის შემცველი ვალდებულებები (საბანკო სესხები) გაყოფილი FFO (Funds From Operations);
- **FFO Net Leverage** - ჯამური პროცენტის შემცველი ვალდებულებები (საბანკო სესხები) გამოკლებული ფულადი სახსრები გაყოფილი FFO (Funds From Operations);
- **FFO Interest Coverage** - FFO (Funds From Operations) გაყოფილი გადახდილ პროცენტზე;
- **მოსალოდნელი DSCR** – EBITDA გაყოფილი სესხზე სამომავლოდ მოსალოდნელ დასაფარ ძირ თანხასა და პროცენტზე.

შენიშვნა: თითოეული ტერმინის დეტალური განმარტებისთვის/კალკულაციის სანახავად, გთხოვთ, იხილოთ Fitch Ratings-ის მეთოდოლოგია.

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

1. ინდუსტრიისა და ეკონომიკის დამახასიათებელი რისკები:

- 1.1. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, შესაბამისად, ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია;
- 1.2. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ეროვნული ვალუტის (ქართული ლარი) გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;
- 1.3. როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში არსებულმა არასტაბილურმა გეოპოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარემომ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნეს პროცესებზე;
- 1.4. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დამაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე;
- 1.5. საქართველოში შესაძლო ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე;
- 1.6. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორებიცაა: პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე;
- 1.7. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე და ინვესტირებზე;
- 1.8. ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული რაიმე მოქმედი და/ან სამომავლო რეგულაციების არასრულყოფილმა შესრულებამ შესაძლოა კომპანიის ოპერირებაზე მოახდინოს სერიოზული უარყოფითი გავლენა;
- 1.9. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასთან, რასაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მოითხოვს;
- 1.10. საქართველოს საგადასახდო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობებმა, რომელიც შეიცავს ინტერპრეტაციების რისკს, და/ან სამომავლო ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება კომპანიაზე;
- 1.11. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლებისა და მარეგულირებლის მხრიდან;
- 1.12. საქართველოს ელექტროენერჯის ბაზარი კვლავ ტრანსფორმაციის პროცესშია. არსებობს გაურკვეველობა ბაზრის მოწყობასთან და საბაზრო ფასების ფორმირების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებთან დაკავშირებით, რაც კომპანიისთვის ქმნის შესაძლო დამატებით რისკებს;
- 1.13. ენერგეტიკული სისტემის ინტერესებიდან გამომდინარე, ჰიდროელექტროსადგურის საქმიანობა შესაძლებელია შეიზღუდოს ცენტრალური სადისპეტჩეროს მიერ.

2. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები:

- 2.1. კომპანიის შემოსავალი პირდაპირ არის დამოკიდებული გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე; დაგეგმილი (საპროგნოზო) გენერაციის მიუღწევლობამ შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლის მნიშვნელოვანი კლების / ლიკვიდურობის რისკი;
- 2.2. ემიტენტის საოპერაციო და ფინანსური სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ესკოსთან გაფორმებული PPA-ზე;
- 2.3. ემიტენტს აქვს უფლება, რომ სექტემბერი-აპრილის განმავლობაში წარმოებული ელექტროენერჯია გაყიდოს ესკოზე გრძელვადიანი ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებების (PPA) ფარგლებში, ხოლო მაისი-აგვისტოს თვეებში (რომლებსაც PPA არ ფარავს), კომპანია იღებს საბაზრო რისკებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ორ ქვერისკში: 1) მიმდების პოვნის რისკი და 2) საბაზრო ფასის რისკი;
- 2.4. კომპანიის ლიკვიდურობა შეიცავს მნიშვნელოვან კონტრაქტის რისკს;
- 2.5. ელექტროენერჯის გამომუშავების, განაწილებისა და მიწოდების შესაძლებლობა დამოკიდებულია საქართველოს გადამცემ სისტემაზე;

- 2.6. ელექტროენერჯის ექსპორტი დამოკიდებულია ქვეყანათა შორის ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებასა და არსებული სიმძლავრის ხელმისაწვდომობაზე. ექსპორტის ვერ ან/და შეზღუდულად განხორციელებამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლიანობასა და მომგებიანობაზე;
- 2.7. კომპანიას გააჩნია გარკვეული სავალუტო რისკი როგორც ადგილობრივი, ასევე ექსპორტზე გაყიდვების შემთხვევაში;
- 2.8. ელექტროსადგურების მოვლა და განახლება მოიცავს მნიშვნელოვან რისკებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ელექტროენერჯის დაუგეგმავი გათიშვა, გამომუშავების შეცდირება და მოულოდნელი კაპიტალური დანახარჯები;
- 2.9. კომპანიის მიერ დაგეგმილი კაპიტალური პროექტის დაგვიანებით განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა შეიქმნას ნაკლები შემოსავლის მიღების რისკი;
- 2.10. მოულოდნელმა მოვლენებმა, კლიმატურმა პირობებმა და ბუნებრივმა კატასტროფებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი რისკი შეუქმნას კომპანიის ოპერაციებს;
- 2.11. კომპანიის ფინანსური და საოპერაციო სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სრულფასოვანი სადაზღვევო პროდუქტის არსებობაზე. დაზღვევის არქონის ან/და არასრულფასოვანი დაზღვევის შემთხვევაში, კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობას შეექმნება მნიშვნელოვანი რისკი;
- 2.12. კომპანიის სტაბილურობა და მდგრადი განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული გონივრულ და გრძელვადიან საკადრო პოლიტიკაზე;
- 2.13. გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის კანონმდებლობა;
- 2.14. კორპორატიული მართვის სტანდარტებთან დაკავშირებული რისკები;
- 2.15. შრომითმა დავებმა და გაფიცებმა, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლებმა და პროტესტებმა, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის წარმოების დონესა და მომგებიანობაზე;
- 2.16. წყალმცირობის პერიოდში მდინარეში სავალდებულოდ შესანარჩუნებელმა მინიმალურმა ეკოლოგიურმა ხარჯმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს დაგეგმილი გენერაცია;
- 2.17. ადგილობრივი მოსახლეობის სამომავლო მოთხოვნებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი საოპერაციო, სოციალური და ფინანსური გამოწვევის წინაშე დააყენოს კომპანია.

3. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები:

- 3.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი არ არის ფიქსირებული და შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს;
- 3.2. შესაძლოა არ არსებობდეს ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი;
- 3.3. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა ან/და შემოსავალი არ არის დენომინირებული ობლიგაციების ვალუტაში ან ფულად ერთეულში, შესაძლოა მიიღონ მოსალოდნელზე ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, რაც გამოწვეული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსის რყევებით ან გაცვლითი კურსის კონტროლის ცვლილებით;
- 3.4. ობლიგაციებს სარგებელი ერიცხებათ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 3.5. შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე დაფარვა ან გამოსყიდვა;
- 3.6. ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დაწესდება გარკვეული ტერიტორიების/სხვა ქვეყნების ინვესტორებზე;
- 3.7. მომავალში ობლიგაციების პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე;
- 3.8. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის, უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობის გამო;
- 3.9. ობლიგაციონერები წარმოადგენენ მეორე რიგის უზრუნველყოფილ კრედიტორებს და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ წინა რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ;
- 3.10. თუ არ განხორციელდა იპოთეკისა და გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორი;
- 3.11. გარკვეული ობლიგაციონერების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საგადასახადო იპოთეკამ/გირავნობამ და ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნებმა;
- 3.12. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის, საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციასა და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრაზე;

- 3.13. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის, ობლიგაციონერების წარმომადგენლისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელების პროცედურებს; ამასთანავე, ემიტენტს დაწესებული აქვს მის მიერ ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის ანაზღაურებას დაქვემდებარებული ხარჯების ზღვრული ოდენობა;
- 3.14. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;
- 3.15. ობლიგაციების შექმნაზე განაცხადი შესაძლოა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
- 3.16. ემიტენტის პარტნიორების ინტერესები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა განსხვავდებოდეს ობლიგაციონერების ინტერესებისგან;
- 3.17. საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.

„ემიტენტის“ აუდიტორები:

„ემიტენტის“ 2022 და 2021 ფინანსური წლების აუდიტორი: „PricewaterhouseCoopers International Limited“ ქსელის წევრი შპს „ფრანსუოთერჰაუსკუპერს საქართველო“, ს/ნ: 405220611, მის: King David ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის N12, მე-7 სართული, თბილისი 0171, საქართველო, ტელ: (+995 32) 250 80 50, ვებ-გვერდი: www.pwc.com/ge

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა „კომპანიის“ ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

შეთავაზებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები/მხარეები:

„ემიტენტის“ რეგისტრატორი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 205156374; მისამართი: თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. N11; ტელ.: (+995 32) 2 25 15 60; ელ. ფოსტა: info@usr.ge.

„ემიტენტის“ კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 33; ვებ-გვერდი: <https://tbccapital.ge/ge/>; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

„ემიტენტის“ განთავსების აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 33; ვებ-გვერდი: <https://tbccapital.ge/ge/>; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

შპს „თიბისი კაპიტალი“, მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ ის დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არა-გარანტირებული (Best Effort) საფუძვლით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

ობლიგაციონერების წარმომადგენელი: ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204484628. ტელ.: (+995 32) 2207 407. მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, კორპუსი IV, მე-IV სართული, ოფისი 28; ელ. ფოსტა: info@nplaw.ge) შეასრულებს ობლიგაციონერების წარმომადგენლის ფუნქციას „ემიტენტთან“ დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ინვესტორზე დაკისრებული შესაძლო ხარჯები:

„ობლიგაციების“ განთავსების ხარჯები სრულად ანაზღაურდება „ემიტენტის“ მიერ და ინვესტორს შეთავაზების ფარგლებში არ დაეკისრება დამატებითი ხარჯები.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი:

„ობლიგაციების“ განთავსების აგენტი, ისევე როგორც კალკულაციისა და გადახდის აგენტი არის შპს „თიბისი კაპიტალი“. ამავდროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“. სს „თიბისი ბანკი“ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, (i) ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, ხოლო მეორე მხრივ, (ii) განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის. აღწერილის მიუხედავად, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ სს „თიბისი ბანკს“ მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ შპს „თიბისი კაპიტალისა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას მართავს საერთო მენეჯმენტი, სს „თიბისი ბანკს“ არ აქვს განთავსების აგენტის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის უფლება და ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის მხოლოდ თეორიულია;

(გ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, ობლიგაციონერებს უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა განთავსების აგენტთან და „ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან, გარემოებების გათვალისწინებით, პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით; და

(დ) „ემიტენტსა“ და შპს „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული/გასაფორმებელი ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ითვალისწინებს კალკულაციისა და გადახდის აგენტის შეცვლის შესაძლებლობას.

„ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

რისკის ფაქტორები

„ობლიგაციებში“ ინვესტიცია გარკვეულ რისკებს გულისხმობს. ინვესტიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე „ობლიგაციების“ პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა ინვესტორებმა „ობლიგაციებში“ ინვესტირებამდე საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილ ნებისმიერ რისკს შეიძლება ჰქონდეს არსებითად უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მუშაობის შედეგებზე, ასევე - „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია რისკის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს „ობლიგაციებში“ ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შეიძლება არსებობდეს ან წარმოიშვას ისეთი დამატებითი რისკები, გაურკვეველობები ან არაპროგნოზირებადი გარემოებები, რომლებიც „კომპანიამ“ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ან რომელთა არსებობის შესახებ „კომპანიას“ არ აქვს ინფორმაცია. ნებისმიერმა ასეთმა რისკმა, გაურკვეველობამ ან გარემოებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბიზნესის ოპერირებაზე და ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა იქონიოს. შესაბამისად, „ობლიგაციების“ ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მითითებული რისკები არ არის ამომწურავი.

1. ინდუსტრიისა და ეკონომიკის დამახასიათებელი რისკები

1.1. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, შესაბამისად, ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია

განვითარებად ქვეყნებში ინვესტირების რისკი საკმაოდ მაღალია და რისკის დონე განპირობებულია, მათ შორის, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ სამართლებრივი სისტემების განვითარების შედარებით საწყისი დონით. საქართველო განვითარებად ქვეყანას წარმოადგენს და, შესაბამისად, მასზე სრულად ვრცელდება განვითარებადი ბაზრებისათვის დამახასიათებელი რისკები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ინვესტორებმა გაითვალისწინონ და გაანალიზონ რისკები, რომლებმაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიონ ამგვარ ბაზრებზე. აღნიშნული რისკები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ცვალებადობის მაღალი სიხშირით, შეზღუდული ლიკვიდურობით, შედარებით ვიწრო საექსპორტო ბაზით, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტით და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში ხშირი ცვლილებებით. ზემოთ აღწერილის გათვალისწინებით, წინამდებარე პროსპექტში მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია შეიცვალოს დროის უმოკლეს პერიოდში და არსებული ინფორმაცია გახდეს მოძველებული. მართალია, საქართველოს მთავრობამ განახორციელა კორუფციის საწინააღმდეგო მნიშვნელოვანი რეფორმები, თუმცა საქართველოს მსგავს განვითარებად ბაზრებში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს კორუფციას და საჯარო სახსრების არამართლზომიერ გამოყენებას.

საქართველოში და ზოგადად განვითარებად ბაზრებზე ოპერირებად კომპანიებზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების რყევამ, საპროცენტო განაკვეთების და დაფინანსების ხარჯების ზრდამ, რაც ავტომატურად გაართულებს ბიზნესის ფინანსურ და ლიკვიდურობის მდგომარეობას. გამომდინარე აქედან, „კომპანია“ ვერ იწინასწარმეტყველებს იმ ზეგავლენას, რაც გლობალური ბაზრების ცვლილებებმა შეიძლება მოახდინონ საქართველოს ეკონომიკაზე, უშუალოდ „კომპანიის“ ბიზნეს საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

გარდა ამისა, განვითარებად ბაზრებზე კრედიტის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინვესტორის ნდობის ხარისხზე მთლიანად განვითარებადი ბაზრების მიმართ. საერთაშორისო ინვესტორების რეაქციას იმ მოვლენებზე, რომლებიც ხდება ერთ განვითარებად ბაზარზე, აქვს ჯაჭვური ეფექტი და, ამ შემთხვევაში, მთლიანი რეგიონი ან ინვესტიციის კლასი კარგავს მიმზიდველობას ინვესტორებისთვის. მსგავსი მოვლენები მოიცავს საკრედიტო რეიტინგის შემცირებას, სახელმწიფოს ან ცენტრალური ბანკის არაგონივრულ ჩარევას ქვეყნის ეკონომიკაში

და ა.შ. აღწერილი „გადამდები“ ეფექტის გათვალისწინებით, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში შექმნილმა სირთულეებმა შესაძლოა პირდაპირი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. წარსულში მრავლად შეინიშნებოდა ამგვარი მოვლენები, როდესაც „გადამდებმა“ ეფექტებმა დიდი როლი ითამაშა განვითარებადი ბაზრების შესუსტებაზე, მათ შორის, რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა 1998 წელს, 2008-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც შეეხო განვითარებულ სამყაროსაც, 2014-2016 წლებში რეგიონულმა ეკონომიკურმა სირთულეებმა და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავსი მოვლენები მომავალში აღარ განმეორდება.

ნებისმიერი კომპანიის ბიზნეს საქმიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური გარემოსა და განვითარების დონეზე. განვითარებული და სტაბილური ეკონომიკა ნიშნავს გამართულ ბიზნეს პროცესებს, უკეთესად პროგნოზირებად ეკონომიკურ და სოციალურ გარემოს, რაც ითარგმნება გაუმჯობესებულ ფინანსურ მაჩვენებლებში. საპირისპიროდ, არამდგრადი ეკონომიკური მოვლენები ნეგატიურად აისახება კომპანიებზე და მათ ფინანსურ სტაბილურობაზე. „კომპანიის“ შემოსავლის ძირითადი წყარო წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნაა, ეს უკანასკნელი კი პირდაპირ არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ქვეყნის, რეგიონის ან საერთაშორისო მასშტაბით ეკონომიკაში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ თუ საოპერაციო შედეგებსა და მის შესაძლებლობებზე, რომ წარმატებით განავითაროს და დაწერგოს საკუთარი სტრატეგია. „კომპანიის“ საქმიანობაზე მოქმედებს არამხოლოდ შიდა ფაქტორები, არამედ ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა მართვაც „კომპანიის“ კონტროლის სფეროს სცდება. მსგავსი მაჩვენებლები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგით: ინფლაცია თუ დეფლაცია, სავალუტო კურსის რყევები, წვდომა დაფინანსებაზე, საპროცენტო განაკვეთების დონეები და ა.შ. მსგავსმა რისკებმა რა თქმა უნდა შესაძლოა არსებითად და უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. არ არსებობს გარანტია, რომ „კომპანია“ მოახერხებს აღნიშნული რისკების მიტიგაციას და შესაბამისად, შესაძლოა უარყოფითი გავლენების თავიდან აცილებას.

საქართველო, საერთაშორისი სტანდარტებით, გარდამავალი დონის, განვითარების ეკონომიკების კატეგორიას მიეკუთვნება და მისი სუვერენული რეიტინგი არ არის საინვესტიციო კატეგორიის. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მიწიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Positive Outlook), განახლების თარიღი: 2023 წლის 27 იანვარი;
- Moody’s – Ba2 (Negative Outlook), განახლების თარიღი: 2022 წლის 28 აპრილი;
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook), განახლების თარიღი: 2022 წლის 25 თებერვალი.

1.2. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ეროვნული ვალუტის (ქართული ლარი) გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით

საქართველოს ეროვნული ვალუტა „ლარი“ სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, თუმცა მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ქართული ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ ბაზრის მოცულობა შეზღუდულია. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2022 წელს ქართული ლარი-აშშ დოლარის და ქართული ლარი-ევროს ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ (მათ შორის, გაყიდვებისა და შესყიდვების ჯამი, ეროვნული ბანკის საქმიანობის გარდა) შეადგინა 33.7 მილიარდი აშშ დოლარი და 6.8 მილიარდი ევრო. ეროვნული ბანკის მონაცემებით, მისმა ოფიციალურმა რეზერვებმა 2023 წლის 30 აპრილის მდგომარეობით 5.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ისტორიულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 34.2%-ით მეტია.

აშშ დოლარის რეზერვების მკვეთრი ზრდის საშუალება ეროვნულ ბანკს მისცა მნიშვნელოვნად გაზრდილმა სავალუტო შემოდინებებმა. რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ქართული ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მკვეთრად გაუფასურდება, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების მანძილზე ქართული ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. მათგან აღსანიშნავია:

- 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი;
- 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვა;
- 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 3.48 ქართულ ლარს 1 აშშ დოლარზე, მიაღწია);
- 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში (24 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 12.8%-ით გაუფასურდა).

რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო აგრესიის დაწყებისას ქართული ლარი რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მნიშვნელოვნად გაუფასურდა. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 აშშ დოლარის ღირებულებამ 3.40 ქართული ლარი შეადგინა. მიუხედავად სირთულეებისა, საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა მაღალი აქტივობის დონე. შედეგად, ეროვნულმა ვალუტამ გამყარება დაიწყო და არათუ თებერვალსა და მარტში მიღებული დანაკარგები აღიდგინა, არამედ 2.5-იან ნიშნულსაც კი ჩამოსცდა. ადგილობრივი ვალუტის გამყარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ.

ეროვნული ვალუტის სიმყარე დამოკიდებულია მრავალ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ქვეყანაში არსებული ინფლაციის დონესა და ეროვნული ბანკის მხრიდან გატარებულ ღონისძიებებზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში „საქსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2018 წელს შეადგენდა 2.6%-ს, 2019 წელს - 4.9%-ს, 2020 წელს - 5.2%-ს, 2021 წელს - 9.6%-ს და 2022 წელს - 9.8%-ს. მაღალი ინფლაციის საპასუხოდ, 2022 წლის მარტში ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 11%-მდე გაზარდა და მხოლოდ 2023 წლის მაისში შეამცირა 10.5%-მდე, მას შემდეგ, რაც წლიური ინფლაციის დონე აპრილში 2.7%-ს გაუტოლდა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ინფლაცია გლობალური გამოწვევა იყო და ძირითადად მიწოდების ჯაჭვის დეფიციტმა გამოიწვია, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა დაეხმარა ეროვნულ ბანკს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე შემცირებაში. ინფლაციის მიზნობრივი დონე შეადგენს 3%-ს. ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და ფინანსური სისტემისადმი ნდობის შემცირება. გარკვეული რისკის შემცველი შეიძლება იყოს ინფლაციისა და პარალელურად ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების მიმდინარე პროცესიც, რომელიც სამომავლოდ ქართული ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინებს შედარებით აძლიერებს. „კომპანიას“ აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი აქვს სხვადასხვა ვალუტებში. დეტალური ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით იხილეთ თავში „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“ – „სავალუტო რისკი“.

1.3. როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში არსებულმა არასტაბილურმა გეოპოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარემომ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნეს პროცესებზე

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

ამჟამად საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის, რუსეთთან კვლავ დამაბული ურთიერთობისა და შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების საჭიროების ჩათვლით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ გაგრძელდება პოლიტიკური ან/და ეკონომიკური, ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი, რეფორმების გატარება ან რომ ეს მცდელობები წარმატებული იქნება; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს სამთავრობო ცვლილებით ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

ქვეყანაში ძალიან მაღალია პოლიტიკური დამაბულობა და გარემო პოლარიზებულია. პოლარიზება ვრცელდება პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე/საკითხზე, მათ შორის, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების სახალხო ლეგიტიმაციაზე, სტრატეგიულ საკითხებზე პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევაზე და ა.შ. პოლარიზების ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები,

რომელმაც გამოიწვია რამდენიმეთვიანი პოლიტიკური კრიზისი, რომლის დაძლევაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები ევროკავშირის/პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი პოლიტიკური პირები და ელჩები. მუდმივი პოლიტიკური დამაბულობა, გახმაურებული საქმეები პოლიტიკური პირების შესაძლო დევნასთან და მედიაზე ზეწოლასთან დაკავშირებით უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის რეპუტაციაზე, მის საინვესტიციო გარემოზე და ეკონომიკურ განვითარებაზე. სხვადასხვა საერთაშორისო მოთამაშეების (ევროკავშირი, აშშ საელჩო, სხვ.) ნეგატიურმა განცხადებებმა, ევროინტეგრაციის საკითხებზე ე.წ. „ასოცირებული ტრიოს“ დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით ნაკლებმა პროგრესმა და სხვა ბოლო პერიოდში მომხდარმა თუ ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატზე და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე. 2022 წლის მდგომარეობით, მოქმედი პარლამენტი დაკომპლექტებულია და განაგრძობს საკანონმდებლო საქმიანობას.

ნებისმიერი ნეგატიური პოლიტიკური მოვლენა უარყოფითად მოქმედებს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ თუ გეოპოლიტიკურ სტაბილურობაზე, ასევე დიდი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს „კომპანიის“ ბიზნეს პროცესებისათვის, რაც თავისთავად აისახება ფინანსურ მაჩვენებლებზე და „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

2023 წლის 5 აპრილს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა „საჯარო თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა“ და „კორუფციულ საქმიანობაში ჩართვის“ გამო სანქციები დაუწესა სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს. სანქციები ვრცელდება მათი ოჯახის წევრებზეც. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვან რეპუტაციულ ზიანს აყენებს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემას და ამცირებს სანდოობას.

გარდა ამისა, საქართველოში ოკუპირებული (აფხაზეთი და ცხინვალი) რეგიონების არსებობა გარკვეულწილად ქმნის ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების რისკს, რამაც „კომპანიის“ საქმიანობას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონში დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკასა და ძირითად ინდუსტრიულ სექტორებს. ოკუპირებული ტერიტორიები კვლავ რჩება მნიშვნელოვან დამაბულობის კერად, რადგან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები დისლოცირებულია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ომს მოჰყვა რუსეთის მიერ ორივე ოკუპირებული ტერიტორიის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, დამოუკიდებლობის აღიარება.

1.4. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დამაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე

საქართველო მდებარეობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან, თუმცა პოლიტიკურად დამაბულობ კავკასიის რეგიონში. მის სახმელეთო მეზობლებს წარმოადგენენ: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთის რესპუბლიკა.

უკანასკნელი 3 დეკადის მანძილზე რეგიონში არაერთ პოლიტიკურ დამაბულობას და შეიარაღებულ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი:

- რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს რესპუბლიკაზე, სრულფასოვანი სამხედრო აგრესია და მისი სუვერენული ტერიტორიის, აფხაზეთის რეგიონის, ოკუპაცია (1991 წელი);
- ე.წ. „ჩეჩნეთის პირველი ომი“, შეიარაღებული კონფლიქტი ჩრდილოეთ კავკასიაში (1994-1996 წლები);
- ე.წ. „ჩეჩნეთის მეორე ომი“, შეიარაღებული კონფლიქტი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე და ჩრდილოეთ კავკასიის სასაზღვრო რეგიონებში, რომელიც მიმდინარეობდა რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთის იჩქერიის რესპუბლიკას შორის (1999-2009 წლები);
- რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს რესპუბლიკაზე, სრულფასოვანი სამხედრო აგრესია და მისი სუვერენული ტერიტორიის, სამაჩაბლოს/ცხინვალის რეგიონის, ოკუპაცია (2008 წელი);
- აზერბაიჯანისა და სომხეთის მილიტარისტული კონფლიქტი ე.წ. „ყარაბაღის“ ომი (1991 წელი) და (2020 წელი).

ზემოთ აღწერილი კონფლიქტების შედეგად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელიც დე-ფაქტო სასაზღვრო პუნქტებით და მავთულხლართებით ახდენს ოკუპირებული ტერიტორიის „დემარკაციას“. აღსანიშნავია, რომ რუსეთი სისტემატიურად ახდენს „საზღვრების“ გაფართოებას, რაც მშვიდობიან სტატუს-კვოს „მცოცავ“ ოკუპაციად აქცევს.

ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური კავშირი და ურთიერთობებს ძირითადად ეკონომიკური-სავაჭრო ხასიათი აქვს. რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და ნაცნობ ბაზარზე ექსპორტი ერთი მხრივ ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს, თუმცა მეორე მხრივ შეიცავს რუსეთზე მზარდი დამოკიდებულების რისკს. ეს კი განსაკუთრებით საფრთხის შემცველია, რადგან ეს უკანასკნელი ცდილობს ეკონომიკური ფაქტორები გამოიყენოს პოლიტიკურ ბერკეტად. ამის ნათელი მაგალითია: ღვინის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის აკრძალვა (2006 წლის რუსეთის ემბარგო), საჰაერო ფრენების შეზღუდვა (2019 წელი).

2020 წელს განახლდა ე.წ. „ყარაბაღის“ კონფლიქტი, რომლის შემდეგაც აზერბაიჯანის სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცა ყარაბაღის ტერიტორიის დიდი ნაწილი. სამხრეთ კავკასიის მასშტაბით არსებული ნებისმიერი დაპირისპირება ნეგატიურად აისახება მთელს რეგიონზე და, მათ შორის, საქართველოზე.

2022 წელს დაწყებულმა რუსეთის სამხედრო აგრესიამ უკრაინაში თვისობრივად შეცვალა არა მხოლოდ რეგიონის, არამედ გლობალური უსაფრთხოების დღის წესრიგი. ნებისმიერი, უკვე ცხადად დანახული უარყოფითი შედეგი, მხოლოდ ნაწილობრივია და რეალური ნეგატიური გავლენა მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ გამოჩნდება. მიმდინარე აგრესია გასცდა ორი ქვეყნის შეიარაღებულ კონფლიქტს და გლობალური მასშტაბის გამოწვევად იქცა.

გარდა უდიდესი სამხედრო და ჰუმანიტარული ზიანისა, კონფლიქტმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე, ნედლეულის ბაზარზე, მიწოდების ჯაჭვზე და ა.შ. თითოეული ეს ფაქტორი, დამოუკიდებლად და ერთობლივად, განაპირობებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ გამოწვევას: გაზრდილი ფასები, გაზრდილი ინფლაცია, არასაიმედო მოლოდინები, გაზრდილი განაკვეთები და ა.შ. რუსეთის აგრესიის საპასუხოდ, დასავლურმა სამყარომ არაერთი სასაჩქიო პაკეტი დააწესა.

მიმდინარე ომი განსაკუთრებულად საყურადღებოა საქართველოსთვის მისი გეოგრაფიული მდებარეობის და მის მეზობელ ქვეყნებთან არსებული საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების გათვალისწინებით. მცირე-მიწიან და ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონში ნებისმიერი ტიპის სამხედრო აგრესია ან დამაბულობა შეზღუდვის გარეშე მოიცავს შემდეგს:

- მნიშვნელოვან ადამიანურ მსხვერპლს;
- ჰუმანიტარულ კრიზისს/ლტოლოვილთა ნაკადებს;
- ეკონომიკურ და პოლიტიკურ არასტაბილურობას;
- გაზრდილი არასტაბილურობის განცდას;
- შემცირებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს;
- შემცირებულ მხარდაჭერის პაკეტებს ევროპელი/დასავლელი პარტნიორებისაგან;
- შეწყვეტილ/გადადებულ გლობალურ სატრანზიტო/ინფრასტრუქტურულ პროექტებს და, ზოგადად, ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს;
- დიდ ინფრასტრუქტურულ ზიანს;
- შეფერხებულ ეკონომიკურ ზრდას;
- შემცირებულ ტურისტულ ნაკადებს;
- გაზრდილ ზეწოლას ეროვნულ ვალუტაზე
- გაზრდილ მერყეობას/არასტაბილურობას (increased volatility);
- გაზრდილ რისკებს;
- გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებს / რისკ პრემიუმებს (risk premiums); და ა.შ.

გარდა ტერიტორიული მეზობლობისა, ქვეყნები ერთმანეთისთვის მთავარ სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორებს წარმოადგენენ. შესაბამისად, ასეთი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ერთ-ერთ ქვეყანაში არსებული დამაბულობა პირდაპირ აისახება რეგიონზე როგორც უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური განვითარების კუთხით. ზემოთ აღწერილის გათვალისწინებით, რეგიონის მასშტაბით ნებისმიერმა ნეგატიურმა მოვლენამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს როგორც „ობლიგაციების“ ღირებულებაზე, ასევე „ემიტენტის“ საოპერაციო/საკრედიტო რისკზე.

თურქეთი წარმოადგენს მნიშვნელოვან იმპორტიორს საქართველოსთვის, და საქსტატის მიხედვით 2022 წელს მისი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგენდა 17.6%-ს. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის

წილმაც 2021 წელს ექსპორტსა და იმპორტში 7.2% და 4.5%, ხოლო 2022 წელს 7.2% და 2.0% შეადგინა. შესაბამისად, აშკარაა რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება, რაც ხაზს უსვამს, რომ ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გამოწვევებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი პოტენციური დაბრკოლებები შეუქმნას ეკონომიკურ ზრდას.

ბოლო რამდენიმე წელია, საგარეო შემოდინებების კუთხით საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება საკმაოდ მაღალია. მაგალითად, 2021 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონლის ღირებულებამ, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა, პირდაპირმა ინვესტიციებმა და რუსეთიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა ჯამში მშპ-ს 6.7% შეადგინა, 2022 წელს კი ეს მაჩვენებელი გაიზარდა 9.4%⁸-მდე.

საგარეო შემოდინებებს შორის აღსანიშნავია ევროკავშირის ქვეყნებისა და ბრიტანეთის მნიშვნელოვანი წვლილიც, რომელთა შემთხვევაშიც ანალოგიური მაჩვენებლის მშპ-თან ფარდობა 2022 წელს 14.7%-ს შეადგენდა. ასევე საკმაოდ მაღალია ევროკავშირის წილი საქართველოს იმპორტშიც. შესაბამისად, ნებისმიერ არასტაბილურობას ევროპაში შესაძლოა მნიშვნელოვანი გადაცემითი ეფექტი ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2022 წლის თებერვალში რუსეთის სამხედრო აგრესიამ უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების ეკონომიკებს, არამედ - რეგიონსა და მსოფლიოს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად წარმოშობილმა მიგრაციის ტალღამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 2022 წლის ეკონომიკურ ზრდაში, თუმცა აღწერილი მნიშვნელოვანი დადებითი კონტრიბუციის ფონზე, რაიმე მიზეზით მიგრანტების მასობრივი გადინების შემთხვევაში ქვეყანაში ბიზნეს და ეკონომიკური გარემოს გაუარესების რისკი გაიზრდება. თუმცა, მეორე მხრივ, კონფლიქტის სწრაფი მოგვარების შემთხვევაში, რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკური აქტივობის აღდგენას დადებითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზეც.

გარდა მიმდინარე ომისა, რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არაერთხელ გამხდარა საქართველოს ეკონომიკისთვის და მისი ამა თუ იმ დარგისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა. ამის მაგალითია 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ღვინის ემბარგოს დაწესება, რამაც მოკლე და საშუალო-ვადიან პერიოდში დიდი სირთულეები შეუქმნა ღვინის ინდუსტრიას. გარდა ამისა, 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთმა აკრძალა პირდაპირი საჰაერო ფრენები საქართველოს მიმართულებით, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზეც. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. თუმცა აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს მაინც გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით. 2023 წლის 15 მაისიდან რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირ საჰაერო ფრენებზე აკრძალვა კვლავ მოიხსნა, თუმცა სამომავლო აკრძალვის შესაძლებლობა რა თქმა უნდა მაღალია და მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ შეამციროს დამოკიდებულების რისკი. აღსანიშნავია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ფრენების განახლებას ქვეყნის დასავლელი პარტნიორებისგან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, უკრაინის სახელმწიფომ კი ქართულ ავიაკომპანიას სანქციები დაუწესა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ეკონომიკისთვის ასევე მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია, ასევე, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დამაბული პოლიტიკური ურთიერთობა.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერჯის სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში;
- ცვლილება ქართველი მწარმოებლებისთვის მსოფლიო საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობაში;

⁸ აღნიშნული მაჩვენებელი მიღებულია თიბისი კაპიტალის მიერ ფულადი გზავნილების ორმაგი აღრიცხვისა და სხვა პრობლემების გათვალისწინებით შესწორების შემდეგ

- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენს მცირე ზომის ღია ეკონომიკას, რომლის საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკა ხასიათდება დაბალი ტარიფებით და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით. 2021 წელს საგარეო სავაჭრო გახსნილობის დონემ - (საქონლისა და მომსახურების ექსპორტი + საქონლისა და მომსახურების იმპორტი)/მშპ - 103.5%, 2022 წელს კი 117.3% შეადგინა. შედეგად, საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მომხდარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური პარამეტრების (ინფლაცია, მშპ-ს რეალური ზრდა, გაცვლითი კურსები და ა.შ.) გადაცემა საქართველოს ეკონომიკაზე ხდება ისეთი გზებით როგორებიცაა: იმპორტი, ექსპორტი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი ინვესტიციები და სხვა.

1.5. საქართველოში შესაძლო ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე

აღრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია: ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა მშპ-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს მშპ-სთან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონესა და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბებას.

2008 და 2009 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკა კვლავ გაიზარდა და შეინარჩუნა ზრდის ტემპი. 2020 წელს პანდემიის დაწყებამდე, საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 2017-2019 წლებში შეადგენდა 4.9%-ს (2017 წელი - 4.8%, 2018 წელი - 4.8%, 2019 წელი - 5.0%). კოვიდ-19 პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა როგორც საქართველოზე, ასევე მსოფლიო ეკონომიკაზე. მკაცრმა და არაპროგნოზირებადმა შეზღუდვებმა დააზიანა მრავალი სექტორი. მათ შორის მნიშვნელოვნად დაზარალდა ტურიზმის ინდუსტრია, რომლის ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკაში სტაბილურ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. 2021 წელს მოხდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი აღდგენა, როცა რეალური მშპ გაიზარდა 10.5%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 3.0%-ით. ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდა 2022 წელსაც და მშპ-ს წლიურმა ზრდამ 10.1% შეადგინა. რუსეთ-უკრაინის ომის უარყოფითი ეფექტების მიუხედავად, ტურიზმის მოსალოდნელზე უფრო სწრაფად აღდგენამ, შემოსული ფულადი გზავნილების ზრდამ, ხელსაყრელმა საექსპორტო იმპულსმა და იმიგრაციასთან დაკავშირებულმა ნაკადებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის საგარეო პოზიციის გაძლიერებას და შიდა მოთხოვნის შენარჩუნებას. ზედიზედ ორწლიანი ორნიშნა ზრდის შემდეგ, შპს „თიბისი კაპიტალის“ პროგნოზის მიხედვით, 2023 წელს მოსალოდნელია ზრდის შედარებით ნორმალიზება დაახლოებით 7%-ის ფარგლებში.

პანდემიის პერიოდში ასევე მოხდა სამთავრობო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, 2020 წელს, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-სთან გადააჭარბა „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ განსაზღვრულ 60%-იან ნიშნულს და შეადგინა 60.2%. შედარებისათვის, 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 38.9%-ს, ხოლო 2019 წელს - 40.4%-ს. თუმცა, მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ და მთავრობის ფისკალური კონსოლიდაციის პოლიტიკამ 2021 და 2022 წლებში სამთავრობო ვალის მშპ-სთან ფარდობის 49.7%-მდე და 41.4%-მდე შემცირება განაპირობა. მთავრობის ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს მთლიან ვალში საგარეო ვალის წილის შემცირება და, საჭიროების შემთხვევაში, შიდა ვალის წილის ზრდა.

2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,352.2 მილიონი აშშ დოლარი, რაც 1.4%-ით აღემატებოდა 2018 წლის მაჩვენებელს. 2020 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საგრძნობლად შემცირდა და 589.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კოვიდ-19 პანდემია იყო. 2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,241.8 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2022 წელს ეს მაჩვენებელი 61.1%-ით გაიზარდა რეკორდულ 2 მილიარდ აშშ დოლარამდე. წლიური კლების მიუხედავად ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტორი ქვეყანა კვლავ გაერთიანებული სამეფო იყო, საიდანაც 2022 წლის განმავლობაში ჯამური ინვესტიციების 21.4% ინვესტირდა. დანარჩენი ქვეყნების შეთხვევაში 2021 წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 146.3%-ით, ხოლო 2019 წელთან

შედარებით - 41.0%-ით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ის 7.7% შეადგინა, 2020 წლის მონაცემებით მხოლოდ - 3.7%, 2021 წელს - 6.7%, 2022 წელს კი - 8.1%. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოს გარდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთ ძირითად წყაროს ასევე წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკა. მართალია, თურქეთის შემთხვევაში ინვესტიციები 2019 წლის დონეს ჯერ არ დაბრუნებია, თუმცა წლიურად მზარდია. ამ მონაცემების შესაბამისად და იმის გათვალისწინებითაც, რომ თურქეთი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა, აღნიშნულ ქვეყანაში ეკონომიკის შემცირებამ, ვალუტის გაუფასურებამ და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს როგორც საქართველოს ეკონომიკურ და/ან პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ასევე „კომპანიის“ ოპერაციებზე.

ტურიზმის მხრივ 2020 წელს პანდემიის ფონზე საქართველოში 1.75 მილიონი ვიზიტორი შემოვიდა (- 81.3% წ/წ). ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს და დიდ როლს თამაშობს მთლიან ეკონომიკურ ზრდაში. 2021 წელს საქართველოში ჯამში შემოვიდა 1.88 მილიონი ვიზიტორი (წ/წ 2021/2020: 7.7%, წ/წ 2021/2019: -79.9%). 2022 წელს ქვეყანაში 5.53 მილიონი საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც 2021 წელთან შედარებით 188.5%-ით მეტია, 2019 წლის მონაცემებთან შედარებით კი საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების აღდგენის მაჩვენებელმა 58.0% შეადგინა. 2023 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით კი საქართველოში 1.2 მილიონი ვიზიტი განხორციელდა, რაც გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 109.6%-ით მეტია, 2019 წელთან შედარებით აღდგენა კი 74.7%-ია.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ტურისტული ვიზიტების აღდგენის დინამიკა. 2022 წელს საქართველოში 4.70 მილიონი საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა. 2021 წელთან შედარებით ზრდამ 173.3% შეადგინა, 2019 წელთან შედარებით აღდგენამ კი 60.9%. 2023 წლის პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 1.1 მილიონს შეადგენს, რაც წლიურად 106.0%-იან ზრდას, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 79.9%-იან აღდგენას ნიშნავს. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებელმა 2019 წლის მონაცემებს უკვე 2022 წელს გადააჭარბა 7.6%-ით და 3.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2023 წლის პირველ კვარტალში ტურისტული შემოსავლების წლიური ზრდა 102%-ია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ზრდა კი 37.5%. თუმცა ტურიზმის სტატისტიკაზე საუბრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ 2022 წელს ქვეყანაში უკრაინელი, ბელარუსი და რუსი, მიგრანტების შემოდინება, რომელთა დაახლოებით მესამედსაც საქართველოს ეროვნული ბანკი რეზიდენტებად თვლის და 2023 წლიდან ტურიზმის სტატისტიკაში აღარ ასახავს.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, მათ შორის, გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში „კომპანიის“ მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც გამოიწვევს მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირებას პოსტ-კოვიდურ პერიოდში. კორონავირუსის პერიოდში დაწყებულმა და მისგან მომდინარე გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით. ამან მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციებზე.

1.6. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორებიცაა: პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე

მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორებიცაა: პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური მოვლენები და სხვა, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიაზე“. მსგავსმა მოვლენებმა შესაძლოა დააზიანოს „კომპანიის“ საკუთრებაში არსებული აქტივები, რითიც „ემიტენტს“ შეუჩერდება ოპერაციების განხორციელების საშუალება. ასეთ დროს, „კომპანია“ დაკარგავს შემოსავლებსა და მოგების მიღების საშუალებას.

ამასთანავე, მოულოდნელმა და მასობრივმა მოვლენებმა შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის ქვეყნის მოსახლეობაზე, რომლებიც „ემიტენტისთვის“ შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მსგავსი მასშტაბური და მოულოდნელი უარყოფითი მოვლენების შედეგად, მაგალითად როგორც იყო

COVID-19 პანდემია, ხდება სამუშაო ადგილების დაკარგვა, ეკონომიკის დაღმასვლა, რაც ზრდის მოსახლეობის სიღარიბეს დონეს.

2020 წლის 11 მარტს კოვიდ-19 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად გამოცხადდა და გაგრძელდა 3 წლის განმავლობაში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით აღრიცხულია 765 მილიონზე მეტი ინფიცირების შემთხვევა და კორონავირუსით გამოწვეული 7 მილიონი სიკვდილი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2023 წლის 5 მაისს გააუქმა COVID-19 გლობალური პანდემიის სტატუსი.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „რისკის ფაქტორები“ - „ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები“ – „მოულოდნელმა მოვლენებმა, კლიმატურმა პირობებმა და ბუნებრივმა კატასტროფებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი რისკი შეუქმნას კომპანიის ოპერაციებს“.

1.7. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე და ინვესტორებზე

საქართველო, როგორც განვითარებადი დემოკრატიის ქვეყანა, ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოსა და სასამართლო სისტემას, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამოქმედდა ან მნიშვნელოვნად შეიცვალა ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სხვა საბაზისო კანონმდებლობა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხსა და აღსრულებადობასთან დაკავშირებით, ასევე - გაურკვეველობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის: დარიცხული ჯარიმები, სასამართლო დავები, გაუქმებული ნებართვები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ა.შ.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემამ რეფორმის რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, შეიცვალა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი, ამოქმედდა საქმეთა განაწილების ელექტრონული წესი და მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს ლეგიტიმური კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობასთან, ეფექტურობასთან, გამოცდილებასა და ცოდნასთან მიმართებით. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა დასავლურ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები ძირითადად საკანონმდებლო ხელისუფლების რეაგირების იმედად რჩებიან. გაურკვეველობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

1.8. ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული რაიმე მოქმედი და/ან სამომავლო რეგულაციების არასრულყოფილმა შესრულებამ შესაძლოა კომპანიის ოპერირებაზე მოახდინოს სერიოზული უარყოფითი გავლენა

მიუხედავად იმისა, რომ „ემიტენტი“ სრულფასოვნად იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული „კომპანიის“ გამოყენება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობა საშუალებად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად აღმოფხვრის შესაძლო რისკს. თუ მომავალში „კომპანია“ არასრულყოფილად შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი რაიმე სახით ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს „კომპანიაზე“, მათ შორის, „კომპანიას“ შესაძლოა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

1.9. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასთან, რასაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მოითხოვს

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) და შექმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მართალია, ევროკავშირთან გაფორმებული „ასოცირების შეთანხმების“ განხორციელება ბიზნესისათვის წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლოა, რომ საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის შექმნას გარკვეული გამოწვევებიც. ევროკავშირთან ხელმოწერილი „ასოცირების შეთანხმებისა“ და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც მრავალ გამოწვევასთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის, პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ემიტენტის“ საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

- **საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“:** 2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან. განახლებულმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება და ა.შ.
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა:** „ასოცირების შეთანხმების“ ფარგლებში ხდება ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ძალაში შევიდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ჩარჩოში, რომლებიც სწორედ ჰარმონიზაციის მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა წესი ინსაიდერული ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე - დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო, განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული თუ მიმდინარე ანგარიშგებების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, მას შემდეგ რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. მაგალითისთვის, შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილი ცვლილებები დამსაქმებლებს ავალდებულებდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთი ან ორი თვის ხელფასის ოდენობით), ამყარებდა მუშაკთა უფლებებს მკაფიო მიზეზის გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის და ქმნიდა გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის, გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან დეკლარირებულ მიდგომებში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი „ასოცირების შეთანხმების“ განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს. შეზღუდული რესურსების პირობებში არსებობს რისკი, რომ მოხდეს რესურსების სხვადასხვა მიმართულებით გადანაწილება, მიმდინარე რეფორმების ტემპის კლება და ეფექტიანობის შემცირება.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული ან მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად, „კომპანიას“ შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ცვლილებებთან შესაბამისობის მისაღწევად. „კომპანია“ და მენეჯმენტი ფიქრობს, რომ

მოსალოდნელია ახალი დამატებითი ცვლილებები, თუმცა ცვლილებების შინაარსის, შესაძლო ზეგავლენის ან ახალ კანონებთან შესაბამისობის პროგნოზი ამ ეტაპზე რთულია.

1.10. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობებმა, რომელიც შეიცავს ინტერპრეტაციების რისკს, და/ან სამომავლო ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება კომპანიაზე

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა დღგ-ის გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

2030 წლის დეკემბრამდე „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის (გარდა აქციზისა) შემოღება ან არსებული გადასახადების განაკვეთების გაზრდა (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა) შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. თუმცა, საქართველო საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანაა და ხელისუფლების ცვლილებამ შეიძლება საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა გამოიწვიოს. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს გადასახადის განაკვეთის ზრდას, გადასახადების ადმინისტრირების ახალი ფორმების შემოღებას, არსებული შეღავათების გაუქმებას და სხვა. საგადასახადო კანონმდებლობაში ან სამთავრობო პოლიტიკაში ნებისმიერმა ამგვარმა ცვლილებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს.

2022 წლის დეკემბერში დაკორექტირდა კორპორაციული დაბეგვრის მოდელი, რომელიც ეხება ფინანსურ ინსტიტუტებს და ძალაში შევიდა 2023 წლიდან. წინა საგადასახადო მოდელი, რომელიც ეფუძნებოდა იყო 2022 ფისკალური წლისათვის, მოიაზრებდა 15%-იან მოგების საგადასახადო განაკვეთს, რომელიც ერიცხებოდა ბანკების

დასაბეგრ მოგებას (სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის). ბანკებისთვის არსებული კორპორაციული გადასახადი გაიზარდა 15%-დან 20%-მდე და ძალაში შევიდა 2023 წლის დასაბეგრი შემოსავლისთვის.

„კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

1.11. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლებისა და მარეგულირებლის მხრიდან

„კომპანიასთან“ დაკავშირებულია დაინტერესებული პირების ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, მომხმარებლები, თანამშრომლები და სხვადასხვა სერვისის მომწოდებლები. თუ „კომპანია“ ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ამ შემთხვევაში შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის „კომპანიას“ 17 თანამშრომელი ჰყავს. შრომითმა დავებმა და/ან გაფიცებმა, ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლამ, პროტესტებმა და მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ ფუნქციონირების შეფერხება, რაც უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ მუშაობასა და ფინანსურ შედეგებზე. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის „კომპანიას“ არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე (მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ თავი „ძირითადი საქმიანობა“ - ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

1.12. საქართველოს ელექტროენერჯის ბაზარი კვლავ ტრანსფორმაციის პროცესშია. არსებობს გაურკვეველობა ბაზრის მოწყობასთან და საბაზრო ფასების ფორმირების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებთან დაკავშირებით, რაც კომპანიისთვის ქმნის დამატებითი რისკებს

დაგეგმილი საბაზრო რეფორმები გამოიწვევს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ბაზრის მოწყობისა და ვაჭრობის პრინციპების ცვლილებას, რაც დეტალურად აღწერილია თავში „მარეგულირებელი გარემო“. ბაზრის ორგანიზებასთან და საბაზრო ფასების ფორმირების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებობს გაურკვეველობა. ბაზრის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების გავლენა „კომპანიაზე“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასის-ავისტოს თვეებში, როდესაც „კომპანიის“ მიერ ელექტროენერჯის გაყიდვა ხდება თავისუფალ ბაზარზე. ორგანიზებული ბაზრების გახსნა რამდენჯერმე გადაიდო: თავდაპირველად იგეგმებოდა 2021 წლის ივლისისთვის, მოგვიანებით გადაიდო 2022 წლის იანვრისთვის, შემდგომ გადაიდო 2022 წლის მარტისთვის, შემდგომ 2022 წლის სექტემბრისთვის, შემდგომ 2023 წლის ივლისისთვის. უახლოესი ინფორმაციით, ბაზარმა ფუნქციონირება 2024 წლის 1 ივლისს უნდა დაიწყო. ორგანიზებული ბაზრების გახსნის გადავადება ზრდის სექტორის გაურკვეველობას და არაპროგნოზირებადობას.

ბაზრის ახალ მოდელზე გადასვლასთან ერთად, ელექტროენერჯის მწარმოებლებს ელექტროენერჯის გაყიდვების იმ ნაწილზე, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი PPA კონტრაქტით, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა და მოუწევთ ანგარიშსწორება უბალანსობაზე (დისბალანსის ანგარიშსწორების პრინციპის ახსნა-განმარტებისთვის იხილეთ თავი „მარეგულირებელი გარემო“). დაგეგმილ და ფაქტიურ გამომუშავებულ ენერჯიებს შორის სხვაობის შემთხვევაში, კომპანიას შეიძლება მოუწიოს გარკვეული უბალანსობის საფასურის გადახდა ან სისტემის დახმარებისთვის მიიღებს

ანაზღაურებას. უზალანსობის ნაწილში ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, საათობრივი უზალანსობის ღირებულებების გაქვითვით.

1.13. ენერგეტიკული სისტემის ინტერესებიდან გამომდინარე, ჰიდროელექტროსადგურის საქმიანობა შესაძლებელია შეზღუდოს ცენტრალური სადისპეტჩეროს მიერ

მიუხედავად იმისა, რომ ლახამის ჰიდროელექტროსადგურები წარმოადგენს არარეგულირებად წარმოების ობიექტებს, სსე-ს ცენტრალურ სადისპეტჩერო სამსახურს გააჩნია უფლებამოსილება, რომ შეზღუდოს მისი საქმიანობა (სრული გაჩერება, სიმძლავრის შემცირება და ა.შ.) ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, წყალუხვობის პერიოდში შესაძლებელია გამანაწილებელი კომპანიის (სს „ენერგო-პრო ჯორჯია“) სადისპეტჩერომ მოითხოვოს მის ქვესადგურში შემავალი ჰესების გენერაციის შემცირება, ქვესადგურის გადატვირთვის და ავარიის თავიდან ასარიდებლად, ვინაიდან აღნიშნულის გამტარუნარიანობა შეზღუდულია. ასეთ პერიოდებს მიეკუთვნება ძირითადად მაისის და ივნისის პერიოდი, თუმცა ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესების შემთხვევაში, პრაქტიკაში სულ რამდენიმეჯერ დადგა აღნიშნული შეზღუდვის საკითხი დღის წესრიგში, და ამ შემთხვევებშიც გენერაციის შემცირების მოთხოვნა შეეხებოდა არაუმეტეს 1 მგვტ-მდე სიმძლავრის შემცირებას მხოლოდ რამდენიმე საათის მანძილზე. ახალი ბაზრის მოდელის ამოქმედების შემდგომ, ხსენებული შეზღუდვის შემთხვევაში, გამანაწილებელ კომპანიას ქსელის წესების (ტექნოლოგიური დარღვევის მოკვლევის ინსტრუქცია) საფუძველზე მოუწევს სადგურების უზალანსობების გაქვითვა და შესაბამისად, ასეთი შემთხვევით გამოწვეული უზალანსობა ვეღარ იმოქმედებს „კომპანიის“ შემოსავალზე.

2. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

2.1. კომპანიის შემოსავალი პირდაპირ არის დამოკიდებული გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე; დაგეგმილი (საპროგნოზო) გენერაციის მიუღწევლობამ შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლის მნიშვნელოვანი კლების /ლიკვიდურობის რისკი

ლახამი ჰესი წარმოადგენს ე.წ. „მოინებაზე“ (run-of-river) ოპერირებად ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც მდინარეში არსებული წყლის დონის მიხედვით რეალურ დროში ახდენს ელექტროენერჯის გამომუშავებას.

მდინარეში წყლის რაოდენობა პირდაპირ არის დამოკიდებული რეგიონის და წყალშემკრები აუზის მასშტაბით არსებულ ნალექიანობაზე (წვიმის სიხშირეზე, მოსული თოვლის სიდიდესა და დნობის ინტენსივობაზე). შესაბამისად, გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობა განსხვავებულია ჰიდროლოგიური წელიწადის მიხედვით (უხვწყლიანობა, წყალმცირობა და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ მეტეოროლოგიური ციკლის სრული განსაზღვრა შეუძლებელია და ხშირია შემთხვევა, როდესაც უხვნალექიან წელიწადს მოსდევს მცირენალექიანი პერიოდი და/ან პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თეორიული ანგარიშები წყლის შესაძლო დონის და მისი სტატისტიკური განაწილების (ალბათობების) შესახებ, მსგავსი კალკულაციები დიდი ცდომილების შემცველია. რეგიონის მასშტაბით ნალექ-მზომები და მეტეოროლოგიური სადგურების და საჭირო ინფრასტრუქტურის რიცხვი ძალიან მწირია და არ არსებობს ემპირიული მონაცემები. შესაბამისად, ხელმძღვანელობა ხდება ექსტრაპოლაციით და/ან ძველი საარქივო მონაცემებით.

აღწერილი მოცემულობის გათვალისწინებით, ყველაზე სანდო წყაროდ განიხილება ფაქტობრივი ოპერირების (ემპირიული) მონაცემები. თუმცა, პროექტი კომერციულად ოპერირებადია 2020 წლის მეორე ნახევრიდან, რაც განაპირობებს მონაცემთა სიმცირეს და მნიშვნელოვნად ამცირებს სტატისტიკური პროგნოზის საიმედოობას.

პროგნოზის რისკი კიდევ უფრო იზრდება მიმდინარე გლობალური კლიმატური ცვლილების შედეგად, რომლის ზუსტი გავლენის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

გენერაცია წარმოადგენს შემოსავლის ერთ-ერთი მთავარ წყაროს; შესაბამისად, წყალმცირობის და/ან პროგნოზის ვერ მიღწევის შემთხვევაში იზრდება შემოსავლის კლების რისკი.

2.2 ემიტენტის საოპერაციო და ფინანსური სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ესკოსთან გაფორმებულ PPA-ზე

ლახამი 1 და ლახამი 2 მათ მიერ გამოუმუშავებულ ელექტროენერჯიას სექტემბერი-აპრილის პერიოდში ყიდთან ესკოზე PPA-ების ფარგლებში (არსებულ PPA-ებთან დაკავშირებით დამატებითი დეტალები იხილეთ თავში „ინფორმაცია ემიტენტის შესახებ“). PPA-ების არსებობა „კომპანიისათვის“ მრავალმხრივ სასარგებლოა, მათ შორის: აზღვევს ფასის რისკს, გარანტირებული ფასის წყალობით „კომპანია“ სარგებლობს მრავალი ფინანსური პროდუქტით და ვალდებულებით, შედარებით ამცირებს კონტრაქტის და საკრედიტო რისკს, რადგან ესკო სახელმწიფოსთან აფილირებული კომპანიაა. შესაბამისად, PPA-ების გაუქმების შემდეგ „კომპანიის“ საოპერაციო/ფინანსური რისკები მნიშვნელოვნად გაიზრდება და „კომპანია“ გახდება საბაზრო/კომერციული რისკის მატარებელი მთელი წლის განმავლობაში. სტანდარტულად, PPA შეიძლება შეწყდეს რომელიმე მხარის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის, ფორსმაჟორული, ან დეფოლტის პირობებში (თუ მისი გამოსწორება არ მოხდა წერილობითი შეტყობინების მიუხედავად). PPA-ები შეზღუდულია კონკრეტული ვადით და არ ექვემდებარება გახანგრძლივებას. შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ PPA-ების ვადის გასვლის შემდეგ „კომპანია“ შეძლებს, რომ ხელსაყრელი პირობებით გაყიდოს ელექტროენერჯია, რადგან ეს უკანასკნელი დამოკიდებული იქნება მრავალ საბაზრო/არასაბაზრო პირობაზე.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის პოზიცია PPA-ების გაცემის მიმართ შეიცვალა და გამკაცრდა 2017 წლიდან. კერძოდ, 2017 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციის საფუძველზე, მთავრობამ ახალი PPA-ების გაფორმებაზე დე-ფაქტო მორატორიუმი გამოაცხადა. ამასთან, 2018 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ ახალი კანონი, რომლითაც გამკაცრდა და უფრო დეტალურად დარეგულირდა სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორის მიმართ ელექტროენერჯიის გარანტირებულ შესყიდვასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო გარანტიების გაცემის პროცედურები და წინაპირობები. 2020 წლიდან კი, PPA მხარდაჭერის მოდელის ჩანაცვლების მიზნით, მთავრობამ დაიწყო ახალი, ენერგეტიკული რეფორმით გათვალისწინებული ბაზრის მოწყობის პრინციპებთან უფრო თავსებადი, მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა. კერძოდ, 2020 წელს მთავრობამ, დაამტკიცა განახლებად ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურების პროექტების განხორციელების მხარდაჭერის განსხვავებული, ე.წ. „პრემიალური ტარიფით“ (Feed-in Premium - FIP) მხარდაჭერის სქემა, რომელიც შემდგომში, 2022 წლის დეკემბერში, კიდევ ერთხელ, ჩანაცვლდა ახალი მხარდაჭერის სქემით. მხარდაჭერის ახალი სქემა გულისხმობს განახლებად ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურების პროექტის განხორციელების მხარდაჭერას ე.წ. „ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულებების“ (CfD) მექანიზმით, რომელიც მოიპოვება სიმძლავრის აუქციონში მონაწილეობისა და გამარჯვების გზით. თუმცა აღსანიშნავია, რომ როგორც „პრემიალური ტარიფით“ (Feed-in Premium - FIP) მხარდაჭერის მოდელის, ასევე „ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულებით“ (CfD) მხარდაჭერის მოდელით სარგებლობისათვის აუცილებელია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმების პროცესის დასრულება და ორგანიზებული ბაზრების მოქმედებაში გაშვება.

შედეგად, რამდენადაც „კომპანიისათვის“ ცნობილია, 2017-2022 წლების განმავლობაში აღარ გაფორმებულა ისეთი მემორანდუმი, რომელიც გარანტირებული შესყიდვის პირობებს ითვალისწინებდა. თუმცა საქართველოს ენერგეტიკული რეგულაციების ცვლილებების მიუხედავად, მთავრობის მიერ უკვე დადებული PPA-ები კვლავ ძალაში რჩება და ესკო გააგრძელებს არსებული PPA-ებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მათი მოქმედების ვადის განმავლობაში. „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსური სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არსებულ PPA-ზე და მისი შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემთხვევაში „კომპანიის“ ფინანსური და საოპერაციო სტაბილურობა მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აღმოჩნდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ესკოსთან გაფორმებული PPA-ების ვადა იწურება „ობლიგაციების“ დაფარვის თარიღის შემდეგ.

2.3. ემიტენტს აქვს უფლება, რომ სექტემბერი-აპრილის განმავლობაში წარმოებული ელექტროენერჯია გაყიდოს ესკოზე გრძელვადიანი ელექტროენერჯიის შესყიდვის ხელშეკრულებების (PPA) ფარგლებში, ხოლო მაისი-აგვისტოს თვეებში (რომლებსაც PPA არ ფარავს), კომპანია იღებს საბაზრო რისკებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ორ ქვერისკში: 1) მიმღების პოვნის რისკი და 2) საბაზრო ფასის რისკი

ენერგეტიკული წელიწადი განსხვავდება კალენდარული წლისაგან და იყოფა 2 სეზონად:

- ზამთრის სეზონი, რომელიც მოიცავს 8 თვეს (სექტემბერი-აპრილი); და
- ზაფხულის სეზონი, რომელიც მოიცავს 4 თვეს (მაისი-აგვისტო).

ზამთრის სეზონი: „კომპანიას“ ბაზრის კომერციულ ოპერატორთან გაფორმებული აქვს გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება (PPA). PPA-ს თანახმად, „ემიტენტი“ სარგებლობს უფლებით, რომ კომერციული ოპერირების დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში ზამთრის სეზონისას გამომუშავებული ელექტროენერგია გაყიდოს ესკოზე ფიქსირებულ ტარიფად: 6 აშშ დოლარი ცენტი კვტ/სთ-ზე.

ზაფხულის სეზონი: იმ თვეებში, რომელთაც არ ფარავს PPA, „კომპანიას“ აქვს შესაძლებლობა, გამომუშავებული ელექტროენერგია სრულად ან ნაწილობრივ გაყიდოს ადგილობრივ ბაზარზე (დამოუკიდებელი ორმხრივი კონტრაქტების საფუძველზე), გაიტანოს ექსპორტზე თურქეთის რესპუბლიკაში (გადამცემ ხაზზე დაშვების პირობებში) ან მიყიდოს ესკოს საბალანსო ენერჯის სახით. როგორც წესი, ჰიდროელექტროსადგურის პიკური გამომუშავება ხდება მაისი-ივნისის თვეებში, რაც განაპირობებს ზაფხულის სეზონზე შემოსავლიანობის დიდ კონცენტრაციას და ზრდის შემოსავლის კონცენტრაციის რისკს.

ელექტროენერჯის ფასი ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც (i) გამომუშავებისა და მოხმარების რაოდენობაზე, ასევე - (ii) ელექტროენერჯის წარმოების ალტერნატიულ ღირებულებაზე (მაგალითად, გაზის ფასი თბოსადგურების შემთხვევაში) და (iii) იმპორტის/ექსპორტის ფასებზე. ცხადია, რომ ფასწარმოქმნა საკმაოდ რთული პროცესია და მისი პროგნოზი (განსაკუთრებით მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში) ყოველთვის შეიცავს ცდომილების რისკს.

„ემიტენტს“ გააჩნია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ (შემდგომში „სსე“) გაფორმებული და რეგისტრირებული ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გადაცემის და დისპეტჩერიზაციის მომსახურების გაწევის შესახებ გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც „კომპანიას“ აქვს უფლება ელექტროენერგია პრიორიტეტულად გაიტანოს თურქეთის რესპუბლიკაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არ არის სრული სიცხადე, თუ როგორ მოხდება ხელშეკრულების აღსრულება სამომავლოდ, ენერგეტიკული რეფორმით გათვალისწინებული ბაზრის ახალი მოდელის პირობებში.

დღით ადრე („DAM“) და დღიური ბაზრის („IDM¹⁰“) გახსნის შემდეგ, ელექტროსადგურებს ექნებათ ელექტროენერჯის გაყიდვის ორი დამატებითი არხი და მიმდების პოვნის რისკი თითქმის სრულად იქნება აღმოფხვრილი, თუმცა აღნიშნული ბაზრის გახსნა 2023 წლის 1 ივლისის მაგივრად - 2024 წლის 1 ივლისს გადაიდო.

ზემოთ აღწერილის მიხედვით, PPA-ს მოქმედების პერიოდში, „კომპანიას“ დაზღვეული აქვს კომერციული რისკი ზამთრის სეზონზე, თუმცა ინარჩუნებს მნიშვნელოვან საბაზრო რისკს ზაფხულის პერიოდში. კომერციული რისკი განსაკუთრებით საგულისხმოა გაცხადებული ახალი ბაზრის პირობებში, რომელიც შემუშავების პროცესშია და მრავალი საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

2.4. კომპანიის ლიკვიდურობა შეიცავს მნიშვნელოვან კონტრაქტის რისკს

ელექტროენერჯის რეალიზაციისას საგულისხმოა კონტრაქტთან/მყიდველთან დაკავშირებული რისკები, რაც მოიცავს და არ შემოიფარგლება შემდეგით:

- მიწოდებული ელექტროენერჯის ღირებულების სრულად ჩარიცხვა;
- მიწოდებული ელექტროენერჯის ღირებულების დროულად ჩარიცხვა;
- საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის ჯეროვნად და სრულყოფილად შესრულება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზამთრის სეზონზე „კომპანიას“ გააჩნია უფლება, რომ გამომუშავებული ელექტროენერგია გაყიდოს გაფორმებული PPA ფარგლებში. კონტრაქტის ვადიანობა და მასში არსებული ფიქსირებული ფასწარმოქმნა

⁹ დღით ადრე ბაზარი (DAM) არის ორგანიზებული აუქციონი, რომელიც ტარდება ელექტროენერჯის ფიზიკური მიწოდების დაწყებამდე ერთი დღით ადრე. ბაზრის მონაწილეები დაასახელებენ ელექტროენერჯის სასურველ მოცულობას (გეგმებს) და ფასს, რომლის გაყიდვა ან ყიდვა სურთ მომდევნო დღის თითოეული საათისთვის. სავაჭრო პლატფორმაზე, სპეციალური ალგორითმის მეშვეობით, მიღებული განაცხადებით გაკეთდება მოთხოვნა-მიწოდების მრუდები, ხოლო ამ მრუდების გადაკვეთის წერტილით დადგინდება საბაზრო ანგარიშსწორების ფასი კონკრეტული საათისთვის. აღნიშნული ფასის ალგორითმი უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა მოგების მაქსიმიზაციას

¹⁰ დღიური ბაზარი (IDM) არის ბაზარი, სადაც შესყიდვისა და გაყიდვის განაცხადები განთავსდება ნებისმიერ დროს, მათ შორის დღით ადრე აუქციონის დასრულების შემდეგაც, მაგრამ არაუგვიანეს ფიზიკური მიწოდების დაწყებამდე 1 საათისა. ამ ბაზარზე მყიდველი და გამყიდველი თავად განსაზღვრავენ ფასს ან ეთანხმებიან პლატფორმაზე უკვე განთავსებულ განაცხადს. თანხედრის შემთხვევაში ბაზრის ოპერატორი ახორციელებს მხარეთა ანგარიშსწორებას და გადახდას, რაც უზრუნველყოფს კონტრაქტის რისკის მინიმიზაციას.

ესკოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კონტრაქტად აქცევს. შესაბამისად, ესკოსთან და მის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკი „კომპანიისათვის“ საფრთხის შემცველია.

კონტრაქტის რისკი გაცილებით მაღალია ზაფხულის სეზონის გაყიდვების შემთხვევაში, როდესაც ხდება სეზონური (შედარებით მოკლევადიანი) ხელშეკრულებების გაფორმება და განსაკუთრებით იზრდება თურქეთში ექსპორტის დროს.

შესაბამისად, კონტრაქტთან და მის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა რისკმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ოპერაციებზე, მომგებიანობასა და ლიკვიდურობაზე. „კომპანიის“ უარყოფითი ლიკვიდურობის ახსნასთან დაკავშირებით გთხოვთ, იხილოთ თავი „ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა“ - ქვეთავი „განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ“ და თავი „ინფორმაცია ემიტენტის შესახებ“ - ქვეთავი „შერჩეული ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“.

2.5. ელექტროენერჯის გამომუშავების, განაწილებისა და მიწოდების შესაძლებლობა დამოკიდებულია საქართველოს გადამცემ სისტემაზე

გენერაციის წყაროდან გამომუშავებული ელექტროენერჯის გადაცემა ხდება ქვეყნის გადამცემი ინფრასტრუქტურის საშუალებით. საქართველოს გადამცემი სისტემის ნებისმიერმა ხარვეზმა, მათ შორის, რომელიც წარმოქმნილია სტიქიური უბედურების, არასათანადო ტექნიკური მომსახურების ან ქსელის განვითარების შედეგად და/ან შეფერხების დაგვიანებით გამოსწორებამ, შეიძლება ხელი შეუშალოს „კომპანიის“ ელექტროენერჯის მყიდველისთვის (საბითუმო მიმწოდებელი, პირდაპირი მომხმარებელი, უნივერსალური მიმწოდებელი) მიწოდებას და შესაბამისად, შეამციროს „კომპანიის“ მენეჯმენტის მიერ დაგეგმილი შემოსავლები.

გადამცემი ინფრასტრუქტურის გამართული/შეუზღუდავი ფუნქციონირება სრულად სცდება „კომპანიის“ კონტროლს და დამოკიდებულია გადამცემი სისტემისა და განაწილების სისტემის ოპერატორებზე.

შესაბამისად, გადამცემი სისტემის შეფერხებით ფუნქციონირებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ოპერაციებზე, შემოსავლებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

2.6. ელექტროენერჯის ექსპორტი დამოკიდებულია ქვეყანათა შორის ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებასა და არსებული სიმძლავრის ხელმისაწვდომობაზე. ექსპორტის ვერ ან/და შეზღუდულად განხორციელებამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლიანობასა და მომგებიანობაზე

ზაფხულის სეზონზე „კომპანიას“ აქვს შესაძლებლობა გამომუშავებული ელექტროენერჯია გაიტანოს ექსპორტზე თურქეთის რესპუბლიკაში, თუმცა ქვეყნებს შორის გადამცემი ხაზის სიმძლავრე შეზღუდულია.

ექსპორტის მოცულობის განსაზღვრა ხდება 3 ეტაპად:

- ექსპორტის ჯამური მოცულობის (Net Transfer Capacity) შეთანხმება ორი ქვეყნის სისტემის ოპერატორებს შორის,
- შეთანხმებული მოცულობის განაწილება ექსპორტის მსურველ (ადგილობრივი) გენერაციების წყაროებს შორის,
- გადამცემი ხაზის სამუშაო მინიმალური საოპერაციო ზღვარი - გადადინების მოცულობა არ უნდა იყოს 35 მგვტ-ზე ნაკლები.

ზემოთ აღნიშნული სამივე ეტაპი სცდება „კომპანიის“ კონტროლს და დამოკიდებულია (i) როგორც ქვეყანათა შორის შეთანხმებაზე, (ii) ასევე გადამცემი სისტემის ოპერატორის (შემდგომში „გსო“) მიერ სიმძლავრის განაწილებაზე. მაღალი მოთხოვნის შემთხვევაში, როგორც წესი, სისტემის ოპერატორი გამტარუნარიანობის აუქციონის პლატფორმის¹¹ მეშვეობით და სპეციალური აუქციონის წესით¹² ანაწილებს საექსპორტო სიმძლავრეს.

აღსანიშნავია, რომ გრძელვადიანი გადაცემა (დისპეტჩერიზაციის) ხელშეკრულების („TDA“) ფარგლებში ან/და აუქციონის ჩატარების შედეგად თუ დადგინდა ანგარიშსწორების ფასი, საექსპორტო სიმძლავრის მოპოვება ხდება

¹¹ <https://gcat.com.ge/>

¹² იხ. „აუქციონის წესი“: <https://gcat.com.ge/documents>

„გადაიხადე, ან გაიტანე“ პრინციპის მიხედვით (Take-or-Pay). „გადაიხადე, ან გაიტანე“ პრინციპი „კომპანიას“ ავალდებულებს, რომ განაწილებული მოცულობა აითვისოს სრულად (განხორციელოს ექსპორტი), ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში „კომპანიას“ დაერიცხება გადასახადი გამოუყენებელ სიმძლავრეზე.

შესაბამისად, პროექტის შემოსავლიანობა და საექსპორტო რეალიზაციები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საექსპორტო მოცულობის მიღებაზე და მიღებული მოცულობის ათვისებაზე. ექსპორტის ვერ ან/და შეზღუდულად განხორციელებამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შემოსავლიანობასა და მომგებიანობაზე.

2.7. კომპანიას გააჩნია გარკვეული სავალუტო რისკი როგორც ადგილობრივი, ასევე ექსპორტზე გაყიდვების შემთხვევაში

ელექტროენერჯით ვაჭრობისას უმეტეს შემთხვევაში ელექტროენერჯის ფასი დენომინირებულია აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორება ხორციელდება ადგილობრივ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კურსის მიხედვით. შესაბამისად, გაყიდვების დასრულებიდან ანგარიშსწორების მომენტამდე „კომპანიას“ გააჩნია სავალუტო რისკი.

ექსპორტის შემთხვევაში პირდაპირი კონტრაქტი, როგორც წესი, აშშ დოლარშია დენომინირებული, თუმცა თურქეთში კონტრაქტები დენომინირებულია თურქულ ლირაში. შესაბამისად, სხვადასხვა ვალუტების შემთხვევაში კონტრაქტორის მხარეს არსებობს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი.

„კომპანიის“ ძირითადი გასაყვები, მაგალითად, სახელფასო ხარჯი, საბანკო დავალიანების ძირი თანხის დაფარვები, საპროცენტო ხარჯი, ასევე „კომპანიის“ ბალანსზე არსებული სხვა ვალდებულებები დენომინირებულია აშშ დოლარში, შესაბამისად, მატერიალურმა სავალუტო რყევებმა შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს „კომპანიასა“ და მის მომგებიანობაზე, მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ - „სავალუტო რისკი“.

2.8. ელექტროსადგურების მოვლა და განახლება მოიცავს მნიშვნელოვან რისკებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ელექტროენერჯის დაუგეგმავი გათიშვა, გამომუშავების შემცირება და მოულოდნელი კაპიტალური დანახარჯები

ჰიდროელექტროსადგურის გამართული ოპერირება გულისხმობს პროცესების, ჰესის ინფრასტრუქტურის, ტექნიკური გამართულობის ზედმიწევნით მეთვალყურეობას და შესაძლო გამოწვევაზე უმოკლეს ვადაში პასუხს.

„კომპანიის“ ელექტროსადგურების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით არსებობს რისკები, როგორებიცაა: აღჭურვილობის ან პროცესების გაუმართავობა, გამომუშავების ან ეფექტიანობის მოსალოდნელ დონეებზე დაბალი შესრულება, მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის არაეფექტიანი ტრანსპორტირება, გადამცემი ინფრასტრუქტურის პრობლემების გამო. ასეთი სახის გაუმართავობა და აღსრულების პრობლემები შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, მათ შორის ექსპლუატაციის შეცდომებით ან დროთა განმავლობაში აქტივების ცვეთით. შედეგად, „ემიტენტის“ გენერაციის ობიექტებს შეიძლება დასჭირდეს გეგმიური ან კაპიტალური რემონტი და გაუმჯობესება.

მსგავსი ტიპის დანახარჯების წინასწარ განჭვრეტა რთულია და აუცილებელია „კომპანიის“ მიერ გარკვეული დაშვებების საფუძველზე პერიოდული კაპიტალური პროექტების დაფინანსება (contingent maintenance works).

კაპიტალური პროექტების (i) განუხორციელებლობის ან თუნდაც (ii) დაგვიანების შედეგად გამოწვეული რისკები მოიცავს (შეზღუდვის გარეშე): ეფექტურობის შემცირებას, დაგეგმილთან შედარებით ნაკლები გენერაციის მიღებას, ტექნიკური შეფერხებების (ავარიული გათიშვების სიხშირის) ზრდას, ხაზის გამტარუნარიანობის შემცირებას, ინფრასტრუქტურის ფიზიკურ ცვეთას, ტექნოლოგიური და პროგრამული უზრუნველყოფის წყობიდან გამოსვლას და ა.შ.

როგორც გენერაციის კლება, ასევე შესაძლო საოპერაციო ხარჯების ზრდა მნიშვნელოვნად ამცირებს „კომპანიის“ მომგებიანობას და საფრთხეს უქმნის მდგრადობას და გრძელვადიან ლიკვიდურობას.

შესაბამისად, ჰიდროელექტროსადგურისათვის მოვლა-განახლების და კაპიტალური პროგრამების დროულად განუხორციელებლობის შემთხვევაში არსებობს ეფექტურობის და/ან მომგებიანობის შემცირების მნიშვნელოვანი რისკი.

2.9. კომპანიის მიერ დაგეგმილი კაპიტალური პროექტის დაგვიანებით განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა შეიქმნას ნაკლები შემოსავლის მიღების რისკი

ლახამი ჰესი გამომუშავებული ელექტროენერჯის ქსელში მიწოდებას ახდენს (i) ლახამი-საგერგილა და (ii) საგერგილა-ხუდონი დამაკავშირებელი ელექტრო-გადამცემი ხაზის მეშვეობით.

ამასთანავე, „ემიტენტი“ ახორციელებს კაპიტალურ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ხუდონის ქვესადგურში გარკვეული ტექნიკური სამუშაოების განხორციელებას. პროექტი ლახამი ჰესს საშუალებას მისცემს, რომ თავიდან აირიდოს (ხაზის დატვირთულობის და/ან გამტარუნარიანობიდან გამომდინარე) შესაძლო შეზღუდვები და სრულ შესაბამისობაში იყოს ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიის მიერ გაცემულ ტექნიკურ პირობასთან.

პროექტის განუხორციელებლობის/დაგვიანებით განხორციელების შემთხვევაში, არსებობს ხაზზე შეზღუდული დაშვების რისკი, რამაც შესაძლებელია შეამციროს მისაღები შემოსავალი.

2.10. მოულოდნელმა მოვლენებმა, კლიმატურმა პირობებმა და ბუნებრივმა კატასტროფებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი რისკი შეუქმნას კომპანიის ოპერაციებს

მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორებიცაა: ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა და ა.შ., შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ოპერაციებზე, ზიანი მიაყენოს მის ქონებას ან სხვაგვარად, ნეგატიურად იმოქმედოს მის საქმიანობაზე.

კლიმატური და ბუნებრივი მოვლენების საშიშროება ბიზნესისათვის ერთ-ერთი უმთავრესი საოპერაციო რისკია. მდინარე ლახამი, სვანეთის უმეტესი მდინარეების მსგავსად, იკვებება მყინვარებიდან გამომავალი ნაკადებით, რაც დიდწილად განაპირობებს მის არამდგრად ხასიათსა და წყლის დინებების მნიშვნელოვან ცვალებადობას.

მყინვარების სწრაფი დნობის პირობებში წარმოიქმნება წყლის გაუთვალისწინებელი ნაკადები („წყალმოვარდნა“), რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს ჰესის ინფრასტრუქტურას (წყალმიმღები, ჰესის შენობა და ა.შ.). შესაბამისად, დაზიანების რისკის ქვეშ დგება მდინარის კალაპოტი და დამცავი ნაგებობები.

წყალმოვარდნის პირობებში წყლის შემადგენლობა შეცვლილია და შეიცავს ბუნებრივ ნაწილაკებს, რომლებმაც შესაძლოა ასევე საფრთხე შეუქმნას ჰესის არამხოლოდ სამშენებლო ნაწილებს, არამედ ჰიდრო-მექანიკურ და ელექტრო-მექანიკურ მოწყობილობებს.

შესაძლოა წყალდიდობის ნეგატიური გავლენა ცდება ფიზიკური დაზიანების რისკს. მყინვარის სწრაფი დნობა პროექტისთვის წარმოადგენს „ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობას“, რადგან ერთიანად ხდება ისეთი რაოდენობის წყლის ნაკადის წარმოქმნა, რაც გადანაწილებული უნდა ყოფილიყო კვირების და დღეების მანძილზე. როგორც „მოდინებაზე არსებული“ ჰიდროელექტროსადგური, ლახამი ვერ მოახდენს მიღებული ნაკადების შენარჩუნებას და შესაბამისად გამოიყენებს მიღებული წყლის მხოლოდ მცირე ნაწილს.

საქართველო სეისმურად აქტიურ რეგიონს წარმოადგენს. სეისმური რისკები განსაკუთრებით მაღალია მაღალმთიან რეგიონში (დიდი კავკასიონის მიმდებარე მხარეები). შესაბამისად, შესაძლო ტექტონიკური ძვრები რეგიონისა და პროექტისათვის მნიშვნელოვანი რისკების შემცველია.

გარდა კლიმატური მოვლენებისა, „კომპანიაზე“ გავლენა შესაძლოა მოახდინოს მრავალმა მოულოდნელმა მოვლენამ, მათ შორის და მაგალითად: პანდემიამ. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ Covid-19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ეკონომიკური აქტივობა, რამაც განაპირობა 2020 წელს ელექტროენერჯის მოხმარების 5%-ით შემცირება. ადგილობრივ ბაზარზე მოხმარების შემცირებას არ ჰქონია უარყოფითი გავლენა ელექტროენერჯის ფასზე, რადგან ადგილობრივი მიწოდება მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ადგილობრივ მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ელექტროენერჯის წმინდა იმპორტი წინა წლის ნიშნულზე დარჩა. ასევე, 2019 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ელექტროენერჯის გასაყიდი ფასიც (საშუალო შეწონილი ესკოს საბალანსო ფასი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4%-ით). შესაბამისად, პანდემიას ელექტროენერჯის მწარმოებლებზე არ ჰქონია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა.

ზემოთ აღწერილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ბუნებრივი, მოულოდნელი და კლიმატური რისკი პროექტის ეფექტური და მდგრადი ოპერირებისათვის წარმოშობს პირდაპირ საშიშროებას.

2.11. კომპანიის ფინანსური და საოპერაციო სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სრულფასოვანი სადაზღვევო პროდუქტის არსებობაზე. დაზღვევის არქონის ან/და არასრულფასოვანი დაზღვევის შემთხვევაში, კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობას შეექმნება მნიშვნელოვანი რისკი

„კომპანიას“, ინდუსტრიის სტანდარტების და ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, დაზღვეული აქვს ქონება, მანქანა-დანადგარები, ბიზნესის უწყვეტობა და მესამე პირებისადმი პასუხისმგებლობა. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ თავი „ძირითადი საქმიანობა“ - ქვეთავი „დაზღვევა“.

ნებისმიერი დაზღვევა წარმოადგენს ბალანსს მიღებულ სარგებელს (მისაღები პრემია) და გადასახდელ ღირებულებას შორის (პოლისის საფასური). სადაზღვევო პროდუქტი შესაძლო რისკებს ნაწილობრივ ფარავს და სადაზღვევო პოლისის არსებობა რა თქმა უნდა არ გულისხმობს, რომ „კომპანიის“ წინაშე არსებული ყველა რისკი დაზღვეულია და/ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას - მისი ყველა შესაძლო ზიანი ანაზღაურდება. ასევე შესაძლებელია, რომ დამდგარი ზარალი მკვეთრად აღემატებოდეს სადაზღვევო ლიმიტს, რაც გულისხმობს, რომ ზიანის გარკვეული ნაწილი შესაძლებელია, არ ანაზღაურდეს. მოცემული რისკი ვრცელდება ყველა არსებულ დაზღვევის პაკეტზე (ქონების, მანქანა-დანადგარების, ბიზნესის უწყვეტობისა და მესამე პირებისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა).

ნებისმიერი სადაზღვევო პოლისი შეიცავს გამონაკლისებს, შეზღუდვებს, ფრანშიზებს, რაც სადაზღვევო ლიმიტის მისაღებად დამატებით ბარიერს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო ბაზარზე ფასები ცვალებადია და ცვლილების მიხედვით შესაძლებელია, რომ სადაზღვევო პაკეტი გადაიხედოს და ადაპტირდეს დამდგარ რეალობასთან.

ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიები ახდენენ მსგავსი პროდუქტების გადაზღვევას უცხოურ (მაღალი კლასის) სადაზღვევო კომპანიებთან. მართალია, ეს, ერთი მხრივ, ამცირებს მათ ფინანსურ რისკებს, თუმცა, მეორე მხრივ, ზრდის შესაძლო ბიუროკრატias და ქმნის დამატებით ბარიერს.

მართალია, „კომპანია“ მკაცრად აკონტროლებს დაზღვევის უწყვეტობას, თუმცა (i) სადაზღვევო ბაზარზე დინამიურმა ცვლილებებმა (გაუარესებამ), (ii) სადაზღვევო პროდუქტების ფასების მნიშვნელოვანმა ზრდამ, (iii) სადაზღვევო პროდუქტებზე წვდომის შეზღუდვამ შესაძლებელია განაპირობოს სადაზღვევო პაკეტების შეწყვეტა ან მნიშვნელოვანი შემცირება.

დაზღვევის არქონის ან/და არასრულფასოვანი დაზღვევის შემთხვევაში „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსური საქმიანობას შეექმნება მნიშვნელოვანი რისკი.

2.12. კომპანიის სტაბილურობა და მდგრადი განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული გონივრულ და გრძელვადიან საკადრო პოლიტიკაზე

„კომპანიის“ წარმატებული ოპერირება პირდაპირ არის დამოკიდებული ადამიანურ კაპიტალზე, რომელიც მოიცავს მენეჯმენტს, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, ისევე როგორ სოციალურ და გარემოსდაცვით სპეციალისტს.

თუ „კომპანია“ ვერ მოიზიდავს ან/და შეინარჩუნებს კვალიფიციურ ტოპ მენეჯმენტს, ინჟინრებს, სპეციალისტებს და დამხმარე პერსონალს, ამან შეიძლება შექმნას და გაზარდოს ოპერატიული და ადმინისტრაციული ხარჯები, შეაფერხოს ოპერაციების ეფექტიანი წარმართვა, რაც უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე.

„კომპანიის“ ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, „კომპანიას“ ესაჭიროება მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, ინჟინრები და ტექნიკოსები, ამ თანამშრომლების დაქირავება და შენარჩუნება შეიძლება განსაკუთრებით რთული იყოს. პროექტის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს უშუალოდ ჰიდროელექტროსადგურზე კვალიფიციური კადრების დაქირავება და რაც მთავარია საშუალო/გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნება.

კვალიფიციური კადრების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა გარდამავალ ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში მოხდება ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნა, რომელიც შესაძლებლობებთან ერთად მრავალ გამოწვევას შეიცავს და მენეჯმენტისგან მოითხოვს ინდუსტრიის, საკანონმდებლო ბაზის და ბაზრის პროცედურების დეტალურ ცოდნას.

კვალიფიციურ კადრებზე მაღალმა მოთხოვნამ და შრომის ბაზარზე მზარდმა კონკურენციამ შესაძლოა კიდევ უფრო გაართულოს კვალიფიციური კადრების დაქირავება და გრძელვადიანი თანამშრომლობა. აღწერილი რისკი კი შესაძლოა მატერიალიზდეს გაზრდილ არაეფექტურობასა და ოპერაციულ შეფერხებაში, შემცირებულ გენერაციაში, გაზრდილ საოპერაციო და მოვლა/მეთვალყურეობის ხარჯებში.

2.13. გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის კანონმდებლობა

„ემიტენტი“ ექვემდებარება სხვადასხვა გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ კანონებსა და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებენ, მათ შორის, თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, გარემოს „კომპანიის“ ოპერირებით გამოწვეულ შესაძლო დაზიანებებს და ა.შ. „ემიტენტის“ მიერ გარკვეული ოპერაციების/საქმიანობების განხორციელება ასევე ექვემდებარება სხვადასხვა სამთავრობო ორგანოებისგან გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნებართვებისა თუ ავტორიზაციების მოპოვებას.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე პროსპექტის თარიღისთვის „ემიტენტის“ ოპერაციები ყველა მატერიალური თვალსაზრისით შეესაბამება საქართველოში მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის წესებსა თუ რეგულაციებს, არ არსებობს სამომავლო შესაბამისობის გარანტია. თუ „კომპანია“ ვერ შეასრულებს რომელიმე მსგავს წესსა თუ რეგულაციას, მას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა და სანქციები/ჯარიმები კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის და, პოტენციურად, გამოიწვიოს „კომპანიის“ მიერ მესამე პირთა მიმართ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა, ისეთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომლითაც „კომპანიას“ ნაკისრი აქვს გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში მოქმედი წესებისა და რეგულაციების დაცვა.

მოქმედი კანონმდებლობის დარღვევამ (გარემოსდაცვითი ზიანი, თანამშრომლის სიცოცხლის დაკარგვა ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება) შედეგად შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ ოპერაციების შეფერხება ან მისი რეპუტაციის შელახვა. „კომპანიას“ შეიძლება დაეკისროს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ზიანისათვის – ჯარიმების და/ან კომპენსაციის სახით. რომელიმე ამგვარი მოვლენის დადგომამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს „ემიტენტის“ ოპერაციების შეფერხება და წარმოქმნას დამატებითი ხარჯები.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი კანონები და რეგულაციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ „კომპანიის“ საქმიანობაზე, შეუძლებელია ზუსტად წინასწარ განისაზღვროს, რა გავლენას მოახდენს ასეთი კანონები და რეგულაციები „ემიტენტის“ ბიზნესზე. მომავალში შესაძლოა, რომ რომელიმე კანონი შეიცვალოს, განახლდეს ან გამკაცრდეს. ნებისმიერმა ზემოაღნიშნულმა მოვლენამ შეიძლება მატერიალური უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

2.14. კორპორატიული მართვის სტანდარტებთან დაკავშირებული რისკები

საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 2 აგვისტოს მიიღო ახალი კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვრიდან. ახალი კანონის შესაბამისად, კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული საწარმო, მათ შორის, „ემიტენტი“ ვალდებულია ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში (2024 წლის 1 იანვრამდე) უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

„ემიტენტი“ მიზნად ისახავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან სარეგისტრაციო მონაცემების შესაბამისობაში მოყვანას არაუგვიანეს 2024 წლის 1 იანვრისა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიის“ მიერ ამგვარი შესაბამისობა დადგენილ ვადებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი, მარეგისტრირებელი ორგანო „ემიტენტს“ სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განუსაზღვრავს დამატებით 3-თვიან ვადას, რომელიც აითვლება „კომპანიისათვის“ შესაბამისი გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კი, „ემიტენტის“ რეგისტრაცია გაუქმებულად მიიჩნევა. თუ „ემიტენტის“ რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ მას დარჩა ქონება, „ემიტენტის“ პარტნიორების ან კრედიტორების

განცხადების საფუძველზე სასამართლო დანიშნავს ლიკვიდატორებს. „ემიტენტის“ მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ზემოთ აღწერილი რისკის მატერიალიზების ალბათობა მინიმალურია.

საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს ქართულ კომპანიებს კორპორატიული მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზების შემდეგ „კომპანია“ გახდება ანგარიშვალდებული საწარმო „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, რის შედეგადაც მასზე გავრცელდება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები გამჭვირვალობასთან, პერიოდული და ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნებასთან, კორპორაციულ მართვასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ანგარიშვალდებული პირისათვის დაწესებული მოთხოვნები „კომპანიისათვის“ დამატებითი ტვირთი შეიძლება აღმოჩნდეს და გარკვეულ შემთხვევებში, „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ შეძლოს ამ მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.

„კომპანიის“ კორპორატიული მმართველობის სტრუქტურა განისაზღვრება „კომპანიის“ წესდებისა და შესაბამისი კანონმდებლობის/მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად. მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბერს ბრძანებით დამტკიცდა კორპორაციული მართვის კოდექსი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან, თუმცა აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული ანგარიშგების პირველად წარდგენა ემიტენტებს დაევალებათ 2023 წლის წლიური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის. აღნიშნული კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას. არ არსებობს გარანტია, რომ „კომპანიის“ კორპორატიული მართვის პოლიტიკა არის ან იქნება შესაბამისობაში საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ „კომპანიის“ კორპორატიული მართვა შეიძლება არ შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

2.15. შრომითმა დავებმა და გაფიცვებმა, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლებმა და პროტესტებმა, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის წარმოების დონესა და მომგებიანობაზე

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის „კომპანიას“ ჰყავს 17 თანამშრომელი. დასაქმებული პერსონალი მოიცავს ყველა თანამშრომელს - მენეჯმენტს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ტექნიკურ მუშაკებს, ოპერატორებს და ა.შ. პერსონალი „კომპანიის“ ოპერაციების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. შრომითმა დავებმა და/ან გაფიცვებმა, ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლებმა, პროტესტებმა და მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ ფუნქციონირების შეფერხება, რაც უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ მუშაობასა და ფინანსურ შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ „ემიტენტის“ მიმართ არ განხორციელებულა რაიმე გაფიცვა ან სამართალწარმოება ან ნებაყოფლობითი უარი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავსი მოვლენები არ წარმოიქმნება მომავალშიც. ნებისმიერ შრომით დავას ან შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

2.16. წყალმცირობის პერიოდში მდინარეში სავალდებულოდ შესანარჩუნებელმა მინიმალურმა ეკოლოგიურმა ხარჯმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს დაგეგმილი გენერაცია

ადგილობრივი ეკოსისტემისა და იქთიოფაუნის ხელშეწყობის მიზნით ჰიდროელექტროსადგურს გააჩნია თევზსავალი, რომელშიც მუდმივად ხდება წყლის მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის გატარება. მდინარეში წყლის დონე ცვალებადია და პირდაპირ არის დამოკიდებული რეგიონის და წყალშემკრები აუზის მასშტაბით არსებულ ნალექიანობაზე (წვიმის სიხშირეზე, მოსული თოვლის სიდიდესა და დნობის ინტენსივობაზე). მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი კი წინასწარ არის განსაზღვრული და მისი გატარება სახელმწიფოს მიერ არის დაკისრებული, შესაბამისად მისი ოდენობა არ არის დამოკიდებული წყლის ცვალებადობაზე. წყალმცირობის პერიოდში მდინარეში სავალდებულოდ შესანარჩუნებელმა მინიმალურმა ეკოლოგიურმა ხარჯმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს დაგეგმილი გენერაცია

2.17. ადგილობრივი მოსახლეობის სამომავლო მოთხოვნებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი საოპერაციო, სოციალური და ფინანსური გამოწვევს წინაშე დააყენოს კომპანია

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა მათ წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად მიმართავს არა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, არამედ ჰესის ადმინისტრაციას. აქედან გამომდინარე, „კომპანიას“ შესაძლოა დასჭირდეს, ჰესის მშენებლობის პროცესში დაფინანსებული სოციალური ინფრასტრუქტურული პროექტების შეკეთება და რეაბილიტაცია. ეს კი „კომპანიის“ ეფექტური საქმიანობისა და ლიკვიდურობისთვის ქმნის გარკვეულ გამოწვევებს.

რისკების მინიმიზაციისათვის უმნიშვნელოვანესი პირობა არის ყველა სოციალური სახის მოთხოვნის დეტალურად განხილვა და საჭიროების შემთხვევაში მათი დაკმაყოფილება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რისკების სრული პრევენცია სცდება „კომპანიის“ კონტროლს.

3. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

3.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი არ არის ფიქსირებული და შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს

„ობლიგაციების“ საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; „კომპანიის“ კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; „კომპანიის“ მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; „ობლიგაციების“ დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე სხვა მრავალი ფაქტორი, რომელიც „კომპანიაზე“ ახდენს გავლენას, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, „კომპანიის“ საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს „ობლიგაციების“ საბაზრო ფასზე. თუ „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ (i) საქართველოში, რეგიონსა თუ მსოფლიოში განვითარებული მოვლენები ან/და (ii) ეკონომიკური და საბაზრო პირობები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან რომ ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ „ობლიგაციების“ ფასზე. თუ „ობლიგაციებით“ ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, „კომპანიის“ ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს „კომპანიის“ კონტროლს.

3.2. შესაძლოა არ არსებობდეს ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი

არ არსებობს იმის გარანტია, რომ (i) „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება ან/და (ii) განვითარების შემთხვევაში, ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. ორივე შემთხვევამ შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს „კომპანიის“ კონტროლს. თუ „ობლიგაციებით“ ვაჭრობა მათი პირველადი განთავსების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი ქართული ლარით დენომინირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, აქტიური სავაჭრო ბაზარი შესაძლოა არ არსებობდეს, განსაკუთრებით ისეთი განვითარებადი ეკონომიკის პირობებში, როგორც საქართველოშია.

2021 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე, არასაბირჟო გარიგებებში აშშ დოლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების საერთო ნავაჭრმა მოცულობამ 16,381 შეადგინა, რომელთა საერთო ნომინალურმა ღირებულებამ კი - 16,841,096.3 აშშ დოლარს მიაღწია. 2022 წელს საფონდო ბირჟის აქტიურობა საგრძნობლად შემცირდა, მოცულობა 35.2%-ით შემცირდა და ნავაჭრი ობლიგაციების რაოდენობამ 10,609 დაიკლო, შესაბამისად, შემცირდა ნავაჭრი ობლიგაციების მთლიანი ღირებულებაც, რომელმაც წლის განმავლობაში 10,799,174.2 აშშ დოლარი შეადგინა. 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საფონდო ბირჟაზე აშშ დოლარში დენომინირებული კორპორატიული

ობლიგაციების ნავაჭრმა ღირებულებამ 7,546,965.9 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მოცულობამ კი - 7,438. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საფონდო ბირჟის ვებ გვერდი: <https://gse.ge/>

3.3. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა ან/და შემოსავალი არ არის დენომინირებული ობლიგაციების ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ მოსალოდნელზე ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, რაც გამოწვეული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსის რყევებით ან გაცვლითი კურსის კონტროლის ცვლილებით

„კომპანია“ „ობლიგაციებზე“ საპროცენტო სარგებელსა და ძირითად თანხას გადაიხდის აშშ დოლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ან/და შემოსავალი ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში (შემდგომში „ინვესტორის ვალუტა“). ეს მოიცავს (i) იმის რისკსაც, რომ ვალუტის კონვერტაციის კურსები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (იგულისხმება ის ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ქართული ლარის დეველვაციამ ან „ინვესტორის ვალუტის“ რეველვაციამ) და (ii) ასევე იმის რისკს, რომ ხელისუფლებამ, რომლის იურისდიქციაშიც არის „კომპანიის“ ან „ინვესტორის ვალუტა“, შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს სავალუტო ოპერაციების რეგულირება. „ინვესტორის ვალუტის“ გამყარება აშშ დოლართან მიმართებით შეამცირებს (i) „ობლიგაციებზე“ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ შემოსავალს, (ii) „ობლიგაციებზე“ გადასახდელი ძირითადი თანხის „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტური ოდენობას და (iii) „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებას.

ხელისუფლებამ და ფისკალურმა/ფულად-საკრედიტო სისტემაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა შეიძლება დააწესონ (როგორც აქამდე მომხდარა) სავალუტო ოპერაციების იმგვარი რეგულირება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა „ობლიგაციებზე“ შესაძლოა მიიღონ მოსალოდნელზე ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა.

3.4. ობლიგაციებს სარგებელი ერიცხებათ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით

წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციები“ წარმოადგენს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე სასესხო ფასიან ქაღალდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გამოშვების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე (თუ არ მოხდა მათი ვადამდელი დაფარვა ან გამოსყიდვა პროსპექტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად) წელიწადში ორჯერ დაერიცხებათ სარგებელი ერთი და იმავე წლიური განაკვეთით ნომინალური ღირებულებიდან კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტორს ინვესტორისთვის მოაქვს სტაბილურობა და მას საშუალებას აძლევს უკეთესად განჭვრიტოს სამომავლოდ მისაღები სახსრები, არსებობს გარკვეული რისკები, რაც ობლიგაციონერებმა უნდა გაითვალისწინონ: თუ ბაზარზე მოხდა საპროცენტო განაკვეთების ზრდა, მაშინ ინვესტორებმა შეიძლება იმაზე ნაკლები შემოსავალი მიიღონ, ვიდრე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდების შემენის შემთხვევაში მიიღებდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ობლიგაციონერებს შესაძლოა გაუჭირდეთ „ობლიგაციების“ მეორად ბაზარზე გადაყიდვა ზარალის მიღების გარეშე, ვინაიდან ინვესტორები დაინტერესებულები იქნებიან ბაზარზე იმ მომენტში არსებული მაღალ-განაკვეთიანი ფასიანი ქაღალდებით.

3.5. შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე დაფარვა ან გამოსყიდვა

პროსპექტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, „კომპანიას“ უფლება აქვს, განახორციელოს „ობლიგაციების“ ვადამდელი დაფარვა ან/და გამოსყიდვა, სრულად ან ნაწილობრივ. გამოსყიდვა შესაძლოა მოხდეს „ობლიგაციების“ გამოშვების თარიღიდან მათი დაფარვის თარიღამდე, მათ შორის, საგადასახადო მიზეზით (იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-7 პუნქტი - „დაფარვა და გამოსყიდვა“). იმ შემთხვევაში, თუ მოხდება „ობლიგაციების“ დაფარვის თარიღამდე გამოსყიდვა, ობლიგაციონერებმა შესაძლოა მსგავს საპროცენტო განაკვეთში ფულის დაბანდება ვეღარ მოახერხონ, რაც მათ ნაკლები შემოსავლის მიღების რისკის წინაშე დააყენებს. ამავე დროს, შეიძლება შეზღუდული იყოს გამოთავისუფლებული სახსრების სხვა მსგავსი ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტებში რეინვესტირების შესაძლებლობაც.

3.6. ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დაწესდება გარკვეული ტერიტორიების/სხვა ქვეყნების ინვესტორებზე

„ობლიგაციების“ შეთავაზება და გასხვისება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ პროსპექტის გავრცელება და „ობლიგაციების“ შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის „ობლიგაციების“ მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე პროსპექტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის „ობლიგაციების“ შესათავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე პროსპექტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ „ობლიგაციების“ შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში.

„ობლიგაციები“ არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის (US Securities Act of 1933) (შემდგომში „აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონი“) ან აშშ-ს რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლება „ობლიგაციების“ შეთავაზება ან გასხვისება აშშ-ს ტერიტორიაზე გარდა (i) იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება „აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის“ ან რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და (ii) იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს.

პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ „ობლიგაციების“ შეთავაზება და რეალიზაცია ამერიკის შერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

3.7. მომავალში ობლიგაციების პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე

ობლიგაციონერების წარმომადგენელი უფლებამოსილია, ობლიგაციონერების თანხმობის გარეშე შეუთანხმდეს „კომპანიას“ ობლიგაციების გამოშვების პირობებში (ან/და „კომპანიასა“ და ობლიგაციონერების წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებში, ან/და იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებებში) გარკვეული ცვლილებების შეტანაზე ან მათი ნებისმიერი დარღვევის დაშვებაზე, რომელიც, ობლიგაციონერების წარმომადგენლის შეხედულებით, არსებით ზიანს არ აყენებს ობლიგაციონერების ინტერესებს. ნებისმიერი ამგვარი გადაწყვეტილება სავალდებულოა ობლიგაციონერებისათვის.

„ობლიგაციების გამოშვების პირობები“ და ხელშეკრულება ობლიგაციონერების წარმომადგენელთან მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც გავლენას ახდენენ ობლიგაციონერების ინტერესებზე. ობლიგაციონერების კრების მიერ სათანადო წესით მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ობლიგაციონერებისათვის მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი ობლიგაციონერების იმ კრებას, რომელზეც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული და მისცეს თუ არა მათ ხმა ამ გადაწყვეტილების სასარგებლოდ. „კომპანია“ არ იღებს პასუხისმგებლობას ობლიგაციონერების კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ნამდვილობაზე და უფლებამოსილია დაეყრდნოს ასეთ გადაწყვეტილებას (იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-11 პუნქტი - „ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებების შეტანა და უფლებებზე უარის თქმა“).

3.8. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის, უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობის გამო

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ან/და მათგან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე პროსპექტის, იპოთეკის ხელშეკრულებისა და გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ობლიგაციონერების სასარგებლოდ მეორე რიგის იპოთეკითა და გირავნობით დატვირთოს „კომპანიის“ (i) იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ქონება და აღნაგობის უფლება და (ii) გირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება და არამატერიალური

ქონებრივი სიკეთე (იხილეთ „*ობლიგაციების გამოშვების პირობების*“ 1(გ) ქვეპუნქტი - „*უზრუნველყოფა*“). საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს უზრუნველყოფილი ობლიგაციების მარეგულირებელი შესაბამისი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამის მიუხედავად, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება და უზრუნველყოფის საშუალებათა რეგისტრაცია შესაძლოა პრაქტიკაში შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტორების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების გაჭიანურების ან განუხორციელებლობის თუ სხვა ფაქტორების გამო.

3.9. ობლიგაციონერები წარმოადგენენ მეორე რიგის უზრუნველყოფილ კრედიტორებს და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ წინა რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ

წინამდებარე პროსპექტის თარიღისათვის „კომპანიის“ უძრავი და მოძრავი ქონების უდიდეს ნაწილზე რეგისტრირებულია პირველი რიგის იპოთეკა და გირავნობა სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ თავი „*კაპიტალიზაცია და დავალიანება*“ – „*სესხების უზრუნველყოფა*“). ამის გამო, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ან/და მათგან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე პროსპექტის, იპოთეკის ხელშეკრულებისა და გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ობლიგაციონერების სასარგებლოდ მეორე რიგის იპოთეკითა და გირავნობით დატვირთოს „კომპანიის“ (i) იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ქონება და აღნაგობის უფლება და (ii) გირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (იხილეთ „*ობლიგაციების გამოშვების პირობების*“ 1(გ) ქვეპუნქტი - „*უზრუნველყოფა*“).

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „*სააღსრულებო კანონი*“) შესაბამისად, თუ მოვალისაგან გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის კრედიტორთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს თანხა კრედიტორებს შორის ნაწილდება ამავე კანონით დადგენილი რიგის დაცვით. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ (ასევე იხილეთ რისკის ფაქტორები: „*თუ არ განხორციელდა იპოთეკისა და გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორი*“ და „*გარკვეული ობლიგაციონერების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საგადასახადო იპოთეკამ/გირავნობამ და ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნებმა*“). იმ შემთხვევაში კი, თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება თითოეული კრედიტორისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ობლიგაციონერების, როგორც მეორე რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორების, მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის (სს „თიბისი ბანკის“) მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ. შესაბამისად, არსებობს იმის რისკი, რომ „კომპანიისგან“ გადახდევინებული თანხა არ იქნება საკმარისი კრედიტორთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რის გამოც ობლიგაციონერების მოთხოვნები შესაძლოა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნაწილობრივ (თითოეული ობლიგაციონერისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად) ან საერთოდ ვერ დაკმაყოფილდეს.

3.10. თუ არ განხორციელდა იპოთეკისა და გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იპოთეკა და გირავნობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. შესაბამისად, თუ ობლიგაციონერი არ უზრუნველყოფს პროსპექტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას, მათ შორის, ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის ნებისმიერი და ყველა საჭირო ან აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტის მიწოდებას განსაზღვრულ ვადებში, ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის ვერ განხორციელდეს ობლიგაციონერის სასარგებლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის რეგისტრაციას და, შესაბამისად, ამგვარი ობლიგაციონერის მოთხოვნა „ემიტენტის“ წინააღმდეგ იქნება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა და ამგვარი ობლიგაციონერი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაკმაყოფილდება, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორი (იხილეთ „*ობლიგაციების გამოშვების*

პირობების“ 1(გ) ქვეპუნქტი - „უზრუნველყოფა“). „ემიტენტი“ და ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის პასუხისმგებლობას არ იღებენ იმ შემთხვევებზე, როდესაც იპოთეკის ან/და გირავნობის უფლების ობლიგაციონერის სასარგებლოდ რეგისტრაცია ვერ განხორციელდა ობლიგაციონერის მიერ ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის ინსტრუქციებისა და პროცედურების, ისევე როგორც - „ობლიგაციების“ გამოშვების პირობების შესაბამისი დებულებების შეუსრულებლობის ან გაჭიანურებული შესრულების გამო.

3.11. გარკვეული ობლიგაციონერების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საგადასახადო იპოთეკამ/გირავნობამ და ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნებმა

მართალია, „ობლიგაციები“ უზრუნველყოფილი იქნება ობლიგაციონერების სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკისა და გირავნობის უფლებით, არსებობს რისკი იმისა, რომ ამგვარ უზრუნველყოფაზე უარყოფითად აისახოს საქართველოს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა.

„სააღსრულებო კანონის“ თანახმად, იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი, აღსასრულებლად წარმოდგენილი მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ - იპოთეკითა და გირავნობით უზრუნველყოფილი სხვა მოთხოვნები მათი რიგითობის მიხედვით. ამასთან, თუ აღსრულების პროცესში კრედიტორების სახით ერთდროულად მონაწილეობენ (ა) შემოსავლების სამსახური საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნით და (ბ) საქართველოში ლიცენზირებული/რეგისტრირებული კომერციული ბანკები, მიკრობანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები ან საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების ფინანსური ინსტიტუტები (წინამდებარე რისკის ფაქტორის მიზნებისათვის, შემდგომში „ფინანსური ინსტიტუტები“), რომელთა გირავნობის/იპოთეკის უფლებაც წარმოიშვა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, ამოღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება აღნიშნული „ფინანსური ინსტიტუტების“ მოთხოვნები საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმომოხილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ - საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

გარდა ამისა, თუ „ფინანსური ინსტიტუტების“ გირავნობას/იპოთეკას, რომელიც რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, უსწრებს სხვა პირის გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაცია, ამ პირის მოთხოვნები უპირატესად დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე „ფინანსური ინსტიტუტების“ რეგისტრირებული, გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების იმ ნაწილში, რომლის დაკმაყოფილების ვალდებულებაც არსებობდა რეალიზებულ ნივთზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე. ნივთის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის დანარჩენი ნაწილით დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, ხოლო შემდეგ დაკმაყოფილდებიან დარჩენილი კრედიტორები მოთხოვნათა რიგითობის მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგადასახადო/გირავნობამ და „ფინანსური ინსტიტუტების“ სასარგებლოდ რეგისტრირებულმა უზრუნველყოფის საშუალებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს იმ ობლიგაციონერების უზრუნველყოფაზე, რომლებიც არ წარმოადგენენ „ფინანსურ ინსტიტუტებს“. კერძოდ, თუ „ობლიგაციონერი“ არ არის „ფინანსური ინსტიტუტი“, იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით (მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ რეგისტრირებული პირველი რიგის იპოთეკიდან და გირავნობიდან გამომდინარე მოთხოვნები) პირველ რიგში დაკმაყოფილდება იმ უზრუნველყოფილი ობლიგაციონერების მოთხოვნები, რომლებიც წარმოადგენენ „ფინანსურ ინსტიტუტებს“ (საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმომოხილი ვალდებულების ნაწილში); მეორე რიგში - საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა; და შემდეგ - იმ უზრუნველყოფილი ობლიგაციონერების მოთხოვნები, რომლებიც არ წარმოადგენენ „ფინანსურ ინსტიტუტებს“.

3.12. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის, საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციასა და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე

„ობლიგაციების“ გამოშვების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის მომზადების თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, არსებულ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პრაქტიკაში სამომავლოდ არ შევა/განხორციელდება რაიმე ცვლილება, რომელიც არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს, მათ შორის, „ობლიგაციების“ სამომავლო ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებაზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, გარიგებების დადებისა და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე - არასაბირჟო მეორად ბაზარზე. ამასთან, მომავალში ობლიგაციონერების მიერ „ობლიგაციებიდან“ მიღებული სარგებლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღები წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

3.13. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის, ობლიგაციონერების წარმომადგენლისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელების პროცედურებს; ამასთანავე, ემიტენტს დაწესებული აქვს მის მიერ ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის ანაზღაურებას დაქვემდებარებული ხარჯების ზღვრული ოდენობა

„კომპანია“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ გადახდას განახორციელებს იმ ობლიგაციონერების ან/და ნომინალური მფლობელების სასარგებლოდ, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო თარიღზე რეგისტრირებული არიან რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების რეესტრში (იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-8 პუნქტი - „გადახდები“). „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს რეგისტრატორისა და, შესაბამის შემთხვევებში, ნომინალური მფლობელის მიერ დადგენილ პროცედურებს. „კომპანია“ არ კისრულობს რაიმე პასუხისმგებლობას ფასიანი ქაღალდების რეესტრში არსებული ჩანაწერების სიზუსტეზე ან „ობლიგაციების“ ბენეფიციარი მესაკუთრეების მიერ თანხის მიღებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ანგარიშსწორების დროს „ემიტენტი“ პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

დამატებით, „ობლიგაციების“ ემისიის სტრუქტურა ითვალისწინებს ობლიგაციონერების წარმომადგენლის არსებობას, რომლის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო საქართველოში არ არსებობს. შესაბამისად, ობლიგაციონერების წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები, მისი პასუხისმგებლობის ფარგლები და სხვა საკითხები სრულად რეგულირდება „ობლიგაციების“ გამოშვების პირობებითა და წარმომადგენელსა და „ემიტენტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

ამასთანავე, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ან/და მათგან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად იპოთეკისა და გირავნობის უფლების ობლიგაციონერების სასარგებლოდ რეგისტრაციისათვის, თითოეული ობლიგაციონერი ვალდებულია, დაექვემდებაროს ობლიგაციონერების წარმომადგენლის ინსტრუქციებსა და პროცედურებს, და განსაზღვრულ ვადებში მიაწოდოს მას სათანადო წესით გაფორმებული და დამოწმებული ნებისმიერი და ყველა საჭირო ან აუცილებელი ინფორმაცია/დოკუმენტი (იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 1(გ) ქვეპუნქტი - „უზრუნველყოფა“). წინააღმდეგ შემთხვევაში, ობლიგაციონერების წარმომადგენელი ვერ განახორციელებს ობლიგაციონერის სასარგებლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის რეგისტრაციას და, შესაბამისად, ამგვარი ობლიგაციონერის მოთხოვნა „ემიტენტის“ წინააღმდეგ იქნება არააუზრუნველყოფილი მოთხოვნა და ამგვარი ობლიგაციონერი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაკმაყოფილდება, როგორც არააუზრუნველყოფილი კრედიტორი. „ემიტენტი“ და ობლიგაციონერების წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ იმ შემთხვევებზე, როდესაც იპოთეკის ან/და გირავნობის უფლების ობლიგაციონერის სასარგებლოდ რეგისტრაცია ვერ განხორციელდა ობლიგაციონერის მიერ ობლიგაციონერების წარმომადგენლის ინსტრუქციებისა და პროცედურების, ისევე როგორც - „ობლიგაციების“ გამოშვების პირობების შესაბამისი დებულებების, შეუსრულებლობის ან გაჭიანურებული შესრულების გამო.

„ობლიგაცი(ებ)ის“ შეძენით თითოეული ობლიგაციონერი (და, შესაბამის შემთხვევებში, ნომინალური მფლობელი) თანხმობას აცხადებს, რომ „ობლიგაციების“ გამოშვების პირობების, იპოთეკის ხელშეკრულებისა და გირავნობის ხელშეკრულების „კომპანიის“ მიმართ აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ ობლიგაციონერების წარმომადგენლის მეშვეობითა და პროსპექტით დადგენილი წესით (გარდა გამონაკლისისა, რომელიც განსაზღვრულია „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-12 პუნქტში - „აღსრულება“). ამასთანავე, საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, ობლიგაციონერების წარმომადგენელი ითვალისწინებს ობლიგაციონერების - როგორც კლასის - ინტერესებს და არა იმ შედეგებს, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს მის მიერ მოვალეობების შესრულებას ცალკეული ობლიგაციონერისათვის, და ობლიგაციონერების სახელით ქმედებების განხორციელებისას, მას ეძლევა ანაზღაურების გარანტია და თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან პროსპექტით დადგენილი წესით (იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების

პირობების“ მე-13 პუნქტი - „*ობლიგაციონერების წარმომადგენლის ანაზღაურების გარანტია და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება*“).

ობლიგაციონერებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ ხელშეკრულება „ემიტენტსა“ და ობლიგაციონერების წარმომადგენელს შორის შეიცავს ზღვრულ ოდენობას იმ თანხისა, რომელიც ექვემდებარება „ემიტენტის“ მიერ ანაზღაურებას ობლიგაციონერების წარმომადგენლის სასარგებლოდ. აღნიშნული ზღვრული ოდენობის მიღწევისთანავე „ემიტენტი“ თავისუფლდება ობლიგაციონერების წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან და ობლიგაციონერების წარმომადგენლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებათ ობლიგაციონერებს (იხილეთ „*ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-13 პუნქტი - „ობლიგაციონერების წარმომადგენლის ანაზღაურების გარანტია და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება*“). იმ შემთხვევაში, თუ („ემიტენტის“ მიერ ანაზღაურებას დაქვემდებარებული ხარჯების ზღვრული ოდენობის მიღწევის შემდეგ) ობლიგაციონერები არ უზრუნველყოფენ ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის შესაბამისი ხარჯების ანაზღაურებას, ობლიგაციონერების წარმომადგენელი შეწყვეტს წინამდებარე პროსპექტიდან, ობლიგაციონერების წარმომადგენელთან ხელშეკრულებიდან, იპოთეკის ხელშეკრულებითა ან/და გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი მოვალეობების შესრულებას.

3.14. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის „ობლიგაციები“ მისთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება „ობლიგაციების“ გამოყენება გირავნობის საგნად სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები „ობლიგაციების“ შექმნას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩეველებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება „ობლიგაციები“ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

3.15. ობლიგაციების შექმნაზე განაცხადი შესაძლოა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შექმნაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, „ემიტენტის“ გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობაზე ან გააგრძელოს ამ პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ თავში „*ობლიგაციების გამოშვების პირობები*“.

3.16. ემიტენტის პარტნიორების ინტერესები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა განსხვავდებოდეს ობლიგაციონერების ინტერესებისგან

„ემიტენტს“ ჰყავს სამი პარტნიორი: შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“ (82%), შპს „ჯეო ჰაიდრო კაპიტალ გრუპი“ (13%) და შპს „ენერჯი სოლუშენს“ (5%) (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი „*ძირითადი პარტნიორები*“), რომლებსაც შეუძლიათ გააკონტროლონ იმ ქმედებების შედეგი, რომლებიც საჭიროებს პარტნიორთა თანხმობას. პარტნიორებს ასევე აქვთ შესაძლებლობა დაამტკიცონ „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და ამით შეუძლიათ გავლენა მოახდინონ „კომპანიის“ საოპერაციო და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე. „ემიტენტის“ პარტნიორთა ინტერესები შეიძლება განსხვავდებოდეს „ემიტენტის“ კრედიტორების, მათ შორის, ობლიგაციონერების, ინტერესებისგან.

3.17 საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს

„კომპანია“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არაფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და პროსპექტის ფარგლებში გათვალისწინებულ მექანიზმებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

შეთავაზების მიზნები და მოზიდული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს ჯამურად 15,000,000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას, საიდანაც მიღებული წმინდა სახსრები იქნება არანაკლებ მოზიდული სახსრების 98%-ისა.

შეთავაზებიდან მიღებული წმინდა სახსრები სრულად მოხმარდება სს „თიბისი ბანკის“ არსებული სესხის 18,240,000 (თვრამეტი მილიონ ორას ორმოცი ათასი) აშშ დოლარის ნაწილობრივ რეფინანსირებას. აღსანიშნავია, რომ არ მოხდება სესხის სრული რეფინანსირება და, შესაბამისად, „ემიტენტს“ დარჩება დავალიანება სს „თიბისი ბანკის“ წინაშე აღნიშნული დავალიანების უზრუნველსაყოფად რეგისტრირებულ პირველი რიგის იპოთეკასა და გირავნობასთან ერთად.

„კომპანიის“ კაპიტალიზაციისა და დავალიანების შესახებ ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ თავი - „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები

მიხეილ ნიბლაძე - შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი აბრამიშვილი - შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ გენერალური დირექტორი

პასუხისმგებელი პირების განცხადება

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ: „სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“

„ემიტენტის“ 2021 და 2022 წლების ფინანსური აუდიტორი: შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“ („PwC“), ს/ნ: 405220611; მისამართი: King David ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის N12, მე-7 სართული, თბილისი 0171, საქართველო; ტელ.: +995 32 250 80 50, ვებ-გვერდი: www.pwc.com/ge.

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა „კომპანიის“ ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

საკრედიტო რეიტინგი: „კომპანიას“ არ გააჩნია საკრედიტო რეიტინგი.

„ემიტენტის“ რეგისტრატორი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 205156374; მისამართი: თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. N11; ტელ: (+995 32) 2 25 15 60; ელ. ფოსტა: info@usr.ge.

განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“, ს/ნ: 204929961; მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 33.

ობლიგაციონერების წარმომადგენელი: ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204484628; ტელ.: 0322 207 407; მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, კორპუსი IV, მე-IV სართული, ოფისი 28. ელ. ფოსტა: info@nplaw.ge) შესრულებს ობლიგაციონერების წარმომადგენლის ფუნქციას „ემიტენტთან“ დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ძირითადი საქმიანობა

კომპანიის მიმოხილვა

„ემიტენტი“ არის შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. ულის ქ. №5 / ჯიქიას ქ. №10, ბინა 37.

რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო.

მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

დაარსების თარიღი: 2013 წლის 18 ივნისი.

„კომპანიის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის ოპერირება (ელექტროენერჯის წარმოებისა და ვაჭრობის ჩათვლით) და მასთან დაკავშირებული საინვესტიციო, საოპერაციო, ფინანსური (და ა.შ.) საქმიანობა.

„კომპანიამ“ საქართველოს მთავრობასთან გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი (MoU) 2016 წლის 19 ოქტომბერს (ცვლილების თარიღი - 2019 წლის 3 დეკემბერი). „კომპანია“ ფლობს და მართავს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, კონკრეტულად კი - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახამში, მდინარე ლახამზე არსებულ 2 კასკადური ტიპის, მდინარის მოდინებაზე (run-of-the-river) არსებულ ლახამი 1 და 2 ჰიდროელექტროსადგურს. „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ენერჯის აქტივების ჯამური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 15.9 მგვტ-ს, წლიური გამომუშავება - 62.2 გვტს-ს¹³, ხოლო ჰესების საშუალო ეფექტიანობა კი დაახლოებით 45%-ია. თითოეული განთავსებული ჰიდროელექტროსადგური მოიცავს სათავე ნაგებობას, თევზსავალს, მიწისქვეშა მილსადენსა და ჰესის შენობას. სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2018 წელს და წარმატებით დასრულდა 2020 წელს.

„ემიტენტის“ ორივე ელექტროსადგური სარგებლობს ესკოსთან გაფორმებული გრძელვადიანი ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) (დამატებითი ინფორმაცია PPA-სთან დაკავშირებით იხილეთ თავში „ინდუსტრიის აღწერა“ - ქვეთავი „განახლებადი ენერჯის განვითარების მხარდაჭერა“).

საოპერაციო საქმიანობა

„კომპანიის“ ბიზნეს საქმიანობა მოიცავს კასკადური ტიპის ლახამი 1 და ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და ოპერირებას.

„კომპანია“ ახორციელებს ელექტროენერჯის რეალიზაციას როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტის გზით თურქეთის რესპუბლიკაში.

PPA-ს ფარგლებში, ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, „კომპანიას“ შესაძლებლობა აქვს ელექტროენერჯია ექსკლუზიურად მიყიდოს ესკოს 8 თვის მანძილზე (სექტემბერი-აპრილი) მაქსიმალური ფასით 6.00 აშშ ცენტი/კვტს-სთვის, ან მიყიდოს ელექტროენერჯია ნებისმიერ მხარეს საქართველოში. სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „კომპანიას“ ასევე აქვს უფლება დარჩენილი 4 თვის (მაისი-აგვისტო) პერიოდში განახორციელოს თავისუფალი არჩევანი და მოახდინოს ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში.

ცხრილი 7: ლახამი 1 და ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და კომერციული პარამეტრები

ელექტროსადგური	ლახამი 1 ჰესი	ლახამი 2 ჰესი	კასკადი
დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	6.40	9.50	15.90
ეფექტურობის მაჩვენებელი ¹⁴	c. 45%	c. 45%	c. 45%
ოპერირების დაწყების თარიღი	17-ოქტ-2020	19-აგვ-2020	
PPA ფასი (აშშ ცენტი/კვტს)	6.00	6.00	6.00
PPA დაფარული პერიოდი (თვე)	8 თვე (სექ-აპრ)	8 თვე (სექ-აპრ)	8 თვე (სექ-აპრ)
PPA მოქმედების პერიოდი	10 წელი	10 წელი	10 წელი
PPA დასრულების თარიღი (წელი)	2030	2030	2030

¹³ 2022 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლები

¹⁴ დათვლილია 2022 წლის გენერაციის მიხედვით

ლახამი 1 ჰიდროელექტროსადგური არის მდინარის მოდინებაზე მომუშავე სადგური 6.4 მგვტ დადგმული სიმძლავრით, რომელიც მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მისი მშენებლობა დაიწყო 2018 წელს და დასრულდა 2020 წელს. „ლახამი 1“ ჰესის კომერციული ოპერირება დაიწყო 2020 წლის 17 ოქტომბერს.

ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგური არის მდინარის მოდინებაზე მომუშავე სადგური 9.5 მგვტ დადგმული სიმძლავრით, რომელიც მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მისი მშენებლობა დაიწყო 2018 წელს და დასრულდა 2020 წელს. „ლახამი 2“ ჰესის კომერციული ოპერირება დაიწყო 2020 წლის 19 აგვისტოს.

პროექტის ჯამური ღირებულება (დღგ-ს გარეშე) დაახლოებით 31.0 მილიონი აშშ დოლარია (c. 1.95 მილიონი აშშ დოლარი ერთ მეგავატზე). როგორც აღინიშნა, „ემიტენტს“ აქვს უფლება რომ არსებული PPA-ის თანახმად, ელექტროენერჯის გამომუშავების დაწყებიდან პირველი 10 წლის განმავლობაში სექტემბერი-აპრილის განმავლობაში გაყიდოს 6 აშშ დოლარი ცენტი კვტ/სთ, ხოლო წლის დარჩენილ პერიოდში შეუძლია გაყიდოს ორმხრივი ხელშეკრულებების მიხედვით


2022 წელს PPA ხელშეკრულების ფარგლებში და ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობებით ესკოზე რეალიზაცია „ემიტენტის“ კასკადის გენერაციის დაახლოებით 50.6%-ს შეადგენდა, ხოლო 2021 წელს იგივე მაჩვენებელი 78.6%-ს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „კომპანიას“ გარკვეული პერიოდულობით ენიჭება თავისუფალი არჩევანის უფლება, რომ ელექტროენერჯია ექსპორტზე გაიტანოს თურქეთში (თურქეთის საექსპორტო ხაზი ახალციხე-ბორჩხა პრიორიტეტული დაშვების უფლებით). 2021 წელს „კომპანიის“ მიერ დაგენერირებული 42,944 მგვტ/სთ ელექტროენერჯია სრულად ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდა. 2022 წელს „კომპანიის“ ადგილობრივი რეალიზაცია 48,083 მგვტ/სთ-ს შეადგენდა, რაც წინა წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით 12%-ით მეტია. გარდა ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვების ზრდისა, „კომპანიამ“ შეძლო საექსპორტო ბაზარზე დამატებით 14,076 მგვტ/სთ-ის რეალიზაცია, რაც 2022 წლის ჯამური რეალიზაციის 22.6%-ია. გენერაციის განაწილება რეალიზაციის მიხედვით 2021¹⁵-2022 წლებში ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე.

2022 წელს კომპანიის რეალიზაცია კონტრაქტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: კონტრაქტი N1 (ესკო) - 50.6%, კონტრაქტი N2 - 30.5%, კონტრაქტი N3 - 9.5%, კონტრაქტი N4 - 9.4%.


2023 წლის პირველ ნახევარში „კომპანიის“ ჯამურ გენერაციაში ესკოსთან რეალიზაციის წილი (45.7%) წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელთან (39.1%) შედარებით, გაიზარდა 6.7%-ით. ამ პერიოდის განმავლობაში, ჯამური რეალიზაცია, წინა წელთან შედარებით, 7.6%-ით გაიზარდა და 40,584 მგვტ/სთ შეადგინა. 2022 წელს „კომპანიამ“ მისი-ივნისის თვის გამომუშავების მნიშვნელოვანი ნაწილი თავადვე გაიტანა თურქეთის რესპუბლიკაში პირდაპირი კონტრაქტის მეშვეობით. რაც შეეხება 2023 წლის ანალოგიურ პერიოდს, სავაჭრო კონტრაქტები გაფორმდა ადგილობრივ კომპანიებთან. თუმცა ძირითადად ადგილობრივმა შემსყიდველმა თავის მხრივ გენერაციის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ გაიტანა თურქეთის რესპუბლიკაში.

¹⁵ 2021 წელი არ ასახავს კასკადის რეალურ შედეგს, რადგან ჰესის ოპერირება შემცირებული იყო 2021 წლის 16 მაისიდან - 2021 წლის 26 ივნისამდე, ტექნიკური შეფერხების გამო, რაც მალევე გამოსწორდა არსებული საგარანტიო ხელშეკრულების პირობებით

გრაფიკი 1: „კომპანიის“ გენერაცია 2021-2023 1 ნახევარი, მგვტ/სთ




გრაფიკი 2: გენერაციის პროცენტული განაწილება რეალიზაციის და ბაზრების მიხედვით



ჰიდროელექტროსადგური აღჭურვილია უმაღლესი ხარისხის, ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი, ტექნოლოგიებითა და დანადგარებით: ტურბინები, ჰიდრავლიკის სისტემა, გენერატორი, ელექტრული მოწყობილობები, ტრანსფორმატორები, მილსადენი და ა.შ. კონკრეტულად, „ემიტენტის“ ჰესები აღჭურვილია ავსტრიული, დასავლეთ ევროპაში წარმოებული ტურბინა-გენერატორებით.

ლახამი ჰესი წარმოადგენს ე.წ. „მოდინებაზე“ (run-of-river) ოპერირებად ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც მდინარეში არსებული წყლის დონის მიხედვით რეალურ დროში ახდენს ელექტროენერჯის გამომუშავებას. მდინარის მოდინებაზე აშენებული ჰესებისთვის წყლის ხელმისაწვდომობა სეზონურია. წყლის ყველაზე ძლიერი მოდინება, როგორც წესი, მაისი-ივნისის პერიოდში ხდება. მდინარეში წყლის რაოდენობა პირდაპირ არის დამოკიდებული რეგიონის და წყალმომარაგების აუზის მასშტაბით არსებულ ნალექიანობაზე (წვიმის სიხშირეზე, მოსული თოვლის სიდიდესა და დნობის ინტენსივობაზე). აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობა განსხვავებულია არა მხოლოდ წლის ჭრილში, არამედ ჰიდროლოგიური წელიწადის მიხედვითაც.

გრაფიკი 1: გენერაციის სეზონურობა, 2022 წელი (მგვტ/სთ)



როგორც ზემოთა გრაფიკზეა ნაჩვენები, ლახამი ჰესების კასკადისთვის წლის განმავლობაში ორი პიკური პერიოდი არსებობს: აპრილი-ივნისი და ოქტომბერი-ნოემბერი. აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის თვეში პიკური პერიოდი „ემიტენტს“ საშუალებას აძლევს მაღალი გენერაცია ჰქონდეს PPA დაფარვის თვეებში, რა დროსაც გარანტირებული აქვს ელექტროენერჯის გაყიდვა მაღალ ფასში 6.0 ცენტში.

„ემიტენტის“ საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

- **2013 წლის 12 სექტემბერი:** საქართველოს მთავრობასა და „კომპანიას“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანი იყო ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა;
- **2015 წლის 26 ნოემბერი:** „კომპანია“ მოიპოვა ლახამი ჰესების აშენების უფლება საქართველოს მთავრობის მიერ 49 წლიანი აღნაგობით გადაცემულ მიწებზე;
- **2016 წლის 19 ოქტომბერი:** „კომპანია“ გააფორმა მემორანდუმი საქართველოს მთავრობასთან, რომლის თანახმადაც, მას აქვს უფლება, რომ ზამთრის სეზონზე (სექტემბერი-აპრილი) გამომუშავებული ელექტროენერჯია სრულად მიყიდოს ესკოს ოპერირების პირველი 10 წლის მანძილზე და ასევე „კომპანიას“ მიეცა უფლება ზაფხულის თვეებზე უპირატესი დაშვების უფლებით ესარგებლა თურქეთთან დამაკავშირებელ შავი ზღვის გადამცემ ხაზზე;
- **2019 წლის 3 დეკემბერი:** „ემიტენტის“ მფლობელობაში ცვლილებიდან გამომდინარე მოხდა განახლებული მემორანდუმის ხელმოწერა, რომლის კომერციულ პირობებშიც მცირედი ცვლილება განხორციელდა და ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესებს ზამთრის სეზონის მანძილზე მიეცათ უფლება თავისი შეხედულებისამებრ განეხორციელებინათ ელექტროენერჯის გაყიდვა ესკოზე ანდა სხვა ადგილობრივ მყიდველზე. მემორანდუმში ასევე დაზუსტდა პროექტების ექსპლუატაციაში გაშვების ვადები.
- **2020 წლის 25 ივნისი და 10 სექტემბერი:** ექსპლუატაციაში შევიდა ლახამი 2 და ლახამი 1 ჰესები. სადგურები ტესტირების რეჟიმში გაეშვა **28 ივლისს და 6 ოქტომბერს**, ხოლო კომერციული ოპერირება დაიწყო **19 აგვისტოს და 17 ოქტომბერს**, შესაბამისად;
- **2020 წლის 13 აგვისტო:** ხელი მოეწერა ესკოსთან გაფორმებულ PPA-ს ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესისთვის. ხელშეკრულებები რეგისტრირებული იქნა სსე-ს მიერ 2020 წლის 27 ოქტომბერს და ამოქმედდა სადგურების კომერციული ოპერირების დაწყების დღიდან;
- **2021 წლის 17 მარტი:** „ემიტენტმა“ არსებული მემორანდუმი ფარგლებში სსე-სთან გააფორმა ელექტროენერჯის გადაცემის გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესებს მიენიჭათ

უპირატესი დაშვება თურქეთთან დამაკავშირებელ შავი ზღვის გადამცემ ხაზზე ზაფხულის თვეების განმავლობაში (მაისი-აგვისტო);

- **2022 წლის მაისიდან ივლისის ჩათვლით:** „კომპანიამ“ წარმატებით განახორციელა ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში, რაც მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯი იყო „ემიტენტისთვის“.

ძლიერი მხარეები

ელექტროენერჯის ბაზრის პოზიტიური დინამიკა

„კომპანია“ სარგებლობს ელექტროენერჯის ბაზრის პოზიტიური დინამიკით, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია (i) ელექტროენერჯის მზარდი მოთხოვნით, (ii) მზარდ მოთხოვნასთან შედარებით მიწოდების სიმცირით და (iii) განახლებადი ელექტროსადგურების განვითარების ნელი ტემპით საქართველოში. ელექტროენერჯიაზე გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ხდება ელექტროენერჯის იმპორტი. შედეგად საქართველო თანდათან გახდა ელექტროენერჯის წმინდა იმპორტიორი.

მენეჯმენტი მოელის ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ზრდის გაგრძელებას. ზრდის მოლოდინი ეფუძნება (i) მშპ-ს ზრდის პროგნოზებს, რაც მჭიდრო კავშირშია ელექტროენერჯის მოთხოვნასთან, ისევე როგორც - (ii) საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაზრდილ მოთხოვნასა და ასევე, სწრაფად მზარდ ტურისტულ სექტორს.

იმპორტზე დამოკიდებული ელექტროენერჯის წილის გაზრდა ადგილობრივ მიწოდებაში დამატებით ზეწოლას ქმნის ელექტროენერჯის ფასებზე. ზოგადად, იმპორტზე დამოკიდებული ელექტროენერჯია (პირდაპირი იმპორტი, თუ თბოსადგურების მიერ იმპორტირებული ბუნებრივი აირით წარმოებული ელექტროენერჯია) ადგილობრივად წარმოებულზე უფრო ძვირია. მიწოდება/მოთხოვნის ბალანსის შემდგომი გაუარესება დიდი ალბათობით გამოიწვევს გამვირებული ელექტროენერჯის დამატების საჭიროებას, რაც სავარაუდოდ უმეტეს თვეებში ზეგავლენას მოახდენს და განსაზღვრავს საბაზრო ფასს.

ჰეჯირებული სავალუტო რისკი

„ემიტენტს“ ჰეჯირებული აქვს სავალუტო რისკები, რადგანაც PPA ხელშეკრულებებით ფასი განსაზღვრულია აშშ დოლარში და საკონტრაქტო პერიოდზე არ ექვემდებარება ცვლილებას. გარდა ამისა, ელექტროენერჯის საბაზრო ფასწარმოქმნა საქართველოში ძირითადად ხდება აშშ დოლარში, იქიდან გამომდინარე, რომ ფასების მამოძრავებელი ძირითადი ფაქტორები ასევე დგინდება აშშ დოლარში, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმპორტირებული ელექტროენერჯის ფასი, სხვადასხვა გრძელვადიანი ხელშეკრულებები და ა.შ. ამასთან ერთად, „კომპანიის“ ფულადი მოძრაობის უწყისში ჩანს, რომ კომპანიის მთავარი ფულადი გასავლები უკავშირდება სესხების გადახდასა და ხელფასებს, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში (დეტალები იხილეთ თავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“). ეს ეფექტურად უზრუნველყოფს „კომპანიისთვის“ ქართული ლარის გაუფასურებისგან გამოწვეული რისკის ჰეჯირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ დოლარი/ქართული ლარის კურსის ბოლო პერიოდების რყევების გათვალისწინებით.

სტაბილური და პროგნოზირებადი ფულადი ნაკადები, გამოწვეული PPA ხელშეკრულებების მოცულობითი დაფარვითა და დაბალი სარემონტო კაპიტალური დანახარჯებით

„კომპანიას“ აქვს სტაბილური და პროგნოზირებადი ფულადი ნაკადები, რაც დიდწილად გამოწვეულია მისი შემოსავლების მაღალი ხილვადობით (PPA ხელშეკრულებებიდან გამომდინარე), დაბალი სარემონტო კაპიტალური დანახარჯების თუ ტექნიკური დანაკარგებით. ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესები მათ მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაციას ახდენენ ესკოსთან გაფორმებული PPA ხელშეკრულებებით, რომლის შემსყიდველსაც ესკო წარმოადგენს. PPA ხელშეკრულება მოქმედებს სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით პერიოდში, ხოლო მაისიდან აგვისტომდე პერიოდში ამ სადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია ხდება საბაზრო ფასად ორმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესები PPA-ით დაფარულ თვეებში გამოიმუშავებენ მათი გენერაციის დაახლოებით ნახევარს (2022 წელს აღნიშნულ 8 თვეში დააგენერირა საკუთარი ჯამური წლიური გენერაციის 50.3%). „კომპანიის“ PPA ხელშეკრულებაში ფასი ფიქსირებულია, რაც ზრდის პროგნოზის საიმედოობას.

იმის გათვალისწინებით, რომ სადგურებმა ოპერირება 2020 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, მათი სარემონტო კაპიტალური დანახარჯების მოთხოვნები შედარებით დაბალია. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ

ტექნიკური სამუშაოების უმეტესობა და ჰესების ყველა შესაბამისი ტექნიკური სამუშაოები, უკვე შედის საოპერაციო ხარჯებში. გარდა ამისა, ჰესები, ექსპლუატაციის პირველი 10 წლის განმავლობაში, არსებითად არ საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

ხელსაყრელი მარეგულირებელი რეჟიმი, ელექტროენერჯის ბაზრის დერეგულირების შედეგად მოსალოდნელი დამატებითი შესაძლებლობებით

საქართველოს ელექტროენერჯის ბაზარი დერეგულირების პროცესშია როგორც მოხმარების, ასევე - გენერაციის მხრივ. დერეგულაციის პირველი დიდი ტალღა განხორციელდა 2018 წლის მაისში, როდესაც ელექტროენერჯის მსხვილი მომხმარებლები რეგულირებული ფასწარმოქმნის მექანიზმიდან საბაზრო ფასწარმოქმნაზე გადაერთვნენ. 2018 წლის შემდეგ, დერეგულირება შეეხო ყოველ ისეთ მომხმარებელს, რომელთა ყოველთვიური მოხმარებაც 0.4 გვტ.სთ-ს აღემატებოდა და მიერთებული იყო 35-110 კილოვატის მქონე გადაცემის ხაზზე. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია დერეგულირებული ელექტროენერჯის ბაზრის მოცულობის გასამაგება საქართველოში. უკვე დაგეგმილია დერეგულაციის შემდგომი ტალღებიც, რომლებიც გულისხმობს (i) ყოველთვიური მოხმარებისა და (ii) ქსელთან მიერთების ხაზის ძაბვის უფრო მკაცრი კრიტერიუმების შემოღებას. სამომავლოდ, 2026 წლიდან დაგეგმილია ყველა ტიპის მომხმარებლის დერეგულირება გარდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისა.

მიწოდების მხარეს რაც შეეხება, ყველა ჰიდროელექტროსადგური (სიმძლავრის მიუხედავად), რომელიც გაშვებულია 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, სრულად დერეგულირებულია ელექტროენერჯის სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის ნაწილში და თანდათანობით მიმდინარეობს ძველი ელექტროსადგურების დერეგულირება. კერძოდ, 2017 წლის ივნისში, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს მამინ მოქმედ კანონში ცვლილებები შევიდა, რომლის ფარგლებშიც 2008 წლის პირველ აგვისტომდე აშენებული 40 მგვტ-ზე ნაკლები საპროექტო სიმძლავრის ყველა ჰესი დერეგულირდა. მოგვიანებით კი, 2021 და 2022 წლებში რეგულირებიდან ეტაპობრივად გავიდა ჯერ 50 მგვტ.-მდე, შემდეგ კი 65 მგვტ.-მდე საპროექტო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები. პროცესის მიმდინარეობის პარალელურად, თანდათანობით განხორციელდება ელექტროსადგურების დიდი ნაწილის დერეგულირება. ამ შემთხვევაში დერეგულირება ეხება ელექტროენერჯის სავაჭრო ფასს, ხოლო ლიცენზირების ნაწილში დერეგულირებულია 15 მეგავატამდე საპროექტო სიმძლავრის მქონე სადგურები (მცირე სიმძლავრის სადგურები).

მენეჯმენტი თვლის, რომ ენერგეტიკული ბაზრის დერეგულირება დადებითად იმოქმედებს ელექტროენერჯის გაყიდვის ფასებზე, ბაზრის ლიკვიდობის გაზრდისა და თავისუფალი საბაზრო ფასწარმოქმნის გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ განპირობებული იქნება მოგებაზე ორიენტირებული ბაზრის მოთამაშეთა რაოდენობის ზრდით და გაყიდვების დივერსიფიცირებით.

მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი

„ემიტენტის“ მმართველი ორგანო დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომლებსაც აქვთ ბიზნესის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება და ფლობენ სათანადო კვალიფიკაციას „კომპანიის“ წარმატებით განსავითარებლად (მმართველი გუნდის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ თავი „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“). „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქვთ სხვადასხვა სექტორში (ენერჯეტიკა, ფინანსური, საბანკო, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ბუნებრივი რესურსები და სხვა) არსებული წარმატებული კომპანიების მართვის მრავალწლიანი გამოცდილება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მენეჯმენტის მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება ენერჯეტიკის სექტორში, რაც სხვა დანარჩენთან ერთად კარგ წინაპირობას ქმნის წარმატებული საქმიანობისთვის.

სტრატეგია და ამოცანები

„ემიტენტი“ უშუალოდ ახორციელებს განახლებადი ენერჯის მოქმედი და სრულად ოპერირებადი აქტივების მართვას. ამ ეტაპისთვის, „კომპანია“ არ მოელის მის საქმიანობაში რაიმე ტიპის არსებითი ცვლილებების განხორციელებას ან მნიშვნელოვანი/დიდი პროექტების განხორციელებას. უფრო კონკრეტულად, „ემიტენტის“ ბიზნეს სტრატეგიის ძირითადი ელემენტები შემდეგია:

ელექტროენერჯის ბაზრის შესაძლებლობით სარგებლობა და ხელსაყრელი საბაზრო პირობების კაპიტალიზაცია

საქართველოში არსებობს მრავალი დადგენილება და ასევე მხარდაჭერის მექანიზმი მზის, ქარისა და ჰიდრო ენერჯის წარმოებისთვის, როგორც საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა, სამოქმედო გეგმის (CCSAP) და „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის ნაწილი. განახლებადი ენერჯის წყაროები, არსებულ და ტრადიციული საშუალებებთან შედარებით, განიხილება, როგორც ენერჯის წარმოების მომავალი, ძირითადი და ღირებული წყარო.

„კომპანიის“ საქმიანობა საქართველოში ელექტროენერჯის ბაზრის შესაძლებლობებით სარგებლობას და ხელსაყრელი პირობების კაპიტალიზაციას ისახავს მიზნად. ენერჯეტიკული ბაზრის სტრუქტურის ევროკავშირის დირექტივებთან თანდათანობითი ჰარმონიზაციის ფონზე შეიქმნება უფრო ლიკვიდური, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე ბაზარი. 2020 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის კონცეფცია.

ახალი ბაზრის მოდელის კონცეფციით განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ბაზრის მონაწილეების ახალი ფუნქცია-მოვალეობები და ითვალისწინებს საბითუმო დონეზე დღით ადრე, დღიურ, ორმხრივი ხელშეკრულებების, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრების დანერგვას. დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორი არის სს „საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟა“, ხოლო საბალანსო და დამხმარე ბაზრის ოპერატორია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, რომლებიც დღესდღეობით ტესტირებისა და სიმულაციის რეჟიმში მუშაობენ ბაზრის ყველა მონაწილის ჩართულობით. დღით ადრე და დღიური ბაზრების, აგრეთვე საბალანსო ბაზრების ამოქმედება 2024 წლის ივლისიდან იგეგმება, რის შედეგადაც კომპანიები მოახდენენ ელექტროენერჯის საათობრივ შემენა/გაყიდვას გეგმების საფუძველზე, ხოლო ფაქტიური მონაცემების მიხედვით განხორციელდება მათთვის უბალანსობის საფასურის გაანგარიშება.

აღსანიშნავია, რომ განახლებადი ენერჯეების მხარდაჭერის მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი სქემა ითვალისწინებს სიმძლავრის აუქციონის შედეგად შერჩეულ პირებთან, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის (feasibility study) ეტაპის წარმატებით გასვლის შემთხვევაში, ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულებების (ე.წ. CfD) გაფორმებას. PPA ფორმატისგან განსხვავებით (რომელშიც PPA-თ გათვალისწინებულ პერიოდში სადგურის სრული გამომუშავების შესყიდვა ხდება ესკოს მიერ, შეთანხმებულ ფასად), მხარდაჭერის ახალი მექანიზმით (CfD) მოსარგებლე ელექტროსადგურმა თავად უნდა უზრუნველყოს გამომუშავებული ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე (დღით ადრე ბაზარზე) გატანა და გაყიდვა. ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულებების საფუძველზე, მხარდაჭერის სქემით მოსარგებლე ელექტროსადგურს ესკო აუნაზღაურებს დღით ადრე ბაზარზე დაფიქსირებულ ფასსა და აუქციონში შეთავაზებულ ფასს შორის უარყოფითი სხვაობას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დღით ადრე ბაზარზე დაფიქსირებული ფასი აუქციონში შეთავაზებულ ფასზე მაღალია, აღნიშნული სხვაობა ელექტროსადგურმა უნდა აუნაზღაუროს ესკოს. შესაბამისად, რეფორმირებული ბაზრების გახსნა აუცილებელი წინაპირობაა განახლებადი ენერჯეების ახალი მხარდაჭერის სქემის ამოქმედებისათვის.

საერთო ჯამში, საქართველოს განახლებადი ენერჯის ბიზნესში მოსალოდნელია ელექტროენერჯის ბაზარზე დაგეგმილი რეფორმების მიღება, რაც კიდევ უფრო დადებით გავლენას მოახდენს ელექტროენერჯის ფასებზე.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (“ESG”) საკითხები და მდგრადი განვითარების მიზნები (“SDG”) კომპანიის სტრატეგიის ნაწილია

„ემიტენტის“ მიდგომა ESG საკითხებთან მიმართებით ასახულია „კომპანიის“ სტრატეგიასა და მართვის პრინციპებში, რომელთაგანაც ყველა მიჰყვება და შეესაბამება უმაღლესი დონის ESG სტანდარტებს როგორც IFC-ის და EIB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები. განახლებადი ენერჯის ბიზნესი ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებების შეჩერებას (მიტიგაციას) და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას. მწვანე პროექტები ხელს უშლის გარემოს დაბინძურების მატებას, რადგან განახლებადი ენერჯის გენერაციის ობიექტების ოპერირების პროცესში მინიმუმამდე არის დაყვანილი ემისიების გამოყოფა და, შესაბამისად, ხდება გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება, რაც ერთობლივად ეხმარება საქართველოს გარდაიქმნას უფრო მდგრად და დაბალემისიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნად.

„კომპანიას“ აქტიურად შეაქვს წვლილი შემდეგი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში (“SDG”):

- მიზანი 1: არა სიღარიბეს;
- მიზანი 4: ხარისხიანი განათლება;
- მიზანი 5: გენდერული თანასწორობა;
- მიზანი 6: სუფთა წყალი და სანიტარია;
- მიზანი 7: ხელმისაწვდომი და სუფთა ენერჯია;

- მიზანი 8: ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
- მიზანი 13: კლიმატის მდგრადობის მიღწევა;
- მიზანი 14: წყალქვეშა რესურსები;
- მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარებისათვის.

„კომპანიის“ მიზანია შეინარჩუნოს მდინარე ლახამის ბიომრავალფეროვნება და არ დაუშვას მისი განადგურება. ამის მაგალითია ლახამი ჰესების თევზსავალის არსებობა, რაც უზრუნველყოფს დადგენილი მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის გატარებას მდინარის ქვედა ბიეფში და საქართველოს წითელი ნუსხით დაცული თევზის სახეობის (მდინარის კალმახის) შეუფერხებელ მიგრაციას. ამის გარდა, „კომპანიას“ შემუშავებული აქვს მდინარე ლახამის იქთიოფაუნის მონიტორინგის პროგრამა, რომელიც დანერგილი და განხორციელებულია საუკეთესო ქართული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანიების მიერ.

ლახამი ჰესის პროექტის დაწყების დღიდან „კომპანია“ ზრუნავს სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე. ლახამის პროექტის პოზიტიური გავლენა და სარგებელი მოიცავს ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმებას მშენებლობის ეტაპზე (დაახლოებით 100 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო დასაქმებული მშენებლობის აქტიურ ფაზაზე), ასევე აღსანიშნავია ისეთი სოციალური პროექტების განხორციელება, როგორებიცაა: სოფელ ლახამში (i) სასმელი წყლის სისტემის პროექტი, რომლის საშუალებით სოფელ ლახამის 50 ოჯახი დაკავშირებულია წყლის რეზერვუართან უწყვეტი წყალმომარაგებისთვის, (ii) ძველი საყრდენი ბოძების და ელექტროსადენების გამოცვლა და შედეგად სოფელ ლახამის და ლუხის ელექტროფიკაცია, (iii) 500 ადამიანზე გათვლილი რიტუალების სახლის მშენებლობა, (iv) მესტიის მუზეუმის სარემონტო სამუშაოები, (v) სოფელ ლახამსა და ლუხში საფეხმავლო ხიდების მშენებლობა და (vi) სოფელ ლახამის სასაფლაოს შემოღობვა. აღსანიშნავია, რომ „კომპანია“ იცავს ეგრეთ წოდებულ კეთილმეზობლურ პრინციპებს, ამიტომ სოციალური მხარდაჭერა ხორცილდებოდა არა მხოლოდ სოფელ ლახამში, არამედ მოიცავდა სოფელ ლუხსა და მესტიას.

აღსანიშნავია, რომ განახლებადი ენერჯის ბიზნესი ზოგადად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს მდგრადობის გაუმჯობესებაში. 2022 წელს, ბიზნესმა გამოიმუშავა 62.2 გვტსთ, რამაც 12,127 ტონის ეკვივალენტი გამოწარმოა ჩაანაცვლა. სამომავლოდ, განახლებადი ენერჯის ბიზნესი კიდევ უფრო გაზრდის მის წვლილს მწვანე ენერჯის წარმოების განვითარებაში და შეამცირებს საქართველოს ნეგატიურ ზეგავლენას გარემოზე.

ინვესტიციები

განხორციელებული ინვესტიციები

„ემიტენტმა“ ჰესების კასკადის (2 ჰიდროელექტროსადგური) პროექტის მიმდინარეობისას ითანამშრომლა არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრის ლიდერ კომპანიასთან, რათა უმაღლესი ხარისხით მომხდარიყო ჰესების მშენებლობა.

ჰესების ტურბინებთან ერთად, ელექტრომექანიკური დანადგარები „კომპანიამ“ შეისყიდა „გლობალ ჰაიდროსგან“, რომლის ღირებულებაც დაახლოებით 5 მილიონ აშშ დოლარს აღწევს, ხოლო სამშენებლო სამუშაოები, დაიწყო თურქულმა კომპანია Synergy-მ და დაასრულა თავად „ემიტენტმა“. სამშენებლო სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ დაახლოებით 17 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

ჯამურად ორივე ჰესის კაპიტალური ხარჯების ნიშნული დაახლოებით 31 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულია ჰესების მნიშვნელოვანი ტექნიკური მოწყობილობების მომწოდებლების დასახელება, რომლებთანაც „კომპანია“ აქტიურად თანამშრომლობდა და დღესაც აგრძელებს ურთიერთობას:

ცხრილი 8: ტექნიკური მოწყობილობების მომწოდებლების დასახელება

მოწყობილობა	კომპანია	ქვეყანა
ტურბინები	გლობალ ჰაიდრო	ავსტრია/გერმანია
ჰიდრავლიკური სისტემა	გლობალ ჰაიდრო	ავსტრია/გერმანია
გენერატორი	ლეროი-სომერ ნაიდეკი	საფრანგეთი
ელექტრული მოწყობილობები	გლობალ ჰაიდრო	ავსტრია/გერმანია

ტრანსფორმატორები	აბზ ჰიტაჩი	თურქეთი
მილსადენი	მაზლუმი; სუპერ ლიტი	თურქეთი

სამომავლოდ დაგეგმილი ინვესტიციები

„კომპანია“ 2023 წელს გეგმავს ახალი კაპიტალური დანახარჯების გაწევას, რითიც უნდა მოხდეს ხუდონის ქვესადგურში გარკვეული ტექნიკური სამუშაოების განხორციელება, რათა ლახამი ჰესმა შეძლოს გამომუშავებული ელექტროენერჯის ქსელში მიწოდება, კერძოდ (i) ლახამი-საგერგო და (ii) საგერგო-ხუდონის დამაკავშირებელი ელექტრო-გადამცემი ხაზის მეშვეობით. საინვესტიციო სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 400,000 აშშ დოლარს, რასაც „კომპანია“ დააფინანსებს პერიოდის მანძილზე გენერირებული მოგებით.

ამას გარდა, ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჰიდროელექტროსადგურებს დასჭირდეს პერიოდული მოვლა/განახლების კაპიტალური პროგრამის დაფინანსება, რათა თავიდან იქნას არიდებული ექვეტურობის რისკის შემცირება და მოხდეს კასკადის სტაბილური, შეუფერხებელი ფუნქციონირება.

დაზღვევა

ინდუსტრიის საერთაშორისო თუ ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, „კომპანია“ ინარჩუნებს ყოვლისმომცველ სადაზღვევო დაფარვას საკუთარი ბიზნესის, ქონების, ვალდებულებებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობის/უსაფრთხოების მიმართ. დაზღვევა პოტენციური რისკის დაზღვევისთვის ვრცელდება ისეთ კრიტიკულ არეალებზე, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ბიზნესის ოპერირებისთვის. შესაბამისად, სადაზღვევო პაკეტი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი რისკების დაზღვევით: ქონების სრული, მანქანა-დანადგარების დაზიანება/შეფერხების, სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები, ბიზნესის უწყვეტობის და მოგების დაკარგვის, და მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის.

კონკურენტული პოზიცია

მოცემულ სექციაში ნაჩვენებია „ემიტენტის“ ძირითადი ფინანსური ინფორმაცია ბაზრის სხვა მოთამაშეებთან მიმართებაში ქვემოთ მოყვანილია ორი კონკურენტი კომპანია, რომლებიც კომპანიის მსგავსია ოპერაციებისა და მასშტაბის შესადარისობის საფუძველზე. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიების ინდივიდუალური ანგარიშებიდან აღებული მონაცემები.

- შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ – (ს/ნ: 404485188) - საშუალა ჰესი, საშუალა ჰესი 1 და საშუალა ჰესი 2:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერჯის გამომუშავება და რეალიზაცია საქართველოში. საშუალას კასკადი შედგება ჯამში 15.25 მგვტ დადგმული სიმძლავრის სამი ჰესისგან: საშუალა ჰესი (2.25 მგვტ დადგმული სიმძლავრით, ექსპლუატაციაში გაეშვა 2022 წელს), საშუალა ჰესი 1 (8.00 მგვტ, ექსპლუატაციაში გაეშვა 2020 წელს) და საშუალა ჰესი 2 (5.00 მგვტ, ექსპლუატაციაში გაეშვა 2019 წელს).

- შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ“ (ს/ნ: 205270810) - ბახვი 3:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის მფლობელობა და ექსპლუატაცია. კომპანია დაფუძნდა შპს „როტერმან-ჯორჯიასა“ და შპს „ჯორჯიან ჰაიდრო პაუერს“ შორის პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, კერძოდ კი საქართველოში, ოზურგეთში მდინარე ბახვისწყალზე ბახვი 3-ის ჰიდროელექტროსადგურის (10 მგვტ¹⁶) ერთობლივად მშენებლობის, ექსპლუატაციაში გაშვებისა და გამოყენების მიზნით. აღნიშნული ჰიდროელექტროსადგური სრული დატვირთვით მუშაობს 2015 წლის ზაფხულიდან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მაჩვენებლები წარმოდგენილია 2022 ფინანსური წლისთვის (დამატებულია „ემიტენტის“ 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ბოლო თორმეტი თვის მაჩვენებლები), ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) შესაბამისად. „ემიტენტის“ მონაცემები შედარებულია დაახლოებით იგივე სიმძლავრის ჰესებთან.

¹⁶ წყარო: <https://ghp.ge/>

ცხრილი 9: კონკურენტული პოზიცია

ძირითადი მაჩვენებლები	ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი 2023 HY ¹⁷	ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი 2022	ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია 2022	ბაზვი ჰაიდრო პაუერ 2022
ჯამური სიმძლავრე, მგვტ/სთ მოგება-ზარალი	15.9	15.9	15.25	10.0
შემოსავალი ¹⁸	11,437	10,834	8,516	7,397
EBITDA ¹⁸	9,008	7,734	6,702	5,043
EBITDA მარჟა	78.8%	71.4%	78.7%	68.2%
EBIT ¹⁸	6,864	5,585	5,220	4,150
EBIT მარჟა	60.0%	51.6%	61.3%	56.1%
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება¹⁸				
მიმდინარე აქტივები	7,789	4,526	1,462	1,722
LT აქტივები	59,594	60,410	62,102	22,094
მიმდინარე ვალდებულებები	5,294	4,832	6,595	1,641
LT ვალდებულებები	46,812	49,232	57,984	9,175
ფულადი ნაკადების ანგარიშგება¹⁸				
CFO	8,600	8,077	5,608	5,161
CFI	(110)	3	(10,074)	(1,360)
CFF	(6,499)	(4,791)	4,003	(4,804)
კოეფიციენტები				
წმინდა ვალი/EBITDA	4.89	6.33	6.86	1.82
მიმდინარე კოეფიციენტი	1.47	0.94	0.22	1.05
ICR	1.29	1.07	1.29	2.71

შენიშვნა: ვთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი ძირითადი მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდოლოგია და განმარტებები შეესაბამება მიდგომებს, რომლებიც ასევე გამოყენებულია წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში სახელწოდებით „შერჩეული ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“, „პროსპექტის ზოგადი მიმოხილვის“ თავში.

ინფორმაცია მატერიალური კონტრაქტების შესახებ

„ემიტენტის“ მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს განეკუთვნება ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს მთავრობას, ესკოს, სსე-ს, სს „გაერთიანებულ ენერჯეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და „კომპანიას“ შორს. მემორანდუმს ხელი მოეწერა 2016 წლის 19 ოქტომბერს (ცვლილების თარიღი - 2019 წლის 3 დეკემბერი), ხოლო 2021 წელს, არსებული მემორანდუმის ფარგლებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ გააფორმა ელექტროენერჯის გადაცემის გრძელვადიანი ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესებს მიენიჭათ უპირატესი დაშვება თურქეთთან დამაკავშირებელ შავი ზღვის გადამცემ ხაზზე ზაფხულის თვეების განმავლობაში (მაისი-აგვისტო). ხელშეკრულებებზე „ემიტენტის“ ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობები არის შემდეგი:

- საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლის განმავლობაში ყოველი წლის ზამთრის თვეებში (სექტემბერი-აპრილი), ელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამოიმუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია სრულად უნდა განხორციელდეს საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე;

¹⁷ დათვლილია ბოლო 12 თვის მონაცემებით
¹⁸ მონაცემები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში

- საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში „კომპანია“ უფლებამოსილია, საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე ან/და განახორციელოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე ან/და განახორციელოს ექსპორტი ნებისმიერი მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობისა და მემორანდუმში მითითებული პირობების შესაბამისად;
- საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის თვეებში ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ესკოზე ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების პუნქტში ტარიფით 6 (ექვსი) აშშ ცენტი - 1 კვტ.სთ;
- „კომპანია“ უფლებამოსილია ზაფხულის პერიოდის (მაისი-აგვისტო) მანძილზე ელექტროენერჯის რეალიზაცია განახორციელოს თავისი შეხედულებისამებრ, მათ შორის მოახდინოს გაყიდვა საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე ან/და განახორციელოს ექსპორტი ნებისმიერი მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლის განმავლობაში, ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით, სსე ვალდებულია, უზრუნველყოს „კომპანია“ საჭირო დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურებით. ამასთან, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემის მიზნით, დამატებით უზრუნველყოს „კომპანია“ გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჩხას“ ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნის ნაწილზე, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში დროის იმ მონაკვეთისათვის, რომლის განმავლობაშიც ახალციხე-ბორჩხას ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გადასაცემი ელექტროენერჯის სიმძლავრის საერთო მოცულობა (სხვა საექსპორტო მოცულობებთან ჯამში) საკმარისი იქნება 500/400/220 კვ. ქვესადგური „ახალციხის“ ტექნიკური პარამეტრებით გათვალისწინებულ დასაშვებ ფარგლებში ფუნქციონირებისთვის. სსე მემორანდუმის ამ მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობისა და „კომპანიასთან“ „მიიღე ან გადაიხადე“ პრინციპის საფუძველზე გაფორმებული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სასამართლო დავები

„ემიტენტს“ აქვს ერთი მიმდინარე სასამართლო დავა. კერძოდ, სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ შეიტანა სასამართლოში სარჩელი (რეგისტრაციის ნომერი: 19003251790) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, შპს „ტრანსელექტრიკას“ და „ემიტენტის“ წინააღმდეგ. „ემიტენტის“ მონაწილეობა მიმდინარე სასამართლო დავაში შემოიფარგლება მიწის ნაკვეთით, , სადაც განთავსებული არის გადამცემი ხაზის ინფრასტრუქტურა (ქვესადგური), რომელიც, ტექნიკური პირობის შესაბამისად, ისედაც ექვემდებარება „ენერგო-პრო ჯორჯიასათვის“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას „ემიტენტის“ მხრიდან. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღწერილი სასამართლო დავის შესაძლო ნეგატიური გავლენა „ემიტენტის“ ბიზნესის საოპერაციო საქმიანობასა თუ ფინანსურ მდგომარეობაზე მინიმალურია, რამეთუ, ტექნიკური პირობის მიხედვით, მოსარჩელეს ისედაც უნდა გადაეცეს გადამცემი ხაზის ინფრასტრუქტურა.

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

„კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შედეგების მიმოხილვა და ანალიზი მოიცავს 2023 წლის არააუდიტირებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ მონაცემებსა და სრული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 2022 და 2021 წლებისთვის. თუკი სხვაგვარად არ არის აღნიშნული, ამ მიმოხილვაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდებზე ამოღებულია „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგებებიდან. ეს ნაწილი წაკითხული უნდა იქნას ფინანსურ ანგარიშგებასთან და მის შენიშვნებთან, ასევე პროსპექტში სხვაგან მოცემულ ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადების საფუძველი

„ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 და 2021 წლებისათვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით.

„ემიტენტის“ არააუდიტირებული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის *ბასს 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება* შესაბამისად და წაკითხულ უნდა იქნას „კომპანიის“ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან („ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგება“) ერთად, რომელიც ატვირთულია ვებ გვერდზე: www.reportal.ge.

ცხრილი 10: „კომპანიის“ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2023 HY	2022 HY	2022	2021
<i>ათასი ქართული ლარი</i>	<i>არააუდიტირებული</i>	<i>არააუდიტირებული</i>	<i>აუდიტირებული</i>	<i>აუდიტირებული</i>
ამონაგები	7,239	6,653	10,790	7,167
სხვა შემოსავალი	55	38	44	316
დასაქმებულთა სარგებლის ხარჯი	(323)	(424)	(770)	(1,644)
ელ. ენერჯის გადაცემის ხარჯები	(30)	(457)	(566)	(25)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, ნეტო	2	104	35	46
სხვა საოპერაციო ხარჯები	(424)	(669)	(1,799)	(1,976)
EBITDA	6,519	5,245	7,734	3,884
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,063)	(1,068)	(2,149)	(2,155)
საოპერაციო მოგება	5,456	4,177	5,585	1,729
ფინანსური შემოსავალი	72	18	31	38
ფინანსური ხარჯი	(2,635)	(2,625)	(5,504)	(4,305)
საკურსო სხვაობით განპირობებული ფინანსური შემოსულობა, ნეტო	1,512	3,216	7,476	3,495
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	4,405	4,786	7,588	957
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-
პერიოდის/წლის მოგება	4,405	4,786	7,588	957
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ პერიოდი/წლის სრული მოგება	4,405	4,786	7,588	957

ამონაგები

„კომპანიის“ ამონაგები პირდაპირ კორელაციაშია კასკადის გენერაციის მაჩვენებლებთან. ჰიდროელექტროსადგურმა უზენაესიან ჰიდროლოგიური წლის წყალობით 44.7%-ით მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა 2022 წელს. 2023 წლის პირველ ნახევარში კი, გენერაცია, 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 7.5%-ით გაიზარდა. აღნიშნულმა ელექტროენერგიის გაყიდვებიდან მიღებული ამონაგების ზრდა გამოიწვია, როგორც 2022 წელს, ასევე 2023 წლის პირველ ნახევარში 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის სარეალიზაციო ფასი დენომინირებულია აშშ დოლარში, შესაბამისად, „კომპანიის“ ამონაგებზე ელექტროენერგიის გენერაციის ცვლილების გარდა, ქართული ლარის აშშ დოლარზე გაცვლითი კურსის მერყეობაც ახდენს გავლენას. 2023 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ამონაგები ქართულ ლარში 8.8%-ით გაიზარდა, აშშ დოლარში კი 37.3%-ით. 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, იგივე მაჩვენებელი ქართულ ლარში 50.6%-ით, ხოლო აშშ დოლარში 58.6%-ით გაიზარდა. ქართულ ლარსა და აშშ დოლარში გამოხატულ ზრდებს შორის სხვაობა ქართული ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებით გამყარებამ განაპირობა. ვინაიდან „კომპანიამ“ ჰიდროელექტროსადგურების ოპერირება 2020 წლის აგვისტოსა და ოქტომბერში დაიწყო, მან შემოსავლის დაგენერირება სრული წლის მანძილზე ვერ მოახერხა. 2021 წელს წინა წელთან შედარებით „კომპანიის“ ამონაგები 44.5%-ით გაიზარდა.

ცხრილი 11: ამონაგების განაწილება გენერაციითა და გასაყიდი ფასით 1 კვტს-ზე

	2023 H1	2022 H1	2022	2021
გენერაცია, მგვტ	40,584	37,724	62,159	42,944
შემოსავლები ათას ქართულ ლარში	7,239	6,653	10,790	7,167
პერიოდის საშუალო ფასი 1 კვტს-ზე, ქართულ ლარში	0.178	0.176	0.174	0.167
პერიოდის საშუალო ფასი 1 კვტს-ზე, აშშ დოლარში	0.070	0.055	0.057	0.052

2023 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ელექტროენერგიის საშუალო ფასი 1 კვტს-ზე წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 1.1%-ით გაიზარდა და 17.8 თეთრს მიაღწია. საშუალო სარეალიზაციო ფასი აშშ დოლარში 7.0 აშშ ცენტია, რაც 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით 27.6%-ითაა გაზრდილი. აშშ დოლარსა და ქართულ ლარში გამოხატული ფასის ზრდებს შორის სხვაობა ქართული ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებით მნიშვნელოვანი გამყარებაა.

წლიური საშუალო ფასი 1 კვტს-ზე 2022 წელს ქართულ ლარში 4.0%-ით გაიზარდა და 17.4 თეთრი შეადგინა, ხოლო აშშ დოლარში ფასის 9.6%-ით ზრდა დაფიქსირდა და საშუალოდ 5.7 აშშ ცენტი შეადგინა. აშშ დოლარში დენომინირებული საშუალო ფასის ზრდა „კომპანიის“ მიერ ზაფხულის თვეებში (რომლებიც არ იფარება ესკოსთან PPA კონტრაქტის სავალდებულო შესყიდვის პირობით) ელექტროენერგიის ადგილობრივთან შედარებით უფრო მაღალ ფასად ექსპორტზე გატანას უკავშირდება. მაისი-ივლისის თვეებში საშუალო საექსპორტო ფასი აშშ დოლარში ადგილობრივ საშუალო ფასთან შედარებით 66.1%-ით მეტია.

ამონაგების გადანაწილება

2021 წელს „კომპანიის“ ამონაგების 78.6%-ს ესკოსთან დადებული PPA კონტრაქტის ფარგლებში რეალიზაცია შეადგენდა, ხოლო 2022 წელს იგივე მაჩვენებელი 50.6%-მდე შემცირდა. კლება საბაზისო ეფექტით აიხსნება. კერძოდ, 2021 წლის მაისი-ივნისის პერიოდში (იმ თვეებში, როდესაც წყალმომდინება წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს და, ასევე, არ იფარება PPA კონტრაქტის სავალდებულო შესყიდვის პირობით) ტრანსფორმატორთან დაკავშირებულმა შეფერხებამ გამოიწვია კასკადის შემცირებული სიმძლავრით ოპერირება. შეფერხება მალევე გამოსწორდა მწარმოებელთან არსებული საგარანტიო ხელშეკრულების პირობებით. აღწერილის გათვალისწინებით, რეალიზაცია 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით ნაკლები იყო.

2023 წლის პირველ ნახევარში „კომპანიის“ ჯამურ გენერაციაში ესკოსთან რეალიზაციის წილი 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 6.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 45.8%-ს მიაღწია.

სხვა შემოსავალი

„კომპანიის“ სხვა შემოსავლები არასაოპერაციო გაყიდვებს უკავშირდება. 2023 წლის პირველ ნახევარში, 2022 და 2021 წლებში სხვა შემოსავალი, შესაბამისად, 55 ათასი ქართული ლარის, 44 ათასი ქართული ლარისა და 316 ათასი ქართული ლარის ოდენობით, გამოუყენებადი ფიქსირებული აქტივებისა და ბეტონის რეალიზაციის შემდეგობით დაგენერირდა.

დასაქმებულთა სარგებლის ხარჯი

2022 წელს თანამშრომელთა ხელფასებსა და სხვა სარგებელთან დაკავშირებული ხარჯი გასულ წელთან შედარებით 53%-ით შემცირდა და 770 ათასი ქართული ლარი შეადგინა. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ფაზის დასრულებამ გამოიწვია საოპერაციო და განსაკუთრებით ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია, რაც დადებითად აისახა 2022 წლის ფინანსურ საქმიანობაზე. აღსანიშნავია, რომ „კომპანიის“ თანამშრომლების ხელფასების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში. 2022 წელს კი აშშ დოლარი ქართულ ლართან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა (საშუალო კურსის 9.48% ცვლილება). შედეგად შემცირდა ქართულ ლარში გამოხატული სახელფასო ხარჯი. 2023 წლის პირველ ნახევარში შენარჩუნდა წინა წლების ოპტიმიზაციის ტენდენცია, თანამშრომელთა ხელფასებისა და სხვა სარგებლის ხარჯი 323 ათას ქართულ ლარამდე შემცირდა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 24%-ით ნაკლებია. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ ხარჯების შემცირებაზე 2023 წლის პირველ ნახევარშიც ქართული ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაცვლითი კურსის გამყარებამაც იქონია გავლენა.

სხვა საოპერაციო ხარჯები

2023 წლის პირველ ნახევარსა და 2022 წელს სხვა საოპერაციო ხარჯები წინა იდენტურ პერიოდებთან შედარებით, როგორც ნომინალურ სიდიდეში (245 ათასი ქართული ლარით და 177 ათასი ქართული ლარით, შესაბამისად), ასევე ამონაგებთან შეფარდებითაც (4.2 პროცენტული პუნქტით და 10.9 პროცენტული პუნქტით, შესაბამისად) შემცირდა. ამ ხარჯის შემცირება ძირითადად აქტიურ საოპერაციო ფაზაზე გადასვლასთან არის დაკავშირებული.

ცხრილი 12: სხვა საოპერაციო ხარჯების შეფარდება ამონაგებთან

საოპერაციო ხარჯების შეფარდება ამონაგებთან	2023 HY	2022 HY	2022	2021
გადასახადების ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	0.0%	0.0%	5.9%	9.1%
დაზღვევის ხარჯი	1.5%	2.5%	2.8%	3.8%
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	0.8%	1.4%	1.6%	1.6%
პროფესიონალური მომსახურების საფასური	1.3%	1.2%	1.5%	2.4%
ტრანსპორტირების ხარჯი	0.5%	1.4%	1.2%	0.8%
რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	0.5%	0.4%	0.6%	0.7%
საოფისე მარაგები	0.6%	0.3%	0.6%	0.9%
სოფლის ინფრასტრუქტურა და სოციალური ხარჯები	0.0%	0.3%	0.3%	2.5%
კომუნალური ხარჯები	0.0%	0.1%	0.1%	0.4%
კომუნიკაციის ხარჯები	0.0%	0.0%	0.1%	0.2%
მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა	0.0%	0.0%	0.0%	0.9%
სხვა	0.7%	2.4%	2.0%	4.3%
სხვა საოპერაციო ხარჯი, სულ	5.9%	10.1%	16.7%	27.6%

EBITDA

2022 წელს „კომპანიის“ EBITDA-მ 7.7 მილიონ ქართულ ლარს გადააჭარბა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 99.1%-ით აღემატება. ზრდის მთავარ მიზეზებს წინა წელთან¹⁹ შედარებით 44.7%-ით გაზრდილი გენერაცია, გენერირებული ელექტროენერჯის 22.6%-ის საექსპორტო ბაზარზე ხელსაყრელ ფასად გაყიდვა და სახელფასო ხარჯების ოპტიმიზაცია წარმოადგენს.

¹⁹ 2021 წელს, ლახამი ჰესის ოპერირება შემცირებული იყო 16 მაისიდან - 26 ივნისამდე ტრანსფორმატორის პრობლემის გამო

ზრდის ტენდენცია 2023 წლის პირველ ნახევარშიც შენარჩუნდა, EBITDA წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 24.3%-ით გაიზარდა და 6.5 მილიონ ქართულ ლარს მიაღწია. ზრდის მიზეზები ელექტროენერჯის გაზრდილი გენერაცია (7,6%-იანი ზრდა), ადგილობრივ ბაზარზე სარეალიზაციო ფასების ზრდა და საოპერაციო ხარჯების შემცირებაა.

ცვეთა და ამორტიზაცია

როგორც 2023, ასევე 2022 წლის პირველ ნახევარში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯმა 1.1 მილიონი ქართული ლარი შეადგინა, ხოლო 2022 და 2021 წლებში კი, შესაბამისად, 2.1 მილიონი და 2.2 მილიონი ქართული ლარი.

ფინანსური ხარჯი

„კომპანიის“ ფინანსური ხარჯი 2022 წელს წინა წელთან შედარებით 27.9%-ით გაიზარდა და 5.5 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. „კომპანიის“ აშშ დოლარში დენომინირებული საბანკო ვალდებულებების მცურავი საპროცენტო განაკვეთი მიზმილია ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსზე, „6M LIBOR“-ზე, რომელიც 2022 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2023 და 2022 წლების პირველ ნახევარში ფინანსური ხარჯი, თითქმის იდენტურ, 2.6 - 2.6 მილიონ ქართულ ლარს შეადგენდა.

საკურსო სხვაობით განპირობებული ფინანსური შემოსულობა, ნეტო

2022 წელს სავალუტო შემოსულობა წინა პერიოდთან შედარებით 113.9%-ით გაიზარდა და 7.5 მილიონი ქართული ლარი შეადგინა (2021: 3.5 მილიონი ქართული ლარი). 2022 წელს, ისევე როგორც 2021 წელს, „კომპანიის“ ფულადი ვალდებულებების 98% აშშ დოლარშია დენომინირებული. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართული ლარის აშშ დოლარზე გაცვლის სპოტ კურსი 12.77%-ით გამყარდა 2021 წლის 31 დეკემბრის სპოტ კურსთან მიმართებით, მაშინ, როდესაც შესაძარისი პერიოდის იმავე მაჩვენებელი მხოლოდ 5.46% იყო. შესაბამისად, „კომპანიის“ მიერ 2022 წელს აკუმულირებული საკურსო მოგება მკვეთრად აღემატებოდა 2021 წლის მაჩვენებელს.

2023 წლის პირველ ნახევარში სავალუტო შემოსულობა 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 52.9%-ით შემცირდა და 1.5 მლნ ქართული ლარი შეადგინა. კლება საბაზისო ეფექტით აიხსნება, 2023 წლის 30 ივნისის ქართული ლარისა და აშშ დოლარის გაცვლითი სპოტ კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის სპოტ კურსთან შედარებით 3.12%-ით გამყარდა, ხოლო 2022 წლის პირველი ნახევრის იგივე მაჩვენებელი 5.45%-ს აღწევს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ცხრილი 13: „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<i>ათასი ქართული ლარი</i>	<i>არააუდიტირებული</i>	<i>აუდიტირებული</i>	<i>აუდიტირებული</i>
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	58,756	59,754	61,842
აქტივების გამოყენების უფლება	646	653	667
არამატერიალური აქტივები	3	3	6
გაცემული სესხები	131	-	-
გადახდილი ავანსები და სხვა მოთხოვნები	58	-	15
სულ გრძელვადიანი აქტივები	59,594	60,410	62,530

მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	120	44	109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	755	450	943
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,914	4,032	964
სულ მოკლევადიანი აქტივები	7,789	4,526	2,016
სულ აქტივები	67,383	64,936	64,546
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	27,607	27,607	27,607
ანაზღაურებული კაპიტალი	2,515	2,515	2,515
დაგროვილი დეფიციტი	(14,845)	(19,250)	(26,838)
სულ კაპიტალი	15,277	10,872	3,284
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	46,207	48,627	55,525
საიჯარო ვალდებულებები	605	605	606
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	46,812	49,232	56,131
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	4,035	3,710	3,574
საიჯარო ვალდებულებები	74	74	74
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	437	307	573
მიღებული ავანსები	-	-	5
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	748	741	905
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,294	4,832	5,131
სულ ვალდებულებები	52,106	54,064	61,262
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	67,383	64,936	64,546

აქტივები

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით „კომპანიის“ აქტივები 2022 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 3,8%-ით გაიზარდა და 67.4 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. ზრდის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი ზაფხულის პერიოდში გაუმჯობესებული საოპერაციო შედეგია, რამაც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების 71.5%-იანი ზრდა გამოიწვია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივები 0.4 მილიონი ქართული ლარით (0.6%-ით) გაიზარდა 2021 წლის 31 დეკემბერთან (64.5 მილიონი ქართული ლარი) შედარებით და 64.9 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების 318.3%-იანმა ცვლილებამ განაპირობა.

2021 წლის განმავლობაში აქტივები 0.6%-ით გაიზარდა 2020 წლის ბოლოსთან შედარებით და 64.5 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. აქტივების ზრდა ამ შემთხვევაშიც მოკლევადიანი აქტივების, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდამ გამოიწვია.

გრძელვადიანი აქტივები

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით „კომპანიის“ გრძელვადიანი აქტივები, 2022 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, მცირედით, 1.4%-ით შემცირდა და 59,5 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. აღნიშნული შემცირების მთავარ მიზეზს, ერთი მხრივ, გრძელვადიან აქტივებზე დარიცხული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, მეორე მხრივ კი, 134 ათასი ქართული ლარის მოცულობის კაპიტალური დანახარჯების წმინდა ეფექტი წარმოადგენს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, „კომპანიის“ გრძელვადიანი აქტივები 2.1 მილიონი ქართული ლარით (3.4%-ით) შემცირდა და წლის ბოლოს 60.4 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. აღნიშნული ცვლილების მთავარ მიზეზს 2022 წლის მანძილზე ცვეთად აქტივებზე დარიცხული ცვეთისა და

ამორტიზაციის ხარჯი წარმოადგენს. 2021 წელს შემცირებამ შეადგინა 0.3 მილიონი ქართული ლარი. აღნიშნული შემცირებები გამოწვეულია ძირითადი კაპიტალური პროგრამის დასრულებით, ამიტომ „კომპანია“ აღარ ახორციელებს ინვესტირებას და აღარ ეზრდება გრძელვადიანი აქტივები, ხოლო მეორე მხრივ აქვს ცვეთის ხარჯი (2022 წელს 2.1 მილიონი ქართული ლარის მოცულობის, 2021 წელს კი 2.2 მილიონი ქართული ლარი), რაც ამცირებს გრძელვადიანი აქტივების ბალანსს.

ცხრილი 14: ძირითადი საშუალებების დეტალური ჩაშლა

ათასი ქართული ლარი	ჭესების შენობები და ნაგებობები	ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობა	მანქანა-დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	ავტომობილები	სულ
არააუდიტირებული 30-ივნ-2023	44,942	13,218	368	93	135	58,756
აუდიტირებული 31-დეკ-2022	45,541	13,513	482	118	100	59,754
აუდიტირებული 31-დეკ-2021	46,710	14,108	671	163	190	61,842

მოკლევადიანი აქტივები

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 2022 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, „კომპანიის“ მოკლევადიანი აქტივები 72.1%-ით გაიზარდა და 7.7 მილიონ ქართულ ლარს შეადგენდა. ზრდის ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი ზაფხულის პერიოდში კარგი საოპერაციო შედეგია, რამაც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების 71.4%-იანი ზრდა გამოიწვია. გარდა ამისა, იმავე ფაქტორის გამო, მოკლევადიანი აქტივების ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების 67%-იანი გაზრდითაც აიხსნება.

2022 წლის ბოლოს მოკლევადიანმა აქტივებმა 4.5 მილიონი ქართული ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 124.5%-ით არის გაზრდილი. აღნიშნული ცვლილება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ბალანსის 3.1 მილიონ ქართულ ლარიან ზრდას (318.3%-იანი ზრდა) უკავშირდება. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა, თავის მხრივ, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა გაზრდილმა ფულადმა ნაკადებმა და სამუშაო კაპიტალის შემცირებამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს „კომპანია“ საბანკო ვალდებულებებს ნახევარწლიურად, 2021 წლის მანძილზე კი კვარტალურად იხდიდა. ამ სხვაობის გამო, „კომპანიამ“ 2022 წელს შეძლო ლიკვიდურობის გაუმჯობესება და მნიშვნელოვანი ფულადი რესურსების აკუმულირება ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიზნით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოკლევადიანმა აქტივებმა 2.0 მილიონი ქართული ლარი შეადგინა, რაც 0.7 მილიონი ქართული ლარით აღემატებოდა 2020 წლის ბოლოს არსებული მოკლევადიანი აქტივების ჯამს. აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდით, რაც თავის მხრივ „კომპანიის“ აქტიურ საოპერაციო ფაზაში გადასვლამ გამოიწვია.

კაპიტალი

„კომპანიის“ კაპიტალი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 15.2 მილიონ ქართულ ლარს შეადგენდა, რაც 4.4 მილიონი ქართული ლარით მეტია 2022 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელზე. ზრდა სრულად უკავშირდება 2023 წლის პირველ ნახევარში „კომპანიის“ მიერ დაგენერირებულ სრულ შემოსავალს.

2022 წლის ბოლოს კაპიტალი 10.9 მილიონ ქართულ ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის იმავე მაჩვენებელზე 7.6 მილიონი ქართული ლარით მეტია. მოცემული ზრდა სრულიად უკავშირდება 2022 წელს დაგენერირებულ წლის მოგებას. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მანძილზე, „კომპანიამ“ არსებობის მანძილზე რეკორდული წლის მოგების დაგენერირება

შედლო, რაც, თავის მხრივ, გაზრდილი შემოსავლებით, ხარჯების ოპტიმიზაციითა და ქართული ლარის აშშ დოლართან მიმართებით გამყარებით იყო განპირობებული.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ საწესდებო და ანაზღაურებული კაპიტალი ჯამში 30.1 მლნ ქართული ლარი, ხოლო დაგროვილი დეფიციტი კი - 19.3 მლნ ქართული ლარია. აღსანიშნავია, რომ დაგროვილი დეფიციტის არსებობა გამართლებულია იმ პირობებში, რომ „კომპანია“ 2020 წლის მეორე ნახევარში გადავიდა საოპერაციო ფაზაში (იხ. თავი „ძირითადი საქმიანობა“ მეტი ინფორმაციისთვის) და როგორც ზემოთ არის აღწერილი, სრული დატვირთვით ოპერირება დაიწყო 2022 წელს.

2021 წელს 2020 წელთან შედარებით კაპიტალი 3.1 მილიონი ქართული ლარით გაიზარდა, რაც ერთი მხრივ საწესდებო კაპიტალის ზრდამ, ხოლო მეორე მხრივ დაგროვილი დეფიციტის შემცირებამ განაპირობა.

ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის, ისევე როგორც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ ვალდებულებების უდიდეს ნაწილს, შესაბამისად, 96.8%-ს და 96.47%-ს, სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს, რაც თავის მხრივ საბანკო სესხებს მოიაზრებს.

გრძელვადიანი ვალდებულებები

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „კომპანიის“ გრძელვადიანი ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 2.4 მილიონი ქართული ლარით შემცირდა და 46.8 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. შემცირება 2023 წლის იანვარში „კომპანიის“ ნასესხები სახსრების ძირის შემცირებამ და ქართული ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებით გამყარებამ განაპირობა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამმა 49.2 მლნ ქართული ლარი შეადგინა, საიდანაც 48.6 მილიონი ქართული ლარი ნასესხები სახსრები, ხოლო 0.6 მილიონი ქართული ლარი კი გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებაა. 2022 წლის ბოლოს გრძელვადიანი ვალდებულებები 2021 წელთან შედარებით 6.9 მილიონი ქართული ლარით (12.3%-იანი კლება) შემცირდა. სესხების კლების ძირითადი გამომწვევი მიზეზი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გამყარებაა აშშ დოლარის მიმართ („კომპანიის“ დავალიანების უდიდესი წილი წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში, დეტალებისთვის იხილეთ თავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“). ასევე, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ივლისში „კომპანიამ“ წინსწრებით დაფარა იმ დროისთვის ბალანსზე არსებული საბანკო სესხის ძირის ნაწილი 0.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

2021 წლის ბოლოს გრძელვადიანმა ვალდებულებებმა 56.1 მლნ ქართული ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4.5 მლნ ქართული ლარის შემცირებას წარმოადგენს (7.4%-იანი კლება). კლების ძირითადი მიზეზი აშშ დოლარში დენომინირებული ნასესხები სახსრების შემცირებაა, რომელიც თავის მხრივ ქართული ლარის აშშ დოლართან მიმართებაში გამყარებამ და საბანკო სესხების ძირის ნაწილის გადახდამ გამოიწვია. ასევე აღსანიშნავია, რომ შემცირდა სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების ნაშთი მშობელი კომპანიის მიმართ, ვინაიდან, გადასახდელი ვადის მოახლოებასთან ერთად, ის დაკლასიფიცირდა, როგორც მოკლევადიანი.

მოკლევადიანი ვალდებულებები

„კომპანიის“ მოკლევადიანმა ვალდებულებებმა 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 5.2 მილიონი ქართული ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 9.6%-იან ზრდას წარმოადგენს. ზრდის ძირითადი მიზეზი, პერიოდის ბოლოს აკუმულირებული პროცენტის ზრდაა, რომელიც, 2023 წლის პირველი კვარტლის ბოლოს 6M LIBOR-ის 24%-იანი ზრდით აიხსნება.

2022 წლის ბოლოს მოკლევადიანმა ვალდებულებებმა 4.8 მლნ ქართული ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესადარისი პერიოდის მაჩვენებელზე 0.3 მილიონი ქართული ლარით ნაკლებია. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ ბალანსზე საგადასახადო ვალდებულებები იყო წარმოდგენილი, რომელიც 2022 წლის ბოლოს

საგადასახადო აქტივებმა ჩაანაცვლა. შედეგად, მოკლევადიანი ვალდებულებები 0.1 მილიონი ქართული ლარით შემცირდა. 2022 წლის ბოლოს, ქართული ლარის სპოტ კურსის აშშ დოლარისა და ევროს მიმართ მნიშვნელოვანმა გამყარებამ მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირება გამოიწვია, ვინაიდან ნასესხები სახსრები სრულად აშშ დოლარში, ხოლო სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ძირითადი ნაწილი ევროშია დენომინირებული.

2021 წლის ბოლოს მოკლევადიანმა ვალდებულებებმა 5.1 მლნ ქართული ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.7 მილიონი ქართული ლარის ზრდას წარმოადგენს (51.2%-იანი ზრდა). აღნიშნული ზრდა ორმა მთავარმა ფაქტორმა გამოიწვია:

- გაიზარდა ნასესხები სახსრების მიმდინარე ნაწილი, ვინაიდან, გადახდების გრაფიკის მიხედვით, „კომპანიამ“ პროცენტთან ერთად სესხის ძირითადი ნაწილის დაფარვაც დაიწყო;
- გაიზარდა სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ნაშთი, ვინაიდან, გადასახდელი ვადის მოახლოებასთან ერთად, სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები მშობელი კომპანიის მიმართ დაკლასიფიცირდა, როგორც მოკლევადიანი.

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოადგენს „ემიტენტის“ გადასახდელ ვალდებულებებს დედა კომპანიის, შპს CCEH Hydro III -ის მიმართ, რომელიც თავის მხრივ ორი კომპონენტისგან შედგება:

- 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე არსებული სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებიდან 665 ათასი ქართული ლარი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც თავდაპირველად „კომპანიას“ გააჩნდა მისი ყოფილი მფლობელის, სს „Skinest Hydro“-ს მიმართ. ეს ვალდებულება 2018 წელს გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გადავიდა შპს CCEH Hydro III-ზე;
- რაც შეეხება 76 ათას ქართულ ლარს, იგი წარმოადგენს აკუმულირებულ პროცენტს გარანტიაზე, რომლის წარდგენის ვალდებულებაც გააჩნდა „ემიტენტს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის 1.6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით და რომელიც წარადგინა შპს CCEH Hydro III-მ „კომპანიის“ მიზნებისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქვემო ცხრილში წარმოდგენილია „კომპანიის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება:

ცხრილი 15: „კომპანიის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023 HY	2022 HY	2022	2021
<i>ათასი ქართული ლარი</i>	<i>არააუდიტირებული</i>	<i>არააუდიტირებული</i>	<i>აუდიტირებული</i>	<i>აუდიტირებული</i>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	4,405	4,786	7,588	957
კორექტირებები:				
ცვეთა და ამორტიზაცია	1,063	1,068	2,149	2,155
ფინანსური შემოსავალი	(72)	(18)	(31)	(38)
ფინანსური ხარჯი	2,635	2,625	5,504	4,305
მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა	-	-	-	63

გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო	(55)	(47)	(16)	(316)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, ნეტო	(1,514)	(3,320)	(7,511)	(3,541)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	6,462	5,094	7,683	3,585
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(304)	317	504	(261)
შემცირება მარაგებში	(76)	69	65	75
შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	108	187	(175)	(473)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(272)	573	394	(659)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(6,190)	5,667	8,077	2,926
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა	(134)	(134)	(138)	(2,414)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა	74	110	110	647
გაცემული სესხები	(131)	-	-	-
მიღებული პროცენტი	72	18	31	38
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან/(საქმიანობაში გამოყენებული)	(119)	(6)	3	(1,729)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
შემოსულობები კაპიტალში შენატანებისგან	-	-	-	2,186
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	-	60,515	60,515	2,200
სესხის დაფარვა	(820)	(60,537)	(62,490)	(725)
გადახდილი პროცენტი	(2,368)	(1,360)	(2,538)	(4,241)
სხვა საბანკო მომსახურებისთვის გადახდილი საფასური	-	(98)	(277)	-

საიჯარო ვალდებულებების დაფარვა - ძირითადი თანხა	-	-	(1)	(1)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,188)	(1,480)	(4,791)	(581)
გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, ნეტო	(1)	(40)	(221)	12
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	2,882	4,141	3,068	628
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,032	964	964	336
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის/წლის ბოლოს	6,914	5,105	4,032	964

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

2023 წლის პირველ ნახევარში წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან, 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 9.3%-ით გაიზარდა და 6.2 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, წინა პერიოდთან შედარებით, 7.6%-ით გაზრდილი გენერაციითა და გაუმჯობესებული სარეალიზაციო ფასით აიხსნება.

2022 წელს, წინა პერიოდთან შედარებით, „ემიტენტის“ მიერ საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები, მკვეთრად, 5.2 მილიონი ქართული ლარით (176.0%-იანი მატება) გაიზარდა და 8.1 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. აღნიშნული ცვლილება ძირითადად განპირობებული იყო გასულ წელთან შედარებით 44.7%-ით გაზრდილი გენერაციით, გენერირებული ელექტროენერჯის 22.6%-ის საექსპორტო ბაზარზე ხელსაყრელ ფასად გაყიდვითა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციით.

2021 წელს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამშენებლო პერიოდის დასრულებამ და საოპერაციო ფაზაზე გადასვლის შედეგად დაგენერირებულმა შემოსავლებმა.

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან/(საქმიანობაში გამოყენებული)

2023 წლის პირველ ნახევარში „კომპანიის“ საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულმა ფულადმა სახსრებმა 119 ათასი ქართული ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 113 ათასი ქართული ლარით მეტია. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, ავტომობილების შესყიდვასთან დაკავშირებულ კაპიტალურ დანახარჯებს უკავშირდება.

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები უმეტესწილად ძირითადი საშუალებების შეძენასა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისთვის გაწეულ კაპიტალურ დანახარჯებს უკავშირდება. 2022 წლისთვის „კომპანიას“ უკვე დასრულებული ჰქონდა მშენებლობის ფაზა და აქტიურად ახორციელებდა საოპერაციო საქმიანობას, შესაბამისად, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯები არ გაწეულა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს „ემიტენტმა“ 2.4 მილიონი ქართული ლარის კაპიტალური დანახარჯი გასწია, რაც მდინარის კალაპოტის მოწესრიგებას, ჰიდროელექტროსადგურების ფასადების მოპირკეთებასა და სხვა მსგავს წვრილ სამუშაოებს უკავშირდებოდა. იმავე წელს საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულმა წმინდა ფულადმა სახსრებმა - 1.7 მილიონი ქართული ლარი შეადგინა.

საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

2023 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები 2022 წელთან შედარებით 115.6%-ით გაიზარდა და 3.2 მილიონ ქართულ ლარს მიაღწია. მატება, მეტწილად, განპირობებულია 2022 წელს ნასესხები სახსრების რეფინანსირების ფარგლებში შეცვლილი საგადასახადო გრაფიკით.

2022 წელს საფინანსო საქმიანობაში გამოყენებულმა წმინდა ფულადმა სახსრებმა 4.8 მილიონი ქართული ლარი შეადგინა. 2022 წლის მარტში „კომპანია“ არსებული საბანკო სესხების მისთვის უფრო მომგებიანი პირობებით რეფინანსირება მოახდინა, რაც თავის მხრივ კვარტალური გადახდებიდან ნახევარწლიურ გადახდებზე გადასვლას, ორი სასესხო ვალდებულების ერთ სესხად გაერთიანებასა და ერთ-ერთ ძველ სესხზე არსებული საბაზო განაკვეთის 6.77%-დან 6.48%-მდე შემცირებას გულისხმობს. ამასთანავე, ახალი სასესხო ხელშეკრულების პირობები მოიცავს ფულადი სახსრების „სვიპ“ მექანიზმის შესახებ დებულებას, რომლის მიხედვითაც „კომპანიას“ შეუძლია განახორციელოს ძირითადი დასაფარი თანხების ნაადრევი ანგარიშსწორება ყოველგვარი გადასახადის გარეშე. „სვიპ“ მექანიზმის ფარგლებში, 2022 წლის ივლისში „კომპანიამ“ 0.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ძირითადი დაუფარავი თანხა ვადაზე ადრე გადაიხადა. „ემიტენტის“ მიერ 2022 წელს გადახდილმა პროცენტებმა 2.5 მილიონი ქართული ლარი შეადგინა, რაც წინა პერიოდის იმავე მაჩვენებელს 1.7 მილიონი ქართული ლარით ჩამორჩება. არსებული შემცირება რეფინანსირების შედეგად განახლებულმა საგადასახადო გრაფიკმა გამოიწვია, რომლის მიხედვითაც „ემიტენტმა“ 2022 წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გადაიხადა საპროცენტო ხარჯის დარიცხვის შედეგად აკუმულირებული ვალდებულება.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს სირთულები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. ხელმძღვანელობა ახორციელებს „კომპანიის“ ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიურ მონიტორინგს.

„კომპანია“ ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს, იჯარებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სხვა მოკლევადიან/გრძელვადიან ვალდებულებებს. „კომპანიის“ ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს. ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულს, შეიძლება რეალიზებულ იქნეს ფულად სახსრებად ერთ დღეში, ლიკვიდობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგი ხორციელდება და რეგულარული ლიკვიდობის სტრეს ტესტირება ტარდება სხვადასხვა სცენარის მიხედვით, რომელიც მოიცავს როგორც ნორმალურ, ასევე უფრო მკაცრ საბაზრო პირობებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც ვალდებულების თანხა არ არის ფიქსირებული, შენიშვნებში განმარტებული თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს სპოტ გაცვლითი კურსით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ცხრილი 16: ვალდებულებების საკონტრაქტო ვადიანობები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<i>ათასი ქართული ლარი</i>	საბალანსო ღირებულება	სულ	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	52,337	96,159	3,148	3,140	27,725	62,146
საიჯარო ვალდებულებები	679	3,495	20	59	314	3,102
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	307	307	307	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	741	741	-	741	-	-
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	54,064	100,702	3,475	3,940	28,039	65,248

ცხრილი 17: ვალდებულებების საკონტრაქტო ვადიანობები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<i>ათასი ქართული ლარი</i>	საბალანსო ღირებულება	სულ	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	59,099	86,724	2,581	5,367	28,622	50,154
საიჯარო ვალდებულებები	680	3,574	20	59	314	3,181
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	461	461	461	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	905	905	-	905	-	-
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	61,145	91,664	3,062	6,331	28,936	53,335

საკრედიტო რისკი

„კომპანიას“ გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება სავაჭრო მოთხოვნების, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან და, ასევე, კონტრაქტებთან ისეთი სხვა გარიგებების შედეგად, რომლებიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული ბალანსგარეშე საკრედიტო ვალდებულებების წარმოშობას/ზრდას.

საკრედიტო რისკი, რომელიც აისახა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

ცხრილი 18: „კომპანიის“ საკრედიტო რისკი

<i>ათასი ქართული ლარი</i>	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
საბანკო ნაშთები	4,032	964	336
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	414	943	706
აღიარებული ფინანსური აქტივები	4,446	1,907	1,042

საბანკო ნაშთები

„კომპანიის“ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია სს „თიბისი ბანკში“, რომელსაც, Fitch Ratings-ის მიხედვით, აქვს მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი BB. ეს ნაშთები არ არის ვადაგადაცილებული და იმყოფება პირველ საფეხურზე. შესაბამისად, „კომპანია“ არ ელის კონტრაქტის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საკრედიტო რისკი იმართება ინდივიდუალური მომხმარებლის დონეზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხორციელდება სხვადასხვა შესაძლო შედეგებისთვის საკრედიტო ზარალის შეფასებების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობასთან. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზარალის ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

სავაჭრო მოთხოვნები სრულად მოკლევადიანია (არა ვადაგადაცილებული) და ჩვეულებრივ იფარება 25 დღის განმავლობაში.

<i>ათასი ქართული ლარი</i>	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	99	368	904
სხვა მოთხოვნები	160	206	199
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(160)	(160)	(160)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	99	414	943
საგადასახადო მოთხოვნები	656	36	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	755	450	943

საგადასახადო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა რისკის გავლენის დონეზე ვალუტის მიხედვით განსაზღვრავს ზღვრებს, რომლებიც ყოველდღიურად კონტროლდება. „კომპანიის“ სავალუტო რისკის გავლენა ძირითადად განპირობებულია აშშ დოლარში დენომინირებული საბანკო სესხით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია „კომპანიის“ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ცხრილი 19: „კომპანიის“ სავალუტო რისკი

<i>ათასი ქართული ლარი</i>	აშშ დოლარში დენომინირებული 30-ივნ-23	აშშ დოლარში დენომინირებული 31-დეკ-22	აშშ დოლარში დენომინირებული 31-დეკ-21	აშშ დოლარში დენომინირებული 1-იან-21
საბანკო ნაშთები	3,171	3,153	7	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	74	12	14	184
გაცემული სესხები	131	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(10)	(10)	(15)	(219)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(748)	(741)	(905)	(941)
სესხები და ნასესხები სახსრები	(50,242)	(52,337)	(59,099)	(61,112)
წმინდა დაქვემდებარება	(46,624)	(49,923)	(59,998)	(62,088)

ცხრილი 20: „კომპანიის“ სავალუტო რისკი

<i>ათასი ქართული ლარი</i>	ევროში დენომინირებული 30-ივნ-23	ევროში დენომინირებული 31-დეკ-2022	ევროში დენომინირებული 31-დეკ- 2021	ევროში დენომინირებული 1-იან 2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(425)	(298)	(482)	(457)
წმინდა დაქვემდებარება	(425)	(298)	(482)	(457)

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს მოგების ან ზარალისა და კაპიტალის სენსიტიურობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული გაცვლითი კურსების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შემთხვევაში:

ცხრილი 21: ვალუტის სენსიტიურობის ცხრილი

<i>ათასი ქართული ლარი</i>	გამყარება		გაუფასურება	
	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)
2023 წლის 30 ივნისი				
აშშ დოლარი (10% ცვლილება)	-	4,762	-	(4,762)
ევრო (10% ცვლილება)	-	43	-	(43)
2022 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (10% ცვლილება)	-	4,992	-	(4,992)

ევრო (10% ცვლილება)	-	30	-	(30)
<hr/>				
2021 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (10% ცვლილება)	-	6,000	-	(6,000)
ევრო (10% ცვლილება)	-	48	-	(48)
<hr/>				

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია „კომპანიის“ კაპიტალიზაციისა და დავალიანების შესახებ 2023 წლის 30 ივნისის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ცხრილი 22: „კომპანიის“ კაპიტალიზაცია და დავალიანება 2023 წლის 30 ივნისის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<i>(ათასი ქართული ლარი)</i>	2023 წლის	2022 წლის	2021 წლის
	30 ივნისი	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
დავალიანება			
ნასესხები სახსრები	50,242	52,337	59,099
საიჯარო ვალდებულებები	679	679	680
სულ დავალიანება	60,921	53,016	59,779
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	27,607	27,607	27,607
ანაზღაურებული კაპიტალი	2,515	2,515	2,515
დაგროვილი დეფიციტი	(14,845)	(19,250)	(26,838)
სულ კაპიტალი	15,277	10,872	3,284
სულ კაპიტალიზაცია და დავალიანება	66,198	63,888	63,063

პროსპექტში წარმოდგენილ უახლეს პერიოდში „კომპანიის“ კაპიტალიზაციასა და დავალიანებაში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, გარდა წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ გამოშვებისა და შესაბამისად მოზიდული თანხების გამოყენებისა.

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში მონაცემები ნაჩვენებია უცვლელად, რადგან მოსალოდნელია, რომ უშუალოდ ობლიგაციების ეფექტი იქნება არაარსებითი „კომპანიის“ კაპიტალიზაციასა და დავალიანებაზე, ვინაიდან ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა სახსრები სრულად მოხმარდება არსებული საბანკო სესხების რეფინანსირებას (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ წინამდებარე პროსპექტის თავი „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“).

დავალიანება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ ორი აქტიური სასესხო ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სს „თიბისი ბანკთან“, მსგავსი დაფარვის ვადით - 12 წელი:

- სესხი #1 - ძირითადი თანხა - 18,500 ათასი აშშ დოლარი, ხელშეკრულება დადებულია 2018 წელს, გაცემულია რამდენიმე ტრანშის სახით 2019 და 2020 წლებში; და
- სესხი #2 - ძირითადი თანხა - 700 ათასი აშშ დოლარი, გაცემულია 2021 წელს.

2022 წლის მარტში „კომპანიამ“ იმ დროს მოქმედი ზემოაღნიშნული სასესხო ხელშეკრულებების რეფინანსირება მოახდინა სს „თიბისი ბანკისგან“ 18,960 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სესხის მოზიდვის გზით. სესხის დაფარვის ვადა იწურება 2037 წლის 1 იანვარს. აღსანიშნავია, რომ ახალი სესხის ფარგლებში კვარტალური გადახდები ნახევარწლიური გადახდებით ჩანაცვლდა, ერთ-ერთ ძველ სესხზე არსებული საბანკო განაკვეთი შემცირდა და გაჩნდა ახალი სახელშეკრულებო პირობა „Cash Sweep“/„სვიპ“ მექანიზმის შესახებ, რომლის მიხედვითაც „ემიტენტს“ შეუძლია განახორციელოს ძირითადი დასაფარი თანხების ნაადრევი ანგარიშსწორება ყოველგვარი გადასახადის გარეშე.

ქვემო ცხრილებში მოცემულია „ემიტენტის“ სასესხო ვალდებულებების ჩაშლა 2023 წლის 30 ივნისის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ცხრილი 23: „ემიტენტის“ სასესხო ვალდებულებების ჩაშლა 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

ათას ქართულ ლარში	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საკონტრაქტო მოცულობა, ნომინალი ვალუტაში	ნარჩენი ძირი.	დარიცხული პროცენტი	საპროცენტო განაკვეთი	გრაფიკის ტიპი	ვალუტა
საბანკო სესხი	29/03/2022	01/01/2037	18,960	47,082	3,160	6.48%+6M LIBOR	ნახევარწლიური	USD
სულ ნასესხები სახსრები				50,242				

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით „კომპანიას“ საბანკო სესხი აღებული აქვს სს „თიბისი ბანკიდან“.

ცხრილი 24: „ემიტენტის“ სასესხო ვალდებულებების ჩაშლა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ქართულ ლარში	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საკონტრაქტო მოცულობა, ნომინალი ვალუტაში	ნარჩენი ძირი	დარიცხული პროცენტი	საპროცენტო განაკვეთი	გრაფიკის ტიპი	ვალუტა
საბანკო სესხი	29/03/2022	01/01/2037	18,960	49,418	2,919	6.48%+6M LIBOR	ნახევარწლიური	USD
სულ ნასესხები სახსრები				52,337				

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიას“ საბანკო სესხი აღებული ჰქონდა სს „თიბისი ბანკიდან“.

ცხრილი 25: „ემიტენტის“ სასესხო ვალდებულებების ჩაშლა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ქართულ ლარში	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საკონტრაქტო მოცულობა, ნომინალი ვალუტაში	ნარჩენი ძირი	დარიცხული პროცენტი	საპროცენტო განაკვეთი	გრაფიკის ტიპი	ვალუტა
საბანკო სესხი #1	27/03/2019	01/12/2030	18,500	56,586	274	6.47%+6M LIBOR ²⁰	კვარტალური	USD
საბანკო სესხი #2	15/07/2021	01/12/2033	700	2,168	71	6.77%+6M LIBOR	ვადის ბოლოს	USD
სულ ნასესხები სახსრები				59,099				

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ ბალანზე არსებული ორივე საბანკო სესხი აღებული ჰქონდა სს „თიბისი ბანკიდან“.

აღსანიშნავია, რომ „კომპანიის“ მიერ 2022 წელს და მიმდინარე პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა საბანკო სესხის ძირისა და პროცენტის გადაუხდელობა.

²⁰ 6.77%+6M LIBOR შპენებლობის ეტაპზე

სესხების უზრუნველყოფა

2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის, 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და პროსპექტის თარიღისთვის „კომპანიის“ უძრავი და მოძრავი ქონებების უდიდესი ნაწილი და ასევე „კომპანიის“ წილის 95% არის დაგირავებული სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ სესხის უზრუნველყოფის მიზნით.

სესხის კოვენანტები და მათი შესრულება

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიას“ დარღვეული ჰქონდა სს „თიბისი ბანკთან“ სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტების გარკვეული მუხლები, თუმცა ამას არ გამოუწვევია ბანკის მხრიდან სესხების აქსელერაცია. 2021 და 2022 წლების ბოლოს მდგომარეობით სს „თიბისი ბანკს“ გაცემული აქვს დარღვევაზე უარის თქმის, ე.წ. „ვეივერის“ წერილი, რომლის საფუძველზეც ბანკი არ მოახდენდა დეფოლტის გამოცხადებას სესხების კოვენანტების დარღვევის გამო. არაფინანსური კოვენანტების გადამოწმება ხდება მატერიალური გარემოების დადგომის შემდეგ. ამ მომენტისთვის, არაფინანსური კოვენანტების გადამოწმების საჭიროება არ დამდგარა.

არაფინანსური კოვენანტები 2021 წლის, 2022 წლისა და მიმდინარე პერიოდისათვის:

- ბანკთან წერილობითი შეთანხმების გარეშე კომპანიამ არ უნდა გააფორმოს რაიმე სახის ერთ წელზე მეტი ვადის პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერჯის გაყიდვაზე . ასევე ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე არ უნდა გაუქმდეს არსებული PPA ESCO-სთან;
- მსესხებელს არა აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აიღოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა კონსიგნაციით შექმნილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა, რაც საფრთხეს უქმნის ბანკის ვალდებულებების შესრულებას;
- მსესხებელს არა აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ მის საკუთრებაში არსებული აქტივები, ასევე არ მოხდეს მსესხებლის ან მისი გარანტორი კომპანიების წილების მოთხოვნის უფლებით დატვირთვა მესამე პირების სასარგებლოდ;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან რაიმე სხვა ფორმით სხვას განკარგულებაში გადასცეს მის საკუთრებაში არსებული ფიქსირებული აქტივები, გარდა გენერირებული ელექტროენერჯისა;
- ჰესის გაშვების შემდგომ მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები (რომელიც აღემატება US\$ 100,000-ს) ან ინვესტიციები სხვა კომპანიებში (გარდა Investment Plan-ით გათვალისწინებული ინვესტიციებისა);
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს დივიდენდები ან/და დაფაროს სუბორდინირებული დამფუძნებლის სესხის ძირი ან პროცენტი თანხა (არსებობის შემთხვევაში), იმ შემთხვევაში თუ კომპანიის წლიური DSCR შეადგენს 1.2-ზე ნაკლებს. აღნიშნული DSCR დაანგარიშება განხორციელდეს წლის აუდირებული ფინანსებით. დივიდენდის განაწილება ან/და სუბორდინირებული დამფუძნებლის სესხის ძირი ან პროცენტი თანხის დაფარვა მოხდეს საანგარიშო წლის დახურვის შემდგომ.
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხები;
- ჰესის გაშვების შემდგომ კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს შრომის ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- 6 თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს კომპანიის ფინანსური მონიტორინგი. მონიტორინგის მიხედვით მოხდება გენერირებული, **Excess Cash** გამოთვლა. $Excess\ Cash = Cash\ ending\ balance\ minus\ US\$ 250K, Ending\ cash = CF\ from\ Operations - Operating\ expenses\ (including\ maintenance\ capex) - Loan\ Repayment - Capex / Dividend$ (იმ შემთხვევაში თუ ამ უკანასკნელზე არსებობს ბანკის წინასწარი წერილობით თანხმობა). ყოველი წლის პირველ ნახევარში (იანვარი-ივნისი) დაგენერირებული Excess Cash-ის, მინიმუმ 50% განთავსდება სპეციალურ სარეზერვო ანგარიშზე, რომელიც წლის სრული ფინანსური მონიტორინგის შემდეგ გამოყენებული იქნება შემდეგი პრიორიტეტულობით (1) Cash Sweep-სთვის, ან (2) გრაფიკით გათვალისწინებული ფეიმენტისთვის ან (3) ჰესების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მიზნებისათვის (იმ შემთხვევაში თუ ამ უკანასკნელზე არსებობს ბანკის წინასწარი წერილობით თანხმობა); ყოველი წლის სრული ფინანსური მონიტორინგის შედეგად გენერირებული Excess Cash-ის მინიმუმ 50%-ით % ით უნდა მოხდეს სესხის ძირითადი თანხის შემცირება (Cash Sweep); ამასთან კალენდარული წლის მანძილზე სავალდებულო ჯამური cash sweep მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლის ბოლოს მდგომარეობით არსებული Excess Cash-ის 50%;

- იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის, PPA-ს, ან სხვა დაზღვევის (Business Interruption-ს, ა.შ.), კონტრაქტორების მიერ წარმოდგენილი გარანტიების ფარგლებში მიიღებს რაიმე სახის კომპენსაციას, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, მიღებული თანხის ბენეფიციარი შესაძლებელია იყოს ბანკი (თანხა მიმართული იქნება სესხის დასაფარად); ამასთან, თუ მიღებული კომპენსაციის თანხის მოცულობა არ აღემატება სადაზღვეო პოლისის ღირებულების 50%-ს, ჩარიცხული თანხები მიმართული უნდა იყოს ზიანის გამოსასწორებლად. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვეო კომპანია ზიანის გამოსასწორებლად მობილიზებულ თანხას ჩაურიცხავს ბანკს, ბანკი ვალდებულია აღნიშნული თანხა დაუყოვნებლივ გადაურიცხოს კლიენტს;
- სესხის მოქმედების მანძილზე საგადასახადო გირავნობა/ყადალის წარმოქმნის შემთხვევაში მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს საგადასახადო გირავნობა/ყადალის მოხსნა წარმოქმნიდან 30 კალენდარულ დღეში.

ფინანსური კოვენანტები 2021 წლის, 2022 წლისა და მიმდინარე პერიოდისათვის:

ქვემო ცხრილში წარმოდგენილია „ემიტენტის“ ფინანსური კოვენანტები 2021 წლის, 2022 წლისა და მიმდინარე პერიოდისათვის.

ცხრილი 26: „ემიტენტის“ ფინანსური კოვენანტები 2021 წლის, 2022 წლისა და მიმდინარე პერიოდისათვის

წელი	მაქსიმალური Debt/EBITDA კოვენანტი	Debt/EBITDA ფაქტიური შედეგი	Debt/Equity კოვენანტი	Debt/Equity ბანკი	DSCR ბანკი	DSCR ემიტენტი
2021	6.00	15.22	65%/35%	66%/34%	1.20	1.00
2022	8.81	6.77			1.20	1.79
2023 წ. 30 ივნ.	8.81	5.58			1.20	1.36
2023	7.66				1.20	
2024	7.24				1.20	
2025	6.80				1.20	
2026	6.34				1.20	

კოვენანტების კალკულაციის განმარტება:

- **Debt/EBITDA** იანგარიშება: ნასესხები სახსრები შეფარდებული EBITDA-სთან;
- **Debt/Equity*** იანგარიშება: ნასესხები სახსრები შეფარდებული საწესდებო კაპიტალისა და ანაზღაურებული კაპიტალის ჯამთან;
- **DSCR min 1.2x** იანგარიშება: წმინდა ფულად სახსრებს საოპერაციო საქმიანობიდან გამოკლებული კაპიტალური დანახარჯები დამატებული მოზიდული სახსრები (კაპიტალი ან/და სასესხო დაფინანსება) შეფარდებული ნასესხები სახსრების მოსამსახურებლად გადახდილ ძირსა და პროცენტზე.

**Debt/Equity კოვენანტი გაუქმდა 2022 წელს და აღარ გამოიყენება ბანკის მიერ.*

ემიტენტის დამატებითი საკრედიტო საჭიროებების აღწერა

გარდა ობლიგაციების გამოშვებით მოზიდული თანხებისა, პროსპექტის მომზადების თარიღისათვის არსებული მდგომარეობით, „კომპანიას“ არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია ან/და შეფასება მომავალი დაფინანსების საჭიროებაზე.


ინდუსტრიის აღწერა

ელექტროენერჯის ბაზრის მონაწილეები და ამჟამინდელი სტრუქტურა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ელექტროენერჯის ბაზარი მოიცავს საბითუმო და საცალო ბაზრებს.

საბითუმო ბაზრის სტრუქტურა

დიაგრამა 1: საქართველოს საბითუმო ელექტროენერჯეტიკული ბაზრის სტრუქტურა



საბითუმო ბაზრის ძირითადი მონაწილეები არიან:

- **ელექტროენერჯის მწარმოებლები:**
 - ჰიდროელექტროსადგურები;
 - თბოელექტროსადგურები;
 - ქარის ელექტროსადგურები.
- **პირდაპირი მომხმარებლები** - საწარმოები, რომლებიც აკმაყოფილებენ პირდაპირი მომხმარებლისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს და რომლებსაც ელექტროენერჯის შესყიდვა მხოლოდ საბითუმო ბაზარზე შეუძლიათ (რეფორმის შედეგად, პირდაპირი მომხმარებლის კონცეფცია და კვალიფიკაციის კრიტერიუმები ჩანაცვლდება „მსხვილი მომხმარებლის“ კონცეფციითა და კვალიფიკაციის კრიტერიუმებით).
- **საბითუმო მიმწოდებლები** - პირები, რომლებიც ყიდულობენ ელექტროენერჯიას ელექტროენერჯის მწარმოებლისგან ან იმპორტიორისგან და ყიდიან პირდაპირ მომხმარებელზე ან ექსპორტიორზე.
- **თავისუფალი მიმწოდებელი** - პირი, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის მიწოდებას საცალო მომხმარებლისთვის არარეგულირებული, საბაზრო ფასით.
- **უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი** - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის მიწოდებას საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე

საწარმოებისთვის, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან და საჯარო მომსახურების გამწვევ ელექტროენერგიის მწარმოებელ საწარმოებთან (საჭიროების შემთხვევაში, ელექტროენერგიის სხვა მწარმოებლებთან) თანამშრომლობის გზით.

- **ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი** - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდებას შეზღუდული ვადითა და რეგულირებული პირობებით, იმ საცალო მომხმარებლებისათვის, რომლებმაც გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ აირჩიეს ან დაკარგეს ელექტროენერგიის მიმწოდებელი.
- **საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი** - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდებას საქართველოს მთავრობის 2020 წლის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით“ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი საცალო მომხმარებლებისათვის.
- **მსხვილი მომხმარებელი** - პირი, რომელსაც უფლება აქვს ივაჭროს საბითუმო, ორმხრივი ხელშეკრულებების, დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე, რისთვისაც შესაბამისი წესით უნდა დარეგისტრირდეს, როგორც საბალანსო ჯგუფის წევრი, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრებზე, აგრეთვე დღით ადრე ან/და დღიური ბაზრის ან/და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის მონაწილე. მას აგრეთვე უფლება აქვს ივაჭროს საცალო ბაზარზე და აირჩიოს რამდენიმე მიმწოდებელი.
- **იმპორტიორები** - პირები, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარედან ერთ ან ერთზე მეტ მიღების პუნქტში მიიღებენ და გაყიდვას ან/და თვითონ მოიხმარენ ელექტროენერგიას. იმპორტიორების საქმიანობა დერეგულირებულია და ლიცენზიას არ მოითხოვს.
- **ექსპორტიორები** - პირები, რომლებიც მიწოდების პუნქტში ყიდვას ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) საქართველოს ფარგლებს გარეთ. ექსპორტიორების საქმიანობა დერეგულირებულია და ლიცენზიას არ მოითხოვს.
- **ბაზრის ოპერატორი („ესკო“)** - პირი, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის გარკვეული სეგმენტების ორგანიზებაზე.
- **გადაცემის სისტემის ოპერატორი („გსო“)** - საბითუმო ბაზარზე საქსელო და სისტემური მომსახურების გამწვევი ორგანიზაცია.
- **განაწილების სისტემის ოპერატორი** - პირი, რომელიც გსო-სთან ერთად ახორციელებს საქსელო მომსახურებას, განაწილების ქსელის გატარების ხარჯები კი უნაზღაურდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში „სემეკი“ ან „კომისია“) მიერ დადგენილი ტარიფით.

დეტალური ინფორმაცია ელექტროენერგიის მწარმოებლების შესახებ:

- 2022 წლის ბოლოს საქართველოში 109 ჰიდროელექტროსადგური, 5 თბოელექტროსადგური და ერთი ქარის ელექტროსადგური ფუნქციონირებდა;
- სატარიფო რეგულირების თვალსაზრისით, ჰიდროელექტროსადგურები დაყოფილია (1) მარეგულირებელ, (2) ნაწილობრივ დერეგულირებულ, (3) დერეგულირებულ, და (4) გარანტირებული სიმძლავრის (თბოსადგურები) სადგურებად:
 - მარეგულირებელი და ნაწილობრივ დერეგულირებული სადგურები - 2008 წლის აგვისტომდე აშენებული ყველა 65 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგური, რომლებსაც სემეკი უდგენს ფიქსირებულ ან ზედა ზღვრულ ტარიფს და შესაბამისად, ხსენებული სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია იყიდება **რეგულირებული** (სემეკის მიერ დამტკიცებული) ფიქსირებული ან ზედა ზღვრული ტარიფით;
 - **დერეგულირებული სადგურები** - 2008 წლის აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურები (გარდა გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსს მქონე თბოსადგურებისა). აღნიშნული სადგურები ელექტროენერგიის რეალიზაციას ახდენენ არარეგულირებული ტარიფით, თავისუფალი ბაზარზე, გარდა იმ პერიოდებისა, როდესაც მათ გააჩნიათ PPA, სადაც სადგურების გამომუშავების შესყიდვას ახდენს ესკო PPA-ს პირობების შესაბამისად შეთანხმებული ტარიფით;
 - გარანტირებული სიმძლავრის წყაროები (თბოსადგურები) - თბოსადგურები, რომლებიც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია გარანტირებული სიმძლავრის წყაროდ. აღნიშნულ თბოსადგურებს სემეკი უდგენს გარანტირებული სიმძლავრის საფასურს და ელექტროენერგიის წარმოების ზღვრულ (ზედა ზღვარი) ტარიფს.


- ელექტროენერჯის მწარმოებლებიდან სახელმწიფო საკუთრებაშია მხოლოდ ენგურ და ვარდნილ ჰესები, რომლებიც ნაწილობრივ მდებარეობენ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ასევე სახელმწიფოს საკუთრებაშია გარდაბანი 1 და გარდაბანი 2 თბოელექტროსადგურები;
- აღსანიშნავია, რომ 15 მეგავატამდე დადგმული სიმძლავრის (მცირე სიმძლავრის) სადგურებს უფლება აქვთ ოპერირება დაიწყონ წარმოების ლიცენზიის გარეშე.

დეტალური ინფორმაცია ელექტროენერჯის მომხმარებლების შესახებ:

ელექტროენერჯის მოხმარების მხარეს ბაზარზე არიან:

- პირდაპირი მომხმარებლები (კერძო კომპანიები, რომლებიც აკმაყოფილებენ მთავრობის მიერ განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს და რომლებსაც ელექტროენერჯის შესყიდვა მხოლოდ საბითუმო ბაზარზე შეუძლიათ) - ასეთი მომხმარებლების რაოდენობა 2022 წლის ბოლოს შეადგენდა 58-ს და მნიშვნელოვანი მზარდი ტრენდით ხასიათდებოდა (იხ. გრაფიკი 5). ბოლო წლებში პირდაპირი მომხმარებლების გაზრდილი რაოდენობა დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციასთან“²¹, რომლის მიხედვითაც გარკვეული ტიპის მსხვილი მომხმარებლები ვალდებულნი არიან ეტაპობრივად გავიდნენ საბითუმო ბაზარზე. ახალი კანონის მიხედვით, რეფორმის ფარგლებში პირდაპირი მომხმარებლის სტატუსი ჩანაცვლება მსხვილი მომხმარებლის სტატუსით. მსხვილი მომხმარებლები უფლებამოსილები იქნებიან ივაჭრონ საბითუმო ბაზარზე, და, ასევე, ექნებათ უფლება ივაჭრონ საცალო ბაზარზე და აირჩიონ რამდენიმე მომწოდებელი. მსხვილი მომხმარებლის განმსაზღვრელი მახასიათებლების პერიოდულად გაფართოვების გზით, იმ საბოლოო მომხმარებელთა რაოდენობა, რომლებსაც მოუწევთ საბითუმო ბაზარზე გასვლა ნელ-ნელა უფრო გაფართოვდება. საბოლოოდ პროცესი უნდა დასრულდეს 2026 წლის 1 ივლისამდე. „ელექტროენერჯის მსხვილი მომხმარებლის კრიტერიუმებისა და სტატუსის განსაზღვრის შესახებ“²² სემეკის 2020 წლის 28 დეკემბრის №80 დადგენილებით განისაზღვრა მსხვილი მომხმარებლის სტატუსი და კრიტერიუმები.

გრაფიკი 5: პირდაპირი მომხმარებლის რაოდენობა²³



ბაზრის გახსნის შემდგომი ეტაპები

- 1 ივლისი, 2025– 35-110 კვ ძაბვის ყველა საბოლოო მომხმარებელი, და 6-10 კვ ძაბვის საბოლოო მომხმარებელი, რომელიც თვეში მოიხმარს არანაკლებ 1 მლნ კვტ/სთ ელ.ენერჯიას
- 1 ივლისი, 2026 - ყველა მომხმარებელი გარდა საყოფაცხოვრებო და მცირე საწარმოსი

დეტალური ინფორმაცია განაწილების სისტემის ოპერატორის შესახებ:

საბითუმო ბაზარზე მაღალი და დაბალი ძაბვის ქსელზე მომსახურებას ახორციელებენ გსო და განაწილების სისტემის ოპერატორი. გსო უზრუნველყოფს ელექტროენერჯის გადაცემასა და დისპეტჩერიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო განაწილების სისტემის ოპერატორი მომსახურებას ახორციელებს როგორც მათი, ასევე - მესამე პირების საკუთრებაში არსებული ქსელების გამოყენებით.

²¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4852064?publication=9>
²² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5069902?publication=0>
²³ <https://esco.ge/ka/electricity/electricity-trade>

დეტალური ინფორმაცია ესკოს შესახებ:

საბითუმო ბაზრის მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთთან ივაჭრონ ორმხრივი ხელშეკრულებებით. დღეს მოქმედი ბაზრის მოდელის პირობებში, ელექტროენერჯის სიჭარბის ან დეფიციტის შევსება ხდება ბაზრის ოპერატორის - ესკოს მეშვეობით, რომელიც მოქმედებს როგორც ე.წ. „pool“ და პოსტ-ფაქტუმ ახდენს დაუკონტრაქტებელი (i) ელექტროენერჯის ერთიან შესყიდვას, (ii) საშუალო შეწონილი ტარიფის ანგარიშს და (iii) შემდგომში ამავე ტარიფით იმ მომხმარებელისთვის ავტომატურ მიყიდვას, რომელთაც ხელშეკრულებების მიღმა დარჩათ შეუსყიდავი ელექტროენერჯია. 2022 წლის მონაცემებით ქსელში ჯამურად მიწოდებული ელექტროენერჯის დაახლოებით 85²⁴% მოცულობის გაყიდვა ხდება პირდაპირი ხელშეკრულებების მეშვეობით, ხოლო დანარჩენი ნაწილის ყიდვა-გაყიდვა კი ესკოს მეშვეობით სემეკის მიერ დამტკიცებული სტანდარტული პირობების ხელშეკრულებების²⁵ საფუძველზე. ესკოსგან საბალანსო ელექტროენერჯიას შეისყიდიან ძირითადად ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები. დღესდღეობით საქართველოს ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობისას ესკოს საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასი ასევე წარმოადგენს ორმხრივი ხელშეკრულებების რეფერენტ ფასს, ვინაიდან მომხმარებლისათვის და მიმწოდებლისათვის ესკოზე ელექტროენერჯის შესყიდვა და გაყიდვა წარმოადგენს ე.წ. ფუთ ოფციას („put-options“).

ესკოს ფუნქციებში შედის ასევე გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობის უზრუნველყოფა, რისთვისაც ბაზრის ოპერატორი გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისაგან (თბოელექტროსადგურები) ყიდულობს სიმძლავრეს და უნაზღაურებს გარანტირებული სიმძლავრის საფასურს. გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გადასახდელ გარანტირებული სიმძლავრის საფასურს ესკო, თავის მხრივ, ინაზღაურებს ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანიებისგან, პირდაპირი მომხმარებლების და ექსპორტიორებისგან²⁶.

დეტალური ინფორმაცია ელექტროენერჯის მიმწოდებლების შესახებ:

საბითუმო ბაზარში მოხმარების მხრიდან, უნივერსალური მომსახურების, საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებლის და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის გარდა, ასევე მონაწილეობს თავისუფალი მიმწოდებელი, რომელიც უფლებამოსილია ელექტროენერჯია იყიდოს ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე. მიუხედავად საკანონმდებლო დაშვებისა, რომ ბაზარზე არსებობდნენ ე.წ. თავისუფალი მიმწოდებლები, რომლებიც ალტერნატიულ ფასად შესთავაზებდნენ საცალო აბონენტებს ელექტროენერჯიას, ჯერ-ჯერობით ასეთი კომპანიები არ ფუნქციონირებენ და, შესაბამისად, საცალო მიწოდების სეგმენტზე მომხმარებლებს არჩევანის შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

ასევე, ბაზარზე რეგისტრირებულები არიან უნივერსალური მომსახურების, საჯარო მომსახურებისა და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლები, რომლებიც აწვდიან ელექტროენერჯიას საცალო ელექტროენერჯეტიკული ბაზრის შესაბამის სეგმენტებს, რეგულირებული პირობებით (მათ შორის ტარიფით). მოხმარების მხარის ჩამოთვლილი მონაწილეების ბაზარზე ფორმირება განპირობებულია სექტორის რეფორმებით.

საცალო ბაზრის სტრუქტურა

საცალო ბაზარზე მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდება ხორციელდება უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერჯის მიმწოდებლის და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის მეშვეობით, რომელთა ფუნქციებსაც საქართველოს ბაზარზე ახორციელებენ შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“ („თელმიკო“) და სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“. „თელმიკო“ და სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“ ელექტროენერჯიას ყიდულობენ საბითუმო ბაზარზე და აწვდიან მათ სამომხმარებლო არეალში არსებულ მომხმარებლებს: „თელმიკო“ უზრუნველყოფს ელექტროენერჯის მიწოდებას თბილისის მასშტაბით, ხოლო დანარჩენ რეგიონებს ამარაგებს სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“. „თელმიკო“ და სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“ მომხმარებელს ელექტროენერჯიას აწვდიან ფიქსირებული ტარიფით, რომელსაც ამტკიცებს სემეკი, ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის მიხედვით²⁷.

დიაგრამა 2-ზე მოცემულია საცალო ბაზრის სტრუქტურის აღწერა.


²⁴ <https://gnerc.org/files/Annual%20Reports/2022%20GEO.pdf>

²⁵ <https://esco.ge/ka/electricity/standard-provisions>

²⁶ <https://esco.ge/ka/garantirebuli-simdzlavre>

²⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2436635?publication=10>

დიაგრამა 2: საქართველოს საცალო ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა²⁸




საცალო ბაზარზე უნივერსალური მომსახურების მიწოდებელი კომისიის მიერ რეგულირებადი ტარიფით საჯარო მომსახურების ვალდებულების²⁹ სახით აწვდის ენერჯის მცირე საწარმოებსა და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს. მცირე საწარმოს განმარტება მოცემულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში³⁰ და მისი დასაქმებულთა რიცხვი, წლიური ბრუნვა, ბუღალტრული ბალანსი ან/და სხვა მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ მაჩვენებელს.

ელექტროენერჯის მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციები

2022 წლის მდგომარეობით საქართველოს ენერგოსისტემის დადგმული სიმძლავრე 4,586 მგვტ-ია, საიდანაც მარეგულირებელი ჰესების სიმძლავრეა 2,381 მგვტ, მოდინებაზე მომუშავე ჰესების სიმძლავრე – 995 მგვტ, 110 მგვტ – აირტურბინების, 21 მგვტ – ქარის სადგურების, ხოლო კომბინირებული და თბოელექტროსადგურებისა – 1079 მგვტ (იხ. გრაფიკი 6).

გრაფიკი 6: საქართველოს ელექტროსადგურების არსებული სიმძლავრეები (მგვტ)³¹



²⁸ <https://gnerc.org/ge/commission/commission-reports/tsliuri-angarishebi>

²⁹ საჯარო მომსახურების ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან კომპანიებზე დაწესებულ სავალდებულოდ შესასრულებელ მოვალეობას, რათა უზრუნველყოს გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა


³⁰ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4747785>

³¹ <https://www.gse.com.ge/komunikacia/publikaciebi/saqartvelos-gadamcemi-qselis-ganvitarebis-atwliani-gegma>

სისტემის ჯამური დადგმული სიმძლავრის დაახლოებით 74% მოდის ჰიდროელექტროსადგურებზე. მარეგულირებელი ჰესების წილი შეადგენს დადგმული სიმძლავრის დაახლოებით 52%-ს.


2022 წელს ელექტროენერჯის წარმოება 42%-ითაა გაზრდილი 2010 წელთან შედარებით, ხოლო მოხმარება კი – 68%-ით, რაც ციფრობრივად ჩანს გრაფიკ 7-ზე.

გრაფიკი 7: საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება-მოხმარება (ტვსთ)³²



2010-2022 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება საშუალოდ 3%-ით იზრდება, ხოლო მოთხოვნა ელექტროენერჯის მოხმარებაზე კი 5%-ს აღწევს (გრაფიკი 8).

გრაფიკი 8: ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების ზრდის ტემპი (გვტსთ)¹⁰




³² <https://www.gse.com.ge/momkhmareblebistvis/monatsebi-elektroenergetikuli-sistemidan/faktiuri-balansi>

ელექტროენერჯის წარმოებას და მოხმარებას შორის სხვაობა ყოველწლიურად მზარდია და ეს ტენდენცია 2017 წლიდან თანდათან უფრო ძლიერდება (გრაფიკი 8). ეს განპირობებულია: (i) ერთი მხრივ, მოხმარების უფრო მაღალი ზრდის ტემპით გენერაციასთან შედარებით და (ii) მეორე მხრივ, ქვეყანაში ახალი ენერგობიექტების მშენებლობის სიმცირით. ფაქტიურად, 2017 წლიდან ქვეყანაში მიწოდებისა და მოხმარების წლიური დაბალანსება მხოლოდ იმპორტის ხარჯზე ხდებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა ჰიდროლოგიურად უხვწყლიანი 2022 წელი, როდესაც ჰიდროელექტროსადგურებს ჰქონდათ მაღალი გენერაცია და ამავდროულად თბოსადგურები მუშაობდნენ გაზრდილი მაჩვენებლით. აქვე აღსანიშნავია, რომ თბოსადგურები მუშაობენ იმპორტირებული ნედლეულით (ბუნებრივი აირი), რის გამოც თბოსადგურების მიერ ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯი, პირობითად, იმპორტირებულ ელექტროენერჯად შეიძლება იქნეს მიჩნეული. 2021 წელს წლიურ ჭრილში სხვაობამ ადგილობრივ მიწოდებასა და მოხმარებას შორის შეადგინა მაქსიმუმი 1,108 გვტსთ მაშინ, როდესაც 2010 წელს სიჭარბე მოიცავდა 1,616 გვტსთ-ს.

2022 წელს ჰესების მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერჯამ 10,769.1 გვტსთ შეადგინა, საიდანაც 53% (5,658 გვტსთ) მარეგულირებელ ჰესებზე მოდიოდა. მათ შორის წარმოებული ელექტროენერჯის 35% (3,747 გვტსთ) გენერირდა ენგურჰესის მიერ. სეზონური ჰესების წილი დაახლოებით 39% შეადგენდა, ხოლო მცირე ჰესების - 8%. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ექსპლუატაციაში შევიდა 7 მცირე ჰიდროელექტროსადგური ჯამური სიმძლავრით 26.92 მგვტ.

თბოელექტროსადგურებმა 2022 წელს 3,388 გვტსთ ელექტროენერჯია გამოიმუშავეს, საიდანაც 69% (2326 გვტსთ) გარდაბნის თბოსადგურ 1-სა და გარდაბნის თბოსადგურ 2-ზე მოდიოდა. ქართლის ქარის სადგურის წლიური გამომუშავება იყო 88 გვტსთ, რაც საქართველოს ელექტროენერჯის შიდა გამომუშავების მხოლოდ 0.6%-ს შეადგენდა (იხ. გრაფიკი 9).

გრაფიკი 9: ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით(გვტსთ)¹⁰



ელექტროენერჯის ჯამურმა მიწოდებამ 2022 წელს შეადგინა 14,247 გვტსთ, სადაც ყველაზე დიდი წილი (დაახლოებით 76%) ჰიდროელექტროსადგურებზე მოდიოდა.


2010 წლიდან მოყოლებული ელექტროენერჯის მოხმარება მუდმივად იზრდება. გამონაკლისს წარმოადგენდა 2020 წელი, როდესაც კოვიდ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური საქმიანობის შემცირების გამო, მოხმარება შემცირდა 4.8%-ით 2019 წელთან შედარებით. 2021 წელს მოხმარება კვლავ გაიზარდა 13%-ით და გადააჭარბა პანდემიამდელ, 2019 წლის მოხმარების დონეს 7.6%-ით. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 10-წლიანი გეგმის მიხედვით,

ელექტროენერჯის მოხმარების მატება გაგრძელდება ყოველწლიურად და 2032 წლისათვის მოსალოდნელია, რომ მიაღწევს 20.8 ტვტ.სთ-ს³³.

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა იზრდება ყველა სეგმენტისათვის. აფხაზეთის მოხმარება 2010 წლიდან 2022 წლის ჩათვლით 1.5-ჯერ გაზარდა. პირდაპირი მომხმარებლების შემთხვევაში კი, ზრდა გამოწვეული იყო ძირითადად საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელთა შედეგად მსხვილი მომხმარებლების ნაწილი სავალდებულოდ გამოეყო ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანიების მომსახურების არეალს და შეუერთდა საბითუმო ბაზარს, როგორც დამოუკიდებელი კვალიფიციური საწარმო. გრაფიკ 10-ზე მოყვანილია:

- „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოხმარებაში შეყვანილი „ეპ ჯორჯიას“, როგორც უნივერსალური მომსახურების და საჯარო მიმწოდებლის სტატუსის მქონე კომპანიის, მოხმარება;
- „თელასის“ შემთხვევაში კი, „თელმიკოს“ მოხმარება.


გრაფიკი 10: ელექტროენერჯის მოხმარება (გვტსთ)³³



ყოველწლიური მონაცემების ანალიზის მიხედვით, ელექტროენერჯის მოხმარება ნაკლებად სეზონური ხდება (გრაფიკი 11). აღნიშნული ძირითადად განპირობებულია ზაფხულის პერიოდში გაზრდილი ტურისტული შემოდინებით და ზაფხულის თვეებში კონდიციონერების სისტემების გაზრდილი გამოყენებით. ზამთრის თვეებში (სექტემბერი-აპრილი) მოხმარების საშუალო ზრდა ბოლო 12 წლის მანძილზე საშუალოდ 4%-ს შეადგენს მაშინ, როდესაც ზაფხულის თვეების (მაისი-აგვისტო) მოხმარების ზრდა საშუალოდ 6%-ია. სემკვის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში 2030 წლისათვის მოსალოდნელია, რომ საქართველო პიკური დატვირთვის ქვეყანა გახდება.

³³ <https://www.gse.com.ge/komunikacia/publikaciebi/saqartvelos-gadamcemi-qselis-ganvitarebis-atwliani-gegma>

გრაფიკი 11: ზამთრისა და ზაფხულის მოხმარება (გვტ.სთ)³⁴



საქართველოს ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით, გენერაციის დაახლოებით 40% ნაწილდება ზაფხულის პერიოდზე. შესაბამისად, არსებობს შესაძლებლობა, რომ შემცირდეს იმპორტის საჭიროება არა ზამთრის პერიოდში და, მასადაამე, მოხდეს ადგილობრივი წარმოების ოპტიმალური ათვისება.

წარმოების მაღალი კონცენტრაცია ზაფხულის სეზონზე ქმნის იმპორტის საჭიროებას წლის დანარჩენ პერიოდში. სეზონურობის ტენდენციით განსაკუთრებით ისეთი ჰესები ხასიათდება, რომელთაც არ გააჩნიათ წყლის შემნახველი რეზერვუარი.

ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი

საქართველოში არასაკმარისი გენერაცია ზამთრის პერიოდში და ჭარბი მიწოდება ზაფხულის პერიოდში განაპირობებს ელექტროენერჯის ექსპორტის და იმპორტის აუცილებლობას. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, იმპორტი შესაძლოა ტექნიკური საჭიროებიდან გამომდინარე იყოს აუცილებელი. საქართველოდან ელექტროენერჯის მიმოცვლა ხორციელდება რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და პირიქით. ასევე, საქართველოს გავლით ხორციელდება ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში, რუსეთიდან სომხეთში და აზერბაიჯანიდან თურქეთში. თითოეული ქვეყნის მიმართულებით გამტარუნარიანობა შეზღუდულია ქვეყნის ენერგოსისტემის მუშაობის დასაშვები რეჟიმული პარამეტრებიდან გამომდინარე.


2022 წელს 2010 წელთან შედარებით ელექტროენერჯის იმპორტი 7-ჯერ გაიზარდა (გრაფიკი 12). მათ შორის, იმპორტის დიდი წილი მოდიოდა აფხაზეთისათვის ზამთრის პერიოდში მომარაგების უზრუნველსაყოფად. 2010 წელს იმპორტის წილი ელექტროენერჯის მოხმარებაში 2.6% იყო, 2021 წელს კი მიაღწია მაქსიმუმს - 7.4%-ს (2,006 გვტ.სთ), ხოლო 2022 წელს შედარებით შემცირდა 4.5% ნიშნულამდე.

ექსპორტის შემთხვევაში სიტუაცია საპირისპიროა და 2022 წელს 2010 წელთან შედარებით გადადინება 36%-ითაა შემცირებული (გრაფიკი 12). ექსპორტის მოცულობა რეკორდული იყო 2010 წელს (1,524 გვტ.სთ), რომელიც შემცირდა მომდევნო წლებში; თუმცა, 2022 წელს 2010 წლის შემდგომ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია (971 გვტ.სთ), რაც ძირითადად განპირობებული იყო (i) მაღალი ნალექიანობით/ჰიდროლოგიით ზაფხულის პერიოდში და (ii) მნიშვნელოვნად გაზრდილი ელექტროენერჯის ფასებით, განსაკუთრებით თურქეთის რესპუბლიკაში. 2022 წელს ექსპორტირებული ელექტროენერჯის 89% მოდიოდა თურქეთზე, ხოლო 11% – სომხეთზე.

³⁴ <https://data.gnerc.org/>


ელექტროენერჯის იმპორტის საჭიროება ადგილობრივი ენერჯის წყაროების განვითარების დაბალი ტემპითაა გამოწვეული. მართალია, ქვეყანას გააჩნია თბო სიმძლავრეები, რომლებიც გამოიყენება როგორც ქვეყნის გარანტირებული სიმძლავრის წყარო, თუმცა თბო სიმძლავრეები მუშაობს იმპორტირებულ ნედლეულზე, რაც გრძელვადიან პერიოდში ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში გენერაციის ადეკვატურობას და ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევას.

გრაფიკი 12: ელექტროენერჯის ექსპორტი და იმპორტი (გვტ.სთ)³⁴



ექსპორტთან მიმართებაში გასათვალისწინებელია როგორც ადგილობრივი რესურსების სიჭარბე, ასევე მეზობელ ქვეყანაში არსებული საბაზრო სიტუაცია და ელექტროენერჯის ტარიფები, რაც იძლევა სიგნალს ექსპორტის განხორციელებადობისთვის. 2022 წელს მნიშვნელოვნად გაზრდილი ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთის მიმართულებით განპირობებული იყო ბაზარზე ბოლო ათწლეულის მანძილზე დაფიქსირებული რეკორდული ფასებით. 2022 წელს თურქეთში ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზრის საშუალო წლიურმა ფასმა შეადგინა 150 აშშ დოლარი/მგვტსთ-ზე (2,553 ლირა/მგვტსთ-ზე) მაშინ, როდესაც თუნდაც 2022 წელთან შედარებით საქართველოში, თურქეთთან შედარებით, აშშ დოლარში 3-ჯერ ნაკლები იყო ფასი³⁵.


გრაფიკი 13: თურქეთის ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზრის საშუალო ფასები³⁵



³⁵ <https://rapor.epias.com.tr/rapor/xhtml/ptfSmfDonemlik.xhtml>

ისტორიულად, საქართველო რუსეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე იყო დამოკიდებული. მათ შორის ბოლო წლებში განსაკუთრებულად გაიზარდა აფხაზეთის რეგიონისათვის სპეციალური ფასით შემოტანილი იმპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობა, რაც იმპორტის საშუალო წლიურ ფასს მნიშვნელოვნად ამცირებს. საშუალო წლიურმა (ყველა ქვეყნის) ელექტროენერგიის იმპორტის ფასმა 2015 წელს მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს და შეადგინა 63 აშშ დოლარი/მგვტ.სთ-ზე, ხოლო ექსპორტის ფასმა 2022 წელს შეადგინა 87 აშშ დოლარი/მგვტ.სთ-ზე და თითქმის 2-ჯერ გადააჭარბა 2015 წლის მანამდე არსებულ რეკორდულ მაჩვენებელს. “იმპორტის ფასის შემცირება დიდწილად გამოწვეული იყო ბოლო წლებში აფხაზეთის რეგიონისათვის სპეციალური ფასით შემოტანილი იმპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობის წილით საერთო იმპორტში. აღნიშნული იმპორტით შემოტანილი ელექტროენერგია არ შედის ბაზრის საერთო მოცულობაში (ესკოს საბალანსო ელექტროენერგია) და პირდაპირი ხელშეკრულებით იყიდება, შესაბამისად ასეთი ტიპის იმპორტი ვერ გაუწევს კონკურენციას ადგილობრივ წარმოებას.³⁶

გრაფიკი 14: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო წლიური ფასები³⁷




როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის დაბალი ფასი განპირობებულია აფხაზეთის მომარაგებით, თუმცა არადეფიციტურ თვეებში ფასი საკმაოდ მაღალია.

ურთიერთდაკავშირებული შესაძლებლობების გაძლიერება საშუალებას აძლევს საქართველოს, რომ ელექტროენერგიის იმპორტი აირჩიოს მეზობელ ქვეყნებს შორის კომერციული პირობების საფუძველზე. ისტორიულად, რუსეთი იყო ელექტროენერგიის იმპორტის ძირითადი წყარო საქართველოში. მდგომარეობა შეიცვალა 2017 წლიდან, როდესაც 2017-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის წილი, ხოლო 2021-ში კვლავ გაიზარდა რუსეთიდან იმპორტის წილი და შეადგინა 60%-ზე მეტი. 2020 და 2021 წლებში თურქეთიდან იმპორტი განხორციელდა მნიშვნელოვნად დაბალ ფასად (აშშ დოლარის ცენტი 4.3/კვტ.სთ), ვიდრე კონკურენტი ქვეყნებიდან. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანთან ახალი 500-კილოვოლტიანი ხაზის ექსპლუატაციის შემდეგ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი თანდათანობით ჩანაცვლდა აზერბაიჯანიდან იმპორტით, მაგალითად: 2013 წლიდან 2018 წლამდე რუსეთის წილი 95%-დან 13.7%-მდე შემცირდა; 2022 წელს კი იმპორტის დაახლოებით 83% რუსეთიდან განხორციელდა (უმეტესად აფხაზეთის რეგიონისთვის, რომელმაც საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის ნახევარი მოიხმარა).

³⁶ <https://galtandtaggart.com/ka/reports/research-reports/georgias-energy-sector-electricity-market-watch-1h23>


³⁷ <http://ex-trade.geostat.ge/ka>; <https://www.gse.com.ge/momkhmareblebistvis/monatsemebi-elektroenergetikuli-sistemidan/faktiuri-balansi>

გრაფიკი 15: ელექტროენერჯის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, გვტ.სთ



ელექტროენერჯის ტრანზიტის საკითხი გააქტიურდა 2016 წლიდან და შეიძლება ითქვას, რომ 2022 წელს რეკორდული, 3,160 მგვტ.სთ-ს ოდენობით მოხდა საქართველოს გავლით ელექტროენერჯის ტრანზიტი. 2022 წელს ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით, რუსეთიდან – თურქეთში და სომხეთიდან – თურქეთში.

გრაფიკი 16: საქართველოდან ტრანზიტით გასული ელექტროენერჯია (გვტ.სთ)¹³



საქართველოს გადამცემი ქსელის ათწლიანი გეგმის მიხედვით, 2025-2033 წლებისთვის საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კავკასიის (შავი ზღვის აუზის ქვეყნების) რეგიონში დაგეგმილი ენერგეტიკული ინტეგრაციის ამოცანათა გადაჭრაში. აღნიშნული გულისხმობს ამ ქვეყნებს შორის ელექტროენერჯის მიმოცვლას და საქართველოს ჰიდროენერგორესურსების ათვისებასა და გამოყენებას. ამასთანავე დაგეგმილია, რომ 2025-2033 წლებისთვის მნიშვნელოვნად გაძლიერდება საქართველოს ენერგოსისტემის კავშირის ხაზები მეზობელ ენერგოსისტემებთან; თურქეთთან მიმოცვლის შესაძლებლობა გაიზარდება 1,050 მგვტ-მდე, რუსეთთან – 1,600 მგვტ-მდე, სომხეთთან – 700 მგვტ-მდე. აზერბაიჯანთან 2023 წლიდან უკვე შესაძლებელი უნდა გახდეს 2,000 მგვტ-ის მიმოცვლა. აქვე აღსანიშნავია შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი, რომლის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ამჟამად მიმდინარეობს და აღნიშნული პროექტი დააკავშირებს საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას ცენტრალური ევროპის სინქრონულ ზონასთან.


ელექტროენერჯის საბითუმო და საცალო ფასები

საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასი ეროვნულ ვალუტაში ყოველწლიურად მზარდია და 2022 წელს 3-ჯერ გადააჭარბა 2010 წლის მონაცემს (გრაფიკი 17). საბალანსო ელექტროენერჯის ფორმირებას ახორციელებს ესკო ყოველთვიურად, მის მიერ სხვადასხვა კატეგორიის გენერაციის ობიექტისა და იმპორტიორისაგან შესყიდული

ელექტროენერჯის ფასების საშუალო შეწონილის პრინციპით. საბალანსო ელექტროენერჯის ძირითადი შემსყიდველები არიან გამანაწილებელი კომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები.

ცვალებადი სავალუტო კურსისა და ბოლო ათწლეულში ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან მიმართებით დევალვაციის გამო, საბალანსო ელექტროენერჯის ფასი აშშ დოლარში არ იზრდება იგივე პროპორციით, როგორც ქართულ ლარში.

გრაფიკი 17: საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასი³⁸




2010 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი ეროვნულ ვალუტაში 2%-ით გაიზარდა, ხოლო აშშ დოლარში აღნიშნული საშუალოდ ასევე 2%-ით შემცირდა (გრაფიკი 17).

მცირე სიმძლავრის დერეგულირებულ ელექტროსადგურებს, იმ ელექტროენერჯისთვის, რომელიც მათ გამოიმუშავეს და გადასცეს ქსელში შესაბამისი ელექტროენერჯის შესყიდვაზე წინასწარ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულების გარეშე, ესკო სთავაზობს შესყიდვის ტარიფს, რომელიც (ა) ზაფხულის თვეებში (მაისი-აგვისტო) განისაზღვრება, როგორც რეგულირებადი ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ ჰიდროელექტროსადგურების ტარიფით, რომელსაც სემეკის მიერ დადგენილი აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი, ხოლო (ბ) ზამთრის პერიოდში (სექტემბერი-აპრილი) - იმ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს (თბოსადგურის) ელ. ენერჯის წარმოების ტარიფი, რომელსაც კომისიის მიერ განესაზღვრა ყველაზე მაღალი ტარიფი. აღნიშნული მიდგომა წლების მანძილზე იცვლებოდა და ძირითადად დამოკიდებული იყო სემეკის მიერ დადგენილ ტარიფებზე. აღსანიშნავია, რომ დერეგულირებული სადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასი ზრდადი იყო ეროვნულ ვალუტაში (გრაფიკი 18), აშშ დოლართან მიმართებით მუდმივად მცირდებოდა 2022 წელს შეადგინა 26 ქართული ლარი/ მგტ.

³⁸ <https://data.gnerc.org/>; <https://esco.ge/ka/electricity/balancing-electricity-price>

გრაფიკი 18: დერეგულირებული სადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასი




საცალო ბაზარზე ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფები რეგულირებულია და სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით მათი გადახედვა ყოველ 5 წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს, თუმცა კომპანიებს უფლება აქვთ მიმართონ კომისიას მათი გადახედვისთვის.

საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ტარიფები დაყოფილია მოხმარების დონის მიხედვით, რამაც უნდა უზრუნველყოს ელექტროენერჯის ენერგოეფექტური მოხმარება; ხოლო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის ფასები განისაზღვრება ძაბვის საფეხურების მიხედვით.

ბოლო მონაცემებით, „თელმიკოსათვის“ (თბილისი რეგიონი) თვეში 101 კვტს-მდე ელექტროენერჯის მოხმარების შემთხვევაში 1 კვტს-ს ტარიფი 15.3 თეთრი/კვტ.სთ-ზე (დღგ-ს გარეშე), 101-301 კვტსთ მოხმარების შემთხვევაში – 18.7 თეთრი/კვტ.სთ-ზე და 301 კვტ საათზე მეტის მოხმარების შემთხვევაში – 22.5 თეთრი/კვტ.სთ-ზე (გრაფიკი 19). „ეპ ჯორჯია მიწოდებისათვის“ (დანარჩენი რეგიონები) მოხმარების დონის მიხედვით ტარიფები შემდეგია: 15.0, 18.4, 22.2 თეთრი/კვტ.სთ-ზე.


გრაფიკი 19: საყოფაცხოვრებო მომხმარებლის ტარიფი ძაბვის საფეხურების მიხედვით (დღგ-ს გარეშე)³⁹



³⁹ <https://gnerc.org/tariffs/tariffs2>

არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის ტარიფი უფრო მაღალია ვიდრე საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის დადგენილი ტარიფები (გრაფიკი 20).

გრაფიკი 20: არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის ტარიფი ძაბვის საფეხურების მიხედვით (დღგ-ს გარეშე)³⁹



2010 წლიდან მოყოლებული საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფები 5-ჯერ შეიცვალა და საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის საშუალოდ 40%-ით გაიზარდა⁴⁰. ამავე პერიოდში „თელმიკოსათვის“ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფი საშუალოდ 40.5%-ით გაიზარდა, ხოლო „ეპ ჯორჯია მიწოდებისათვის“ – 39.3%-ით.

განახლებადები ენერჯიების განვითარების მხარდაჭერა

საქართველოს მთავრობამ 2008 წლიდან შეიმუშავა განახლებადი ენერჯიების ათვისების მხარდაჭერის პოლიტიკა და შედეგად საფუძველი ჩაეყარა პროექტების მხარდ განვითარებას ქვეყანაში. 2008 წლიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობასა და კერძო ინვესტორებს შორის 300-ზე მეტი ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა და ყველა პროექტი, რაც აქამდე ექსპლუატაციაში შევიდა, პროექტების განვითარების მხარდაჭერის შედეგია. მხარდაჭერის მექანიზმები დროდადრო იცვლებოდა და შესაძლებელია შემდეგი ეტაპების გამოყოფა:

- 2008 წლიდან 2013 წლამდე პერიოდი: საქართველოს მთავრობის 2008 წლის 19 აპრილის №107 დადგენილება „სახელმწიფო პროგრამა განახლებადი ენერჯია 2008 საქართველოში განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- 2013 წლიდან 2018 წლამდე პერიოდი:
 - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“;⁴¹
 - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №40 დადგენილება „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ არის შეტანილი საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში“;⁴²

⁴⁰ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/80698?publication=0>
⁴¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1994313?publication=0>
⁴² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278352?publication=0>

- 2018 წლიდან დღემდე:
 - 2018 წლის 4 მაისის საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“;⁴³
 - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილება „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“;⁴⁴
 - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის №403 დადგენილება „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცების შესახებ“;⁴⁵
 - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის №556 დადგენილება „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცებისა და აუქციონის წესების შემუშავების შესახებ“.⁴⁶

განახლებადი ენერჯის პროექტებში ინვესტიციების მოსაზიდად, საქართველოს მთავრობა 2018 წლამდე არსებული წახალისების მექანიზმების ფარგლებში სადგურებზე გაცემდა გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას (PPA-ს) ინვესტორთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. აღნიშნული წარმოადგენდა გრძელვადიან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მხრიდან ესკო შეისყიდდა ელექტროენერჯიას გარკვეულ თვეებში და ფასით. ბოლო პერიოდში გაფორმებული PPA ხელშეკრულებების ვადა ძირითადად 10 წლით განისაზღვრა, ზამთრის 8 თვის (სექტემბერი-აპრილი) პერიოდზე. თუმცა PPA მხარდაჭერის პერიოდი შედარებით უფრო ხანგრძლივი იყო განსაკუთრებით დიდი სიმძლავრის სადგურების პროექტების განხორციელების მემორანდუმებში. ფასები ფიქსირებული იყო აშშ დოლარ ცენტებში და მერყეობდა 2.5 აშშ ცენტი/კვტ.სთ-იდან 6 აშშ ცენტი/კვტ.სთ-მდე. განსხვავებული იყო მიდგომა დიდი ჰესების შემთხვევაში (მაგალითად, ხუდონი, ნენსკრა, ნამახვანი), სადაც უფრო მაღალი ფასები ფიქსირდებოდა და ფასები ექვემდებარებოდა ყოველწლიური ესკალაციას.

მთავრობის პოზიცია PPA-ების მიმართ შეიცვალა 2017 წლიდან. ენერჯეტიკის სექტორში პროექტების წარმატებით განვითარების მიუხედავად, PPA-ები განიხილებოდა, როგორც კონკურენტული ბაზრებისათვის შემზღვეველი ფაქტორი. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოქვეყნებული დოკუმენტით⁴⁷ უკმაყოფილება გამოხატა PPA-ს პრაქტიკით მიმართ, რადგან, მისი მოსაზრებით, PPA მთავრობისთვის პირობითი პასუხისმგებლობისა და ფისკალური რისკების შემქმნელია. ხსენებულმა გარემოებებმა განაპირობა PPA-ს დე-ფაქტო მორატორიუმი 2017 წლიდან. საბოლოოდ, 2018 წელს საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ ახალი კანონით გამკაცრდა პროცედურები PPA-ს მინიჭების შესახებ. შედეგად, რამდენადაც „კომპანიისათვის“ ცნობილია, 2017-2022 წლების განმავლობაში აღარ გაფორმებულა ისეთი მემორანდუმი, რომელიც გარანტირებული შესყიდვის პირობებს ითვალისწინებდა.

2018 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძველებს, პროექტის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ პრინციპებს, წესებსა და პროცედურებს, შესაბამის ინსტიტუციურ სისტემასა და სხვ. თუმცა, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტში კერძო მხარის შერჩევის კანონით დადგენილი პროცედურა ელექტროენერჯეტიკის სექტორში მანამდე მოქმედი წესებისგან საგრძნობლად განსხვავდება და გაცილებით მეტ ბიუროკრატიას შეიცავს. მიუხედავად ამისა, განახლებადი ენერჯის (მზის, ქარის და ჰიდრო) მრავალი პროექტის განვითარება მიმდინარეობს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის ფარგლებში⁴⁸.

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის⁴⁹ საფუძველზე, 2020 წელს მთავრობამ შემოიღო ახალი მხარდაჭერი მექანიზმი სახელწოდებით „პრემიალური ტარიფი“ (Feed-in Premium - FIP), როგორც იმ ელექტროსადგურების დამხმარე სქემა, რომლებიც ბაზრის რეფორმირების

⁴³ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4193442?publication=3>

⁴⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4356735?publication=0>

⁴⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4914589?publication=0>

⁴⁶ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5636966?publication=0>

⁴⁷ <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2021/04/16/Georgia-Eighth-Review-Under-the-Extended-Fund-Facility-Arrangement-Press-Release-and-Staff-50358>

⁴⁸ <https://ppp.gov.ge/project/>

⁴⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737753?publication=1>

დასრულების შემდეგ დღით ადრე ბაზარზე ივაჭრებდნენ. პრემიალური ტარიფით მხარდაჭერის სქემა მოქმედებდა მხოლოდ 5 მგვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადი ენერჯის პროექტებზე. პრემიალური ტარიფით მხარდაჭერის პერიოდი განსაზღვრული იყო 10 წლის ვადით (რომელიც ათვლება სადგურის კომერციული ოპერირების დაწყებიდან), ყოველი წლის რვა თვის (სექტემბერი-აპრილი) განმავლობაში. პრემიალური ტარიფით მხარდაჭერის სქემა ხორციელდებოდა ესკოს (როგორც საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის) მიერ. მხარდაჭერის ეს სქემა გულისხმობდა განახლებად ენერჯიაზე მომუშავე სადგურებისათვის საბაზრო რისკების დაზღვევას პრემიალური ტარიფის შეთავაზებით, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: თუ მხარდაჭერის პერიოდში ნებისმიერი საათის განმავლობაში დღით ადრე ბაზარზე 1 კვტ.სთ ელექტროენერჯისთვის დაფიქსირებული წონასწორული ფასი ჩამოცდებოდა. 5 აშშ. ცენტზე, ესკო მხარდაჭერის სქემით მოსარგებლეს დაუფარავდა სხვაობას დღით ადრე ბაზარზე დაფიქსირებულ წონასწორულ ფასსა და 5.5 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ს შორის, მაგრამ არაუმეტეს 1.5 აშშ ცენტი/ კვტ.სთ-ზე მეტით. პრემიალური ტარიფით მხარდაჭერის მექანიზმით სარგებლობა ინვესტორებს დღეს უკვე აღარ შეუძლიათ, ვინაიდან მხარდაჭერის ეს სქემა ჩანაცვლდა განახლებადი ენერჯის სქემით (ე.წ. ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულება - CfD). პრემიალური ტარიფით მხარდაჭერის მექანიზმი მოქმედებდა მხოლოდ იმ პროექტებისთვის, რომლებსაც მემორანდუმი გაუფორმდათ 2020 წლის ივნისის შემდეგ, თუმცა ინვესტორების მხრიდან ინტერესი ამ ახალი მექანიზმის მიმართ დაბალი იყო.

2022 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცებისა და აუქციონის წესების შემუშავების შესახებ“, რომლის საფუძველზეც მთავრობამ ამოქმედდა მხარდაჭერის ახალი სქემა. მხარდაჭერის ახალი სქემით სარგებლობის მთავარი წინაპირობაა სიმძლავრის აუქციონში (განახლებადი ენერჯის წყაროების მეშვეობით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული დადგმული სიმძლავრის ათვისების მიზნით გამოცხადებული აუქციონი) მონაწილეობა და გამარჯვება. აუქციონის პროცესში ინვესტორების შერჩევის და მათზე გამოცხადებული სიმძლავრეების გადანაწილების ძირითადი პრინციპი არის შემდეგი: აუქციონში ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზების მქონე განცხადებები მქონე პირველ რიგში შეავსებენ გამოცხადებულ სიმძლავრეებს. 2023 წლის 10 თებერვალს გამოცხადდა პირველი სიმძლავრის აუქციონი, რომელიც მოიცავდა შემდეგ კატეგორიებს:

- ჰიდროელექტროსადგურები (მოდინებაზე) - 150 მგვტ;
- ქარის ელექტროსადგურები - 70 მგვტ;
- მზის ელექტროსადგურები - 70 მგვტ;
- სხვა განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურები - 10 მგვტ.

აუქციონის შედეგების მიხედვით, ჰიდროელექტროსადგურებისათვის მაქსიმალური ფასი დაფიქსირდა 6.85 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ზე (მინიმალური კი 5.9 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ზე), ქარის სადგურის შემთხვევაში – 6 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ზე (მინიმალური - 5.78 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ზე) და მზის სადგურების შემთხვევაში 5.9 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ზე (მინიმალური - 5.3 აშშ ცენტი/კვტ.სთ)⁵⁰.

სიმძლავრის აუქციონის შედეგად გამარჯვებული კომპანიები, პირველ ეტაპზე, მთავრობასთან გააფორმებენ ხელშეკრულებას ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის შესახებ. ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში კი აუქციონში გამარჯვებულ პირთან ესკო გააფორმებს ე.წ. ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულებას („Contract-for-Difference“, „CfD“). CfD სქემით მხარდაჭერის პერიოდი მოიცავს სადგურის ექსპლუატაციაში შესვლიდან 15 წლის განმავლობაში ყოველი წლის რვა, ცხრა ან 12 თვეს, იმისდა მიხედვით თუ რომელ განახლებადი ენერჯის წყაროს იყენებს სადგური ელექტროენერჯის გენერაციისთვის. კერძოდ, წლის შიგნით CfD მხარდაჭერის პერიოდი ჰიდროელექტროსადგურებისთვის შეადგენს 8 თვეს, ქარის სადგურებისთვის – 9 თვეს, ხოლო მზის და სხვა განახლებად ენერჯიაზე მომუშავე სადგურებისთვის - 12 თვეს. ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულებების საფუძველზე, მხარდაჭერის სქემით მოსარგებლე ელექტროსადგურს ესკო აუნაზღაურებს დღით ადრე ბაზარზე დაფიქსირებულ ფასსა და აუქციონში შეთავაზებულ ფასს შორის უარყოფითი სხვაობას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დღით ადრე ბაზარზე დაფიქსირებული ფასი აუქციონში შეთავაზებულ ფასზე მაღალია, აღნიშნული სხვაობა ელექტროსადგურმა უნდა აუნაზღაუროს ესკოს. ყოველ 5 წელიწადში კომპანიებს საშუალება ექნებათ გამოვიდნენ აღნიშნული ხელშეკრულებიდან და შეეძლებათ ელექტროენერჯია გაყიდონ ნებისმიერ ბაზარზე. თუმცა აღსანიშნავია,

⁵⁰ <https://www.economy.ge/?page=news&nw=2229>

რომ სიმძლავრის აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე პროექტებისათვის CfD-ით სარგებლობისათვის აუცილებელია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმების პროცესის დასრულება და ორგანიზებული ბაზრების მოქმედებაში გაშვება.

მარეგულირებელი გარემო

ენერგეტიკის სექტორის ძირითადი წესები და დებულებები

ელექტროენერჯის სექტორი რეგულირდება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით, ხოლო მეორადი კანონმდებლობა შედგება სხვადასხვა ნორმატიული აქტისაგან. მაგალითად, ასეთი ნორმატიული აქტებია: მთავრობის დადგენილებები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში „**ეკონომიკის სამინისტრო**“ ან „**MoESD**“) ბრძანებები და სემეკის დადგენილებები. პირველადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს ბაზრის მუშაობის ძირითად პრინციპებს, არის საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ (შემდგომში „**ენერჯის შესახებ კანონი**“). აღნიშნული კანონი დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის დეკემბერში და ამით მან ჩაანაცვლა წლების განმავლობაში მოქმედი „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს მანამდე არსებული კანონი. ენერჯის შესახებ კანონი განსაზღვრავს ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო სტრუქტურას, აღწერს დაგეგმილ რეფორმებს და განსაზღვრავს მეორადი კანონმდებლობის მიღების ვადებს და მის მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს.

ენერგეტიკის სექტორის ძირითად პოლიტიკას, სამიზნე ინდიკატორებსა და მათი მიღწევის საშუალებებს განსაზღვრავს ეკონომიკის სამინისტრო - რომელიც წარმოადგენს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი მთავარ ორგანოს. მას ევალება ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება (მთავრობასთან, სემეკთან და სხვა შესაბამის მხარეებთან თანამშრომლობით) და მისი განხორციელების უზრუნველყოფა, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა ბაზრის ეფექტური რეგულირების გზით, სტრატეგიული პროექტების დამტკიცებაში მონაწილეობის გზით და ა.შ. MoESD ასევე ამტკიცებს სტრატეგიული განვითარების სხვადასხვა გეგმას, როგორცაა გადამცემი ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმა⁵¹ (შემდგომში „**TYNDP**“) (მთავრობის თანხმობის საფუძველზე), ელექტროენერჯის (სიმძლავრის) წლიური ბალანსი და სხვა სტრატეგიული დოკუმენტები.

მთავრობის დადგენილებებში (მაგ. ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია⁵², რომელიც მიღებულია 2020 წლის 16 აპრილს) განსაზღვრულია ენერგეტიკული ბაზრის სამიზნე მოდელი და მისი ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპები, ხოლო სამიზნე მოდელის პირობებში სხვადასხვა საბაზრო სემენტებში მონაწილეობის კრიტერიუმები და რეგულირების პრინციპები განსაზღვრულია სემეკის მიერ დამტკიცებულ ბაზრის წესებში. მთავრობა ასევე ამტკიცებს განახლებადი ენერჯის ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომელიც ადგენს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებს და ახორციელებს სხვადასხვა ქმედებებს მათი მიღწევისკენ. დამატებით, „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“⁵³ საქართველოს კანონის (შემდგომში „**განახლებადი ენერჯის წახალისების კანონი**“) მიხედვით, ეროვნული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის მიზნით, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვა ღონისძიებებთან ერთად, განახორციელოს მხარდაჭერის სქემები განახლებადი ენერჯის წახალისების კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების ფარგლებში.

სემეკი არის სექტორის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც შეიმუშავებს ბაზრის მუშაობის წესებს, სატარიფო/საფასო რეგულირებას დაქვემდებარებული ენერგეტიკულ საწარმოებს უდგენს ტარიფებს და ამტკიცებს ინვესტიციების გეგმებს რეგულირებული ბაზრის მონაწილეობისთვის. სემეკი ადგენს ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორების ტექნიკური მუშაობის წესებს - იგივე ქსელის წესებს; ახორციელებს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში რეგულირებული საქმიანობების ავტორიზაციას და ზედამხედველობას და ამ მიზნით გამოსცემს სხვადასხვა მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს; განიხილავს დაეხმება ენერგეტიკულ კომპანიებს შორის, განსაზღვრავს ელექტროენერჯის, წყალმომარაგების და ბუნებრივი გაზის განაწილებისა და მიწოდების ხარისხის სტანდარტებს და ზედამხედველობს მათ შესრულებას და ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს. სემეკი ერთგვარი შუამავალია სადისტრიბუციო კომპანიებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის. კომისია შედგება ხუთი წევრისგან (თავმჯდომარეს და ოთხ წევრს), რომლებსაც ირჩევს საქართველოს პარლამენტი ექვსი წლის ვადით. სემეკი არ

⁵¹ <https://www.gse.com.ge/proektebi/sakartvelos-gadamcemi-qselis-ganvitarebis-antsliani-gegma>

⁵² <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4852064?publication=0>

⁵³ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4737753?publication=1>

ექვემდებარება უშუალო ზედამხედველობას სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, მაგრამ ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. სემეკის დამოუკიდებლობა გარანტირებულია იურიდიულად, ასევე საკუთარი შემოსავლის ნაკადით. სემეკის ბიუჯეტი დაფინანსებულია ძირითადად ენერგეტიკული ბაზრის მონაწილე რეგულირებული საწარმოების მიერ ყოველთვიურად გადახდილი რეგულირების საფასურიდან, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სემეკი (მიმდინარე წლის იანვრიდან რეგულირებული საწარმოების მიერ გადასახდელი რეგულირების საფასური განისაზღვრება საანგარიშო თვის განმავლობაში რეგულირებული საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლის 0.3%-ის ოდენობით). დაფინანსების ეს წყარო უზრუნველყოფს იმას, რომ სემეკი არ იყოს დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდიებზე. აღნიშნული ხელს უწყობს მისი, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სანდოობას. ასეთი დამოუკიდებლობა ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზარზე სინქრონიზაციის უმთავრესი მოთხოვნაა და ასახულია ენერგეტიკული ბაზრის რეგულირების საუკეთესო პრაქტიკებში. სემეკის ყველა პროცედურა, მათ შორის ლიცენზირების პირობები და სატარიფო/საფასო რეგულირებას დაქვემდებარებული რეგულირებული საწარმოებისთვის დადგენილი ტარიფები/საფასურები და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია, წინასწარ განსაზღვრულია სემეკის ბრძანებებით და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი გამჭვირვალების, თანამიმდევრულობისა და სანდოობის მიზნით.

ცხრილი 27: ძირითადი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ენერგეტიკული ბაზრის მიმდინარე და მომავალ სტრუქტურას

დოკუმენტის სახელი	მიღებული	მიღების თარიღი	დოკუმენტის ნომერი
საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“	საქართველოს პარლამენტი	20 / 12 / 2019	5646 – რს
„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის“ დამტკიცების შესახებ	საქართველოს მთავრობა	02 / 07 / 2020	დადგენილება N403
„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემისა და სიმძლავრის აუქციონის წესების“ დამტკიცების შესახებ	საქართველოს მთავრობა	07/12/2022	დადგენილება N556
საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“	საქართველოს პარლამენტი	20 / 12 / 2019	5652 –რს
საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“	საქართველოს პარლამენტი	24 / 06 / 2005	1775
„ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ	საქართველოს მთავრობა	16 / 04 / 2020	დადგენილება N246
„ელექტროენერჯის ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ: ა) ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები ბ) ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრის წესები გ) ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის წესები	სემეკი	11 / 08 / 2020	დადგენილება N46
„ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ	სემეკი	13 / 08 / 2020	დადგენილება N47
„ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ	საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი	30 / 08 / 2006	ბრძანება N77
„ლიცენზირების წესებისა და ენერგეტიკული საქმიანობის თაობაზე შეტყობინების წესების“ დამტკიცების შესახებ	სემეკი	27 / 05 / 2020	დადგენილება N22

„ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების” დამტკიცების შესახებ	სემევი	15 / 12 / 2020	დადგენილება N68
„ელექტროენერჯის ტარიფების” დამტკიცების შესახებ, რომელშიც თავმოყრილია სემევის მიერ, შესაბამის სატარიფო პერიოდისათვის, დადგენილი: ა) ელექტროენერჯის წარმოების (სიმძლავრის) ტარიფები, ბ) ელექტროენერჯის გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ტარიფები, გ) ელექტროენერჯის გატარებისა და განაწილების ტარიფები, დ) ელექტროენერჯის სამომხმარებლო ზღვრული ტარიფები.	სემევი	04 / 12 / 2008	დადგენილება N33
„ქსელის წესების” დამტკიცების შესახებ	სემევი	17 / 04 / 2014	დადგენილება N10
„ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესების” დამტკიცების შესახებ	სემევი	28/06/2021	დადგენილება N19
„ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშების წესების” დამტკიცების შესახებ	სემევი	30 / 03 / 2021	დადგენილება N7
„ელექტროენერჯის სექტორში განსახორციელებელი გარდამავალი ღონისძიებების” დამტკიცების შესახებ	სემევი	12 / 11 / 2020	დადგენილება N58

რეფორმები ელექტროენერგეტიკულ სექტორში

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლითაც, სხვა საკითხებთან ერთად, განისაზღვრა ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ვალდებულება. ამასთან, 2016 წელს ხელი მოეწერა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შესახებ“ ოქმს, რომლითაც დადგინდა საქართველოში ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობის დანერგვის კონკრეტული პირობები და ვადები. ენერგეტიკული სექტორის საკანონმდებლო ჰარმონიზაციის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან რეფორმებს სექტორის ყველა მონაწილისათვის. 2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების“ შესახებ საქართველოს კანონის მიღებით საფუძველი ჩაეყარა ენერგეტიკის სექტორში მასშტაბურ რეფორმას. ახალმა კანონმა, რომლის მთავარი დანიშნულებაცაა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, თვისობრივად შეცვალა ელექტროენერგეტიკული სექტორის მანამდე არსებული სტრუქტურა და მთლიანად დაეფუძნა კონკურენციისა და ბაზრის ლიბერალიზაციის პრინციპებს.

ელექტროენერგეტიკული სექტორი ახალის სტრუქტურა მოიცავს ბაზრის ისეთ დაგეგმარებას, რომელიც მომხმარებელს თავისუფალი არჩევანის საშუალებას მისცემს. ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ბაზრის მონაწილეების ახალი ფუნქცია მოვალეობები, მათ შორის ახალი მონაწილეებისათვისაც. კონცეფცია ითვალისწინებს საბითუმო დონეზე დღით ადრე, დღიურ, ორმხრივი ხელშეკრულებების, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრების დანერგვას. შედეგად კომპანიები მოახდენენ მოხმარების და გამომუშავების საათობრივ შეძენას და გაყიდვას გეგმების საფუძველზე, ხოლო ფაქტიური მონაცემების მიხედვით განხორციელდება მათთვის უბალანსობის საფასურის გაანგარიშება.

დღით ადრე ბაზრისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ამოქმედება, თავდაპირველად, 2021 წლის 1 ივლისიდან, ხოლო დღიური ბაზრის - 2022 წლის 1 ივლისიდან, იგეგმებოდა. თუმცა, ბაზრის გახსნის თარიღი

რამდენჯერმე გადავადდა და დღეისათვის დღით ადრე და დღიური ბაზრების, ასევე საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ამოქმედების თარიღად 2024 წლის 1 ივლისი არის განსაზღვრული.

დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერირებას სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ („GENEX“) განახორციელებს, ხოლო საბალანსო და დამხმარე ბაზრის ოპერატორი იქნება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ („სსე“). როგორც „GENEX“-მა, ასევე სსე-მ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერირების ლიცენზია (შესაბამისი სეგმენტებისთვის) სემეკისგან 2020 წლის მაისში მოიპოვეს. აღნიშნული ბაზრები დღესდღეობით ტესტირებისა და სიმულაციის რეჟიმში მუშაობენ ბაზრის ყველა მონაწილის ჩართულობით.

დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობა ხორციელდება სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით, რისთვისაც „GENEX“-ი იყენებს კომპანია Nord Pool⁵⁴ - ის პროგრამულ უზრუნველყოფას. აღსანიშნავია რომ Nord Pool-ი წარმოადგენს ევროპის ლიდერ ენერგეტიკულ ბაზარს, რომელიც ოპერირებს 16 ევროპული ქვეყნის დღით ადრე და დღის შიგნით ბაზრებზე და შესაბამისად აღნიშნული გარკვეულწილად ქმნის კონკურენტული და ლიკვიდური ბაზრის ჩამოყალიბების გარანტიას. ასევე საქართველოს მსგავსად წარმოადგენს ხორვატიისა და ბულგარეთის მომსახურე ბაზარს.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენს ბაზრის ლიბერალიზაცია, დივერსიფიცირება და ლიკვიდურობის გაზრდა. ბაზრის ახალ მოდელში ელექტროენერჯის საბაზრო ფასის მთავარი საზომი იქნება შესაბამისი საათისთვის ენერგეტიკულ ბირჟაზე (მონაწილეების განცხადებების საფუძველზე მოთხოვნა-მიწოდების მრუდებით) დადგენილი ფასი. ამ მოდელში, ბაზარზე მანიპულაციების თავიდან არიდების მიზნით, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაზრის ზედამხედველობას, შესაბამისად ბაზრის გახსნის დაგეგმვის პარალელურად სემეკმა 2021 წლის 30 მარტს №7 დადგენილებით დაამტკიცა „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესები“⁵⁵, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანი ვაჭრობის მარეგულირებელი ეფექტიანი მექანიზმების შექმნას და ბაზრის დაცვას მანიპულაციისგან. ბაზრის მონიტორინგის წესები აყალიბებს სამართლებრივ ჩარჩოს საბითუმო ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგისთვის, შიდა ინფორმაციით ვაჭრობის, ბაზარზე მანიპულაციის ან მანიპულაციის მცდელობის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით. სემეკი არის ის ორგანო, რომელიც უნდა დააკვირდეს ბაზარზე მონაწილეების ქცევას და უზრუნველყოს ბაზარზე სამართლიანი ფასის ჩამოყალიბება, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური სანქციების გამოყენების გზით. მთავრობის მიერ დამტკიცებული ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია აყალიბებს ბაზრის სამიზნე მოდელის ძირითად დიზაინს და სახელმძღვანელო პრინციპებს, განსაზღვრავს ბაზრის ახალ სეგმენტებს და მონაწილეებს, რომელიც თავსებადია ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნებთან.

გრაფიკ 21-ზე მოცემულია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა რეფორმების შემდგომ, რომელიც ასახავს სამიზნე მოდელს და ითვალისწინებს შემდეგ საბითუმო ბაზრის სეგმენტებს:

- დღით ადრე ბაზარი;
- დღიური ბაზარი;
- ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი;
- საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი.


საბითუმო ბაზრის სუბიექტებად განისაზღვრება:

- ელექტროენერჯის ბაზრის ოპერატორი;
- გადამცემი სისტემის ოპერატორი;
- გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი;
- ელექტროენერჯის მწარმოებელი;
- ტრეიდერი;
- მიმწოდებელი;
- მსხვილი მომხმარებელი;
- საბითუმო საჯარო მომსახურების გამწევი ორგანიზაცია.

⁵⁴ <https://www.nordpoolgroup.com/en/>

⁵⁵ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5144170?publication=0>

გრაფიკი 21: საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა რეფორმების შემდგომ



შენიშვნა: გრაფიკზე ნაჩვენებია ბაზრის ძირითადი სეგმენტები და სუბიექტები და ელექტროენერგიით თავისუფალი და სავალდებულო სავაჭრო ურთიერთობები ერთმანეთს შორის. შესაბამისად საბალანსო ბაზრის სეგმენტის კავშირი სხვა სუბიექტებთან ნაჩვენები არ არის, თუმცა აღნიშნული ბაზარი პასუხისმგებელია სისტემის ფიზიკურ დაბალანსებაზე და ითვლის უბალანსობას ბაზრის თითოეული მონაწილისთვის.

დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობა

ბირჟაზე მონაწილეები ვაჭრობენ პლატფორმაზე, სადაც გამჭვირვალედ ყალიბდება კონკურენტული ფასი, რომელიც დადგენისთანავე ცნობილია მონაწილეებისათვის და, ასევე, ხელმისაწვდომია სხვა დაინტერესებული პირებისათვის. დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობა ხდება მომდევნო კალენდარული დღის თითოეული საათისთვის და, შესაბამისად, ფასი ყალიბდება ყოველი საათისათვის. დღით ადრე ბაზარზე, მონაწილეებს შეუძლიათ ელექტროენერგიით ვაჭრობა მომდევნო კალენდარული დღის თითოეული საათისათვის. ამ მიზნით, დღით ადრე ბაზრის აუქციონი ტარდება ყოველ კალენდარულ დღეს, მომდევნო ფიზიკური მიწოდების დღისთვის (ცენტრალური ევროპული დროით 00:00-დან მომდევნო დღის 00:00 საათამდე პერიოდისთვის). მონაწილეს დღით ადრე ბაზარზე შეუძლია სტანდარტული საათობრივი განაცხადების განთავსება. სტანდარტული საათობრივი განაცხადი გულისხმობს, რომ მონაწილე თანახმაა მასში მოცემული ელექტროენერგიის რაოდენობის როგორც სრულ, ასევე, ნაწილობრივ ყიდვაზე/გაყიდვაზე.

ბაზრის წონასწორობის წერტილის დადგენისათვის ბირჟის ოპერატორი იყენებს ევროპული ბაზრების ინტეგრირების ალგორითმს „ეუფემია“ (EUPHEMIA). წონასწორობის წერტილი გამოითვლება აუქციონის დახურვიდან არაუგვიანეს ერთი საათისა - ცენტრალური ევროპული დროით ვაჭრობის დღის 13:00 საათამდე.

დღით ადრე აუქციონის დახურვის შემდეგ განაცხადები სისტემაში ლაგდება შემდეგი წესით:

- ყიდვის შესახებ განაცხადები - ფასის კლებადობის მიხედვით;
- გაყიდვის შესახებ განაცხადები - ფასის ზრდადობის მიხედვით.

თითოეული განაცხადი, ფასითა და რაოდენობით განსაზღვრულ კოორდინატთა სიბრტყეზე, გამოხატავს წერტილს. აღნიშნული წერტილების წრფივი ინტერპოლაციით დაკავშირების გზით, აიგება მიწოდებისა და მოთხოვნის ინდივიდუალური მრუდები. ინდივიდუალური მრუდების შეჯამებით აიგება მიწოდებისა და მოთხოვნის აგრეგირებული მრუდები, რომელთა გადაკვეთის წერტილი წარმოადგენს წონასწორობის წერტილს. წონასწორობის

წერტილი განსაზღვრავს დღით ადრე ბაზარზე კონკრეტულ საათში ნავაჭრი ელექტროენერჯის რაოდენობასა და საბაზრო ფასს.

დღის შიგნით ბაზარი

ბირჟაზე მონაწილეები ვაჭრობენ პლატფორმაზე, სადაც გამჭვირვალედ ყალიბდება კონკურენტული ფასი, რომელიც დადგენისთანავე ცნობილია მონაწილეებისათვის და, ასევე, ხელმისაწვდომია სხვა დაინტერესებული პირებისათვის. ბირჟის მონაწილეები ვალდებული არიან დაიცვან ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრების მთლიანობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნები და კონკურენციის პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, მათ შორის, მონიტორინგის წესით. ამ მიზნით, ბირჟის ოპერატორის ვებგვერდზე შესაძლებელი უნდა იყოს მონიტორინგის წესით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნება.

დღიურ ბაზარზე, მონაწილეებს შეუძლიათ ელექტროენერჯით ვაჭრობა მიმდინარე დღის თითოეული საათისათვის. დღიურ ბაზარზე ვაჭრობა შესაძლებელია ასევე მომდევნო დღისათვის, მას შემდეგ, რაც დაიხურება დღით ადრე ბაზარი. ამ მიზნით, დღიური ბაზარზე ვაჭრობა მიმდინარეობს უწყვეტად, ყოველ კალენდარულ დღეს.

განაცხადების სახეები, რომელთა გათავისება შესაძლებელია დღიურ ბაზარზე:


- **სტანდარტული საათობრივი (ლიმიტირებული) განაცხადი**, რაც გულისხმობს ყიდვის ან გაყიდვის განაცხადის განთავსებას ლიმიტირებული ფასის მითითებით, შესაბამისად, გაყიდვის განაცხადი კმაყოფილდება მხოლოდ განაცხადში დაფიქსირებული ან უფრო მაღალი ფასით, ხოლო ყიდვის განაცხადი კმაყოფილდება განაცხადში დაფიქსირებული ან უფრო დაბალი ფასით. ლიმიტირებული განაცხადი შესაძლებელია დაკმაყოფილდეს ნაწილობრივაც;
- **ბლოკური განაცხადი**, რაც გულისხმობს ერთზე მეტ თანმიმდევრულ საათზე განთავსებულ განაცხადს, რომელიც შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მხოლოდ სრულად. ამავდროულად, ერთი ბლოკური განაცხადი შეიძლება დაწყვილდეს მხოლოდ ერთ ბლოკურ განაცხადთან;
- **აისბერგ განაცხადი**, რაც გულისხმობს განაცხადს, რომელიც ნაწილ-ნაწილ განთავსდება პლატფორმაში - ყოველი მომდევნო ნაწილი აქტიურდება წინა ნაწილის სრულად დაკმაყოფილების შემდგომ;
- **შეზღუდული აღსრულების განაცხადი**, რომელიც შესაძლებელია იყოს შემდეგი ორი ტიპის:
 - (ა) სრული და მყისიერი - გულისხმობს განაცხადის დაუყოვნებლივ დაწყვილებას, მასში მითითებული სრული რაოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი განაცხადის ავტომატურ გაუქმებას;
 - (ბ) ნაწილობრივი და მყისიერი - გულისხმობს განაცხადის ნაწილობრივ ან სრულ დაწყვილებას, ხოლო დარჩენილი ნაწილის ავტომატურ გაუქმებას.

დღიურ ბაზარზე განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განთავსდება მისი შესატყვისი განაცხადი, რომელშიც თანხვედრაშია ფასი, რაოდენობა და ფიზიკური მიწოდების პერიოდი. შედეგად, მონაწილის მიერ გაყიდული ელექტროენერჯის ფასი მეტია ან უდრის მის განაცხადში შეთავაზებულ ფასს, ხოლო მონაწილის მიერ შესყიდული ელექტროენერჯის ფასი ნაკლებია ან უდრის მის განაცხადში შეთავაზებულ ფასს. განაცხადების თანხვედრა გულისხმობს ელექტროენერჯის შესყიდვისა და გაყიდვის განაცხადების დაწყვილებას შესატყვისი ფასის, რაოდენობისა და ფიზიკური მიწოდების პერიოდის მიხედვით.

ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი

ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი, როგორც ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირება, არ საჭიროებს ლიცენზიას და შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა პირის მიერ. ამასთან, ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე ბაზრის მონაწილეები უფლებამოსილნი არიან, გააფორმონ ხელშეკრულებები როგორც შუამავლის (ბროკერის), მათ შორის, ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის მეშვეობით, ასევე პირდაპირი მოლაპარაკებების გზით, როგორც ეს დღევანდელ მოდელში ხორციელდება. ამასთანავე ორმხრივი ხელშეკრულებები შეიძლება გაფორმდეს ხანგრძლივად და მოიცავდეს 10 წლიან პერიოდს (გრაფიკი 22).

გრაფიკი 22: საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარზე ვაჭრობის ორგანიზება რეფორმების შემდგომ



საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი:

რეფორმის მნიშვნელოვან სიახლეებს წარმოადგენს საათობრივ ვაჭრობაზე გადასვლა, ცენტრალური დისპეტჩირებიდან თვითდისპეტჩირების პრინციპზე გადასვლა და უბალანსობაზე პასუხისმგებლობის შემოღება. კონცეფციის თანახმად, გადამცემი სისტემის ოპერატორი (გსო) ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვას მოახდენს თვითდისპეტჩირების პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების საათობრივი გრაფიკების, ასევე წარმოების/მოხმარების საშუალებებისა და მათი დატვირთვის განსაზღვრა მოხდება მათ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. სისტემის ოპერატორისათვის წარდგენილ მოხმარება/მიწოდების საათობრივი პროგნოზებიდან (ნომინაციებიდან) გადახრის შემთხვევაში, უბალანსობის გამომწვევ შესაბამის ბაზრის მონაწილეს მოუწევს უბალანსობის ფასის გადახდა (მხოლოდ დამამძიმებელი უბალანსობის შემთხვევაში). უბალანსობის ფასი დამოკიდებულია, სისტემის დაბალანსების მიზნით, გსო-ს მიერ საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარზე გააქტიურებული საბალანსო პროდუქტების ღირებულებაზე.

საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი უზრუნველყოფს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ სისტემის ფიზიკურად დაბალანსებისათვის საჭირო საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის პროდუქტების (საბალანსო პროდუქტების) შესყიდვას, უბალანსობის საფასურის განგარიშებას, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის პროდუქტებისა და უბალანსობის საფასურის გადახდის უზრუნველსაყოფად ფინანსური გარანტიის ოდენობის განსაზღვრას. საბითუმო ბაზრის ყველა მონაწილისათვის აუცილებელია მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული მიწოდებისა თუ მოხმარების ობიექტი გაწევრიანებული ჰყავდეს დაბალანსების ჯგუფში. თითოეული დაბალანსების ჯგუფი რეგისტრირდება დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის („დპკ“). დაბალანსების ჯგუფის მიერ გამოწვეულ უბალანსობაზე პასუხისმგებლობა, დაბალანსების ჯგუფის წევრების თანხმობით, კი დაკისრებული აქვს იმ რომლის ქვეშაც რეგისტრირებულია შესაბამისი დაბალანსების ჯგუფი. შესაბამისად, დპკ-ს მემუვობით მოხდება უბალანსობების ანგარიშსწორება გადამცემის სისტემის ოპერატორთან (გრაფიკი 22). სისტემის დაბალანსების მიზნით, გსო საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარზე შეისყიდის საბალანსო პროდუქტებს (ავარიული რეზერვის გარდა) ტენდერის/ტენდერების მეშვეობით დაბალანსების მომსახურების მიწოდებლად რეგისტრირებული პირებისაგან, რომელთაც გავლილი აქვთ კვალიფიკაცია შესაბამისი საბალანსო პროდუქტის მიწოდებაზე. რაც შეეხება საბალანსო პროდუქტებს (სიხშირის შენარჩუნების რეზერვი, სიხშირის ავტომატური აღდგენის რეზერვი, სიხშირის ხელით მართვის აღდგენის რეზერვი, ავარიული სწრაფი რეზერვი, ავარიული ნელი რეზერვი), გადამცემი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს მათ ტესტირებას და ვებ გვერდზე აქვეყნებს ჩამონათვალს⁵⁶.

საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია:

რეფორმის შემდგომ, საბითუმო ბაზრის სტრუქტურის მნიშვნელოვანი სუბიექტია „საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია“ (ე.წ. WPSO). საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის სტატუსი მინიჭებული ესკო-ს. საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის მიზნებია: (1) განახლებადი ენერჯისა და გარანტირებული შესყიდვის

⁵⁶ https://www.gse.com.ge/sabalanso-bazari/BSP-registratsiis_procedura-da-gadatskhadi/BSP-reestri

ხელშეკრულების მონაწილე მწარმოებლების მხარდაჭერა და მათ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზარზე ინტეგრირების ხელშეწყობა; (2) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოება ორგანიზებულ ბაზარზე ელექტროენერჯის შესყიდვით; (3) უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ხელშეწყობა ბაზარზე ვაჭრობისათვის მათთვის ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულების ფარგლებში მისაღები შემოსავლის უზრუნველსაყოფად, (4) კომერციული იმპორტის განმახორციელებელი ტრეიდერის (იმპორტიორის) მხარდაჭერა, იმპორტირებული ელექტროენერჯის სტაბილური ფასით უზრუნველყოფითა და ორგანიზებულ ბაზარზე ინტეგრირების ხელშეწყობით.

ზოგიერთ მსხვილ ელექტროსადგურს (მათ შორის ჰიდროელექტროსადგურებს) საქართველოს მთავრობის დადგენილებით გარკვეული დროით დაკისრებული აქვს საჯარო მომსახურების ვალდებულება. საჯარო მომსახურების გამწევ ელექტროსადგურებს სემეკი უდგენს ელექტროენერჯის ტარიფს (ფიქსირებულ ან ზედა ზღვრულ ტარიფს). საჯარო მომსახურების ვალდებულებისაგან (და შესაბამისად სატარიფო რეგულირებისაგან) სადგურები ეტაპობრივად გათავისუფლებიან (ცხრილი 28) და 2027 წლის შემდგომ ელექტროსადგურებიდან მხოლოდ გარანტირებული სიმძლავრის წყაროდ განსაზღვრულ ზოგიერთ თბოელექტროსადგურს და 2008 წლიდან აშენებული 120 მგვტ-ზე მეტი საპროექტო სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურებს ექნებათ საჯარო მიწოდების ვალდებულება.

ორგანიზებულ ბაზარზე გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების მქონე მწარმოებლების მიერ წარმოებული (სალტეზე გაცემული) ელექტროენერჯით ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობას განახორციელებს ესკო, როგორც საბითუმო საჯარო მომსახურების გამწევი ორგანიზაცია. ესკო გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მქონე მწარმოებლის ელექტროენერჯით ვაჭრობას განახორციელებს მხოლოდ იმ პერიოდში და იმ მოცულობაზე, რომელიც განსაზღვრულია ესკოსა და შესაბამის პირს შორის გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით. შესაბამისად, გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პერიოდში, ესკო პასუხისმგებელი იქნება გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მქონე მწარმოებლის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ვაჭრობის შედეგად წარმოქმნილი უბალანსობის (ელექტროენერჯის ფაქტობრივად გამომუშავებულ (სალტეზე გაცემულ) და დაგეგმილ მოცულობას შორის სხვაობა) ღირებულებაზე, გარდა ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა.

ცხრილი 28: მწარმოებლების გათავისუფლება საჯარო მომსახურების ვალდებულებისგან

პერიოდი	ელექტროენერჯის მწარმოებელი, რომელიც გათავისუფლდება საჯარო მომსახურების ვალდებულებისგან
01.05.2024-იდან	01.08.2008-მდე აშენებული ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა საპროექტო სიმძლავრე 75 მგვტ-ს არ აღემატება
01.05.2026-იდან	2008 წლის 1 აგვისტომდე აშენებული ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა საპროექტო სიმძლავრე 90 მეგავატს არ აღემატება
01.01.2027-იდან	2008 წლის 1 აგვისტომდე აშენებული ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა საპროექტო სიმძლავრე 120 მეგავატს არ აღემატება

ახალი ბაზრის მოდელში თავისუფალი საცალო მიმწოდებლებისგან ელექტროენერჯიას შეისყიდვიან კვალიფიციური მომხმარებლები. საცალო ბაზარზე უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი კი სემეკის მიერ რეგულირებადი ტარიფით საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით აწვდის ენერჯიას მცირე საწარმოებსა და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს. იგივე მიმწოდებელი ვალდებულია შეისყიდოს მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურების მიერ ქსელში მიწოდებული ენერჯია. კონცეფცია ასევე ითვალისწინებს ბაზრის გახსნას ეტაპობრივად (ცხრილი 29) და 2026 წლის 1 ივლისიდან ყველა მომხმარებელი გარდა საყოფაცხოვრებო და მცირე საწარმოსი გავა საბითუმო ბაზრის სეგმენტზე.

ცხრილი 29: ბაზრის გახსნის შემდგომი ეტაპები

პერიოდი	ბაზრის გახსნა
01.07.2025-მდე	35-110 კვ ძაბვის ყველა საბოლოო მომხმარებელი, ასევე 6-10 კვ ძაბვის საბოლოო მომხმარებელი, რომელიც თვეში მოიხმარს არანაკლებ 1 მლნ კვტ-სთ ელექტროენერჯიას
01.07.2026-მდე	ყველა სხვა მომხმარებელი (გარდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლისა და მცირე საწარმოსი)

ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები

წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული ემისიის შედეგად, „კომპანია“ გახდება ანგარიშვალდებული საწარმო „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) მიზნებისათვის და, შესაბამისად, მასზე სრულად გავრცელდება „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონითა“ და ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი სხვა რეგულაციებით მსგავსი სუბიექტებისთვის განსაზღვრული მოთხოვნები.

ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი მოთხოვნის მოკლე მიმოხილვა, გთხოვთ, იხილოთ ქვემოთ.

ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა

„ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონით“ განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა ფასიანი ქაღალდები ან რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულ საწარმოს უწყებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის, პერიოდული ანგარიშებისა და ანგარიშგების წარმოების და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარ-წლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას, რომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგებები არის სრული, სწორი და სამართლიანი.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას, რომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგებები არის სრული, სწორი და სამართლიანი.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების --- ვებგვერდზე (www.reportal.ge) გამოქვეყნებას. რეგულირებადი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროს, მათ შორის:

1. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
2. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ

განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის შესახებ ან მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები და შეზღუდვები ინსაიდერულ ვაჭრობასთან, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას, და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონისა (შემდგომში „მეწარმეთა შესახებ კანონი“) და „ემიტენტის“ წესდების მიხედვით, „ემიტენტის“ კონტროლი და მართვა გამიჯნულია პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორს შორის. ამ უკანასკნელს ევალება „კომპანიის“ ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა.

„კომპანიაში“ დამკვიდრებულია კორპორატიული მართვის სამ დონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა „კომპანიის“ საერთო კრება, ხოლო „კომპანიის“ ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს „კომპანიის“ გენერალური დირექტორი, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და ექვემდებარება მას. ამასთან, „კომპანიის“ წესდებაში მკაცრად გამიჯნულია კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები.

- **საერთო კრება (პარტნიორთა საერთო კრება)** გადაწყვეტილებებს იღებს პრინციპულ საკითხებზე, როგორებიცაა: „კომპანიის“ წესდების შეცვლა, „კომპანიის“ ლიკვიდაცია, დივიდენდების განაწილება, გადაწყვეტილების მიღება „კომპანიის“ რეორგანიზაციის თაობაზე და ა.შ.;
- **სამეთვალყურეო საბჭო** გაცილებით მჭიდროდ ზედამხედველობს მენეჯმენტის საქმიანობას და მთელი რიგი ტრანზაქციები და გარიგებები საჭიროებს მის თანხმობას, მაგალითად, როგორებიცაა: პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა, გენერალური დირექტორის დანიშვნა ან გათავისუფლება და მისი საქმიანობის კონტროლი, წლიური ბიზნეს გეგმის და ბიუჯეტის დამტკიცება, „კომპანიის“ მიერ რაიმე სესხის/დავალიანების ან ფინანსური ვალდებულების გაგრძელება ან თავდება ნებისმიერ მესამე პირთან მიმართებაში და ა.შ.;
- **დირექტორი** უშუალოდ დაკავებულია „კომპანიის“ ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტით, როგორებიცაა: „კომპანიის“ წარმომადგენლობა და მისი სახელით ხელშეკრულების ხელმოწერა, საბანკო ანგარიშების გახსნა და დახურვა, თანამშრომლების დაქირავება და ა.შ.

„კომპანიის“ პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი, გენერალურ დირექტორს დაქვემდებარებულ მენეჯერთა ჯგუფი და „კომპანიაში“ არსებული სხვა საბჭო/კომიტეტები განსაზღვრავენ, აკონტროლებენ და ინარჩუნებენ პარამეტრებსა და სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც უნდა იმოქმედოს „კომპანიაში“.

„კომპანიაში“ კორპორატიული მართვის პროცესები რეგულირდება სხვადასხვა შიდა პოლიტიკებით, როგორებიცაა: უფლებამოსილების მატრიცა, ქცევის კოდექსი, ხელშეკრულების სტანდარტებისა და მართვის პროცედურა და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, „კომპანიაში“ მოქმედებს აუდიტის კომიტეტი.

საერთო კრება (პარტნიორთა საერთო კრება)

საერთო კრების მოწვევა ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, გენერალური დირექტორის ან პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს მოითხოვოს დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა საერთო კრებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

საერთო კრება მიიჩნევა გადაწყვეტილებაუნარიანად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილები არიან პარტნიორები, რომლებიც ჯამურად 100%-იან წილს ფლობენ საწესდებო კაპიტალში.

„მეწარმეთა შესახებ კანონისა“ და „კომპანიის“ წესდების თანახმად, პარტნიორები უფლებამოსილები არიან, მიიღონ გადაწყვეტილებები პარტნიორთა კრებაზე შემდეგ საკითხებზე, სხვა საკითხებთან ერთად:

(ა) საერთო კრება უფლებამოსილია ჩამოთვლილ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღოს ყველა პარტნიორის ერთობლივი თანხმობით:

- „კომპანიის“ წესდების ცვლილება;

- „კომპანიის“ ლიკვიდაცია;
- „კომპანიის“ მიერ სხვა კომპანიის ყველა ან არსებითად ყველა ქონების ან წილების (აქციების) შექენის ან აღნიშნულთან დაკავშირებული ხელშეკრულების დამტკიცება;
- „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალის ნებისმიერი გაზრდის დამტკიცება (გარდა იმისა, რაც საჭიროა (i) ლახამის პროექტის დასრულებისათვის, რასაც გონივრულ ფარგლებში დაადგენენ პარტნიორები, რომლებიც ფლობენ საზოგადოების წილის 50 (ორმოცდაათი) პროცენტზე მეტს ან (ii) რესტრუქტურირებისათვის);

(ბ) ჩამოთვლილ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე პარტნიორთა ხმათა უმრავლესობა:

- „კომპანიის“ წლიური ანგარიშების დამტკიცება;
- „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალის ცვლილება;
- საწესდებო კაპიტალში შენატანების მოთხოვნა პარტნიორებისათვის;
- პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანების განხორციელების ვადების დადგენა;
- „კომპანიის“ მიერ მოგების დივიდენდების ან სხვა სახით განაწილება ან გადახდა;
- გენერალური დირექტორისაგან „კომპანიის“ საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოთხოვნა და შიდა და გარე აუდიტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განხილვა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, გენერალური დირექტორის ან „კომპანიის“ სხვა დირექტორების წინააღმდეგ მოთხოვნის წაყენებისა და სასამართლო პროცესებში მონაწილეობის თაობაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, ამგვარი პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით; და
- ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილების მიღება, რომელიც პარტნიორთა ხელშეკრულებით უნდა მიიღოს საერთო კრებამ.

კენჭისყრა საერთო კრებაზე ხორციელდება „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში წილების პროპორციულად.

სამეთვალყურეო საბჭო

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან. „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“ უფლებამოსილია წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ 2 (ორი) წევრი მანამ, სანამ ის ფლობს „კომპანიის“ წილის უმრავლესობას, ხოლო მინორიტარი პარტნიორები⁵⁷ უფლებამოსილნი არიან წარადგინონ სამეთვალყურეო საბჭოს 1 (ერთი) წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან პარტნიორთა მიერ საერთო კრებაზე 1 (ერთი) წლის ვადით, განურჩევლად მათი რასის, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, გენდერის, ოჯახური მდგომარეობის და სექსუალური ორიენტაციისა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მოვალეობის შესრულებისას მოეთხოვებათ იმოქმედონ „კომპანიის“ ბიზნესის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს დამსწრე ხმათა უბრალო უმრავლესობით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა;
- გენერალური დირექტორის დანიშვნა ან გათავისუფლება, ასევე მისი ანაზღაურების ან სხვა პირობების განსაზღვრა;
- გენერალური დირექტორის საქმიანობის კონტროლი, გენერალური დირექტორის წლიური ანგარიშების და „კომპანიის“ მოგების განაწილების შესახებ გენერალური დირექტორის შეთავაზების განხილვა;
- „კომპანიის“ წლიური ბიზნეს გეგმის და ბიუჯეტის დამტკიცება;
- „კომპანიის“ მიერ რაიმე სესხის/დავალიანების ან ფინანსური ვალდებულების გაგრძელება ან თავდებობა ნებისმიერ მესამე პირთან მიმართებაში;
- „კომპანიის“ რაიმე აქტივის ან ქონების გაყიდვა, გადაცემა, დაგირავება ან სხვაგვარი დატვირთვა;

⁵⁷ მინორიტარ პარტნიორებში მოიაზრებიან შპს „ჯეო ჰაიდრო კაპიტალ გრუპი“ და შპს „ენერჯი სოლუმენს“

- ნებისმიერი ვალდებულების აღება (გარდა „კომპანიის“ მიერ ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობისათვის, რომლის საერთო ღირებულება ნებისმიერ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტით დამტკიცებულ ოდენობას, ცალკეული გარიგებით ან გარიგებათა ერთობლიობით 100,000 აშშ დოლარს);
- ნებისმიერი კაპიტალური ხარჯის გაღება ან სხვა სახის გარიგების დამტკიცება, რომელიც თითოეულ შემთხვევაში აღემატება ბიუჯეტით დამტკიცებულ საერთო ოდენობას, ცალკეული გარიგებით ან გარიგებათა ერთობლიობით 50,000 აშშ დოლარს;
- კომპანიის ESG (გარემოს, სოციალური და მმართველობის) სამოქმედო გეგმის მიღება და დამტკიცება;
- ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილების მიღება, რომელიც პარტნიორთა ხელშეკრულების თანახმად უნდა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭომ;
- „კომპანიის“ აუდიტორების დანიშვნა და გათავისუფლება;
- „კომპანიის“ ნებისმიერი პარტნიორის წილის დაგირავება ან სხვაგვარი უფლებრივი დატვირთვა.

ცხრილი 30: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

სახელი და გვარი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ამოწურვის ვადა
მიხეილ ნიბლაძე	თავმჯდომარე/წევრი	2018	-
ირაკლი აბაიშვილი	წევრი	2023	-
ტარას ნიჟარაძე	წევრი	2015	-
ირაკლი დიასამიძე	დამოუკიდებელი წევრი	2023	2025

მიხეილ ნიბლაძე არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ამასთანავე 2014 წლიდან დღემდე იკავებს მმართველი დირექტორის თანამდებობას კავკასიის განახლებადი ენერჯის ფონდში, სადაც პასუხისმგებელია საინვესტიციო სტრატეგიისა და ოპერაციების მართვაზე.

2004-2013 წლებში საქართველოში CanArgo Limited-ის Blake Oil & Gas Limited-ისა და MND Georgia BV-ერთობლივი საწარმოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ყოფნისას, ბატონი ნიბლაძე პასუხისმგებელი იყო როგორც საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ურთიერთობის კოორდინაციაზე, ასევე კომპანიის ფინანსური საქმიანობის მართვაზე.

ბატონმა მიხეილ ნიბლაძემ კანადაში, ქ. კალგარიში სამხრეთ ალბერტას ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების დიპლომი ფინანსური აღრიცხვის სპეციალობით. ის აგრეთვე ფლობს ლონდონის CWC ენერჯეტიკის სკოლის მაგისტრის ხარისხს ნავთობისა და გაზის მოპოვების დარგში.

კომპანიები, რომლებშიც ბ-ნი მიხეილი წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო ბოლო 5 წლის განმავლობაში⁵⁸: შპს კანარგო ენერჯი კორპორეიშენის წარმომადგენლობა საქართველოში (ს/ნ: 205050530), შპს მნ კაპიტალი (ს/ნ: 205256346), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო II (ს/ნ: 404545257), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო I (ს/ნ: 404545266), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III (ს/ნ: 404552630), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო IV (ს/ნ: 404559330), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო V (ს/ნ: 404588521), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VII (ს/ნ: 404607733), შპს მცირე ენერჯი (ს/ნ: 404963107), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII (ს/ნ: 404620460), შპს პრაიმ ენერჯი (ს/ნ: 404390538), შპს ბახვი 1 ჰესი - ჰოლდინგური კომპანია (ს/ნ: 404640536), შპს კოლეგიუმი (ს/ნ: 211324734), შპს ქართულ-ბრიტანული ნავთობის სერვისული კომპანია (ს/ნ: 211333671), შპს ნავთობდანადგარების მომწოდებელი კომპანია (ს/ნ: 211372897), შპს ქართულ-ბრიტანული ნავთობის სერვისული კომპანია - კონსალტინგი (ს/ნ: 204987960), შპს კანარგოს საქართველოს წარმომადგენლობა (ს/ნ: 204909475), შპს ნინოწმინდა ოილ ქომფანი ლიმიტედი-ს ადმინისტრაციული წარმომადგენლობა საქართველოში (ს/ნ: 205206490), Georgia Oil & Gas Limited-ის ფილიალი საქართველოში (ს/ნ: 404896047), სს ნორიოს ნავთობის კომპანია (ს/ნ: 205238385), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI (ს/ნ: 404591394), შპს ბახვი ჰაიდრო პაუერ (ს/ნ: 205270810), შპს დილომი ჰესი (ს/ნ: 404577221), შპს აისი (ს/ნ: 400251543).

⁵⁸ ყველა კომპანიის დასახელება („ემიტენტის“ შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე.

ირაკლი აბაიშვილი არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. იგი 2016 წელს ფინანსური ანალიტიკოსის პოზიციაზე შეუერთდა კავკასიის განახლებადი ენერჯის ფონდს, სადაც პასუხისმგებელი იყო პოტენციური საინვესტიციო პროექტების ანალიზზე, კომპანიების ბიზნეს გეგმის შემუშავებაზე, ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურის განსაზღვრასა და სხვა ოპერაციებზე. ამჟამად ბატონი ირაკლი იკავებს საოპერაციო ხელმძღვანელის თანამდებობას კავკასიის განახლებადი ენერჯის ფონდში.

2012-2016 წლებში სს „ვითიბი ბანკი საქართველოს“ ჯერ მთავარი ბიზნეს ანალიტიკოსის, ხოლო შემდეგ საკრედიტო რისკების მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობისას ბატონი ირაკლი პასუხისმგებელი იყო სხვადასხვა კომპანიის საკრედიტო და ფინანსურ ანალიზზე. 2012 წლამდე ის მუშაობდა „პროკრედიტ ბანკში“ მცირე მეწარმეების დაკრედიტების მიმართულებით. ბატონმა ირაკლიმ აბაიშვილმა დაამთავრა საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით. მან ასევე მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში.

კომპანიები, რომლებშიც ბ-ნი ირაკლი წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო ბოლო 5 წლის განმავლობაში: შპს აისი (ს/ნ: 400251543), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI (ს/ნ: 404591394), შპს ბახვი 2 (ს/ნ: 405121595).

ტარას ნიჟარაძე იკავებს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობას 2015 წლიდან და არის შპს „ჯეო ჰაიდრო კაპიტალ გრუპის“ ერთ-ერთი პარტნიორი.

ბატონი ტარასი ასევე გახლავთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე 2012 წლიდან. ტარას ნიჟარაძე 1990 წლიდან აქტიურად მოღვაწეობს სხვადასხვა ბიზნეს სფეროებში, მათ შორის: საბანკო, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ბუნებრივი რესურსები და ენერჯეტიკა. 1998 - 2012 წლებში ტარას ნიჟარაძე იყო სს „ბაზისბანკის“ ერთ-ერთი აქციონერი, ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შემდგომ თავჯდომარე. 2006 წლიდან იგი არის შპს „ენერგო-არაგვის“ თანადაამფუძნებელი და დირექტორი, სათავეში უდგას ჰიდროენერჯეტიკის სფეროში განხორციელებულ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტს საქართველოში. 1986 წელს ტარას ნიჟარაძემ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ნახევარგამტარების ფიზიკის სპეციალობით. ბატონმა ტარასმა სამეცნიერო კარიერა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ სტრუქტურული კვლევების რესპუბლიკურ ცენტრში მეცნიერ-მკვლევარის თანამდებობაზე.

კომპანიები, რომლებშიც ბ-ნი ტარასი წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში⁵⁹: შპს ჯი თი აი სი (ს/ნ: 202059262), შპს AN-ჯადვარი (ს/ნ: 222939195), შპს სითიეს (ს/ნ: 202195061), შპს ენერგო-არაგვი (ს/ნ: 204515177), შპს ახალგაზრდული სამოგზაურო ბიურო (ს/ნ: 204445225), შპს გულაური მენეჯმენტ გრუპ (ს/ნ: 229324460), შპს ენერგო-არაგვი (ს/ნ: 229282594), შპს დიარი (ს/ნ: 211340208), შპს კვადრო-G (ს/ნ: 211340342), შპს ენერგო არაგვი ინჟინერია (ს/ნ: 406221672), Georgian Development Foundation (GDF) (ს/ნ: 404966480), შპს ჰელიტი (ს/ნ: 206156791), შპს ვატირი (ს/ნ: 400034743), შპს კავკასიის ავიახაზები (ს/ნ: 206109085), შპს ნეოკომი (ს/ნ: 204931903), შპს ჯეი ეს (ს/ნ: 222937231), შპს ჯადვარი-აბიეს (ს/ნ: 222937259), შპს გალენი (ს/ნ: 205090453), შხარა (ს/ნ: 204447296), შპს გეოსიდ (ს/ნ: 205037057), შპს ჩვენი ბაღი (ს/ნ: 400076341), შპს გარნეთი (ს/ნ: 400113701), შპს ჯეო ჰაიდრო კაპიტალ გრუპი (ს/ნ: 400092555), შპს ეი დი ჯი აი (ს/ნ: 406161521), შპს რებეტა (ს/ნ: 400034725), შპს ძალა (ს/ნ: 404521282), შპს ძალა ვორქს (ს/ნ: 404590402), შპს ძალა რისერჩ (ს/ნ: 406370403), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI (ს/ნ: 404591394), შპს ბახვი 2 (ს/ნ: 405121595), შპს დი ჯი აი (ს/ნ: 204544225), საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაცია (ს/ნ: 402072706), შპს ნიკორა ტრეიდი (ს/ნ: 206255808), სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი (ს/ნ: 404967078).

ირაკლი დიასამიძე შერჩეული იქნა „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2023 წლის სექტემბერში. ბატონ ირაკლის გააჩნია საბანკო სფეროში საქმიანობის მრავალწლიანი კარიერა, რომელიც 2004 წელს დაიწყო სს „თიბისი ბანკში“. ბანკში საქმიანობის ადრეულ ეტაპზე ბატონ ირაკლის განსხვავებული პოზიციები ეკავა, ხოლო 2009 წლიდან ძირითადად ჩართული იყო ენერჯეტიკისა სექტორში (energy and utility), 2017 წლიდან კი თავად ხელმძღვანელობდა სექტორს და უშუალოდ იყო ჩართული არაერთი ენერჯეტიკული პროექტის ფინანსირებაში, მათ შორის: „ემიტენტის“ მიერ საბანკო ფინანსირების მოზიდვის ტრანზაქციაში და CCEH-ის სხვა შვილობილი კომპანიების დაკრედიტებაში.

⁵⁹ ყველა კომპანიის დასახელება („ემიტენტის“ შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე.

ბატონი ირაკლი სს „თიბისი ბანკში“ მუშაობდა 2022 წლის თებერვლამდე ვიდრე სწავლას EMBA პროგრამაზე IESE Barcelona ბიზნეს სკოლაში (University of Navarra). 2022 წლის ივნისი-სექტემბრის პერიოდში ბატონი ირაკლი კვლავ თანამშრომლობდა სს „თიბისი ბანკთან“.

ბატონ ირაკლის ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია მენეჯერის / სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე.

გენერალური დირექტორი

„კომპანიის“ ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორი ემორჩილება საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და უნდა უზრუნველყოს მათი შესრულება. ასევე, გენერალურ დირექტორს მინიჭებული აქვს წარმომადგენლობისა და ხელმძღვანელობის სრული უფლებამოსილება იმოქმედოს „კომპანიის“ სახელით.

გენერალური დირექტორის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს ვადამდე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად.

„კომპანიის“ გენერალური დირექტორის უფლებები და მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- „კომპანიის“ სახელით ხელშეკრულებების ხელმოწერა;
- საბანკო ანგარიშების გახსნა და დახურვა;
- ბრძანების, ინსტრუქციების და სხვა შინაგანაწესის დამტკიცება, რომელიც სავალდებულოა „კომპანიის“ თანამშრომლებისთვის;
- გადაწყვეტილებები მიღება „კომპანიის“ თანამშრომლების დაქირავებისა და მათი ანაზღაურების შესახებ;
- „კომპანიის“ ტექნიკური ან სხვა დირექტორ(ებ)ის დანიშვნა და გათავისუფლება; და
- „კომპანიის“ წარმოდგენა ნებისმიერ მესამე პირთან.

აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდი

გიორგი აბრამიშვილი არის „ემიტენტის“ გენერალური დირექტორი. ბატონი გიორგი ამ პოზიციაზე დაინიშნა 2014 წელს, ხოლო კონტრაქტის ხანგძლივობა არ არის განსაზღვრული.

გიორგი აბრამიშვილს აქვს სხვადასხვა ინდუსტრიაში მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება, მათ შორის წამყვან მენეჯერულ თანამდებობებზე. ბატონი გიორგი კარიერის სხვადასხვა ეტაპზე ხელმძღვანელობდა მასშტაბურ ენერგეტიკულ პროექტებს (450 მგვტ სიმძლავრის ნამახვანი ჰესი, 230 მგვტ სიმძლავრის გარდაბანის თბოელექტროსადგური, 16 მგვტ სიმძლავრის ლახამი ჰესი, 250 კვტ ჰიდროელექტროსადგური). აღსანიშნავია, რომ ყველა პროექტი მხარდაჭერილი და დაფინანსებული იყო საერთაშორისო ინვესტორების და ფინანსური ინსტიტუტების მიერ და, შესაბამისად, განხორციელდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით. გარდა ამისა, გიორგი აბრამიშვილს ეკავა წამყვანი პოზიციები სხვადასხვა ენერგეტიკულ ორგანიზაციაში, მათ შორისაა საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი და იგი დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციას (GREDA).

ენერგეტიკის სექტორში მოღვაწეობამდე ბატონი გიორგი აქტიურად იყო ჩართული უძრავი ქონების განვითარების, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და გამომცემლობის მიმართულებით (ჰოლანდიური სახლი, გერმანული საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაცია - G.I.Z, გამომცემლობა Siesta). გიორგი აბრამიშვილმა დაამთავრა University of Saarland და ასევე სწავლობდა გლობალური ენერჯის მენეჯმენტს კოლორადოს უნივერსიტეტში.

კომპანიები, რომლებშიც ბ-ნი გიორგი წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო ბოლო 5 წლის განმავლობაში⁶⁰: შპს ენერჯი სოლუშენს (ს/ნ: 405043616), შპს ენერჯი სოლუშენს-ნატანები (ს/ნ: 405059626), შპს ენ-ეს (ს/ნ: 405132878), შპს ოკრილი (ს/ნ: 405163610), შპს ცხვანდირი (ს/ნ: 405163709), შპს ჰოთ დოგი 1 (ს/ნ: 405088382), შპს თრედიინგ სოლუშენს (ს/ნ: 405349591), შპს ლარა (ს/ნ: 402189190), შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI (ს/ნ: 404591394), შპს ჰოლანდიური სახლი - ორბეთი (ს/ნ:

⁶⁰ ყველა კომპანიის დასახელება („ემიტენტის“ შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე.

405534104), შპს ჰოლანდიური სახლი - ორბეთი (ს/ნ: 405532259), შპს ბახვი 2 (ს/ნ: 405121595), შპს ინა (ს/ნ: 205016301), შპს ეს-ჯი-აი (ს/ნ: 205217549), შპს სი-ემ ტექნოლოჯის (ს/ნ: 405214227), გიორგი აბრამიშვილი - სკა (ს/ნ: 105107223).

არჩილ მნელაძე არის „ემიტენტის“ ტექნიკური დირექტორი. ბატონი არჩილი ამ პოზიციაზე დაინიშნა 2014 წელს, ხოლო კონტრაქტის ხანგძლივობა არ არის განსაზღვრული.

არჩილ მნელაძეს დიდი გამოცდილება აქვს ენერჯეტიკის სექტორში, კონკრეტულად: ტექნიკური პროექტების დიზაინის, შესწავლა ექსპერტიზისა და ობიექტების ექსპლუატაციის მიმართულებით. კარიერის სხვადასხვა ეტაპზე, ბატონი არჩილი იკავებდა წამყვან პოზიციებს ჰიდრო, თბო და მზის ენერჯის სფეროებში, სადაც თანამშრომლობდა საერთაშორისო და ადგილობრივ კომპანიებთან, როგორებიცაა: EDF, Stucky, Colenko, Electrowat, UkrHydro, Tesla (საქართველო), ენგურჰესი.

არჩილ მნელაძე ხელმძღვანელობდა ჰიდროელექტროსადგურების, ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს საქართველოში, აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ს ქვეყნებში (ენგურჰესი, ხუდონჰესი, ლახამის ჰესების კასკადი, არაგვი ჰესების კასკადი, უკრაინა ჰესები, გარდაბნის თბოსადგური, 500/330/220 კვ გადამცემი ხაზები საქართველოში). არჩილ მნელაძე, როგორც მენეჯმენტის გუნდის წევრი, სხვადასხვა პროექტებში თანამშრომლობდა Posch & Partners Consulting Engineers, KfW, EBRD, World Bank, PA Government Services Inc./Winrock International და სხვებთან. ამჟამად არჩილი მართავს მოქმედ სადგურებს: (i) ლახამი 1 ჰესი და ლახამი 2 ჰესი, და (ii) არაგვი 1 ჰესი და არაგვი 2 ჰესი.

კომპანიები, რომლებშიც ბ-ნი არჩილი წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო ბოლო 5 წლის განმავლობაში⁶¹: შპს ტესლა (ს/ნ: 205274371), შპს ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი (ს/ნ: 400092555), შპს ენერგო-არაგვი (ს/ნ: 204515177), შპს ენერგო არაგვი ინჟინერია (ს/ნ: 406221672), შპს ნანო (ს/ნ: 405243062), შპს თრეიდინგ სოლუშენს (ს/ნ: 405349591), შპს ოკრილი (ს/ნ: 405163610), შპს ცხვანდირი (ს/ნ: 405163709), შპს ევლი (ს/ნ: 405461726), შპს ლარა (ს/ნ: 402189190), შპს ტაბერნე მოხვა (ს/ნ: 402205341), შპს ენერჯი სოლუშენს 2 (ს/ნ: 405518462), შპს ქარი ქართლი (ს/ნ: 402255698), შპს სი-სი-ი-იქი ჰიდრო VI (ს/ნ: 404591394), შპს ბახვი 2 (ს/ნ: 405121595).

ეკატერინე კიკაძე არის „ემიტენტის“ იურიდიული დირექტორი. ქალბატონი ეკატერინე ამ პოზიციაზე დაინიშნა 2019 წელს, ხოლო კონტრაქტის ხანგძლივობა არ არის განსაზღვრული.

ეკა კიკაძეს ჰიდროენერჯეტიკულ პროექტებში იურისტად მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება აქვს. ქალბატონი ეკა 2019 წლიდან მუშაობს იურისტად „კომპანიაში“, რომელიც წარმოადგენს სამშენებლო-დეველოპერულ კომპანიას და განხორციელებული აქვს 16 მგვტ დადგმული სიმძლავრის ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესების პროექტები. ეკა ასევე გახლავთ „საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციის“ იურისტი.

2011-2019 წლებში ეკა კიკაძე მუშაობდა „დარიალი ენერჯი“-ში, სადაც მისი საქმიანობა მოიცავდა კომპანიის იურიდიული საკითხების წარმართვასა და ზედამხედველობას. 2013-2019 წლებში კი ქალბატონი ეკა ამ ორგანიზაციის გარემოსდაცვით და სოციალურ დეპარტამენტსაც ზედამხედველობდა. სწორედ ამ პერიოდში მოიპოვა კომპანიამ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან ვერცხლის ჯილდო, საუკეთესო გარემოსდაცვითი და სოციალური პრაქტიკისათვის (EBRD Sustainability Award 2017). 2017-2019 წლებში ეკა კიკაძე იურიდიულ კონსულტაციას უწევდა „ონი კასკადს“. ეკა კიკაძემ 2008 წელს მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დიპლომი, 2011 წელს კი მოიპოვა მაგისტრის ხარისხი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. გარდა ამისა, 2018 წელს მან გაიარა ჰარვარდის უნივერსიტეტის ონლაინ სწავლების სასერტიფიკატო კურსი სახელმწიფოებრივი ურთიერთობათა მიმართულებით. ეკა კიკაძე 2013 წლიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

აუდიტის კომიტეტი

⁶¹ ყველა კომპანიის დასახელება („ემიტენტის“ შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე.

„ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ მე-9¹ მუხლის შესაბამისად, ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებითა და სულ მცირე 1 დამოუკიდებელი წევრით (რის მოთხოვნებსაც დამატებით ადგენს „მეწარმეთა შესახებ კანონის“ 57-ე მუხლი).

„ემიტენტის“ პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის შესაბამისობაშია აღნიშნულ მოთხოვნასთან. კერძოდ, „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოში შექმნილია აუდიტის კომიტეტი. კომიტეტი შედგება 2 წევრისგან: ირაკლი დიასამიძე, ირაკლი აბაიშვილი.

აუდიტის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, მოიცავს შემდეგს: 1) სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის შესახებ; 2) სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად წარუდგინოს საქმიანობის შესახებ ანგარიში და დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ; 3) გააკონტროლოს „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთი აუდიტის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა; მათ შორის, ზედამხედველობა გაუწიოს: ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს; ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას; გ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით; დ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.

თანამშრომლები

2023 წლის 30 ივნისის და 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ თანამშრომლების რაოდენობა იყო 17, 18 და 23 შესაბამისად.

ანაზღაურება და ბენეფიტები

„კომპანიის“ მიერ ჯამურად გადახდილმა ანაზღაურებამ (ბენეფიტების ჩათვლით) დამფუძნებლებისა და მმართველი ორგანოს მიმართ 2022 წელს შეადგინა 229 ათასი ქართული ლარი.

ინტერესთა კონფლიქტი

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა პირად ინტერესებს ან/და სხვა მოვალეობებს შორის. ასევე, არ არსებობს ნათესაური კავშირები „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის.

სამართალწარმოება

ამ პროსპექტის თარიღისათვის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის არცერთი წევრი არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით;
- არ ასრულებდა აღმასრულებელ ფუნქციას, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით, ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა); ან
- არ ექვემდებარებოდა რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ არასდროს მომხდარა მისი დისკვალიფიკაცია რომელიმე კომპანიის მმართველი ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

კორპორატიული მმართველობა


საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბერს ბრძანებით დამტკიცდა კორპორაციული მართვის კოდექსი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან, თუმცა აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული ანგარიშგების პირველად წარდგენა ემიტენტებს დაევალებათ 2023 წლის წლიური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის. აღნიშნული კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას. ასევე იხილეთ წინამდებარე პროსპექტის თავი „რისკის ფაქტორები“ – *„კორპორატიული მართვის სტანდარტებთან დაკავშირებული რისკები“*.

დივიდენდების პოლიტიკა

„კომპანიას“ არ აქვს განცხადებული და წერილობით გაფორმებული დივიდენდების პოლიტიკა. დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებული პროცესები და გარკვეული შეზღუდვები მოცემულია „კომპანიის“ წესდებაში და ასევე შესაძლოა შეზღუდული იყოს სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული კონტრაქტითა და წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული „ობლიგაციების“ გამოშვების პირობებით (იხილეთ თავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“). გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე პროსპექტისა და სს „თიბისი ბანკთან“ არსებული სასესხო შეთანხმების თანახმად, „კომპანიას“ გარკვეული შეზღუდვები ეკისრება დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით.

ძირითადი პარტნიორები

გრაფიკი 23: „ემიტენტის“ პარტნიორები პროსპექტის მომზადების თარიღისთვის



ცხრილი 31: „კომპანიის“ პარტნიორები

პარტნიორი:	წილი (%)
შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III (საქართველო, ს/ნ: 404552630)	82%
შპს ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი (საქართველო, ს/ნ: 400092555)	13%
შპს ენერჯი სოლუმენს (საქართველო, ს/ნ: 405043616)	5%
სულ	100%

1.1. შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III - 82% (ID: 404552630)

შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III (შემდგომში „CCEH“ ან „სი-სი-ი-ეიჩ“) წარმოადგენს აქციებით შეზღუდული კერძო კომპანია კავკასუს ქლინ ენერჯი ჰოლდინგზ პტე. ლიმიტედის შვილობილ კომპანიას, რომელიც, თავის მხრივ, რეგისტრირებულია სინგაპურში (რეგისტრაციის ნომერი: 201532830D) და იგი ფლობს კავკასიის განახლებადი ენერჯის ფონდის (შემდგომში „CCEF“ ან „სი-სი-ი-ეიჯ“) მიერ დაფინანსებულ პროექტებს. CCEF არის პარტნიორობა, რომელსაც ფლობენ სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები (IFIs / DFIs) და საოჯახო ოფისები (საოჯახო ინვესტიციებისა და აქტივების მართვის კერძო ოფისები).

ცხრილი 32: ინფორმაცია შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III ინვესტორების შესახებ

ინვესტორი		წილი CCEH-ში (%)	წილი ემიტენტში (%)	რეგისტრაციის ადგილი
ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის გლობალური ფონდი (GEEREF) Global Energy Efficiency and Renewable Energy Fund	ინვესტორი <i>შეზღუდული პარტნიორი</i>	21%	17%	ლუქსემბურგი
ნიდერლანდების განვითარების ბანკი (FMO) Nederlandse Financierings-Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V.	ინვესტორი <i>შეზღუდული პარტნიორი</i>	20%	16%	ნიდერლანდები
ავსტრიის განვითარების ბანკი (OeEB) Oesterreichische Entwicklungsbank AG	ინვესტორი <i>შეზღუდული პარტნიორი</i>	11%	9%	ავსტრია
სკოპოს იმპაქტ ფონდი (Skopos) Skopos Impact Fund SICAF-SIF S.A.	ინვესტორი <i>შეზღუდული პარტნიორი</i>	16%	13%	ლუქსემბურგი
სს საპარტნიორო ფონდი JSC Partnership Fund	ინვესტორი <i>შეზღუდული პარტნიორი</i>	8%	7%	საქართველო
ჰაილენდ და უნივერსალ ინვესტიციები (Highland) Highland and Universal Investments Limited	ინვესტორი <i>შეზღუდული პარტნიორი</i>	8%	7%	გაერთიანებული სამეფო
მაკლელანის ფონდი The Maclellan Foundation, Inc.	ინვესტორი <i>შეზღუდული პარტნიორი</i>	8%	7%	ამერიკის შეერთებული შტატები
შულც გლობალ საქართველო, ჯი-პი, ელ-პი Schulze Global Georgia GP, L.P.	ინვესტორი <i>გენერალური პარტნიორი</i>	8%	7%	გერნზი

- **GEEREF** - ფონდების ფონდი, რომლის მრჩეველია ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი. GEEREF ინვესტირებას ახორციელებს კერძო საინვესტიციო ფონდებში, რომლებიც აფინანსებენ განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის პროექტებს განვითარებად ბაზრებში.
- **FMO** - ნიდერლანდების განვითარების ბანკი, რომელიც დაარსდა 1970 წელს და არის საჯარო-კერძო პარტნიორობა, რომლის 51%-ს ფლობს ნიდერლანდების სახელმწიფო და 49%-ს ფლობენ კომერციული ბანკები, პროფკავშირები, და კერძო სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლები.
- **OeEB** - ავსტრიის რესპუბლიკის განვითარების ოფიციალური ბანკი, რომელსაც აქვს ფედერალური მთავრობის მანდატი, დააფინანსოს და მხარი დაუჭიროს მდგრადი განვითარების პროექტებს განვითარებად ქვეყნებში და განვითარებად ბაზრებზე, რომლებიც ეკონომიკურად მდგრადია და დადებითად აისახება განვითარებაზე.
- **სს საპარტნიორო ფონდი** - საქართველოს უმსხვილესი სახელმწიფო საწარმოების საკუთრების კონსოლიდაციის საფუძველზე შექმნილი ფონდი, რომლის საქმიანობა მოიცავს როგორც აქტივების მართვას, ასევე საინვესტიციო საქმიანობას პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანადაფინანსებით.
- **Skopos** - ჰოლანდიური ოჯახის ოფისის ქვეშ არსებული საინვესტიციო ჯგუფი.
- **Highland** - გაერთიანებულ სამეფოში არსებული საოჯახო ოფისი.
- **The Maclellan Foundation, Inc.** - შეერთებულ შტატებში დაფუძნებული არაკომერციული ფონდი.
- **Schulze Global Georgia GP, L.P.** - ფონდის გენერალური პარტნიორი, გერნსიში რეგისტრირებული საპარტნიორო სტრუქტურა, რომელსაც მართავენ CCEF-ის საინვესტიციო პროფესიონალები.

ამასთანავე, შეზღუდული პარტნიორობის სახელით გადაწყვეტილებებს იღებს გენერალური პარტნიორი: Schulze Global Georgia GP, L.P. ამასთანავე, სტრატეგიული (და/ან გამონაკლისი) გადაწყვეტილებები მოითხოვს თანხმობას თანაბარი ხმის მქონე შემდეგი ინვესტორებისგან: GEEREF, FMO, OeEb, Skopos და სს საპარტნიორო ფონდი.

აღსანიშნავია, რომ CCEH-ის მფლობელობის სტრუქტურაში „ემიტენტის“ წილის 5%-ზე მეტის ბენეფიციარ მესაკუთრეს (UBO) მხოლოდ ერთი ფიზიკური პირი, ანა ჰერონ გლოგი, წარმოადგენს, რომელიც 5,36%-ს ფლობს. .

1.2 შპს ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი - 13% (ID: 400092555)

შპს ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი დაარსდა 2013 წელს საქართველოში მცირე და საშუალო ზომის ჰიდროენერგეტიკული პროექტების განსავითარებლად. კომპანიის პარტნიორები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

- ლაშა ჩარკვიანი (პ/ნ: 15001004463) - 20.77%;
- არჩილ ძნელაძე (პ/ნ: 12001001707) - 40.77%;
- ტარას ნიჟარაძე (პ/ნ: 01017003022) - 15.38%; და
- ეკატერინე თევდორაძე (პ/ნ: 01017018458) - 23.08%.

1.3 შპს ენერჯი სოლუმენს - 5% (ID: 405043616)

შპს ენერჯი სოლუმენს დაარსდა 2014 წელს საქართველოში მცირე და საშუალო ზომის ჰიდროენერგეტიკული პროექტების განვითარების მიზნით. კომპანიის წილის 90%-ს ფლობს გიორგი აბრამიშვილი (პ/ნ: 01010000236), ხოლო წილის 10%-ის მესაკუთრეა შპს ჯეი-ვი-აი ვასთაგოედ ინვესტმენტს ვი.ბი.ვი (ნიდერლანდები, რეგისტრაციის ნომერი: 34107660).

დაკავშირებული მხარის გარიგებები

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ შესაბამისად, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

ცხრილი 33: 2023 და 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები:

<i>ათას ქართულ ლარში</i>	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 30 ივნისი
ვალდებულება მშობელი კომპანიის მიმართ - შპს CCEH Hydro III	(672)	(665)
შპს CCEH Hydro III-ის მიერ უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	(76)	(76)
გაცემული სესხები მშობელ კომპანიაზე - შპს CCEH Hydro III	131	-

ცხრილი 34: 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები:

<i>ათას ქართულ ლარში</i>	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულება მშობელი კომპანიის მიმართ - შპს CCEH Hydro III	665	812
შპს CCEH Hydro III-ის მიერ უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	76	93
სულ	741	905

ცხრილი 34: 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან გაცემული სესხები

<i>ათას ქართულ ლარში</i>	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხები მშობელ კომპანიაზე- შპს CCEH Hydro III	(131)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებზე	65	-

დამატებითი ინფორმაციის სანახავად გთხოვთ იხილოთ განმარტებითი შენიშვნა 19 (ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან) 2023 წლის შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში და განმარტებითი შენიშვნა 20 (ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან) 2022 და 2021 წლების აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა):

- „კომპანიის“ წესდება (გამოქვეყნებულია საჯარო რეესტრის პორტალზე <https://napr.gov.ge/>; NAPR სისტემაში მებნის განაცხადის ნომერი: B23048301);
- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“ შორის;
- ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და „ემიტენტს“ შორის;
- ხელშეკრულება ობლიგაციონერების წარმომადგენელსა და „ემიტენტს“ შორის;
- იპოთეკის ხელშეკრულება ობლიგაციონერებსა და „ემიტენტს“ შორის;
- გირავნობის ხელშეკრულება ობლიგაციონერებსა და „ემიტენტს“ შორის;
- ობლიგაციონერის მიერ გასაფორმებელი მინდობილობის პროექტი;
- „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგებები (აუდიტირებული და შუალედური ფინანსური ანგარიშგებები) (გამოქვეყნებულია ანგარიშგების პორტალზე: <https://reportal.ge/>).

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა „კომპანიის“ წესდებისა და ფინანსური ანგარიშგებებისა, წარმოადგენენ კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც „ემიტენტი“ არ გეგმავს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის შესაძლებელია ელექტრონული ფორმით „ემიტენტის“, ობლიგაციონერების წარმომადგენლის ან/და განთავსების აგენტის, გარემოებების გათვალისწინებით, პროსპექტში მითითებულ ელექტრონულ მისამართებზე შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის გზით. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

მნიშვნელოვანი ინფორმაცია განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

„კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს გამოკლებული მოკლევადიანი ვალდებულებები) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინუს 3,115 ათას ქართულ ლარს შეადგენდა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – მინუს 306 ათას ქართულ ლარს, ხოლო 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კი – 2,495 ათას ქართულ ლარს.

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი იყო უარყოფითი, რაც დამახასიათებელია აღნიშნული სექტორისთვის და ძირითადად გამოწვეულია სესხების მიმდინარე ნაწილის მიმდინარე ვალდებულებებში არსებობით, რასაც „კომპანია“ აფინანსებს შესაბამის პერიოდში გენერირებული მოგებიდან და არა – საბრუნავი კაპიტალიდან.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთი

ობლიგაციების საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი არის 8.50-9.0%.

ინფორმაცია შეთავაზებაში მონაწილე მხარეთა ინტერესებისა და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

შეთავაზებაში მონაწილე პირები, მათი როლი შეთავაზების ფარგლებში, ასევე დეტალური ინფორმაცია მათი ინტერესებისა და ნებისმიერი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ მოცემულია ქვედა ცხრილში:

ცხრილი 35: მონაწილე მხარეთა ინტერესების აღწერა შეთავაზებაში

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
შპს „თიბისი კაპიტალი“	განთავსების აგენტი და კალკულაციისა და გადახდის აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია შპს „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსებაში და განთავსების სანაცვლოდ მიიღოს „კომპანიასთან“ შეთანხმებული საზღაური	არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემდგომი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია შპს „თიბისი კაპიტალთან“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, შპს „თიბისი კაპიტალსა“ და „კომპანიას“, ხოლო, მეორე მხრივ, შპს „თიბისი კაპიტალსა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდის უუნარობის / გაკოტრების შემთხვევი ს შესახებ

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ უზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებებს. შესაბამისად, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით „კომპანიის“ წინაშე არსებული ნებისმიერი მოთხოვნა წარმოადგენს ობლიგაციონერების უზრუნველყოფილ მოთხოვნას. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უზრუნველყოფილ კრედიტორებს, მათ შორის, ობლიგაციონერებს, უპირატესობა ენიჭებათ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებაში.

ამასთანავე, წინამდებარე პროსპექტის თარიღისთვის „კომპანიის“ უძრავი და მოძრავი ქონების უდიდეს ნაწილზე რეგისტრირებულია პირველი რიგის იპოთეკა და გირავნობა სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ თავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“ – „სესხების უზრუნველყოფა“; ასევე იხილეთ წინამდებარე პროსპექტის თავი „რისკის ფაქტორები“ – ქვეთავი „შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის

დამახასიათებელი რისკები“ – მათ შორის, რისკის ფაქტორი: „*ობლიგაციონერები წარმოადგენენ მეორე რიგის უზრუნველყოფილ კრედიტორებს და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ წინა რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ*“).

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის თანახმად, პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს აღნიშნული ქონების რეალიზაციას პირველი რიგის იპოთეკარის/მოგირავნის მოთხოვნის შესაბამისად, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. თუ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილისა (მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი) და 301-ე მუხლის 1¹ ნაწილის (მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი) შესაბამისად.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ემიტენტის“ გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის მასა განაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომლებიც თავის მხრივ მოიცავს: (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯებს, ქონების მართვის ხარჯებს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯებს);
- 2) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ „ემიტენტის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
- 3) კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
 - a) პრეფერენციული მოთხოვნები (სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა „ემიტენტის“ დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ქართული ლარის ოდენობით));
 - b) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები (სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები);
 - c) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;

- d) მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები;
- e) არაპრივილეგირებული მოთხოვნები (კრედიტორის მოთხოვნები, რომელთა არაპრივილეგირებული წესით დაკმაყოფილებაც „ემიტენტი“ და კრედიტორი წინასწარ შეთანხმდნენ); და
- f) კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

ობლიგაციების გამოშვების პირობები

„ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭომ 2023 წლის 31 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება ჯამური 15,000,000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარამდე ნომინალური ღირებულებისა და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციების (შემდგომში „ობლიგაციები“) გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შესახებ. „ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი და „დაფარვის თარიღი“ განისაზღვრება „ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ (შემდგომში „პირობების დოკუმენტი“).

„ობლიგაციების“ გამოშვების პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: (i) „პროსპექტით“, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ (შემდგომში „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“), და „პირობების დოკუმენტით“; (ii) „ემიტენტსა“ და შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორებს“ (შემდგომში „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ობლიგაციების გამოშვების პირობების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“), რომელშიც განსაზღვრულია გარკვეული დამატებითი პირობები; და (iii) „ემიტენტსა“ და „ობლიგაციონერებს“ შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებითა (შემდგომში „იპოთეკის ხელშეკრულება“) და გირავნობის ხელშეკრულებით (შემდგომში „გირავნობის ხელშეკრულება“). „პროსპექტსა“ და „ხელშეკრულებას“, „პროსპექტსა“ და „იპოთეკის ხელშეკრულებას“, და „პროსპექტსა“ და „გირავნობის ხელშეკრულებას“, შორის ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება „პროსპექტის“ შესაბამის დებულებებს. „ხელშეკრულება“, „იპოთეკის ხელშეკრულება“ და „გირავნობის ხელშეკრულება“ ხელმისაწვდომია ინვესტორთათვის გასაცნობად ელექტრონულად „ემიტენტის“, ან/და „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ შესაბამის ელექტრონულ მისამართზე მოთხოვნის გაგზავნით.

„პროსპექტის“ (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“) გარდა, „ობლიგაციონერებსა“ და „ნომინალურ მფლობელებს“ (გარემოებების გათვალისწინებით) უფლებები და ვალდებულებები წარმოეშობათ ასევე „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ საფუძველზე და იგულისხმება, რომ ისინი ექვემდებარებიან „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ შესაბამის პირობებს, ამგვარი პირობები ვრცელდება მათზე და მოქმედებს მათთან მიმართებაში. „ობლიგაცი(ებ)ის“ შექმნით თითოეული „ობლიგაციონერი“ თანხმობას აცხადებს, რომ წინამდებარე „პირობების“, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ „ემიტენტის“ მიმართ აღსრულების უფლება ექნება მხოლოდ „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მეშვეობით და „პირობებით“, „იპოთეკის ხელშეკრულებითა“ და „გირავნობის ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით. შესაბამისად, არცერთ „ობლიგაციონერს“ ან/და „ნომინალურ მფლობელს“ არ აქვს უფლება, იმოქმედოს უშუალოდ/პირდაპირ „ემიტენტის“ წინააღმდეგ წინამდებარე „პირობებით“ ან/და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული რომელიმე დათქმის დარღვევის გამო და მხოლოდ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ შეუძლია მიიღოს ზომები „ემიტენტის“ წინააღმდეგ „პირობების“ დარღვევასთან დაკავშირებით, გარდა „პირობების“ მე-12 პუნქტით („აღსრულება“) განსაზღვრული შემთხვევებისა.

„გამოშვების თარიღზე“ „ემიტენტს“ არ ჰყავს „შვილობილ(ებ)ი“. შესაბამისად, წინამდებარე „პირობები“, მათ შორის, „პირობების“ მე-5 პუნქტით („დათქმები“) განსაზღვრული დათქმები, და „ხელშეკრულება“ ვრცელდება მხოლოდ „ემიტენტზე“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტი“ შექმნის/დააფუძნებს „შვილობილ(ებ)ს“ სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ არის დაუფარავი, ამგვარი „შვილობილ(ებ)ი“ ასევე დაექვემდებარებიან წინამდებარე „პირობებს“, მათ შორის, „პირობების“ მე-5 პუნქტით („დათქმები“) განსაზღვრულ შესაბამის დათქმებს, და „ხელშეკრულებას“.

1. ფორმა და ნომინალური ღირებულება, საკუთრების უფლება და უზრუნველყოფა

(ა) **ფორმა და ნომინალური ღირებულება:** „ობლიგაციები“ გამოშვებულია არამატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. 1 (ერთი) „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულებაა: 1,000 (ერთი ათასი) აშშ დოლარი.

(ბ) **საკუთრების უფლება:** საკუთრების უფლება „ობლიგაციებზე“ დასტურდება რეგისტრაციით: (i) ფასიანი ქაღალდების რეესტრში (შემდგომში „ფასიანი ქაღალდების რეესტრი“), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს „ემიტენტი“ „პირობების დოკუმენტში“ მითითებული რეგისტრატორის (შემდგომში „რეგისტრატორი“)

მეშვეობით „ემიტენტსა“ და „რეგისტრატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად; ან/და (ii) სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომლებსაც აწარმოებს „ობლიგაციების“ ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი“.

„ფასიანი ქაღალდების რეესტრი“ და ზემო (ii) ქვეპუნქტში მითითებული სხვა რეესტრები/ჩანაწერები შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „რეესტრი“.

(გ) უზრუნველყოფა:

(i) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ან/და მათგან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ მეორე რიგის (I) იპოთეკით დატვირთოს „იპოთეკის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული უძრავი ქონება და აღნაგობის უფლება წინამდებარე „პირობებისა“ და „იპოთეკის ხელშეკრულების“ შესაბამისად, და (II) გირავნობით დატვირთოს „გირავნობის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე წინამდებარე „პირობებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ შესაბამისად.

(ii) „გამოშვების თარიღიდან“ („ობლიგაციების“ პირველადი განთავსებისას) ან „ობლიგაციების“ შექმნიდან („ობლიგაციების“ „გადავადებული განთავსების თარიღზე“ ან მეორად ბაზარზე შექმნისას) 30 „სამუშაო დღის“ განმავლობაში თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია, „განთავსების აგენტს“ (რომელიც განსაზღვრულია „პირობების დოკუმენტში“) ან „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწოდოს წინამდებარე „პირობების“ 1(გ) (iv) ქვეპუნქტის შესაბამისად სათანადო წესით გაფორმებული და დამოწმებული მინდობილობის (შემდგომში „**მინდობილობა**“) დედანი (ორიგინალი ასლი), რომელიც ძალაში იქნება იმ დრომდე, სანამ არ განხორციელდება „ობლიგაციონერის“ სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკისა და გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია (I) „პირობების“ მე-7 პუნქტის („*დაფარვა და გამოსყიდვა*“) შესაბამისად „ობლიგაციების“ გამოსყიდვის ან დაფარვის, ან (II) „ობლიგაციონერის“ მიერ მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციების“ სრულად გადაცემის (მოთხოვნის დათმობის) გამო, რომელი მოვლენაც დადგება უფრო ადრე.

„მინდობილობის“ 1(გ) (iv) ქვეპუნქტის შესაბამისად გაფორმებისა და დამოწმების ხარჯები (იურიდიული ან ნებისმიერი სხვა მომსახურების ხარჯების გამოკლებით) ეკისრება „ემიტენტს“.

(iii) თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია, „მინდობილობა“ გასცეს „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ განსაზღვრული პირების სასარგებლოდ და მიანიჭოს მათ უფლება, ხელი მოაწერონ ნებისმიერ და ყველა დოკუმენტს, და განახორციელონ ნებისმიერი და ყველა ქმედება, რომელიც შესაძლოა საჭირო ან აუცილებელი იყოს „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ ნებისმიერი დამატებისა თუ ცვლილების) სათანადო წესით ხელმოსაწერად, სანოტარო წესით დასამოწმებლად და დასარეგისტრირებლად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „*საჯარო რეესტრი*“), ისევე როგორც - იპოთეკისა და გირავნობის რეგისტრირებულ უფლებებში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შესატანად, ან იპოთეკისა და გირავნობის უფლების შეწყვეტის დასარეგისტრირებლად იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა (I) „პირობების“ მე-7 პუნქტის („*დაფარვა და გამოსყიდვა*“) შესაბამისად „ობლიგაციების“ გამოსყიდვა ან დაფარვა ან (II) „ობლიგაციონერის“ მიერ მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციების“ სრულად გადაცემა (მოთხოვნის დათმობა).

(iv) თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია, გააფორმოს „მინდობილობა“ „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ან/და „განთავსების აგენტის“ მიერ მიწოდებული ფორმით და შემდეგი ფორმალობების დაცვით:

(I) იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ იმყოფება/რეგისტრირებულია საქართველოში და:

A. თუ „ობლიგაციონერი“ ფიზიკური პირია, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს „მინდობილობის“ დამოწმება სანოტარო წესით; ან

B. თუ „ობლიგაციონერი“ იურიდიული პირია, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს „მინდობილობის“ (x) გაფორმება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული, ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ და (y) დამოწმება სანოტარო წესით; ან

(II) იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ იმყოფება/რეგისტრირებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ და:

A. თუ „ობლიგაციონერი“ ფიზიკური პირია, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად „მინდობილობის“ დამოწმება (x) სანოტარო წესითა და (y) აპოსტილით ან მისი ლეგალიზაცია (გარემოებების გათვალისწინებით) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია არ მოითხოვება; ან

B. თუ „ობლიგაციონერი“ იურიდიული პირია, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს რეგისტრაციის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ „მინდობილობის“ დამოწმება (x) სანოტარო წესითა და (y) აპოსტილით ან მისი ლეგალიზაცია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია არ მოითხოვება. ამასთანავე, „მინდობილობის“ სანოტარო წესით დამოწმებისას, „ობლიგაციონერის“ რეგისტრაციის ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, სასურველია ნოტარიუსის მიერ ასევე მოხდეს „ობლიგაციონერის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შესაბამისი უფლებამოსილების დადასტურებაც. სხვა შემთხვევაში, გარემოებების გათვალისწინებით, „ობლიგაციონერის“ მიერ დამატებით წარმოსადგენი იქნება უცხოეთის ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული და კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული ამონაწერი სამეწარმეო/კორპორატიული რეესტრიდან და, საჭიროების შემთხვევაში, ასევე წესდება (ან ეკვივალენტი დოკუმენტები, თუ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს მათ არსებობას).

(v) წინამდებარე „პირობების“ 1(გ) (ii) ქვეპუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 „სამუშაო დღისა“ (თუ „ობლიგაციონერების წარმომადგენელმა“ მიიღო სათანადო წესით გაფორმებული და დამოწმებული „მინდობილობის“ დედანი (ორიგინალი ასლი) და, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი და ყველა სხვა დამატებითი დოკუმენტი) „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უზრუნველყოფს შესაბამისი „ობლიგაციონერის“ სახელით „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ ნებისმიერი დამატებისა თუ ცვლილების) ხელმოწერას, სანოტარო წესით დამოწმებასა და რეგისტრაციას „საჯარო რეესტრში“.

„იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ ნებისმიერი დამატებისა თუ ცვლილების) გაფორმებისა და სანოტარო წესით დამოწმების, ასევე - „საჯარო რეესტრში“ „ობლიგაციონერ(ებ)ის“ სასარგებლოდ იპოთეკისა და გირავნობის უფლებების წარმოშობის რეგისტრაციის ხარჯები ეკისრება „ემიტენტს“.

(vi) ყველა სათანადო ინფორმაციის/დოკუმენტის მიწოდებისა და წარდგენის შემთხვევაში, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უზრუნველყოფს „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ იპოთეკისა და გირავნობის უფლებების წარმოშობის რეგისტრაციას „საჯარო რეესტრში“ შესაბამისი განაცხადების წარდგენიდან 4 „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ „საჯარო რეესტრის“ მიერ მოხდება დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტის მოთხოვნა სარეგისტრაციო წარმოების დასრულების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია, ამგვარი ინფორმაცია/დოკუმენტი „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწოდოს მოთხოვნიდან 30 „სამუშაო დღის“ განმავლობაში.

(vii) „საჯარო რეესტრში“ შესაბამისი სარეგისტრაციო წარმოების დასრულებიდან 2 „სამუშაო დღის“ განმავლობაში „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ „ობლიგაციონერს“ მიაწვდის იპოთეკისა და გირავნობის რეგისტრაციის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს/ამონაწერს.

(viii) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იპოთეკა და გირავნობა იურიდიულ ძალას იძენს „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან. შესაბამისად, ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, თითოეული „ობლიგაციონერი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ თუ იგი არ უზრუნველყოფს „პირობების“ წინამდებარე 1(გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას, მათ შორის, „ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ ან/და „განთავსების აგენტისთვის“ (გარემოებების გათვალისწინებით) ნებისმიერი და ყველა საჭირო ან აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტის მიწოდებას განსაზღვრულ ვადებში, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ვერ უზრუნველყოფს „ობლიგაციონერის“ სასარგებლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციას და, შესაბამისად, ამგვარი „ობლიგაციონერის“ მოთხოვნა „ემიტენტის“ წინააღმდეგ იქნება არააუზრუნველყოფილი მოთხოვნა და ამგვარი „ობლიგაციონერი“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაკმაყოფილდება, როგორც არააუზრუნველყოფილი კრედიტორი.

(ix) იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერის“ მიერ მოხდება მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციების“ სრულად გასხვისება სხვა პირზე, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ვალდებულია (ყველა სათანადო ინფორმაციის/დოკუმენტის მიწოდებისა და წარდგენის შემთხვევაში), უზრუნველყოს გამსხვისებელი „ობლიგაციონერის“ ახალი „ობლიგაციონერით“ ჩანაცვლება „საჯარო რეესტრში“ „პირობების“ წინამდებარე 1(გ) ქვეპუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში კი, თუ „ობლიგაციონერის“ მიერ მოხდება მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციების“ ნაწილობრივ გასხვისება სხვა პირზე, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ვალდებულია (ყველა სათანადო ინფორმაციის/დოკუმენტის მიწოდებისა და წარდგენის შემთხვევაში), უზრუნველყოს ახალი „ობლიგაციონერის“ სასარგებლოდ იპოთეკისა და გირავნობის უფლების რეგისტრაცია „საჯარო რეესტრში“ „პირობების“ წინამდებარე 1(გ) ქვეპუნქტის შესაბამისად და თითოეული „ობლიგაციონერი“ თანხმობას აცხადებს ამგვარი ახალი „ობლიგაციონერის“ სასარგებლოდ იპოთეკისა და გირავნობის უფლების რეგისტრაციაზე წინამდებარე „პირობების“, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ შესაბამისად.

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების გასხვისება

(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს „განთავსების აგენტი“. საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ, გააგზავნონ დამტკიცებული „პროსპექტი“ და დაკავშირებული მასალები პოტენციურ ინვესტორებთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „ემიტენტი“, „განთავსების აგენტი“ ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი/შუამავლები პოტენციურ ინვესტორებს მათი სურვილის შესაბამისად მიაწვდიან „პროსპექტისა“ და დაკავშირებული მასალების ელექტრონულ ბმულს, დასკანერებულ ვარიანტს ან დაბეჭდილ ასლს. საბოლოო „პროსპექტი“ პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდებათ საჯაროდ შეთავაზებული „ობლიგაციების“ გაყიდვის დაწყებამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიწოდებით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ან „განთავსების აგენტისათვის“ მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმით. „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას განსაზღვრავს „განთავსების აგენტი“ „ემიტენტთან“ შეთანხმებით. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს დაემთხვა დასვენების დღე, ამგვარი დღის წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან/პირობებიდან გამომდინარე („book-building“-ის შედეგად). პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში „ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი ექცევა წინასწარ „პროსპექტში“ მითითებული საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში და აისახება „პირობების დოკუმენტში“. ამასთან, წინასწარ „პროსპექტში“ მითითებულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ „პირობების დოკუმენტში“ ასახვას.

თუ პოტენციური ინვესტორებისგან „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიღების („book-building“-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე, ვიდრე გათვალისწინებულია წინამდებარე „პროსპექტით“, პოტენციური ინვესტორების განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობაზე ან გააგრძელოს მასში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე „განთავსების აგენტს“ უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო „სამუშაო დღის“ 14.00 საათამდე (თბილისის დროით) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ ოდენობასთან მიმართებით) შესახებ). წინააღმდეგ შემთხვევაში, „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადონ მასზე.

პოტენციური ინვესტორებისგან „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიღების („book-building“-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტი“ განაცხადებს შეთავაზების საბოლოო ოდენობის განსაზღვრის შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა შესყიდვის შესახებ განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, მიაწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციების“ ის რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციური ინვესტორის შესყიდვის შესახებ განაცხადები. შეთავაზების საბოლოო ოდენობის გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, გახდება შეუქცევადი/გამოუთხოვადი და მათ ექნებათ სავალდებულო ძალა ამგვარი ინვესტორებისათვის (შემდგომში „ხელმომწერი ინვესტორები“). „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილები არიან, მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით), რომელიც განისაზღვრება „პირობების დოკუმენტით“. „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება განხორციელდება „გადავადებული განთავსების ფასით“. პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიწოდებით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ან „განთავსების აგენტისათვის“ მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმით.

„ხელმომწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდნიან „ობლიგაციებს“ „გადავადებული განთავსების თარიღამდე“, ვალდებული არიან, შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 „სამუშაო დღით“ ადრე. „ხელმომწერმა ინვესტორებმა“ აღნიშნული საბროკერო ანგარიში უნდა გახსნან „განთავსების აგენტთან“. ამავე ანგარიშზე მიაწოდებს „ემიტენტი“ შესყიდულ „ობლიგაციებს“ შესაბამისად „გამოშვების თარიღზე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღზე“. გამონაკლის შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ დართოს ნება „ხელმომწერი ინვესტორს“ „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები, ნაცვლად „განთავსების აგენტთან“ გახსნილი „ხელმომწერი ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს „ემიტენტის“ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე, რომელიც გახსნილია „განთავსების აგენტთან“. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილი არიან, ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორთან“ ჩანაწერის სახით.

(ბ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში („პირობების დოკუმენტის“ დამტკიცებიდან საბოლოო „პროსპექტის“ მოქმედების ვადის დასრულებამდე) „ემიტენტი“ გადაწყვეტს, შეცვალოს „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაცია, მან უნდა მიიღოს „ფასიანი ქაღალდების კანონითა“ და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოქმედი რეგულაციებით დადგენილი აუცილებელი ზომები.

(გ) ობლიგაციების გასხვისება

„ობლიგაციების“ გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის „ფასიანი ქაღალდების კანონით“) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. „ობლიგაციების“ გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“ „პირობების“ 1(ბ) ქვეპუნქტის („საკუთრების უფლება“) შესაბამისად. „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ, რაც შეიძლება მალე, „ემიტენტი“ საქართველოს საფონდო ბირჟას მიმართავს განაცხადით „ობლიგაციების“ საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების თაობაზე. დაშვების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე „ობლიგაციებით“ ვაჭრობა ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებთან მიმართებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(დ) ფასის დადგენა

შეთავაზების საბოლოო მოცულობა (ანუ გამოსაშვები „ობლიგაციების“ რაოდენობა და მთლიანი ემისიის ღირებულება) დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნის გათვალისწინებით („book-building“-ის შედეგად). „პოტენციურ ინვესტორებზე“ „ობლიგაციების“ საბოლოო განაწილების საკითხი გადაწყდება „ობლიგაციების“ შესყიდვის მიმართ გამოვლენილი ინტერესის/მოთხოვნის საფუძველზე („book-building“-ის შედეგად) „პირობების“ მე-2(ა) ქვეპუნქტით („ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა“) განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

(ე) განთავსება

„ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილები არიან, განათავსონ „ობლიგაციები“ „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელის დასრულების დღის ჩათვლით). „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება განხორციელდება „გადავადებული განთავსების ფასით“. პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიწოდებით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ან/და „განთავსების აგენტისათვის“ მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმით.

„ხელმოწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდნენ „ობლიგაციებს“ „გადავადებული განთავსების თარიღზე“ (შემდგომში ერთობლივად „**ინვესტორები**“), ვალდებული არიან, შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 „სამუშაო დღით“ ადრე. „ინვესტორმა“ აღნიშნული საბროკერო ანგარიში უნდა გახსნას „განთავსების აგენტთან“. ამავე ანგარიშზე მიაწოდებს „ემიტენტი“ „ინვესტორს“ მის მიერ შესყიდულ „ობლიგაციებს“ შესაბამისად „გამოშვების თარიღზე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღზე“. გამონაკლის შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ დართოს ნება „ხელმოწერი ინვესტორს“ „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები, ნაცვლად „განთავსების აგენტთან“ გახსნილი „ხელმოწერი ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს „ემიტენტის“ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე, რომელიც გახსნილია „განთავსების აგენტთან“. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ხელმოწერი ინვესტორის“ ანგარიშზე.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორთან“ ჩანაწერის სახით.

თუ საბოლოო „პროსპექტში“ გათვალისწინებული „ობლიგაციების“ ჯამური რაოდენობა არ არის განთავსებული „შეთავაზების დასრულების თარიღზე“, განუთავსებელი „ობლიგაციები“ ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება). „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის ვადაში „ემიტენტი“ განთავსების შესახებ ანგარიშს მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(3) ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე

„ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ, რაც შეიძლება მალე, მიმართავს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით „ობლიგაციების“ სავაჭრო სისტემასა და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. დაშვების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე „ობლიგაციებით“ ვაჭრობა ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებთან მიმართებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სტატუსი

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „ემიტენტის“ არასუბორდინირებულ, უზრუნველყოფილ ვალდებულებას და „ობლიგაციონერებს“ ექნებათ მეორე რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორების სტატუსი. „ობლიგაციებს“ მუდმივად ექნებათ თანაბარი სტატუსი (*pari passu*), ერთმანეთს შორის რაიმე უპირატესობის გარეშე.

4. ობლიგაციონერების წარმომადგენლის დანიშვნა

(ა) „ობლიგაციების“ შექმნით (პირველადი განთავსებისას ან მეორად ბაზარზე შექმნისას) თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ყველა საკითხთან და, მათ შორის, იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც რეგულირდება წინამდებარე „პირობების“ მე-5 პუნქტითა („დათქმები“) და „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლით („დათქმები“), თავის წარმომადგენლად ნიშნავს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ და უფლებამოსილებას ანიჭებს მას (რაიმე წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, თუ ამგვარი თანხმობის მიღება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული „პირობებით“, „ხელშეკრულებით“, „იპოთეკის ხელშეკრულებით“, „გირავნობის ხელშეკრულებით“ ან/და კანონმდებლობით) იმოქმედოს მისი სახელით ამგვარი „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მფლობელობაში არსებულ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სამართალწარმოებისას.

(ბ) თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ მიაწვდის „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილობითი მინდობილობის („ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით) ჩათვლით, რომელიც ამ უკანასკნელისათვის აუცილებელია მასზე დაკისრებული უფლებებისა და ვალდებულებების შესასრულებლად და „ობლიგაციონერთა“ ინტერესების დასაცავად წინამდებარე „პირობების“, „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ შესაბამისად. „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ არ არის ვალდებული, წარმოადგინოს ის „ობლიგაციონერი“, რომელიც თავად, ან რომლის „ნომინალური მფლობელიც“, არ ასრულებს ამგვარ მოთხოვნას.

(გ) „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ უფლებამოსილია, წინამდებარე „პირობების“, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ აღსრულება „ემიტენტის“ მიმართ განახორციელოს მხოლოდ „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მეშვეობით და „პირობებით“ დადგენილი წესით, გარდა „პირობების“ მე-12 პუნქტით („აღსრულება“) განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ უფლებამოსილია, დაიწყოს წარმოება უშუალოდ/პირდაპირ „ემიტენტის“ წინააღმდეგ.

5. დათქმები

(ა) შეზღუდვა აქტივების უფლებრივად დატვირთვისთან დაკავშირებით: სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ არის დაუფარავი, „ემიტენტმა“ არ უნდა დაუშვას, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილებმა“ (არსებობის შემთხვევაში) არ დაუშვან, „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად მის ან მათ რომელიმე არსებულ ან სამომავლო

აქტივზე პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე „უზრუნველყოფის საშუალების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა, დადება ან არსებობა, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფებისა“ ან *იმ შემთხვევისა, როდესაც* ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებები“ დამტკიცებულია „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:

- (i) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა და უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა „შვილობილი“ (არსებობის შემთხვევაში) მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყოს მისი/მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ მე-5(გ) ქვეპუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და მისი/მათი ბიზნეს საქმიანობა და ყველა იმ არსებითი ინტელექტუალური საკუთრების, ისევე როგორც - ყველა თანხმობის, ლიცენზიისა და უფლებამოსილების, მოპოვება, გამოყენება ან შენარჩუნება, რომელიც დაკავშირებულია მის/მათ შეუფერხებელ საქმიანობასთან.
- (ii) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ლიცენზია და თანხმობა და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურის განხორციელება, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, სავალდებულოა „ობლიგაციებით“, „ხელშეკრულებით“, „იპოთეკის ხელშეკრულებითა“ და „გირავნობის ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების კანონიერად შესასრულებლად და საქართველოში „ობლიგაციების“, „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ კანონიერებისთვის, ნამდვილობისთვის, აღსრულებადობისა და საქართველოს სასამართლოებში მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) შერწყმა:

- (i) „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „ემიტენტმა“ არ უნდა განახორციელოს, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილებმა“ (არსებობის შემთხვევაში) არ განახორციელონ, შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის სახით) ან სხვა რაიმე ნებისმიერი ტიპის კორპორატიული რესტრუქტურისა, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული გარიგებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „ემიტენტის“ ან შესაბამისი „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) მთლიანი (ან, გარემოებების გათვალისწინებით, მთლიანი კონსოლიდირებული) ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარად განკარგვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(ა) ზემო (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

- (I) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული სუბიექტი ან ქონების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის „ემიტენტი“ ან „შვილობილი“ (გარემოებების გათვალისწინებით), ან თუ ამგვარი სუბიექტი არ არის „ემიტენტი“ ან „შვილობილი“, „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად იკისრებს „ობლიგაციებიდან“, „ხელშეკრულებიდან“, „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“ და „გირავნობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ან „შვილობილის“, გარემოებების გათვალისწინებით, ყველა უფლებასა და ვალდებულებას „ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით;
- (II) „სამართალმემკვიდრე“ (თუ „სამართალმემკვიდრე“ არ არის „ემიტენტი“ ან „შვილობილი“ (გარემოებების გათვალისწინებით)) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს „ემიტენტის“ ან „შვილობილის“ უფლებამონაცვლე ყველა არსებითი სახელმწიფო ნებართვის, ლიცენზიის, ავტორიზაციის, თანხმობისა და უფლებამოსილების შესაბამისად არსებულ ყველა უფლებასა და ვალდებულებასთან მიმართებით და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის არსებით მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ახორციელებს საქმიანობას; და

- (ბ) ზემო (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა და გრძელდება, ან არ დადგება; და

(გ) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ მოახდენს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(ii) ზემოთქმულის მიუხედავად, ნებისმიერი „შვილობილი“ (არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილია მოახდინოს „ემიტენტთან“ ან სხვა „შვილობილთან“ (რომელიც ამ პუნქტში აღწერილი ტრანზაქციის შედეგად ჩაითვლება „შვილობილად“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისთვის) კონსოლიდირება, შერწყმა ან გარდაქმნა ან განახორციელოს „ემიტენტზე“ ან სხვა „შვილობილზე“ ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, მთელი ან არსებითად მთელი, ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, ან იჯარით გაცემა.

(iii) წინამდებარე „პირობების“ მე-5(გ)(i) ქვეპუნქტი არ ვრცელდება:

(ა) ტრანზაქციებზე „ემიტენტსა“ და მის ნებისმიერ „შვილობილს“ (არსებობის შემთხვევაში) შორის, რომელშიც „ემიტენტი“ ფლობს წილის/აქციების 100%-ს;

(ბ) აქტივების ან ქონების (მათ შორის, ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების) გაყიდვაზე, იჯარით გაცემაზე, გადაცემაზე ან სხვაგვარად განკარგვაზე, რაც წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფას“ (გარდა აქტივების ან ქონებისა, რომელიც „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ უზრუნველყოფილია „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ საფუძველზე);

(გ) ქონების/აქტივების იჯარით გაცემაზე, გაყიდვაზე ან სხვაგვარად განკარგვაზე ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში; ან

(დ) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე, ასევე მათ ნაწილზე, რომელიც ექვემდებარება სეკიურაიზაციას (securitisation), მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებულ (asset-backed) ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, და სადაც ყველა ვალდებულება უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, *იმ პირობით, რომ იმ აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც ექვემდებარება დაფინანსების შესაბამის სტრუქტურას, მთლიანი ქონების ან შემოსავლების შეჯამების შემთხვევაში აკმაყოფილებს „ნებადართული უზრუნველყოფის“ განსაზღვრების „თ“ ქვეპუნქტით დაშვებული „უზრუნველყოფის“ პირობებს.*

(დ) **განკარგვა:**

(i) გარდა წინამდებარე „პირობებით“ ნებადართული შემთხვევებისა და „პირობების“ მე-5(გ) ქვეპუნქტისა („შერწყმა“) და მე-5(ე) ქვეპუნქტის („აფილირებულ პირთან დადებული გარიგებები“) დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტმა“ არ უნდა განახორციელოს და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი „შვილობილები“ (არსებობის შემთხვევაში) არ განახორციელებენ შემდეგ ქმედებებს: თავისი აქტივების ან შემოსავლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაყიდვა, გაცემა, გადაცემა, იჯარით გაცემა, ან სხვაგვარად განკარგვა, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით სხვა რომელიმე „პირზე“ გარდა „ემიტენტისა“ ან მისი „შვილობილისა“. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც:

(ა) თითოეული ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება „გაშლილი ხელის“ პრინციპით, „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“; ან/და

(ბ) ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით ხდება უკანასკნელი „საანგარიშო პერიოდის“ ბოლოს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ბალანსიდან (ან, გარემოებების გათვალისწინებით, კონსოლიდირებული ბალანსიდან) გამომდინარე „ემიტენტის“ მთლიანი (ან, გარემოებების გათვალისწინებით, მთლიანი კონსოლიდირებული) აქტივების 20%-ზე ნაკლების გასხვისება. დაუფარავი „ობლიგაციების“ 20%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ მოთხოვნის საფუძველზე (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელის“ მეშვეობით), „ემიტენტი“ ვალდებულია, „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ გარიგება განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“.

(ii) წინამდებარე „პირობების“ მე-5(დ)(i) ქვეპუნქტი არ ვრცელდება:

- (ა) ტრანზაქციებზე „ემიტენტსა“ და მის ნებისმიერ „შვილობილს“ (არსებობის შემთხვევაში) შორის, რომელშიც „ემიტენტი“ ფლობს წილის/აქციების 100%-ს;
- (ბ) აქტივების ან ქონების (მათ შორის, ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების) გაყიდვაზე, იჯარით გაცემაზე, გადაცემაზე ან სხვაგვარად განკარგვაზე, რაც წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფას“ (გარდა აქტივების ან ქონებისა, რომელიც „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ უზრუნველყოფილია „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ საფუძველზე);
- (გ) ქონების/აქტივების იჯარით გაცემაზე, გაყიდვაზე ან სხვაგვარად განკარგვაზე ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;
- (დ) ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში გადამცემი ხაზის ინფრასტრუქტურის გადაცემასა და აღნაგობის უფლების საფუძველზე სარგებლობაში მიღებული მიწის ნაკვეთების შესაბამისი მუნიციპალიტეტისათვის დაბრუნებაზე; ან
- (ე) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე, ასევე მათ ნაწილზე, რომელიც ექვემდებარება სეკიურტიზაციას (securitisation), მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებულ (asset-backed) ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, და სადაც ყველა ვალდებულება უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ იმ აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც ექვემდებარება დაფინანსების შესაბამის სტრუქტურას, მთლიანი ქონების ან შემოსავლების შეჯამების შემთხვევაში აკმაყოფილებს „ნებადართული უზრუნველყოფის“ განსაზღვრების „თ“ ქვეპუნქტით დაშვებული „უზრუნველყოფის“ პირობებს.

(ე) აფილირებულ პირთან დადებული გარიგებები:

- (i) „ემიტენტი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ აწარმოებს რაიმე საქმიანობას, დადებს რაიმე გარიგებას ან დაუშვებს რაიმე გარიგების არსებობას (მათ შორის, ნებისმიერი ქონების შეძენა, გაყიდვა, გადაცემა, დათმობა, ან გაცემა, ან ნებისმიერი მომსახურების გაწევა), და არ დაუშვებს ნებისმიერი „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) მიერ რაიმე საქმიანობის წარმოებას, გარიგების დადებას ან არსებობას, ნებისმიერ „აფილირებულ პირთან“ ან მის სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირთან დადებული გარიგებები“), კომპანიათაშორისი სესხების ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „აფილირებულ პირთან დადებული გარიგების“ პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“ ან ასეთი „შვილობილისათვის“ (გარემოებების გათვალისწინებით), ვიდრე „გაშლილი ხელის“ პრინციპით „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ იმ „პირთან“ დადებული შესაბამისი გარიგების პირობები, რომელიც არ არის „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილის“ „აფილირებული პირი“.
- (ii) იმ „აფილირებულ პირთან დადებული გარიგების“ ან ურთიერთდაკავშირებული „აფილირებულ პირთან დადებული გარიგებების“ შემთხვევაში, სადაც გადახდების ან ღირებულების ჯამი ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) ან უკანასკნელი „საანგარიშო პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული (გარემოებების გათვალისწინებით, კონსოლიდირებული) ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ და მისი „შვილობილების“ (არსებობის შემთხვევაში) მთლიანი აქტივების 5%-ს შორის უმაღლესს, „ემიტენტმა“ აღნიშნული „აფილირებულ პირთან დადებული გარიგების“ დადებად „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის თაობაზე, რომ „აფილირებულ პირთან დადებული გარიგება“ (ან „აფილირებულ პირთან დადებული გარიგებების“ ერთობლიობა) განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“.
- (iii) შემდეგი გარიგებები არ მიიჩნევა „აფილირებულ პირთან დადებულ გარიგებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება ზემო (i) და (ii) ქვეპუნქტებში გაკეთებულ დათქმებს:
 - (ა) ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შესაბამისაა „ემიტენტის“ ან „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) წარსულ პრაქტიკას;

- (ბ) „ემიტენტს“ და მის იმ „შვილობილს“ (არსებობის შემთხვევაში) შორის გარიგებები, რომლებშიც „ემიტენტი“ ფლობს წილის/აქციების 100%-ს;
- (გ) გონივრული ოდენობით ანაზღაურების გადახდა „ემიტენტის“ ან „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) მმართველობის ორგანოების წევრი „პირებისათვის“, რომლებიც სხვაგვარად არ წარმოადგენენ „ემიტენტთან“ ან ამგვარ „შვილობილთან“ „აფილირებულ პირებს“;
- (დ) „ემიტენტის“ ან „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი აქციონერისგან/პარტნიორისგან საქმიანობის/ოპერაციების დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან დაფინანსების სხვა საშუალება, რომელიც მიღებულია „გაშლილი ხელის“ პრინციპის დაცვით; და
- (ე) ნებისმიერი სადაზღვევო ხელშეკრულება „აფილირებულ პირთან“, რომელიც დადებულია „ემიტენტის“ ან „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) საქმიანობის ან აქტივების დასაზღვევად „გაშლილი ხელის“ პრინციპის დაცვით;
- (ვ) „აფილირებულ პირთან“ დადებული გარიგებები, რომელთა ღირებულება ჯამურად არ აღემატება „ემიტენტის“ უკანასკნელი „საანგარიშო პერიოდის“ ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული აქტივების ან შემოსავლის 2%-ს.

(გ) **გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები:** „ემიტენტმა“ და მისმა „შვილობილმა“ (არსებობის შემთხვევაში) დროულად, ვადის გასვლამდე, უნდა გადაიხადოს ყველა გადასახადი, ან უზრუნველყოს ამგვარი გადასახადის გადახდა, რომლითაც იბეგრება იგი ან მისი შემოსავალი, მოგება ან ქონება, *იმ პირობით, რომ არც „ემიტენტს“ და არც „შვილობილს“ წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის არ მოეთხოვება ნებისმიერი იმ „გადასახადის“ ან მსგავსი გადასახდელის გადახდა, ან მათი გადახდის უზრუნველყოფა, (i) რომლის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული სათანადო წარმოებით; ან (ii) რომლის ოდენობა, სხვა ამგვარ გადაუხდელ „გადასახადებთან“ ან მსგავს მოთხოვნებთან ერთად, ჯამურად არ აღემატება „ემიტენტის“ მთლიანი (ან, გარემოებების გათვალისწინებით, მთლიანი კონსოლიდირებული) აქტივების 5%-ს.*

(ზ) აკრძალული გადახდა:

- (i) „ემიტენტი“ არ დაუშვებს და უზრუნველყოფს, რომ მისმა რომელიმე „შვილობილმა“ (არსებობის შემთხვევაში) არ დაუშვას, შემდეგი: განაცხადოს დივიდენდის გაცემის თაობაზე ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან განხორციელოს ნებისმიერი სხვა განაწილება (მათ შორის, გამოსყიდვის, შესყიდვის ან სხვა გზით) თავის კაპიტალთან დაკავშირებით, გარდა „ემიტენტის“ სასარგებლოდ ან/და მისი ნებისმიერი იმ „შვილობილის“ მიერ დივიდენდის გაცემისა ან განაწილებისა, რომელშიც „ემიტენტი“ ფლობს წილის/აქციების 100%-ს (ნებისმიერი ამგვარი გადახდა და სხვა ქმედებები მიიჩნევა „აკრძალულ გადახდად“), იმ შემთხვევაში, თუ:
 - (ა) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამგვარი გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს, „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“; ან/და
 - (ბ) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის „სესხის მომსახურების კოეფიციენტი ნაკლებია 1.1-ზე.
- (ii) წინამდებარე „პირობების“ მე-5(ზ) ქვეპუნქტით („აკრძალული გადახდა“) არ იკრძალება „ემიტენტის“ მიერ დივიდენდ(ებ)ის გაცემა იმ ოდენობით, რომელიც ჯამურად არ აღემატება 500,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში).

(თ) დავალიანება:

- (i) „ემიტენტი“, თუ აღნიშნული „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ არ არის დამტკიცებული, არ დაუშვებს, რომ მან პასუხისმგებლობა აიღოს ან სხვა სახით გახდეს ვალდებული ნებისმიერი სახის „დავალიანებაზე“, თუ „ემიტენტის“ „წმინდა დავალიანების“ ოდენობა ახალი „დავალიანების“ აღების მომენტში (და მას შემდეგ, რაც მხედველობაში მიიღება ახალი „დავალიანება“) 7-ჯერ აღემატება „ემიტენტის“ „EBITDA“-ს, „ემიტენტის“ ბოლო გამოქვეყნებული („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული) წლიური აუდიტირებული ან ნახევარწლიური

არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების (ან, გარემოებების გათვალისწინებით, წლიური აუდიტირებული ან ნახევარწლიური არააუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების) მიხედვით, რომელიც უფრო ახალი იქნება.

(ii) „პირობების“ 5(თ)(i) ქვეპუნქტი არ კრძალავს ნებისმიერი შემდეგი „დავალიანების“ აღებას (ერთობლივად, „**ნებადართული დავალიანება**“):

(ა) „გამოშვების თარიღისათვის“ „ემიტენტის“ არსებული „დავალიანება“;

(ბ) „ობლიგაციებით“ წარმოდგენილი „დავალიანება“;

(გ) „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) მიერ კომპანიათაშორისი „დავალიანების“ აღება;

(დ) „ემიტენტის“ მიერ „დავალიანების“ აღება ან დაფინანსების სხვა ფორმით მიღება „ემიტენტის“ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი პარტნიორისგან, იმ პირობით, რომ ამგვარი „დავალიანება“, გადახდის უფლების თვალსაზრისით, სუბორდინირებულია „ობლიგაციების“ მიმართ; ან

(ე) „ემიტენტის“ მიერ სახელმწიფო ორგანიზაციებთან ან ენერგეტიკული სექტორის მონაწილეებთან წარსადგენი საბანკო გარანტიები ან/და ასაღები ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროენერჯის გაყიდვასთან.

(ი) **ინფორმაციის გამჟღავნება:**

(i) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, რომ:

(ა) ყოველი ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 მაისისა, გამოაქვეყნოს „ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება (ან, გარემოებების გათვალისწინებით, აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება) (რომელიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად);

(ბ) ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 აგვისტოსი, გამოაქვეყნოს „ემიტენტის“ 6 თვის არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება (ან, გარემოებების გათვალისწინებით, არააუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება) (რომელიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად);

(გ) შეასრულოს „ფასიანი ქაღალდების კანონითა“ და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოქმედი რეგულაციებით ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ანგარიშგებასთან მიმართებით დადგენილი მოთხოვნები.

(ii) „პირობების“ მე-5(ი)(i) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციონერებისათვის“ მიწოდებულად ჩაითვლება, თუ ამგვარი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(iii) თუ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ან „ობლიგაციონერებს“, რომლებიც (პირადად ან „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით) ფლობენ დაუფარავი „ობლიგაციების“ 25%-ზე მეტს, გაუჩნდათ გონივრული საფუძველი ივარაუდონ, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, ისინი უფლებამოსილები არიან, „ემიტენტისგან“ მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ან „ობლიგაციონერებს“ შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 14 დღის ვადაში მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია სავარაუდო „დეფოლტის შემთხვევასთან“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევასთან“.

წინამდებარე ქვეპუნქტის შესაბამისად „ობლიგაციონერების“ წერილობითი მოთხოვნა შესაძლოა წარდგენილ იქნას ერთი დოკუმენტით, რომელსაც ხელს აწერენ „ობლიგაციონერები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“, ან იმავე შინაარსის შესაბამისი რაოდენობის დოკუმენტით. „ობლიგაციონერების“ ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერების“ კრების გადაწყვეტილების მეშვეობითაც.

(კ) **დაზღვევის შენარჩუნება:** „ემიტენტი“ და მისი „შვილობილები“ (არსებობის შემთხვევაში) ვალდებული არიან, უზრუნველყონ ისეთი ქონების დაზღვევა, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას ისეთ მზღვეველებთან, რომელთაც „ემიტენტისა“ და შესაბამისი „შვილობილის“ შეხედულებით გააჩნიათ კარგი რეპუტაცია, დაზიანებისა და განადგურების რისკისაგან იმ ფარგლებში, რომელშიც ჩვეულებრივ აზღვევენ მსგავსი ქონებისა და მდგომარეობის მქონე კომპანიები საქართველოში.

(ლ) **მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა:** „ემიტენტი“ და მისი „შვილობილები“ (არსებობის შემთხვევაში) ვალდებული არიან, მუდმივად უზრუნველყონ ყველა არსებითი კუთხით შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის - სახელმწიფო ორგანოების მითითებებისა და აქტების, ყველა არსებით დებულებასთან.

(მ) **საქმიანობის ცვლილება:** „ემიტენტი“ ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვალოს „გამოშვების თარიღისათვის“ მის მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის ზოგადი ბუნება.

6. ობლიგაციების სარგებელი

თუ არ მოხდა „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ დაფარვა ან გამოსყიდვა „დაფარვის თარიღამდე“, წინამდებარე „პირობების“ მე-7 პუნქტის („დაფარვა და გამოსყიდვა“) შესაბამისად, თითოეულ „ობლიგაციას“ წელიწადში ორჯერ, თითოეული „პროცენტის გადახდის თარიღზე“ (რომლებიც განსაზღვრულია „პირობების დოკუმენტში“), დაერიცხება სარგებელი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) „დაფარვის თარიღამდე“ წლიური განაკვეთით „პირობების დოკუმენტში“ მითითებულ ფარგლებში. საბოლოო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება „პირობების“ მე-2(ა) ქვეპუნქტის („ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა“) შესაბამისად და აისახება „პირობების დოკუმენტში“. სარგებლის გადახდა ხდება წელიწადში ორჯერ წინა პერიოდისათვის სარგებლის გადახდის შესაბამის თარიღებზე. თითოეულ „ობლიგაციას“ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი „დაფარვის თარიღამდე“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ძირითადი თანხის გადახდა არასათანადოდ შეჩერდა ან იგი არ იქნა გადახდილი. ამგვარ შემთხვევაში, თითოეულ „ობლიგაციაზე“ საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება შესაბამისი განაკვეთით იმ დღემდე, ვიდრე ამგვარ „ობლიგაციასთან“ მიმართებით ყველა გადასახდელი თანხა არ იქნება მიღებული შესაბამისი „ობლიგაციონერის“ მიერ ან მისი სახელით.

„ობლიგაციებზე“ დასარიცხი სარგებლის (პროცენტის) დაანგარიშება მოხდება „საპროცენტო პერიოდში“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) არსებული რეალური დღეების რაოდენობისა და 360-დღიანი წლის საფუძველზე.

ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ დაემთხვევა არასამუშაო დღეს და შესაბამისად, გადაიწვეს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამგვარ გადაწეულ „სამუშაო დღემდე“ (მაგრამ ამგვარი „სამუშაო დღის“ ჩათვლის გარეშე) და „საპროცენტო პერიოდში“ არსებული რეალური დღეების რაოდენობა 180-ზე მეტი იქნება. ამ შემთხვევაში, რადგან უშუალოდ შემდგომი „საპროცენტო პერიოდი“ მოიცავს გადაწეულ „პროცენტის გადახდის თარიღს“ და არ ჩაითვლის შემდეგ „პროცენტის გადახდის თარიღს“, „საპროცენტო პერიოდში“ არსებული რეალური დღეების რაოდენობა 180-ზე ნაკლები იქნება, თუკი შემდეგი „პროცენტის გადახდის თარიღი“ არის „სამუშაო დღე“.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 აშშ დოლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 აშშ დოლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 აშშ დოლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

პერიოდი „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) სარგებლის პირველი გადახდის თარიღამდე (ამ თარიღის ჩათვლით) და ყოველი შემდგომი პერიოდი სარგებლის წინა გადახდის თარიღიდან (ამ თარიღის ჩათვლით) სარგებლის მომდევნო გადახდის თარიღამდე (ამ თარიღის ჩათვლით) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

7. დაფარვა და გამოსყიდვა

(ა) **დაფარვა:** თუ არ განხორციელდა ვადამდელი დაფარვა ან შესყიდვა და გაუქმება, „ობლიგაციები“ დაიფარება ძირითადი თანხის გადახდით, დარიცხულ და გადაუხდელ სარგებელთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), „დაფარვის თარიღზე“.

დაუშვებელია „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ დაფარვა ან გამოსყიდვა „დაფარვის თარიღამდე“ გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე „პირობებში“ (მათ შორის, „პირობების“ წინამდებარე მე-7 პუნქტში („დაფარვა და გამოსყიდვა“)).

(ბ) **დაფარვა საგადასახადო მიზნით:** „ემიტენტი“ უფლებამოსილია, „დაფარვის თარიღამდე“ ნებისმიერ დროს განახორციელოს „ობლიგაციების“ დაფარვა სრულად ან ნაწილობრივ, „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და ამგვარ დაფარვამდე დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდით, „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელებისთვის“ არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღით ადრე შეუქცევადი შეტყობინების გაგზავნის გზით, იმ შემთხვევაში, თუ: (i) უშუალოდ ამგვარი შეტყობინების გაგზავნამდე „ემიტენტი“ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით დაუდასტურებს, რომ „ემიტენტს“ უწევს ან მოუწევს „გადასახადების“ სახით დამატებითი თანხების გადახდა „ობლიგაციებთან“ მიმართებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების, ან ამგვარი კანონმდებლობისა თუ რეგულაციების გამოყენების ან სხვაგვარი ოფიციალური განმარტების, ნებისმიერი ცვლილების შედეგად, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა „გამოშვების თარიღზე“ ან მის შემდგომ პერიოდში; და (ii) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნება თავიდან აცილებული მიუხედავად „ემიტენტის“ მიერ მისთვის ხელმისაწვდომი გონივრული ზომების მიღებისა.

(გ) **გამოსყიდვის ოფცია გამოსყიდვის შეზღუდული პერიოდის შემდეგ:** „გამოშვების თარიღიდან“ პირველი კალენდარული წლის დასრულების შემდეგ „ემიტენტი“ უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ერთ ან რამდენიმე ჯერზე გამოისყიდოს „ობლიგაციები“, სრულად ან ნაწილობრივ, „ობლიგაციონერებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისთვის“ არანაკლებ 15 და არაუმეტეს 60 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდებით „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად, ქვემოთ მითითებული გამოსყიდვის ფასით (რომელიც გამოხატულია, როგორც „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის პროცენტი), დამატებული გამოსასყიდ „ობლიგაციებზე“ გამოსყიდვის შესაბამის თარიღამდე (ამ თარიღის გამოკლებით) დარიცხული და გადაუხდელი სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში (რაც ექვემდებარება შესაბამის „სააღრიცხვო თარიღზე“ აღრიცხული „ობლიგაციონერების“ უფლებას, მიიღონ შესაბამისი სარგებლის გადახდის თარიღზე გადასახდელი სარგებელი), თუ გამოსყიდვა ხორციელდება ქვემოთ მითითებული პერიოდის განმავლობაში:

პერიოდი	პროცენტი
„გამოშვების თარიღიდან“ პირველი კალენდარული წლის დასრულების შემდეგ (ამ თარიღის ჩათვლით) „დაფარვის თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით)	100%

„ობლიგაციების“ წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი გამოსყიდვა, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, შეიძლება დაექვემდებაროს ერთ ან რამდენიმე წინაპირობას (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „დავალიანების“ აღებას, რომელიც გამოყენებული იქნება „ობლიგაციების“ გამოსასყიდად). გარდა ამისა, თუ გამოსყიდვა ექვემდებარება ერთი ან რამდენიმე წინაპირობის დაკმაყოფილებას, შესაბამის შეტყობინებაში აღინიშნება, რომ „ობლიგაციების“ გამოსყიდვის თარიღი, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, შესაძლოა გადაიდოს მანამ, სანამ რომელიმე ან ყველა ეს წინაპირობა არ დაკმაყოფილდება, ან რომ გამოსყიდვა შეიძლება არ განხორციელდეს და შეტყობინება გაუქმდეს, თუ რომელიმე ან ყველა ეს წინაპირობა არ იქნება დაკმაყოფილებული გამოსყიდვის თარიღისთვის ან ამგვარად გადავადებული გამოსყიდვის თარიღისთვის.

(დ) **შესყიდვა:** „ემიტენტი“ და მისი ნებისმიერი „შვილობილი“ (არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ფასად შეიძინოს „ობლიგაციები“ საფონდო ბაზარზე ან სხვაგვარად. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ მიერ ან მათი სახელით ამგვარად შეძენილი „ობლიგაციები“ მათ მფლობელს არ ანიჭებს ხმის უფლებას „ობლიგაციონერების“ კრებაზე და ისინი არ ჩაითვლება „დაუფარავად“ „ობლიგაციონერების“ კრების კვორუმის დადგენის ან „პირობების“ მე-11(ა) ქვეპუნქტით („ობლიგაციონერების კრებები“) გათვალისწინებული მიზნებისათვის. ამგვარად შესყიდული „ობლიგაციების“ ფლობა, ხელახალი გაყიდვა ან გაუქმება შესაძლებელი იქნება „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ.

8. გადახდები

(ა) **გადახდის მეთოდი:**

(i) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდა განხორციელდება იმ „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ სასარგებლოდ, რომლებიც შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 „სამუშაო დღით“ ადრე „სამუშაო დღის“ ბოლოს (18.00 სთ-ის მდგომარეობით) რეგისტრირებული არიან „რეესტრში“ (შემდგომში „სააღრიცხვო თარიღი“). გადახდა განხორციელდება საბანკო გადარიცხვის გზით აშშ დოლარში „სააღრიცხვო თარიღზე“ „რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ საბანკო/საბროკერო ანგარიშებზე. „რეესტრში“ რეგისტრირებულმა „ობლიგაციონერებმა“ ან/და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ „რეესტრატორისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო/საბროკერო ანგარიშების შესახებ, რომლებზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. „ემიტენტი“, „რეესტრატორი“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ (რომელიც განსაზღვრულია „პირობების დოკუმენტში“) არ არიან პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახდელი თანხის გადაუხდელობაზე, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ (გარემოებების გათვალისწინებით) „რეესტრატორს“ დროულად არ მიაწვდის თავისი საბანკო/საბროკერო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას ან თუ „ემიტენტის“ ან „რეესტრატორის“ მოთხოვნის მიუხედავად, ისინი „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ ზემო ქვეპუნქტში მითითებული საბანკო/საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“, განხორციელებული გადახდიდან (გადარიცხვიდან) შესაძლოა დაიქვითოს საბანკო მომსახურების საკომისიო. თუ „ობლიგაციონერის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ (რომლებზეც მითითებულია ზემო ქვეპუნქტში) საბანკო/საბროკერო ანგარიში არ არის აშშ დოლარში, „ობლიგაციონერისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელისათვის“ (გარემოებების გათვალისწინებით) გადახდა განხორციელდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის საკომისიოს გამოკლებით.

(iii) ძირითადი თანხისა და დარიცხული სარგებლის სრული ოდენობით მიღებაზე „ობლიგაციონერების“ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი სარგებელი ან ძირითადი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს ყველა „ობლიგაციონერისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელისათვის“ ამგვარ თარიღზე გადასახდელად ხელმისაწვდომი თანხების შესაბამისი პროპორციული წილის გადახდას.

(iv) „ემიტენტის“ ან/და „რეესტრატორის“ მოთხოვნით, „სააღრიცხვო თარიღიდან“ შესაბამისი გადახდის თარიღამდე „ობლიგაციებით“ მეორადი ვაჭრობა შესაძლოა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.

(ბ) **აგენტების დანიშვნა:** „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეესტრატორი“, და მათი შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია, მითითებულია „პირობების დოკუმენტში“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეესტრატორი“ მოქმედებენ მხოლოდ როგორც „ემიტენტის“ აგენტები და წინამდებარე „პროსპექტისა“ და შეთავაზების მიზნებისათვის არ კისრულობენ რაიმე ვალდებულებას, ან არ ასრულებენ აგენტის ან ტრასტის ფუნქციას ან ურთიერთობას, „ობლიგაციონერის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ წინაშე ან მათ სასარგებლოდ. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“, „განთავსების აგენტთან“ ან/და „რეესტრატორთან“ ხელშეკრულება და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ ან „რეესტრატორი“, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ მუდმივად უნდა ჰყავდეს (i) „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ და (ii) „რეესტრატორი“, რაც თითოეულ შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ.

ნებისმიერი ამგვარი ცვლილების ან აგენტების საკონტაქტო ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე შეტყობინების გამოქვეყნების გზით.

(გ) **გაანგარიშება და გადახდა:** „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „პირობებისა“ და საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ. ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული გადასახდელი თანხა/თანხები, აშკარა შეცდომის გარდა, სავალდებულოა „ემიტენტისათვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 3 „სამუშაო დღით“ ადრე და აღნიშნული ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია, შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 1 „სამუშაო დღით“ ადრე „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ გახსნილ მის საბანკო/საბროკერო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები აშშ დოლარში და მისცეს დავალება „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვასთან დაკავშირებით. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა - ვალდებული, „ემიტენტის“ ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ვადამოსული გადახდების განხორციელება, ხოლო ანგარიშზე საკმარისი თანხების არარსებობის შემთხვევაში - აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტსა“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“.

- (დ) **საგადასახადო კანონმდებლობას დაქვემდებარებული გადახდები:** ნებისმიერი გადახდა, ყველა შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური/საგადასახადო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
- (ე) **გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:** „ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას „ობლიგაციაზე“ მისაღები ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

9. დაბეგვრა

„ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ (თუ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილია „ემიტენტის“ მიერ გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების ვალდებულება). თუ „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ ნებისმიერი სარგებლის გადახდაზე ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი, იგი არ მოახდენს შესაბამისი გადასახადის დაკავებას და „ობლიგაციონერები“, რომლებიც სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული ამგვარი შეღავათით, მიიღებენ გადასახდელ თანხებს სრულად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების გარეშე.

10. დეფოლტის შემთხვევები

თუ დადგა და გრძელდება ნებისმიერი შემდეგი შემთხვევა (შემდგომში „დეფოლტის შემთხვევები“), „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ საკუთარი შეხედულებისამებრ უფლებამოსილია, ხოლო „სპეციალური გადაწყვეტილების“ არსებობის შემთხვევაში (იმ პირობით, რომ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით მიეცა ანაზღაურების გარანტია, შესაძლო ხარჯების წინასწარი ანაზღაურება და გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან) - ვალდებულია, მიაწოდოს „ემიტენტს“ წერილობითი შეტყობინება, რომ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები ვადამოსულია და „ობლიგაციები“ დაუყოვნებლივ გახდება ვადამოსული, და ექვემდებარება გადახდას ძირითადი თანხის 100%-ით, დარიცხულ და გადაუხდელ სარგებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად:

- (ა) **გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:** „ემიტენტმა“ არ განახორციელა ნებისმიერი „ობლიგაციის“ ძირითადი თანხის, დარიცხული სარგებლის ან „ობლიგაციებიდან“ ან „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ნებისმიერი სხვა თანხის გადახდა და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდა შესაბამისი გადახდის თარიღიდან 5 „სამუშაო დღის“ განმავლობაში; ან
- (ბ) **სხვა ვალდებულებების დარღვევა:** „ემიტენტმა“ არ განახორციელა „პროსპექტი“ ან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ნებისმიერი ერთი ან რამდენიმე ვალდებულება (გარდა „პირობების“ 10(ა) ქვეპუნქტით („გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა“) გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებისა) და ამგვარი დარღვევა „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და არის არსებითი (მატერიალური) ან განმეორებადი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ არ გამოსწორდა ამგვარი დარღვევის შესახებ „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ „ემიტენტისათვის“ მიწოდებული შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში; ან

(გ) **ჯვარედინი დეფოლტი:** (i) „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „დავალიანება“ ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით ხდება (ან შესაძლებელია გახდეს) ვადამოსული მისი გადახდის დადგენილ თარიღამდე ნებისმიერი დეფოლტის (აღწერილობის მიუხედავად) მიზეზით; ან (ii) ნებისმიერი ამგვარი „დავალიანება“ არ არის გადახდილი გადახდის თარიღზე ან (გარემოებების გათვალისწინებით) ნებისმიერი თავდაპირველად მოქმედი საშელავათო პერიოდის განმავლობაში; ან (iii) „ემიტენტი“ ან მისი რომელიმე „შვილობილი“ ვერ იხდის ნებისმიერ სხვა არსებული ან სამომავლო „დავალიანებას“ განსაზღვრულ ვადაში, იმ პირობით, რომ ამგვარი „დავალიანების“ ჯამური თანხა, რომელთა მიმართაც „პირობების“ მე-10(გ) ქვეპუნქტით („ჯვარედინი დეფოლტი“) გათვალისწინებული ერთი ან მეტი შემთხვევა დადგა, შეადგენს ან აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში (რაც გონივრულად განისაზღვრება „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ); ან

(დ) **გადახდისუუნარობა და ლიკვიდაცია:**

- (i) თუ სხვაგვარად არ არის დაშვებული „პირობების“ მე-5(გ) ქვეპუნქტით („შერწყმა“), დადგა რომელიმე შემდეგი მოვლენა: (i) „ემიტენტმა“ ან მისმა ნებისმიერმა „შვილობილმა“ (არსებობის შემთხვევაში) დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; ან (ii) ნებისმიერმა „პირმა“ „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილის“ წინააღმდეგ წარადგინა მოთხოვნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ და ამგვარ მოთხოვნაზე ამ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 90 დღის განმავლობაში; ან (iii) „ემიტენტს“ ან „შვილობილს“ და მის/მათ კრედიტორებს შორის დაიწყო მოლაპარაკებები „ემიტენტის“ ან „შვილობილის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან (iv) „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილის“ მიმართ დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე; ან
- (ii) „ემიტენტი“ ან მისი რომელიმე „შვილობილი“ არ იხდის ან ზოგადად არ შესწევს უნარი გადაიხადოს ვადამოსული ვალები დროულად; ან
- (iii) „ემიტენტის“ პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან რეგისტრაციის გაუქმების რაიმე გეგმას; ან

(ე) **შეუსრულებელი გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:** თანხის დაკისრებასთან ან გადახდევინებასთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა სათანადოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილის“ წინააღმდეგ გამოტანილი შეუსრულებელი საბოლოო/კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განჩინებების ან ბრძანებების ჯამური ღირებულება აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში/ვალუტებში, ან ნებისმიერი ამგვარი შეუსრულებელი საბოლოო/კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება ან ბრძანება გამოიწვევს: (i) „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილის“ ხელმძღვანელობის სრულ ან ნაწილობრივ გადაყენებას, ან „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულ ან ნაწილობრივ შეზღუდვას; ან (ii) „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილის“ კაპიტალის (სრულად ან მისი უმეტესობის), ან მისი შემოსავლების ან აქტივების სრულად ან ნებისმიერი ნაწილის (რომლის საბალანსო ღირებულება წარმოადგენს „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილის“ მთლიანი საბალანსო ღირებულების 5%-ს ან მეტს) დაყადაღებას, ნაციონალიზაციას, ექსპროპრიაციას, ან იძულებით გასხვისებას; ან

(ვ) **სააღსრულებო წარმოება:** „ემიტენტის“ ან/და ნებისმიერი „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) მთლიანი ქონების, შემოსავლების ან აქტივების, ან მათი არსებითი ნაწილის, მიმართ დაიწყო ნებისმიერი სააღსრულებო წარმოება ან გადავიდა უზრუნველყოფილი პირის საკუთრებაში ან გასხვისდა მის მიერ; ან

(ზ) **უფლებამოსილება და თანხმობები:** „ემიტენტმა“ არ განხორციელა, არ შეასრულა ან არ მიიღო ნებისმიერი ქმედება, პირობა ან ზომა (მათ შორის, არ მოიპოვა ნებისმიერი აუცილებელი თანხმობა, განკარგულება, დამტკიცება, ავტორიზაცია (უფლებამოსილება), გამონაკლისი (შეღავათი), წარდგენა, ლიცენზია, ბრძანება, ჩანაწერი, რეგისტრაცია ან სხვა უფლებამოსილება, ან ხელი არ შეუწყო მათ მოპოვებას), რომლის განხორციელება, შესრულება ან მიღება ნებისმიერ დროს აუცილებელი იყო, რათა (i) „ემიტენტმა“ კანონიერად

შედლოს „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ დადება და თავისი არსებითი უფლებების განხორციელება, და „ობლიგაციებისა“ და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე გადახდის ვალდებულებების შესრულება, წინამდებარე „პირობების“ მე-5 პუნქტიდან („დათქმობი“) და „ობლიგაციებისა“ და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებების შესრულება, (ii) უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული ვალდებულებების სავალდებულო ძალა (ნამდვილობა) და აღსრულებადობა, და (iii) „ობლიგაციები“, „პროსპექტი“, „ხელშეკრულება“, „იპოთეკის ხელშეკრულება“ და „გირავნობის ხელშეკრულება“ დასაშვები იყოს საქართველოს სასამართლოებში მტკიცებულების სახით; ან

(თ) **ნამდვილობა და უკანონობა:** „ემიტენტი“ სადავოს ხდის „ობლიგაციების“, „პროსპექტის“, „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან „გირავნობის ხელშეკრულების“ ნამდვილობას, ან უარყოფს „ობლიგაციებიდან“, „პროსპექტიდან“, „ხელშეკრულებიდან“, „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“ ან „გირავნობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე თავის რომელიმე არსებით ვალდებულებას, ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“, „პროსპექტის“, „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან „გირავნობის ხელშეკრულების“ შესაბამისად ნებისმიერი ერთი ან მეტი არსებითი ვალდებულების შესრულება არის ან გახდება უკანონო, ან რომელიმე ამგვარი ვალდებულება გახდა აღუსრულებადი ან აღარ ითვლება კანონიერად, ნამდვილად და სავალდებულო ძალის მქონედ.

„ემიტენტმა“ „ხელშეკრულებით“ იკისრა ვალდებულება, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება აღნიშნული, აცნობოს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების დადგომის შესახებ, რომელიც, შეტყობინების მიწოდებით, დროის გასვლით ან/და წერილობითი დასტურის გაცემით, გახდება „დეფოლტის შემთხვევა“ (შემდგომში „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“).

11. ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებების შეტანა და უფლებებზე უარის თქმა

(ა) **ობლიგაციონერების კრებები:** „ხელშეკრულება“ შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევასთან დაკავშირებით იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც გავლენას ახდენენ „ობლიგაციონერების“ ინტერესებზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს წინამდებარე „პირობებისა“ და „ხელშეკრულების“ შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ და გამართულ კრებაზე დამსწრეთა ხმების სულ მცირე 75%-ის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების (შემდგომში „სპეციალური გადაწყვეტილება“) საფუძველზე სანქცირებულ ცვლილებას წინამდებარე „პირობებში“ ან „ხელშეკრულების“ ნებისმიერ დებულებაში.

„ობლიგაციონერების“ კრების მოწვევა შესაძლებელია „ემიტენტის“, „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ან იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელების“) მიერ, რომლებიც კრების მოწვევის მომენტში ფლობენ დაუფარავი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის სულ მცირე 20 %-ს.

„სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეულ ნებისმიერ კრებაზე კვორუმი შედგება, თუ „ობლიგაციონერების“ კრებას ესწრება პირ(ებ)ი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს მოცემული დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ჯამური ძირითადი თანხის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - თუ მას ესწრება პირ(ებ)ი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს მოცემული დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ჯამური ძირითადი თანხის 25%-ზე მეტს; ან ნებისმიერი მომდევნო „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - თუ მას ესწრება პირ(ებ)ი, რომელიც მოცემული დროისთვის არის „ობლიგაციონერი“ ან წარმოადგენს მას, მიუხედავად მის მფლობელობაში არსებული ან მის მიერ წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი კრების მიერ განსახილველი საკითხები, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს შემდეგს: (i) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის ან/და „ობლიგაციებზე“ სარგებლის გადახდის თარიღის ცვლილება; (ii) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადახდის ოდენობის დაანგარიშების მეთოდის ცვლილება; (iii) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის ან/და სარგებლის ოდენობის ცვლილება; (iv) თანხმობის გამოცხადება „ემიტენტის“ ან ნებისმიერი სხვა სუბიექტის აქციებში, ობლიგაციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში „ობლიგაციების“ გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტირებაზე; (v) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ანგარიშსწორების ვალუტის ცვლილება (გარდა იმ ცვლილებისა, რომელიც აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად); (vi) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო კვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილება; (vii) „ხელშეკრულების“ მარეგულირებელი კანონმდებლობის

ცვლილება; (viii) ქვემო 11(ბ) ქვეპუნქტის („ცვლილებების შეტანა და უფლებებზე უარის თქმა“) შესაბამისად მინიჭებული უფლების შეუზღუდავად, წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილება; ან (ix) „გირავნობის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული გირავნობის საგნის ან/და „იპოთეკის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული იპოთეკის საგნის რეალიზაცია ან/და განკარგვა, რა შემთხვევებშიც, კვორუმის არსებობისათვის აუცილებელია კრებას ესწრებოდეს პირ(ებ)ი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს მოცემული დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ჯამური ძირითადი თანხის სულ მცირე ორ მესამედს; ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - მოცემული დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ჯამური ძირითადი თანხის სულ მცირე ერთ მესამედს. სათანადო წესით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად „ობლიგაციონერებისათვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი „ობლიგაციონერების“ იმ კრებას, რომელზეც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული), „ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის“ ან/და „ემიტენტისთვის“ (გარემოებების გათვალისწინებით).

ყველა გადაწყვეტილება, რომელიც არ წარმოადგენს „სპეციალურ გადაწყვეტილებას“ მიიღება სათანადოდ მოწვეულ და გამართულ კრებაზე დამსწრეთა ხმების სულ მცირე 50%-ზე მეტის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების (შემდგომში „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“) საფუძველზე. „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეულ ნებისმიერ კრებაზე კვორუმი შედგება, თუ „ობლიგაციონერების“ კრებას ესწრება პირ(ებ)ი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს მოცემული დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ჯამური ძირითადი თანხის 25%-ზე მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - თუ მას ესწრება პირ(ებ)ი, რომელიც მოცემული დროისთვის არის „ობლიგაციონერი“ ან წარმოადგენს მას, მიუხედავად მის მფლობელობაში არსებული ან მის მიერ წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა.

იმ „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი სახელით წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების მომენტში ფლობენ დაუფარავი „ობლიგაციების“ 75%-ს ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, როგორც „სპეციალურ გადაწყვეტილებას“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ ან მისი/მათი სახელით.

„ემიტენტი“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ არ იღებენ პასუხისმგებლობას „ობლიგაციონერების“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ნამდვილობაზე და უფლებამოსილნი არიან დაეყრდნონ ასეთ გადაწყვეტილებას.

(ბ) **ცვლილებების შეტანა და უფლებებზე უარის თქმა:** „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, „ობლიგაციონერების“ თანხმობის გარეშე შეუთანხმდეს „ემიტენტს“: (i) წინამდებარე „პირობებში“ ან „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან „გირავნობის ხელშეკრულების“ ნებისმიერ დებულებაში ნებისმიერი ფორმალური, უმნიშვნელო ან ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანაზე ან გამოვლენილი აშკარა შეცდომის შესწორებაზე; და (ii) წინამდებარე „პირობებში“ ან „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან „გირავნობის ხელშეკრულების“ ნებისმიერ დებულებაში ნებისმიერ სხვა ცვლილებაზე (გარდა „პროსპექტი“, „ხელშეკრულებაში“, „იპოთეკის ხელშეკრულებაში“ და „გირავნობის ხელშეკრულებაში“ მითითებული შემთხვევებისა ან იმ ცვლილებებისა, რომელთა შეტანა დაუშვებელია მოქმედი კანონმდებლობით), და ნებისმიერ „პირობაზე“ ან ამ „პირობების“ ნებისმიერ დებულებაზე უარის თქმასა და მათი ნებისმიერი დარღვევის დაშვებაზე ან დარღვევის წინასწარ ნებართვაზე, რომელიც „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ შეხედულებით არსებით ზიანს არ აყენებს „ობლიგაციონერების“ ინტერესებს. ნებისმიერი ამგვარი ცვლილება, ნებართვა ან უფლებაზე უარის თქმა სავალდებულოა „ობლიგაციონერებისათვის“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი ცვლილების შესახებ შეტყობინება მიეწოდებათ „ობლიგაციონერებს“ შემძლებისდაგვარად მალე „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად.

(გ) **ობლიგაციონერების წარმომადგენლის უფლებამოსილება:** საკუთარი მოვალეობების შესრულებისას „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უნდა ითვალისწინებდეს „ობლიგაციონერების“ - როგორც კლასის - ინტერესებს და არა იმ შედეგებს, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს მის მიერ მოვალეობების შესრულებას ცალკეული „ობლიგაციონერისათვის“. „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ და არცერთი „ობლიგაციონერი“ ან „ნომინალური მფლობელი“ არ არის უფლებამოსილი, მოთხოვოს „ემიტენტს“ ანაზღაურების გარანტია და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ან რაიმე გადახდა „ობლიგაციონერების

წარმომადგენლის“ მიერ თავისი მოვალეობების შესრულების შედეგად ცალკეული „ობლიგაციონერისათვის“ დამდგარი ნებისმიერი საგადასახადო შედეგისათვის.

12. აღსრულება

- (ა) იმ შემთხვევაში, თუ დადგა წინამდებარე „პირობების“ მე-10 პუნქტით („დეფოლტის შემთხვევები“) გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევა“, ნებისმიერ დროს მას შემდეგ, რაც „ობლიგაციები“ გახდება ვადამოსული და დაექვემდებარება გადახდას, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ და „ემიტენტისათვის“ 15 „სამუშაო დღით“ ადრე შეტყობინების მიწოდებით, დაიწყოს ისეთი წარმოება „ემიტენტის“ წინააღმდეგ, რომელსაც იგი მიიჩნევს მიზანშეწონილად „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ ან/და „ობლიგაციების“ პირობების აღსასრულებლად. ამასთან, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ არ არის ვალდებული, დაიწყოს წარმოება ზემოთ მითითებულ შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მან მიიღო: (ა) აღნიშნულ საკითხზე მითითება „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე ან ეს მოთხოვნილია „ობლიგაციონერთა“ მიერ წერილობითი ფორმით „პირობების“ 11(ა) ქვეპუნქტის („ობლიგაციონერების კრებები“) შესაბამისად; და (ბ) მისთვის დამაკმაყოფილებელი ანაზღაურების გარანტია, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და შესაძლო ხარჯების წინასწარი ანაზღაურება. არცერთი „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ (დამოუკიდებლად ან სხვა „ობლიგაციონერთან“ ან/და „ნომინალურ მფლობელებთან“ ერთად) არ არის უფლებამოსილი, განახორციელოს რაიმე სახის ქმედება ან დაიწყოს რაიმე სახის წარმოება უშუალოდ/პირდაპირ „ემიტენტის“ წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“, რომელსაც დაკისრებული აქვს მოქმედების ვალდებულება, არ განახორციელებს საჭირო ქმედებას გონივრულ ვადაში და ეს უმოქმედობა გრძელდება, როგორც ეს განსაზღვრულია „პირობების“ მე-12(ბ) ქვეპუნქტით.
- (ბ) ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ნებისმიერი „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ უფლებამოსილია, დაიწყოს წარმოება სასამართლოში (დამოუკიდებლად ან სხვა „ობლიგაციონერთან“ ან/და „ნომინალურ მფლობელებთან“ ერთად), თუ (i) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი თანხის გადახდის ვადის დადგომიდან გასულია სულ მცირე 3 თვე, და (ii) გადასახდელი თანხა არ არის სრულად გადახდილი „ემიტენტის“ მიერ, და (iii) „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ არ არის განხორციელებული შესაბამისი ქმედება „პირობების“ მე-12(ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

13. ობლიგაციონერების წარმომადგენლის ანაზღაურების გარანტია და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

„ხელშეკრულება“ შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ანაზღაურების გარანტიასა და მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე. „ხელშეკრულება“ ასევე შეიცავს ზღვრულ ოდენობას იმ თანხისა, რომელიც ექვემდებარება „ემიტენტის“ მიერ ანაზღაურებას „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ სასარგებლოდ. აღნიშნული ზღვრული ოდენობის მიღწევისთანავე „ემიტენტი“ თავისუფლდება წინამდებარე „პირობებიდან“, „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“, „გირავნობის ხელშეკრულებიდან“ ან/და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან და „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებათ „ობლიგაციონერებს“.

„ობლიგაციონერების“, „ნომინალური მფლობელების“ ან/და „ემიტენტის“ წინაშე რაიმე პასუხისმგებლობის გარეშე, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, დაეყრდნოს ე.წ. „დიდი ოთხეულის“ წევრი აუდიტორული კომპანიის, ფინანსური მრჩევლის, ფინანსური დაწესებულებისა ან ნებისმიერი სხვა ექსპერტის მიერ მომზადებულ ანგარიშს, დადასტურებას, ცნობას (მოწმობას) ან რჩევას მიუხედავად იმისა, შეზღუდულია თუ არა მისი პასუხისმგებლობის ფარგლები აღნიშნულთან დაკავშირებით (შესაბამისი დოკუმენტის პირობებით, ან „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ აღნიშნულთან დაკავშირებით დადებული მომსახურების ნებისმიერი ხელშეკრულებით, ან სხვაგვარად) ფულადი ზღვარის დაწესებით, გამოყენებული მეთოდოლოგიისა თუ სხვა დათქმის მითითებით.

14. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციონერებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ უნდა მიეწოდოთ ან შეტყობინების გამოქვეყნებით (მათ შორის, შეუზღუდავად, „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით), ან „ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ და „რეგისტრატორისთვის“ შეტყობინების გაგზავნის გზით.

„ემიტენტის“ შეტყობინების გამოქვეყნების ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, ამგვარი შეტყობინება მიწოდებულად ითვლება მისი გამოქვეყნების დღეს ან შესაბამისი ელ-ფოსტის გაგზავნის დღეს. თუ შეტყობინება რამდენჯერმე გამოქვეყნდა ან გაიგზავნა, შეტყობინება მიწოდებულად ითვლება მისი პირველად გამოქვეყნების (ან ელ-ფოსტის გაგზავნის) დღეს. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩათვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 „სამუშაო დღეს“.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „პირობების“ მე-14 პუნქტით („შეტყობინებები“) გათვალისწინებული შეტყობინების ფიზიკური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადოდ წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტის მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ინფორმაციას „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევის შესახებ ან/და შეტყობინებას გამოაქვეყნებს „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე ან მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა გზით.

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით, გამოყენებული იქნება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (<https://reportal.ge/>; <https://gse.ge/>; სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, „გამჭვირვალობის წესის“ მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება, მათ შორის:

- (ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- (ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ;
- (გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- (დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ პარტნიორთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ.

„ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომელთა ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:

- (ა) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: <https://reportal.ge/>;
- (ბ) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ან „ემიტენტის“ ვებ-გვერდის მეშვეობით ან მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა გზით;
- (გ) ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ინფორმაცია ან მიმდინარე ანგარიშები, რომლებიც მოთხოვნილია საქართველოს საფონდო ბირჟის წესებით, „გამჭვირვალობის წესითა“ და მოქმედი კანონმდებლობით: „ემიტენტის“ ან საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდის მეშვეობით.

15. განსაზღვრებები

თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

„აკრძალული გადახდა“ - აქვს „პირობების“ მე-5(ზ) ქვეპუნქტით („აკრძალული გადახდა“) გათვალისწინებული მნიშვნელობა;

„არსებითად უარყოფითი გავლენა“ ნიშნავს არსებითად უარყოფით ცვლილებას ან არსებითად უარყოფით გავლენას: (ა) „ემიტენტის“ ან „შვილობილების“ (არსებობის შემთხვევაში, ერთად აღებული) ბიზნესზე, ოპერაციათა შედეგებზე, ქონებაზე, აქტივებზე, (ფინანსურ თუ სხვაგვარ) მდგომარეობაზე ან პერსპექტივებზე; (ბ) „ემიტენტის“ უნარზე, შესრულოს ან განახორციელოს თავისი ვალდებულებები „ობლიგაციების“ შესაბამისად; ან (გ) „ობლიგაციების“, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან „გირავნობის ხელშეკრულების“ ნამდვილობაზე ან აღსრულებადობაზე;

„აფილირებული პირი“ ნებისმიერ კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს (ა) ნებისმიერ სხვა „პირს“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად „აკონტროლებს“ ამგვარ კონკრეტულ „პირს“, ან „კონტროლდება“ მის მიერ, ან მასთან ერთად იმყოფება საერთო პირდაპირი ან ირიბი „კონტროლის“ ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერ სხვა „პირს“, რომელიც არის ამგვარი კონკრეტული „პირის“, მისი ნებისმიერი „შვილობილის“ ან ზემო (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორი ან თანამდებობის პირი;

„გადავადებული განთავსების თარიღი“ - აქვს „პირობების დოკუმენტით“ გათვალისწინებული მნიშვნელობა;

„გადავადებული განთავსების ფასი“ - აქვს „პირობების დოკუმენტით“ გათვალისწინებული მნიშვნელობა;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან მსგავსი ტიპის სხვა გადასახადს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში;

„გამოშვების თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება „ობლიგაციების“ გამოშვება, როგორც ეს განისაზღვრება „პირობების დოკუმენტში“;

„გამჭვირვალობის წესი“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება #181/04 „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

„განმეორებითი კრება“ ნიშნავს „ობლიგაციონერების“ კრებას, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კვორუმი;

„გირავნობის ხელშეკრულება“ ნიშნავს გირავნობის ხელშეკრულებას „ობლიგაციონერებსა“ და „ემიტენტს“ შორის, მასში დროდადრო შესული ნებისმიერი ცვლილების ან დამატებით გათვალისწინებით;

„დავალიანება“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ დაკავშირებით, განსაზღვრის ნებისმიერ თარიღზე (დუბლირების გარეშე):

- (ა) ამგვარი „პირის“ მიერ ფულის სესხების შედეგად წარმოქმნილ ყველა დავალიანებას;
- (ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რაც დასტურდება ობლიგაციებით, სადებეტო ოპერაციებით, თამასუქებით ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებით;
- (გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან (რაც მოიცავს მათთან დაკავშირებულ ანაზღაურების ვალდებულებებს), ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში გაცემული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გარდა;
- (დ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდასთან დაკავშირებით;
- (ე) ამგვარი „პირის“ საიჯარო ვალდებულებებს;

- (ე) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც უზრუნველყოფილია ამგვარი „პირის“ მიერ თავის ნებისმიერ აქტივზე (რომლის ღირებულება მოცემული მიზნებისათვის განისაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ღირებულებით „უზრუნველყოფის საშუალების“ მიმცემი „პირის“ ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგების (რომლებიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად) მიხედვით) მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალებით“ მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ამგვარი „პირი“ ამგვარ დავალიანებას;
- (ზ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის“ მიერ, არა უმეტეს ამ „პირის“ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით;
- (თ) იმ ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდულ ნებისმიერ თანხას, რომლებიც ექვემდებარება გამოსყიდვას;
- (ი) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებისმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან; და
- (კ) ნებისმიერი იმ სხვა ოპერაციის (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდულ თანხას, რომელიც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია,

და ნებისმიერი „პირის“ დავალიანების ოდენობა ნებისმიერ თარიღზე იქნება ამგვარ თარიღზე ზემოაღწერილი ყველა უპირობო ვალდებულებისა და, ზემოაღწერილი პირობადადებული ვალდებულების შემთხვევაში, იმ მაქსიმალური ვალდებულების გადასახდელი ოდენობა, რომელიც წარმოიშობა, თუ დადგება ვალდებულების წარმომშობი პირობა;

„**დამოუკიდებელი შემფასებელი**“ ნიშნავს ე.წ. „დიდი ოთხეულის“ წევრ აუდიტორულ ფირმას ან მესამე პირ ექსპერტს, რომელსაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ირჩევს „ემიტენტი“ და ამტკიცებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“, *იმ პირობით, რომ* ამგვარი ფირმა ან მესამე პირი შემფასებელი არ უნდა იყოს „ემიტენტთან“ „აფილირებული პირი“;

„**დაფარვის თარიღი**“ ნიშნავს თარიღს, როცა „ემიტენტმა“ უნდა დაფაროს „ობლიგაციები“ მათი ძირითადი თანხის გადახდით დარიცხულ და გადაუხდელ სარგებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად, და რომელიც განისაზღვრება „პირობების დოკუმენტით“;

„**ემიტენტი**“ ნიშნავს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტს“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საიდენტიფიკაციო ნომრით: 404997232;

„**ექსპანსიამდელი ევროპის კავშირი**“ ნიშნავს ევროპის კავშირის 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც მოიცავს შემდეგ ქვეყნებს: ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ირლანდია, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო, მაგრამ არ მოიცავს ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც გახდა ან გახდება ევროპის კავშირის წევრი 2004 წლის 1 იანვრის შემდეგ;

„**იპოთეკის ხელშეკრულება**“ ნიშნავს იპოთეკის ხელშეკრულებას „ობლიგაციონერებსა“ და „ემიტენტს“ შორის, მასში დროდადრო შესული ნებისმიერი ცვლილების ან დამატებით გათვალისწინებით;

„**კონტროლი**“, როგორც ეს ტერმინი გამოყენებულია წინამდებარე „პირობებში“, ნიშნავს „პირის“ ხელმძღვანელობისა და პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას კაპიტალის ფლობით, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ან სხვაგვარად;

„**ნებადართული დავალიანება**“ - აქვს „პირობების“ მე-5(თ)(ii) ქვეპუნქტით მინიჭებული მნიშვნელობა;

„**ნებადართული უზრუნველყოფა**“ არის:

- (ა) „გამომშვების თარიღზე“ არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“, როგორც მასში შესაძლოა დროდადრო, სრულად ან ნაწილობრივ, შევიდეს ცვლილება ან განახლდეს ან/და გაუქმდეს/შეწყდეს და ხელახლა წარმოიშვას;
- (ბ) „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ საფუძველზე „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის საშუალება“;

- (გ) ნებისმიერი „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) მიერ „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ იმ „შვილობილის“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელშიც „ემიტენტი“ ფლობს აქციების/წილის 100%-ს;
- (დ) „პირის“ „დავალიანების“ „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არსებობდა იმ დროს, როდესაც მოხდა ამგვარი „პირის“ შერწყმა ან კონსოლიდაცია „ემიტენტთან“ ან „ემიტენტის“ „შვილობილთან“ (არსებობის შემთხვევაში), ან როდესაც ამგვარი „პირი“ გახდა „ემიტენტის“ „შვილობილი“, *იმ პირობით, რომ* ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის ან კონსოლიდაციის ან გარემოების მიზნებისათვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ ნებისმიერი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა შეძენილი „პირისა“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივების ან ქონებისა);
- (ე) „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) მიერ შეძენილ ან შესაძენ აქტივებზე ან ქონებაზე უკვე არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“, *იმ პირობით, რომ* ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ არ წარმოქმნილა ამგვარი შეძენის მიზნებისათვის და იგი არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა აქტივზე ან ქონებაზე (გარდა ამგვარი შეძენილი აქტივებიდან ან ქონებიდან მიღებული შემოსავლისა);
- (ვ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც გაიცა „ემიტენტის“ ან „შვილობილის“ (არსებობის შემთხვევაში) მიერ რაიმე ქონების შეძენისას ან შეძენასთან დაკავშირებით ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის ან იმ „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად, რომელიც აღებულია მხოლოდ ამ ქონების შეძენისა და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, *იმ პირობით, რომ* ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების ნასყიდობის ფასს, შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ქონების შეძენის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „დავალიანების“ ოდენობას;
- (ზ) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი, რომლის მხარესაც წარმოადგენს „ემიტენტი“ ან „შვილობილი“ (არსებობის შემთხვევაში) ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კრედიტისა და დებეტის ბალანსის ურთიერთგაქვითვის მიზნით;
- (თ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“ ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე ან მათ ნაწილზე, რომელიც წარმოიქმნა მისაღები ფულადი სახსრების (receivables) სეკიურტიზაციასთან (securitisation) ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან (asset-backed financing) ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, *იმ პირობით, რომ* ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ჯამური ღირებულება, რომლებსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი, აქტივების ან შემოსავლების ჯამურ ოდენობაზე დამატების შედეგად, ნებისმიერ დროს არ აჭარბებს „ემიტენტის“ აქტივების 50%-ს, რაც განსაზღვრულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ ბალანსის (ან, გარემოებების გათვალისწინებით, კონსოლიდირებული ბალანსის) მიხედვით უკანასკნელი „საანგარიშო პერიოდის“ ბოლოს;
- (ი) „უზრუნველყოფის საშუალება“ არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე ან მათ ნაწილზე, რაც შექმნილია „რეპო“ ოპერაციის შესაბამისად;
- (კ) ნებისმიერი იმ შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან) წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის ჰეჯირების ოპერაციებს;
- (ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის - საგადასახადო და სხვა არანებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალება“; და
- (მ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სხვაგვარად არ არის ნებადართული ზემო ქვეპუნქტებში (ა)-დან (ლ)-ს ჩათვლით, *იმ პირობით, რომ* შესაბამისი „უზრუნველყოფის საშუალების“ საბალანსო ღირებულება არ აღემატება „ემიტენტის“ (ან, არსებობის შემთხვევაში, „ჯგუფის“) უკანასკნელი „საანგარიშო პერიოდის“ ბალანსის (ან, გარემოებების გათვალისწინებით, კონსოლიდირებული ბალანსის) მიხედვით დაანგარიშებული აქტივების 20%-ს;

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს „ფასიანი ქაღალდების კანონით“ განსაზღვრული მნიშვნელობით;

„ობლიგაციონერი“ ნიშნავს „ობლიგაციის“ რეგისტრირებულ მესაკუთრეს (როგორც აღნიშნული ტერმინი განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების კანონში“);

„ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ნიშნავს შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორებს“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საიდენტიფიკაციო ნომრით: 204484628;

„პირი“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საქმიანობის საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია, სახელმწიფო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, მიუხედავად იმისა, გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი;

„რეპო“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ-გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი;

„საანგარიშო პერიოდი“ ნიშნავს ნებისმიერ საანგარიშო პერიოდს, რომლისთვისაც „ემიტენტს“ მომზადებული აქვს ფინანსური ანგარიშგებები (ან, გარემოებების გათვალისწინებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები) „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად, რომელიც აუდიტორის მიერ არის აუდიტირებული;

„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ გარიგებასთან მიმართებით ნიშნავს ღირებულებას, რომელიც მიღებული იქნებოდა არადაკავშირებულ პირებს შორის განხორციელებული კომერციული გარიგებისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არ ხორციელდება რაიმე არასათანადო იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე) და ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არ ხორციელდება რაიმე არასათანადო იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე) შორის. „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, დაეყრდნოს გარიგების „სამართლიანი საბაზრო ღირებულების“ შესახებ „დამოუკიდებელი შემფასებლის“ ანგარიშს დამატებითი მოკვლევის ან მტკიცებულებების გარეშე;

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის, კვირის და უქმე დღეების გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში;

„საპროცენტო პერიოდი“ - აქვს „პირობების“ მე-6 პუნქტით („ობლიგაციების სარგებელი“) გათვალისწინებული მნიშვნელობა;

„სესხის მომსახურების კოეფიციენტი“ (Debt Service Coverage Ratio, DSCR) ნიშნავს განსაზღვრის ნებისმიერ თარიღზე კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება უკანასკნელი „საანგარიშო პერიოდის“ ბოლოს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე შემდეგი ფორმულის გამოყენებით: (წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან – მოგების გადასახადი – გადახდილი დივიდენდები – წმინდა კაპიტალური დანახარჯები – გაცემული სესხები + მოზიდული გრძელვადიანი რესურსი (კაპიტალი ან/და სასესხო დაფინანსება)) / (საბანკო სესხის/„ობლიგაციის“/გადახდილი გარანტიის ძირი თანხა და პროცენტი + კუპონი);

„უზრუნველყოფის საშუალება“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, იპოთეკას, უფლებრივად დატვირთვას, ყადაღას ან სხვა სახის უზრუნველყოფის საშუალებას (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობის შესაბამისად ნებისმიერი ზემოაღნიშნულის ანალოგიურ უზრუნველყოფის საშუალებას);

„ფასიანი ქაღალდების კანონი“ ნიშნავს საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1998 წლის 24 დეკემბერს, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ (IFRS) ნიშნავს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს“ (ყოფილი „ბუღალტერიის საერთაშორისო სტანდარტები), რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) (შემდგომში „საბჭო“) მიერ და „საბჭოს“ ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციები (დროდადრო მასში შესული ცვლილებებით, დამატებებით ან ახალი გამოცემებით);

„ფულადი სახსრების ეკვივალენტები“ ნიშნავს:

- (ა) „ექსპანსიამდელი ევროპის კავშირის“ წევრი სახელმწიფოების, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, შვეიცარიის ან კანადის (მათ შორის, თითოეულთან მიმართებით, მათი ნებისმიერი სააგენტოს ან სხვა ორგანოს) მიერ გამოშვებული ან უპირობოდ გარანტირებული პირდაპირი ვალდებულებები (ან სერტიფიკატები, რომლებიც წარმოადგენენ წილობრივ ინტერესს ამგვარ ვალდებულებებში), რომელთა გადახდაც მხარდაჭერილია, შესაბამისად, „ექსპანსიამდელი ევროპის კავშირის“ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ან ამერიკის შეერთებული შტატების სრული უპირობო გარანტიით და რომლებიც არ ექვემდებარება „ემიტენტის“ არჩევანით გამოსყიდვას ან დაბრუნებას;
- (ბ) „ექსპანსიამდელი ევროპის კავშირის“ წევრი სახელმწიფოს, საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატების ან მისი რომელიმე შტატის კანონმდებლობის შესაბამისად საბანკო ან სატრასტო კომპანიად ორგანიზებულ ან ავტორიზებულ საბანკო ან სატრასტო კომპანიის მიერ გამოშვებული ერთდღიანი საბანკო დეპოზიტები, ვადიანი სადეპოზიტო ანგარიშები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, საბანკო აქცეპტები (banker's acceptances) და ფულადი ბაზრის დეპოზიტები (და მსგავსი ინსტრუმენტები), რომელთა დაფარვის ვადა შეადგენს მათი შექმნის თარიღიდან 3 თვეს ან უფრო ნაკლებს, ან ნებისმიერი სხვა ფინანსური ინვესტიცია, რომელიც „ანგარიშგების საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების“ მიხედვით კლასიფიცირდება ფულად სახსრებად ან ფულადი სახსრების ეკვივალენტად; იმ პირობით, რომ ამგვარი ბანკის ან სატრასტო კომპანიის (გარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზებული ან ავტორიზებული ბანკებისა და სატრასტო კომპანიებისა) გრძელვადიან ვალს მინიჭებული აქვს „Moody“-ს „A-3“ ან უფრო მაღალი რეიტინგი ან „S&P“-ს „A-“ ან უფრო მაღალი რეიტინგი ან სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს ეკვივალენტური სარეიტინგო კატეგორია, ხოლო ნებისმიერ იმ ბანკთან თუ სატრასტო კომპანიასთან მიმართებით, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის ორგანიზებული ან ავტორიზებული, ამგვარი ბანკის ან სატრასტო კომპანიის გრძელვადიან ვალს მინიჭებული აქვს „Moody“-ს „B1“ ან „S&P“-ს „B+“ ან უფრო მაღალი რეიტინგი ან სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს ეკვივალენტური სარეიტინგო კატეგორია;
- (გ) ზემო (ბ) ქვეპუნქტში მითითებული კვალიფიკაციების შესაბამის ნებისმიერ ფინანსურ ინსტიტუტთან დადებული ზემო (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში აღწერილი საბაზისო ფინანსური ინსტრუმენტების (underlying securities) გამოსყიდვის ვალდებულებები, რომელთა ვადა არ აღემატება 7 დღეს;
- (დ) კომერციული სასესხო ინსტრუმენტი (commercial paper), რომელსაც მინიჭებული აქვს „Moody“-ს ან „S&P“-ის ორი უმაღლესი შესაძლო რეიტინგიდან ერთ-ერთი და, თითოეულ შემთხვევაში, რომლის დაფარვის ვადა არ აღემატება შექმნის თარიღიდან 1 წელს; და
- (ე) წილი/აქცია ნებისმიერ საინვესტიციო კომპანიაში ან ფულადი ბაზრის ფონდებში (money market funds), რომელთა აქტივების სულ მცირე 95% შედგება ზემოაღნიშნულ (ა)-(დ) ქვეპუნქტებში მითითებული ტიპის „ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან“;

„შეთავაზების დასრულების თარიღი“ - აქვს „პირობების დოკუმენტი“ მინიჭებული მნიშვნელობა;

„შვილობილი“ ნებისმიერ „პირთან“ (შემდგომში „პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ სხვა „პირს“ (შემდგომში „მეორე პირი“), (ა) რომლის საქმიანობასა და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ „აკონტროლებს“ „პირველი პირი“ ან (ბ) რომელშიც „პირველი პირი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ან საკუთრების სხვა უფლების 50%-ზე მეტს;

„წმინდა დავალიანება“ ნიშნავს განსაზღვრის ნებისმიერ თარიღზე ოდენობას, რომელიც ტოლია (და დუბლირების გარეშე) „ემიტენტის“ და მისი „შვილობილების“ (არსებობის შემთხვევაში) იმ „დავალიანების“ ჯამისა, რომელსაც ერიცხება სარგებელი (გარემოებების გათვალისწინებით, კონსოლიდირებულ საფუძველზე), როგორც გამოანგარიშებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად, *გამოკლებული* „ემიტენტის“ და მისი „შვილობილების“ (არსებობის შემთხვევაში) ჯამური ფულადი სახსრები და „ფულადი სახსრების ეკვივალენტები“;

„ხელშეკრულება“ ნიშნავს ხელშეკრულებას „ემიტენტსა“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ შორის „ობლიგაციების“ გამოშვების პირობების შესახებ;

„ჯგუფი“ ნიშნავს „ემიტენტსა“ და დროდადრო მის „შვილობილ(ებ)ს“ (არსებობის შემთხვევაში) ერთობლიობაში;

„EBITDA“ ნიშნავს შემოსავალს პროცენტამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე და საფინანსო საქმიანობაზე სავალუტო (ზარალამდე)/მოგებამდე. „EBITDA“ წარმოდგენილია როგორც შუალედური ჯამი მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში;

„Moody’s“ ნიშნავს „Moody’s Investors Service, Inc.“-ს, მის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლებს;

„S&P“ ნიშნავს „S&P Global Ratings“-ს, მის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლებს.

16. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

(ა) **მარეგულირებელი კანონმდებლობა:** „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) **იურისდიქცია:** საქართველოს სასამართლოებს აქვთ ექსკლუზიური იურისდიქცია ნებისმიერ დავაზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას „პროსპექტიდან“ ან „ობლიგაციებიდან“ ან მათთან დაკავშირებით (რაც მოიცავს ნებისმიერ სარჩელს, დავას ან უთანხმოებას „პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გამოშვებასთან, არსებობასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან, ან „პროსპექტიდან“ ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებით).

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. „ობლიგაციების“ პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე – „ობლიგაციებიდან“ პროცენტის, ძირითადი თანხის ან/და სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

საპროცენტო სარგებლის დაბეგვრა

„ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაცია“ არის 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ ითვლება აღიარებულ ორგანიზებულ ბაზრად.

„ობლიგაციებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტისა და სადაზღვევო ორგანიზაციის) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

2024 წლის 1 იანვრამდე სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოს ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ არის საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა საბანკო დაწესებულებისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტისა და სადაზღვევო ორგანიზაციისა) ვალდებულია „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებაზე გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც გაანაწილებს მოგებას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

2024 წლის 1 იანვრამდე სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოს ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ გამოსყიდვისას „ობლიგაციონერების“ მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, რომ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

„ობლიგაციების“ რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.